ᲮᲣᲗᲘ ᲞᲘᲔᲡᲐ

მთარგმნელი **მამუკა ბუცხრიკიძე**
რედაქტორი **ნინო გოგალაძე**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **თინათინ ბერბერაშვილი**

ქართული გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2021
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელეფონი: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-890-1

Georgian edition published by Sulakauri Publishing, 2021
All rights reserved.

www.sulakauri.ge

სარჩევი

ოჰ, ღმერთო! 5

რევოლუციონერი ცოლები 81

საიდუმლოებები 133

სინანულის დღეები 227

შპს წრფელი სიყვარული 303

ოჰ, ღმერთო!

ანათ გოვი

ბოლო ვერსია – მარტი, 2008

მოქმედი პირები:

ელა – 42 წლის ფსიქოლოგი, აუტისტი ბიჭის მარტოხელა დედა
ლიორ – 16 წლის აუტისტი ბიჭი
ღმერთი

მოქმედების ადგილი:

სამუშაო ოთახი ელას სახლში. ოთახს აკრავს პატარა მოვლილი ბაღი ნაირფერი ყვავილებით. ოთახში არის აგრეთვე შემოქმედებითი კუთხე და გასართობი სივრცე. კედელზე კიდია ვაჟიშვილის ნახატები და ასევე მარლონ ბრანდოს შავ-თეთრი ფოტო ნათლიის როლში – გრძელ პალტოსა და ქუდში.

(სიბნელეში გაისმის ჩელოს ხმა. სინათლე ელას კაბინეტს ეცემა. ლიორი ზის და დიდი მონდომებით უკრავს ჩელოს. თვალები დახუჭული აქვს. ელა ბაღიდან შემოდის, ხელში წურწურათი)

ელა: რა სიცხეა! გაგიჟდა ეს დედამიწა. შუა იანვარია და ჯერ წვეთი წვიმაც არ მოსულა. თუ ასე გაგრძელდა, მოგვიწევს, ბაღს შეველიოთ. წყალი ნავთზე ძვირი იქნება, ჩვენ ამას ვერ გავუძლებთ. განსაკუთრებით ეს შენი ღორმუცელა ვარდები.

(ლიორი დაკვრას აგრძელებს)

ელა: ცოტაოდენი წვიმა გვინდა, მეტი არაფერი. *(ცისკენ)* ცოტა წვიმა, განა ისეთს რას ვითხოვთ? რა სიძუნწეა? ჰეი! გაახილე თვალი!

(ლიორს ხელზე ეფერება) ლიორ, მისმინე, საყვარელო, დღეს კიდევ ერთი პაციენტი მყავს გამონაკლისის სახით. შენ იცი, რომ არასოდეს ვიღებ პაციენტებს იმ დროს, როცა შენ შინ ხარ, მაგრამ ის მართლა სასოწარკვეთილი ჩანს... შემევედრა, რომ დღესვე ვნახო, თორემ რაღაც უბედურება დატრიალდება... ვერ შევძელი, უარი მეთქვა... ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ძალიან... ბობოლა ვინმეა. როდესაც ვკითხე, რა გქვიათ-მეთქი, მრავალმნიშვნელოვნად მიპასუხა, A დამიძახეთო. A ან მოსადია, ან უშიშროების სამსახური, არა? წარმოიდგინე, უშიშროების სამსახურის უფროსი მოდის ჩემთან სეანსზე. ცოტა არ იყოს, ამაღელვებელია, არა?

ნაციონალურ ასპექტს ვგულისხმობ... ნებისმიერ შემთხვევაში, ეს მხოლოდ საათს გასტანს, შენთან კი მირიამი მოვა...

(ლიორი სიხარულით ხტუნავს და ღმუის)

ელა: გიყვარს მირიამი, ხომ? გადასარევი გოგოა.

(ლიორი მთელ ოთახში დახტის და ღმუის. რაც გზად შემოხვდება, ყველაფერს ძირს ყრის, ძირითადად, მსხვრევად საგნებს. ელა უკან მისდევს, წამში იჭერს ლიორის გადმოგდებულ ყოველ ნივთს და იატაკზე დავარდნისა და დამსხვრევის საშუალებას არ აძლევს. საგნებს უკან თავ-თავიანთ ადგილას აბრუნებს, ამავდროულად, ლიორის მიერ გადმოყრილ ახალ ნივთებს იჭერს. ელა ძალზე დახელოვნებული ჩანს ამ სიტუაციაში, თითქოსდა მისთვის ჩვეული რუტინაა. პარალელურად საუბარს განაგრძობს)

ელა: ხომ არ დაუკრავ მირიამისათვის იმას, რაც დღეს მე დამიკარი? როგორ უყვარს, როცა მისთვის უკრავ! მერე „შრეკსაც“ ერთად უყურებთ *(ლიორი კიდევ უფრო აღფრთოვანდება)* და როდესაც საქმეს მოვრჩები, გემრიელ ვახშამს მოვიმზადებთ, იქნებ შაკშუკა გავაკეთოთ... აბა...

(ლიორი კედლიდან ჩამოაგდებს სურათს, ელა ვერ მიასწრებს და სურათი იატაკს დაენარცხება. ლიორი დაფრთხება და გაშეშდება)

ელა: ეგ არაფერი!

(ლიორი უფრო და უფრო შიშნარევ ხმას გამოსცემს, პერანგით სახეს იფარავს და ისტერიულად ღმუის)

ელა: ეგ არაფერია, მართლა. აი! ნახე! კიდევ ერთი მაქვს *(კარადიდან ზუსტად ისეთივე სურათს იღებს და კედელზე მის დასაკიდებლად მიემართება)* ყოველკვირა რომ არ მევლო ჩარჩოების მაღაზიაში, წინასწარ რამდენიმე გავაკეთებინე *(კიდებს სურათს)*. ხედავ? არაფერი მომხდარა.

(ლიორი მთელი ტანით კანკალებს. ელა მიეჭრება, ჩაეხუტება, ყურში უმღერის მშვიდ სიმღერას, სანამ მის მკლავებში მოქცეული ლიორი არ დაწყნარდება)

ღამეა ღამე, დასცქერის მთვარე
სუმბულის გაფურჩქნილ ყვავილებს
ჩვენს პაწაწა ბაღში...

(კარზე ზარი გაისმის)

ელა: ეს ნამდვილად მირიამია. წადი, კარი გაუღე. *(ლიორი სიხარულით გავარდება გარეთ)*

(ლიორი ხალისიანი ზმუილით გარბის. ელა ჩელოსა და მის ფეხსაცმელებს იღებს და უკან მიჰყვება. გარედან ხმები ისმის, ძირითადად – ლიორის მხიარული ღმუილი. ელა ოთახში ბრუნდება, ხელის ქნევით ემშვიდობება, კოცნას უგზავნის და კარს კეტავს. გარედან ხმები წყდება. ელა მოქანცული ჩაეშვება სავარძელში)

ელა: ოჰ, ღმერთო...

(კარზე კაკუნი ისმის)

(ელა წამოიმართება, დგება და ბაღში გასასვლელ კარს აღებს.

მის წინაშე დგას მაღალი მამაკაცი, გრძელ პალტოსა და ქუდში გამოწყობილი, როგორც მარლონ ბრანდო კედელზე დაკიდებულ სურათზე. ელა გვერდით იწევა, ოთახში რომ შემოუშვას)

A: გამარჯობა.

ელა: მობრძანდით *(პალტოზე მიუთითებს).* შეიძლება?

(მამაკაცი ოთახში შედის. ელა გაოცებული მისჩერებია, მზერა კედლისკენ, სურათზე გადააქვს და ისევ სტუმარს აცქერდება. კაცი ოთახში გაივლის, გამჭოლ მზერას მოავლებს იქაურობას და კედელზე ჩამოკიდებულ დიდ ფერად ნახატთან შედგება)

A: კარგია. ძალიან კარგი.

ელა: ჩემი ბიჭი მხატვარია.

A: ნიჭიერია.

ელა: აუტისტია.

A: *(ნახატს ულრმავდება)* დიახ, ვიცი.

ელა: იცით??

A: *(კვლავ ნახატს ათვალიერებს)* გონებრივი განვითარების მნიშვნელოვანი დარღვევა PDD, ვერბალური კომუნიკაციის მკვეთრად გამოხატული დეფექტი, „შესაძლებლობის კუნძულებით“...

ელა: როგორ... რა?... ჩემ შესახებ გამოძიება აწარმოეთ? *(ის არ პასუხობს, სურათებს აკვირდება)*... განცდა მქონდა, რომ უშიშროების სამსახურიდან იყავით.

A: არ ვარ უშიშროების სამსახურიდან.

ელა: მაშ, მოსადიდან?

A: რა მოსადი?

ელა: მოსადი.

A: აჰ, არა, არა.

ელა: ავიაცია?

A: *(წამოენთება. სავარძელთან მიდის)* ვსხდებით? თუ ვწვებით? აქ რა წესებია? ეს ჩემი პირველი შემთხვევაა და...

ელა: ჩემთან, როგორც წესი, სხდებიან, გეთაყვა... *(კაცი ჯდება. ელა მის პირდაპირ მოკალათდება)* მაშ... ვის ესაუბრეთ ჩემზე?

A: თქვენ ეს გძაბავთ?

ელა: სიმართლე ვთქვა, კი.

A: რატომ? რაღაც გაქვთ დასამალი?

ელა: არა. კი შემიძლია გავიგო, რომ ფსიქოლოგზე რეკომენდაციები სჭირდებათ, თუმცა მირჩევნია, ჩემი პირადი ცხოვრება ამ ოთახს მიღმა დავტოვო. რატომ მაქვს განცდა, რომ დაკითხვაზე ვიმყოფები?

A: მშვენიერი ოთახია. ბაღიც შემოსასვლელში. ძალიან მომეწონა.

ელა: გმადლობთ. კარგი, მოდი, თავიდან დავიწყოთ. მე ელა ვარ.

A: ელა?

ელა: ხის სახელია, არა ღმერთის[1].

A: აჰ.

ელა: თქვენ? *(ბლოკნოტში იწერს)*

A: მე?

ელა: რა გქვიათ?

A: მე ვარ, რომელიც ვარ.

ელა: ეს ცხადია. მაგრამ გექნებათ სახელი, რა თქმა უნდა...

A: შეგიძლიათ კვლავაც A დამიძახოთ.

ელა: მისმინეთ, თუ ინფორმაციის გახმაურებას უფრთხით, გპირდებით, რომ თქვენი კონფიდენციალურობა აქ აბსოლუტურად დაცულია. მე მყავს ცნობილი პაციენტებიც და მათ იციან, რომ მათი ყველა საიდუმლო აქ, ოთახში რჩება...

A: სახელს მართლა არ აქვს მნიშვნელობა. რაც გნებავთ, ის

[1] „ელა“ ებრაულად ნიშნავს „ქალღმერთს“.

დამიძახეთ. უბრალოდ, სახელი შეარჩიეთ, მიხმეთ და მეც გამოგეპასუხებით.

ელა: პრობლემა არაა, ამას შემდეგ მივუბრუნდებით. მეტყვით, რამდენი წლის ხართ?

A: ხუთი ათას შვიდას სამოცდარვა... მისრულდება მომავალ კვირას.

ელა: ااჰ, დიახ. ზოგჯერ მეც ასე ვგრძნობ თავს. მაშ, რას საქმიანობთ ცხოვრებაში? რა პროფესიის ხართ?

A: *(პაუზის შემდეგ)* შეგიძლიათ ჩაწეროთ... ხელოვანი.

ელა: *(თავს მაღლა სწევს და სტუმარს აკვირდება)* ამიტომ არ გსურდათ, სახელი გეთქვათ? თქვენ ვიღაც... ცნობილი ხართ.

A: საკმაოდ ცნობილი.

ელა: ბოდიშს ვიხდი, ტელევიზორს ნაკლებად ვადევნებ თვალს, უმეტესად „შრეკს“ ვუყურებ ხოლმე.

A: გასაგებია.

ელა: შემოქმედი თუ შემსრულებელი ხელოვანი?

A: ერთიც და მეორეც.

ელა: რა სფეროში? ფერწერა? მწერლობა, მუსი...

A: ყველა სფეროში.

ელა: აჰ, მულტი...?

A: დიახ, მულტი.

ელა: საინტერესოა.

A: კი, საინტერესოა.

ელა: გსურთ მიამბოთ, რა მოხდა? ჩემთან რამ მოგიყვანათ?

(A დუმს)

ელა: ტელეფონში როგორც მომესმა, გასაჭირში ხართ?

(A დუმს)

ელა: თუ გიმძიმთ, შეგვიძლია სხვა რამით დავიწყოთ. რამეს ხომ არ მიამბობდით თქვენ შესახებ? ან თქვენი მშობლების შესახებ?

A: ჩემი მშობლები?

ელა: თქვენი მშობლები. იცით, ზოგჯერ ყველაზე მოსახერხებელი მშობლებით დაწყებაა. ვთქვათ, როგორი მამა გყავდათ?

A: მამა არ მყოლია.

ელა: გარდაიცვალა?

A: ის არასოდეს ყოფილა.

ელა: მესმის. ანუ მხოლოდ დედასთან იზრდებოდით?

A: არც დედა მყოლია.

ელა: არც დედა გყოლიათ?

A: არა.

ელა: რა ასაკიდან?

A: ათადან და ბაბადან.

ელა: დაბადებით ობოლი?

A: დაბადებით ობოლი.

ელა: ოდესმე გიმკურნალიათ?

A: არასოდეს.

ელა: შეგეძლოთ თავიდან აგერიდებინათ მრავალწლიანი ტანჯვა. თუმცა სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

A: შეიძლება მეტისმეტად გვიანიც იყოს უკვე.

ელა: ცვლილება გვიანი არასდროსაა.

A: ოპტიმისტი ხართ.

ელა: ყოველთვის.

A: ვიცი.

ელა: კიდევ რა იცით ჩემზე?

A: მე ყველაფერი ვიცი.

ელა: ყველაფერი?

A: ყვე-ლა-ფე-რი.

ელა: რა უფლებით?... როგორ? რანაირად? მითვალთვალებდნენ? რამდენი ხანია მითვალთვალებენ?

A: დამშვიდდით, არავინ გითვალთვალებთ.

ელა: კარგი, მისმინეთ, ძალზე უხერხულად ვგრძნობ თავს იმის გამო, რაც აქ ხდება. არა მგონია, თქვენი მკურნალობა შევძლო.

A: მაშ, თავიდან მიშორებთ?

ელა: უბრალოდ, მეჩვენება, რომ ეს უშედეგო იქნება, გესმით. სასტარტო მდგომარეობა, რომლის განმავლობაშიც თქვენ უკვე დამკითხეთ, ძალზე უხერხულ შეგრძნებას მიჩენს. მე ვალდებული ვარ, გულწრფელი ვიყო თქვენთან, მე სუფთა ვერ შევდივარ ამ დიალოგში, ეს ძალზე არახელსაყრელი დასაწყისია სეანსისათვის. *(დგება)* სიამოვნებით გირჩევდით ვინმეს...

A: ერთი წამით! დაბრძანდით, თუ შეიძლება. *(ელა შედგება)* გთხოვთ... მომისმინოთ. სულ ესაა, რასაც გთხოვთ... ვინმეს უნდა დაველაპარაკო... თორემ... რაღაც საშინელება დატრიალდება.

ელა: რა საშინელებაზე საუბრობთ?

A: რაღაც დიდი საშინელება...

ელა: ოკეი, გისმენთ.

A: გმადლობთ.

ელა: იმ პირობით, რომ სიმართლეს მეტყვით.

A: რა გსურთ, იცოდეთ?

ელა: მაგალითად, ვინ ხართ?

A: მე არ შემიძლია გითხრათ, ვინ ვარ.

ელა: იქნებ არ გსურთ მითხრათ...

A: არ შემიძლია!

ელა: რატომ?!

A: იმიტომ რომ არ დამიჯერებთ.

ელა: გამომცადეთ!

A: მე ღმერთი ვარ.

(პაუზა)

ელა: მესმის... *(ქალს ტონი ეცვლება. სტუმარს ისეთი ტონით მიმართავს, როგორც გონებაშეზღუდულ ბავშვს)* რამდენი ხანია თავს ასე გრძნობთ?

A: რას ნიშნავს „ასე“?

ელა: ღმერთივით.

A: მე არ ვგრძნობ თავს ღმერთივით.

ელა: მადლობა ღმერთს, წამით მომეჩვენა, რომ თქვით...

A: მე ღმერთი ვარ.

ელა: ااه... მისმინეთ. ძალიან მინდოდა თქვენი დახმარება, მართლა, ვგრძნობ, რომ დიდ განსაცდელში ხართ...

A: წარმოდგენაც არ გაქვთ.

ელა: მაგრამ გარდა კეთილი ნებისა, არა მგონია, თქვენს პროცედურებს შევეფერებოდე. მე ფსიქოლოგი ვარ და არა ფსიქიატრი, არ მაქვს აბების გაცემის ლიცენზია.

A: აბები არ მაინტერესებს.

ელა: არც მე ვარ აბების დიდი მომხრე, მაგრამ თქვენს შემთხვევაში აბებით ცდას ავწონ-დავწონიდი. მე თქვენ ერთ შესანიშნავ ფსიქიატრს გირჩევდით...

A: არა, არა, არა. არავითარი ფსიქიატრი.

ელა: ფსიქიატრთან საშიში არაფერია, არ იკბინება. ის თქვენ დაგეხმარებათ.

A: არა, არა.

ელა: ეს არ ნიშნავს, რომ გაგიჟდით ან რაღაც ამგვარი, თუ ეს გაწუხებთ. თქვენ ნამდვილად არ ხართ პირველი და უკანასკნელი, უამრავი მსგავსი შემთხვევაა. მართლაც, დღეს ეს ძალზე გავრცელებული პრობლემაა, აი, ამას ჰქვია...

A: *(აწყვეტინებს)* არა! ან თქვენ, ან არავინ.

ელა: არა, არა მისმინეთ. სკრუპულოზური გამოძიება კი გიწარმოებიათ, მაგრამ მაინც ფუნდამენტურად ცდებით. მე ძირითადად ბავშვებთან ვმუშაობ, ვისაც ათვისების პრობლემა აქვს. არავითარი გამოცდილება არ გამაჩნია იმ პრობლემასთან დაკავშირებით, რაც თქვენ გაწუხებთ... შეიძლება მხოლოდ ზიანი მოგიტანოთ, აი, დოქტორი იუვალის ტელეფონი, ახლავე შემიძლია დავუკავშირდე *(კრეფს ნომერს)*

A: არა! *(ტელეფონს დასწვდება და გათიშავს)*

ელა: რატომ?

A: დადეთ ყურმილი.

ელა: რა...

A: გათიშეთ ტელეფონი! გთხოვთ ნუ მაიძულებთ, ის მოვიმოქმედო, რისი გაკეთებაც არ მინდა.

ელა: კარგი, დამშვიდდით. პირველ რიგში დამშვიდდით... აი, ტელეფონს ვთიშავ, ხედავთ? *(მყისვე გასძახებს გარეთ)* მირი...

A: ჩუმად!

(A ხელს ამოძრავებს. ქალი ადგილზე გაშეშდება. ცდილობს იყვიროს, მაგრამ პირიდან ხმა არ ამოსდის)

A: ვწუხვარ, იშვიათად მიწევს, ასეთ ქმედებას მივმართო, მაგრამ სხვა გამოსავალი არ დამიტოვეთ. ბევრი დრო არ მაქვს, მე კი ვინმესთან საუბარი მჭირდება. სულ ერთი საათი დამითმეთ, მეტს არაფერს გთხოვთ, გადაგიხდით, ისე როგორც სხვა ნებისმიერი გიხდით, ამის შემდეგ აღარასოდეს მიხილავთ.

(ელა გაქვავებულია, მხოლოდ თვალებს ამოძრავებს)

A: რას იტყვით?

(ელა გაქვავებულია, ცდილობს, თვალებით იმეტყველოს)

A: გაგათავისუფლებთ, იმ პირობით, თუ არ იყვირებთ...

(კარი წიხლით იღება. შემოდის აჟიტირებული ლიორი. შედგება, აკვირდება გაქვავებულ დედამისს. ელაც მას მისჩერებია, მერე A-ზე გადააქვს მზერა. ყველა ერთიმეორეს უყურებს. A ხელით მოძრაობას აკეთებს და ქალს ათავისუფლებს. ელა ლიორს მივარდება)

ელა: ყველაფერი კარგადაა, ჩემო ტკბილო? რამე მოხდა? *(ლიორს ხელს ხვევს მხარზე)* სასტუმრო ოთახში დაბრუნდი, საყვარელო, აი, მირიამი გეძახის. ცოტა ხანში დავასრულებ, კარგი? წადი, სიხარულო. მეც უკვე მოვდივარ. იმაზე ადრე დავამთავრებ, ვიდრე გითხარი. *(ეხუტება და შორდება. ლიორი გადის. ელა A-ს მიუბრუნდება, თვალებიდან ნაპერწკლებს ყრის)* კარგად მისმინეთ, არ ვიცი, ეს რა იყო და არც მინდა ვიცოდე. მინდა, ახლავე წახვიდეთ აქედან. ეს ყველაფერი ჩემთვის მიუღებელია, გესმით?

A: მაშ, თქვენ უარს ამბობთ პაციენტზე მხოლოდ იმის გამო, რომ იგი, ცოტა არ იყოს, არაორდინალურია? სად არის თქვენი ფსიქოლოგების ფიცი?

ელა: ფსიქოლოგების ფიცი, როგორც ასეთი, არ არსებობს!

A: არ არსებობს?

ელა: რა! მაშ, გეთაყვა...

A: მინდა გავიგო: თქვენ ხედავთ გასაჭირში მყოფ მოყვასს და თავიდან იშორებთ? მხოლოდ იმის გამო, რომ ღმერთია?

ელა: თქვენ არ ხართ ღმერთი, ბატონო. შეიძლება ერთი-ორი ჯადოს გაკეთება გეხერხებათ, სხვათა შორის, არაფერი ისე-

თის, რაც ტელევიზორში ჯერ არ გვინახავს. მაგრამ ღმერთი თქვენ არ ხართ. არ არის ღმერთი. ირგვლივ მიმოიხედეთ, გგონიათ, რომ ღმერთი არსებობს?

A: თქვენ იცით, რომ ის არსებობს.

ელა: მე? ბატონო, აქ შეცდომაა. თავიდანვე გითხარით, რომ რაღაც ხარვეზია თქვენს გამოძიებაში. შემომხედეთ. მე მორწმუნე არ ვარ. ქვეწარმავლებს გეახლებით ზემოდან ყველით[1]. ღმერთის მე არ მწამს.

A: ღმერთის არ გწამთ?

ელა: ვწუხვარ.

A: მაშ, ვის ელაპარაკებით ყოველდღე მთელი ამ ოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში?

ელა: ბოდიში?!

A: ისე ხომ ვერ დაწვები დასაძინებლად, თუ რამეზე არ თქვი საყვედური. გუშინ რა იყო, მაცადე, გავიხსენო... აჰ, დიახ... წვიმასთან დაკავშირებით. ცოტა არ იყოს, მერყევი დამოკიდებულება გაქვთ ეს ბოლო პერიოდია წვიმასთან...

ელა: *(შიში ეპარება)* ეს რა არის?.. *(ირგვლივ მიმოიხედავს)* ვინ ხართ? აზრების მკითხველი? აქ რა ხდება? არ მესმ...

A: ვერასოდეს დავივიწყებ ჩვენს პირველ შეხვედრას... ოთხი წლის იყავი. გვიანი ღამე იყო. შენს მშობლებს ეგონათ, რომ გეძინა და შენზე საუბრობდნენ. მამაშენმა დედაშენს უთხრა, ჩერჩეტი გოგოაო. „რას ვიზამთ, შტერი გოგო გვყავს! ჩერჩეტი გამოვიდა, რა გაეწყობა, ხდება...“ გაჯავრდა, სკამზე რომ არ დადექი და „მა ნიშთანა“ არ იმღერე ფესახის სუფრაზე.

(ელა განცვიფრებული მისჩერებია)

[1] ბიბლიური ტრადიციით, იუდეველებთან იკრძალება ხორცისა (მით უმეტეს ქვეწარმავლისა, რომლის ჭამას აგრეთვე კრძალავს რელიგიური კანონი) და რძის პროდუქტების ერთად მიღება.

A: იმავე ღამეს მითხარი, რომ ჩემი აღარ გწამდა, პატარა ბავშვები არ გებრალებაო.

(ელა შოკშია)

A: ფაქტია, ეგვიპტეში დაბადებული ყველა ჩვილი ამოჟლიტე, მარტო იმისთვის, რომ ფარაონი გაგებრაზებინაო. მთელი თქმულებიდან მხოლოდ ეს დაგამახსოვრდა – უბედური ეგვიპტელი ბავშვები.

(ელა გაშეშებულია)

A: აბა, რას იტყვი?

ელა: *(ნერწყვს ყლაპავს)* ვწუხვარ, არ მახსოვს, ოთხი წლის ასაკში რა იყო. რა თქმა უნდა, ბევრი ოთხი წლის გოგონა ამავეს ამბობს ფესახის სუფრის შემდეგ.

A: ოცდათოთხმეტი წლის ასაკში? დარწმუნებული ვარ, გახსოვს შენი ოცდამეთოთხმეტე დაბადების დღე.

(ელას თვალები ლამისაა ბუდიდან გადმოუცვივდეს)

A: გამოგიცოცხლო მეხსიერება?

ელა: არა!

A: მაშ, იცი, რაზეც ვსაუბრობ.

ელა: კმარა! კმარა! რა ხდება?!

A: რა ხდება? ლიბანის თოვლივით გათეთრდი... მოდი, დაჯექი.

(ჭიქაში წყალს ასხამს და ელას აწვდის. ელა ჭიქას იღებს. ერთი გადაკვრით გამოცლის, ჭიქას მაგიდაზე დებს, ისევ თავის ადგილას ჯდება)

A: კარგად ხარ?

ელა: რა ხდება აქ?

A: მაშ, აღიარებ, რომ მელაპარაკე.

ელა: მე წარმოსახვით ხატს ვესაუბრებოდი!

A: სინამდვილე და წარმოსახვა ზოგჯერ ერთმანეთში გვერევა, არა?

ელა: აზრადაც არ გამივლია, რომ იქ მართლა იყო ვიღაც.

A: ჩემს არსებობაში შენ ფაქტობრივად არასოდეს დაეჭვებულხარ.

ელა: არ დავეჭვებულვარ?

A: არ დაეჭვებულხარ.

ელა: დავეჭვებულვარ და თანაც როგორ.

A: ასე როგორ შეიძლება გაჯავრდე მასზე, ვინც არ არსებობს? სცადო, მორალი უკითხო მას, ვინც არ არსებობს?

ელა: წამითაც არ დამიჯერებია სერიოზულად, რომ ვინმე...

A: გისმენდა? დიახაც, გისმენდი. ყოველ სიტყვას, ყოველ წყრომას, ყოველ ეჭვს, ყოველ კითხვას ვაყურადებდი, დღენიადაგ მამუნათებდი, მაგრამ მაცინებდი კიდეც. და მხოლოდ ერთი რამ არ გიქნია – არასოდეს გითხოვია ჩემთვის რამე.

ელა: ხედავთ? იმიტომ რომ არ მჯეროდა, იქ მართლა თუ იყო ვინმე.

A: იმიტომ რომ არ მომენდე, რომ შემეძლო საჭირო საქონელი მომეწოდებინა. როგორ ამბობდი, როცა მართლა გაკაპასდებოდი ხოლმე ჩემზე? – „ორად ორი ვარიანტია: ან ღმერთი არ არსებობს, ან თუ არის... ბნელ ჩიხში მის ნახვას არ ვისურვებდი.“

ელა: ბნელი ჩიხი არ მითქვამს, ვთქვი, მის გაცნობას არ ვისურვებდი-მეთქი.

A: ბნელი ჩიხი თქვი.

(სიჩუმე. ერთმანეთს მისჩერებიან)

ელა: ეს სიგიჟეა.

A: რა?

ელა: რა ამბავია, სიზმარში ვარ თუ ცხადში? კლინიკური სიკვდილია და ეს ყველაფერი ჰალუცინაციებია? არ შემიძლია, თავს ახლა სიკვდილის უფლება მივცე...

A: მკვდარი არ ხარ! და არც რამე გელანდება.

ელა: მაშ, რა არის? ვინმე ფილმს იღებს? თუ რა ხდება?

A: ელა.

ელა: რა?

A: შემომხედე.

ელა: არ შემიძლია. *(შეხედავს)*

A: ეს მე ვარ.

ელა: არა.

A: კი.

ელა: ოჰ, ღმერთო...

A: აქ ვარ.

(პაუზა, ერთმანეთს მისჩერებიან.
ელას სიტყვები ყელში ეჩხირება. გაურკვეველ მოძრაობებს აკეთებს. წამდაუწუმ პირს აღებს რაღაცის სათქმელად, მაგრამ არ იცის, რა თქვას. ხოლო ის დიდხანს მოთმინებით უცდის, როდის გაჩერდება ქალი)

A: რა?

ელა: სამოსი ვინ შეგიკერათ?

A: შევეცადე, ამ სურათს დავმსგავსებოდი, დავინახე, როგორ ხარ მიჯაჭვული, მარტო ამ ბოლო წელს რამდენჯერ გამოუცვალე ჩარჩო? ცხრაჯერ?

ელა: მე არ... მე არ... მე არ... ეს არ... მე უბრალოდ არ... არა... მე არ... ეს არ... არაა, ეს არა... არა...

A: რა არ არის?

ელა: ლოგიკური.

A: ააჰ. და გარდა ამისა ყველაფერი ლოგიკურია, ხომ? საითაც არ უნდა გაიხედო, ყველაფერში ლოგიკას ამოიკითხავ, ხომ?

ელა: ჯერჯერობით...

A: ჯერჯერობით რა? თქვენ მზად ხართ, ყველაზე დიდი სისულელეები დაიჯეროთ და არ იწამოთ ყველაზე ხელშესახები საგანი, მთელი ტანით ცახცახებთ, როცა შავ კატას ხედავთ, ელდა გეცემათ, თუ სარკე გაგიტყდათ...

საჭმლის მომნელებელი სისტემა თუ გინახავს შიგნიდან? როგორ ფიქრობთ, ვინ დაგეგმა ეს გრძელი და დახლართული გზა, რომელიც პირიდან იწყება და მთავრდება, იცი შენ, სადაც. ოდესმე გიცდია შვიდ-ნახევარი მეტრის ჩაკეცვა ნახევარი ფეხსაცმლის ყუთის ზომის მუცელში? ასე პაწაწა პანკრეასმა საიდან იცის, ზუსტად როდის გამოყოს ფერმენტები, დამშლელი ცხიმებისა, რომელთაც უზომოდ მოიხმართ? როგორ გგონიათ, ვინ მოიფიქრა თორმეტგოჯა?!

ელა: ჯერ ერთი, მრავლობითში ნუ მელაპარაკებით. არ ვიცი, „თქვენში“ ვის გულისხმობთ. მე მეტი არაფრის მწამს.

A: არა?! შენ გწამს, რომ ერთ დღესაც შენი ბიჭი იტყვის „დედას“, თუმცა უკვე 16 წლისაა და ჯერ სიტყვაც არ დასცდენია, და მიუხედავად იმისა, რომ ყველა სპეციალისტმა გითხრა, შანსი არაა ოდესმე სიტყვა „დედა“ ან სხვა ნებისმიერი რამ თქვასო, მაინც გაქვს იმედი.

(ელა დუმს)

A: გჯერა, რომ ერთ დღესაც ქმარი დაგიბრუნდება, თუმცა უკვე მეორედ იქორწინა და ახალი და ჯანმრთელი ბავშვები ჰყავს, და შენ იცი, რომ ბავშვი, მეტადრე ჯანმრთელი, არ გეყოლება, რამეთუ არც ერთი ჭკუათმყოფელი კაცი არ გაყოფს თავს ეგეთ ყულფში, შენ კი მაინც გწამს.

(სიჩუმეა. ქალი თვალს თვალში უყრის მამაკაცს. ნელ-ნელა თავის ქნევას მოჰყვება)

A: რა?

ელა: ახლა კი დამარწმუნე. ჩემთვის ცნობილია ეს სისასტიკე. ეს შენ ხარ. ეჭვგარეშეა. მხოლოდ ღმერთი შეიძლება იყოს ასეთი... არაადამიანური.

A: *(გაოცებულია)* გაწყენინე.

ელა: ეგ არაფერი. მიჩვეული ვარ. *(ყინულივით ცივად)* აბა, რა გინდათ ჩემგან?

A: ის, რაც ყველას, ვინც აქ მოდის – ფსიქოლოგის სეანსი.

ელა: სინამდვილეში ფიქრადაც არ გაგივლიათ, რომ თქვენი მკურნალობა შემიძლია.

A: რატომ?

ელა: იმიტომ რომ თქვენ... იმიტომ რომ არ გამაჩნია სათანადო კვალიფიკაცია, თქვენ რომ გიმკურნალოთ, არავითარი ტრენინგი არ გამივლია პაციენტი ღმერთის... ან რაიმე მსგავსის თემაზე.

A: ყოველთვის ხდება რაღაც პირველად.

ელა: მაინცდამაინც მე რატომ მომმართეთ? უამრავი ფსიქოლოგია.

A: დავიწყოთ იქიდან, რომ ჩემს უდიდეს თაყვანისმცემელთაგანი არ ხარ.

ელა: არ ვიცოდი, რომ თქვენ...

A: ნუ მებოდიშები. მინდა სწორედ ისე მომეპყრო, როგორც აქამდე მეპყრობოდი.

ელა: უზარმაზარი სხვაობაა ღამღამობით წარმოსახვით სახესთან

ლაპარაკსა და ღმერთის მკურნალობას შორის.

A: მკურნალობა მკურნალობაა, რა განსხვავებაა?

ელა: რა განსხვავებაა? დავიწყოთ იქიდან, რომ დედა არ გყოლიათ.

A: მერე რა?

ელა: მაშ, ვის დავადანაშაულებთ იმ ყველაფერში, რაც ჩაგიდენიათ?

(სიჩუმეა)

A: რა პრობლემაა? გაშინებ?

ელა: არა... ალბათ. ცოტათი კიდეც...

A: გპირდები, რომ თმის ღერი არ ჩამოგვარდება თავიდან.

ელა: გვსმენია თქვენი დაპირებების შესახებ. უკვე ორი ათასი წელია მგელი და ცხვარი დანაპირებ ბინას ელიან.

A: გეფიცები...

ელა: *(წამოხტება)* ვის მეფიცებით? მითხარით, ვის იფიცებთ.

(A დუმს)

A: კარგი.

ელა: რა?

A: *(დგება)* მე ვცადე. ყოველ შემთხვევაში, ვერავინ იტყვის, რომ არ ვცდილვარ.

ელა: სად მიდიხართ?

A: აღარ შეგაწუხებ. *(გასვლას აპირებს)*

ელა: ერთი წამით! *(A შედგება)* წამით მოიცადეთ, წამით.

A: აზრი არ აქვს. არ გამოდის, მართალი ხარ. შევცდი, რომ მოვედი.

ელა: არა, არა. არ შემცდარხართ. თუ მოხვედით, ესე იგი, იგრძენით საჭიროება...

A: ეს სისუსტის მომენტი იყო. გაიარა. *(გასასვლელად ემზადება)*

ელა: ნუ წახვალთ. *(A შეჩერდება, თავისთვის ჩაიღიმებს)* გთხოვთ.

A: *(მაშინვე)* ...კარგი *(კვლავ მოკალათდება სავარძელში საკუთარი თავით კმაყოფილი)*

ელა: ეს იაფფასიანი ხრიკი იყო.

A: მაგრამ გაჭრა.

ელა: კარგი, რა... რამდენ სეანსს ფიქრობდით?

A: ერთს.

ელა: ერთს? არ არსებობს. ეს ხანგრძლივი კურსია.

A: მე მალე ვითვისებ.

ელა: შეუძლებელია კიდეც განიცადო, კიდეც შეითვისო და კიდეც გადაამუშავო ორმოცდაათ წუთში.

A: ესაა რაცაა. ერთი სეანსია.

ელა: მე არ... კარგი.

A: რა კარგი?

ელა: კარგი, მოდი, დავიწყოთ. ვცადოთ, ვნახოთ, რა იქნება. ეს... აუცილებლად, მაგრამ... მე მზად ვარ, ვცადო... ვერაფერს დაგპირდებით.

A: მადლობელი ვარ.

ელა: ჯერ ნუ მემადლიერებით. მაშ, კარგი, მაშ... მიამბეთ, რატომ მოხვედით?

A: *(რიხიანად იწყებს)* მაშ ასე. მე... *(ვეღარ აგრძელებს)*... მე... *(ტირილი წასკდება. ცდილობს თავი შეიკავოს და ვერ ახერხებს. ტირილი უფრო და უფრო ძლიერდება. ელამ არ იცის, რა გააკეთოს. შესცქერის ღმერთს, რომელიც გულამომჯდარი ზლუქუნებს მის ოთახში. ქალის მოძრაობები უმწეობასა და მღელვარებას გამოხატავს. დგება და ქაღალდის ცხვირსახოცების პაკეტი მოაქვს. ღმერთი ცხვირსახოცს ცხვირსახოცზე იღებს, ტირილი კი უფრო და უფრო*

უძლიერდება. ქალი აპირებს, თავზე მოეფეროს, მაგრამ ბოლო წამს ხელს უკან წაიღებს. ცხვირსახოცები თავდება. ქალმა არ იცის, რა ქნას, გავარდება და ტუალეტის ქაღალდის ხვეულას მოუტანს)

A: ვწუხვარ... ეს... *(ტირის)*

ელა: არა უშავს. ეს კარგია. ნუ შეეცდებით ტირილის შეკავებას.

(A ისევ გულამომჯდარი აზლუქუნდება)

ელა: კარგი, მთლად ასეც არა. *(კარისკენ იცქირება, შიშობს, ხმები არ გავიდეს)*

A: ბოდიში. ასე... არასოდეს მომსვლია...

ელა: არა უშავს. გამოუშვით. მე აქ ამისთვის ვარ.

(A წყნარდება. ცდილობს, რამე თქვას, მაგრამ ვერ ახერხებს)

ელა: *(რბილად)* რა მოხდა?

(A კვლავ ტირის)

(A დაწყნარდება, ღრმად ჩაისუნთქავს და საკუთარ თავს უბრუნდება)

ელა: კარგად ხართ? შეგიძლიათ გააგრძელოთ?

A: დიახ, მაპატიეთ.

ელა: ნუ განიცდით. ამისთვის მოხვედით ჩემთან. თქვენ არც პირველი ხართ და არც უკანასკნელი, ვისაც აქ უტირია.

A: *(ტირილის ზღვარზე)* მაგრამ მე ღმერთი ვარ.

ელა: მით უმეტეს! აბა, რა მოხდა? მიამბეთ.

A: სიკვდილი მინდა.

ელა: სიკვდილი.

A: სიკვდილი.

ელა: რა სიკვდილი? *(იცინის)*

A: რა არის სასაცილო?

ელა: არ შეგიძლიათ, მოკვდეთ.

A: რატომ არ შემიძლია მოვკვდე?

ელა: იმიტომ რომ თქვენ არ ხართ... ცოცხალი არსება...

A: ბოდიში?

ელა: ანუ, ფიზიკურად თქვენ... მართლა არ არსებობთ. ანუ, არსებობთ, მაგრამ უფრო... ადამიანთა თავში...

A: მერე?

ელა: მერე ის, რომ მთელი კაცობრიობაც რომ ამოწყდეს და დედამიწის ზურგზე მარტო ერთი კაცი დარჩეს, ის კვლავ და კვლავ დაიჯერებს, რომ ღმერთი არის...

A: მერე?

ელა: მერე? იმისთვის, რომ მართლა მოკვდეთ, ჩვენი ყველას დახოცვა დაგჭირდებათ.

(A დუმს)

ელა: მე ვგულისხმობ ყველას, ყვე-ლას.

(A დუმს)

ელა: და წარღვნის შემდეგ აკი დაგვპირდით, რომ ამას აღარ მოავლენთ ქვეყანაზე, ასე რომ, ამ ლაბირინთიდან გამოსვლის გზას ვერ ვხედავ.

(A დუმს და ქალს მისჩერებია)

ელა: თქვენ არ აპირებთ ნოესთვის მიცემული პირობის დარღვევას.

A: ნოე? იმ ლოთს გულისხმობ, თავის ვაჟებთან რომ წვებოდა?

ელა: მართლა დაარღვევთ თქვენს პირობას?

A: ოთხი ათასი წლის შემდეგ დაპირებებზეც ვრცელდება ხანდაზმულობის კანონი.

ელა: მაშ, ეს გსურთ გააკეთოთ? კიდევ წარღვნა?

A: თანამედროვე.

ელა: თანამედროვე?

A: ამჯერად ერთ წმინდანსაც აღარ ვტოვებ, არც არსებობენ, მაგრამ რომც მოიძებნებოდეს, არ ვტოვებ.

ელა: მესმის.

A: ამჯერად ეს იქნება უკანასკნელი, ბოლო და უკანასკნელი.

ელა: მესმის.

A: ამბის დასასრული. THE END.

ელა: ააჰ.

A: ესაა შენი სათქმელი? ااااჰ?

ელა: რას ელით, რომ ვიტყვი?

A: შენ თუ გესმის, რას გეუბნები?

ელა: მე მგონი თქვენ ტოტალურ განადგურებაზე საუბრობთ.

A: მე სერიოზულად ვამბობ, ელა.

(ქალი მიაჩერდება. ის თავს უქნევს. უცებ ქალი დგება, თავისი მაგიდისკენ მიდის, რაღაცას ეძებს უჯრაში)

A: სიგარეტს ეძებ?

ელა: თქვენ საიდან...? დიახ, შევინახე აქ ერთი ღერი.

A: მაგრამ რვა თვის წინ ხომ თავი დაანებე.

ელა: და საკმაოდ შტერული ნაბიჯია, თუ წარღვნა გველის, არა? *(უჯრიდან რაღაცებს ყრის)* დარწმუნებული ვარ, იყო აქ ერთი ღერი... ო! დიდება უფალს...

A: გმადლობ.

ელა: *(იღებს სიგარეტს)* აი შენც, ძვირფასო... ხომ არ შეგაწუხებთ, თუ მოვწევ? პასიურმა მოწევამ განა რა უნდა დაგაკლოთ? ჯანდაბა... სად ვიპოვო ახლა სანთებელა?

A: ნუ მოუკიდებ.

ელა: რატომ?

A: რადგან... ალბათ... არ ვიცი, აქ რა მოხდება. იქნებ შეძლო და აზრი შემაცვლევინო...

ელა: მე მოვახერხებ, აზრი შეგაცვლევინოთ? როდის აქეთ იცვლით აზრს მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილებას იღებთ? ჩვენმა დიდმა მამამ, აბრაამმა ვერ შეძლო, თქვენთვის აზრი შეეცვლევინებინა, როდესაც სოდომის გადარჩენას ცდილობდა, ის კი რჩეული იყო, რომელსაც შენთვის მხოლოდშობილი ძის შეწირვაც არ დაეინანა. მაშ, შევძლებ?

A: მოსემ შეძლო, ჩემთვის აზრი შეეცვლევინებინა, უკვე მზად ვიყავი, მთელი ხალხი ამომეჟლიტა ოქროს ხბოს გამო, მოსემ დამარწმუნა, ეს არ გამეკეთებინა.

ელა: *(უჯრებში იქექება)* მოსემ საერთაშორისო სირცხვილისაგან გიხსნათ – გამოიყვანო მთელი ხალხი ეგვიპტიდან ზარ-ზეიმითა და კვამლის სვეტებით მხოლოდ იმისთვის, რომ შემდგომ წამში გაჟლიტო ისინი უდაბნოში, აბა, რას ჰგავს ეს?

A: დღემდე ვნანობ, რომ მას ყური ვათხოვე.

ელა: მაშ, მე რაღა შანსი მრჩება?

A: შენ ხომ ოპტიმისტი ხარ?

ელა: დიახ, რა დრო მაქვს, აზრი რომ შეგაცვლევინოთ, შემახსენებთ? ორმოცდაათი წუთი?

A: აქედან ათი უკვე გავფლანგეთ.

ელა: ორმოცი წუთი? ორმოცი წუთი, რომ დაღუპვისაგან ვიხსნა მსოფლიო! ბრუს უილისსაც კი მეტი დრო დასჭირდებოდა! სადაა ეს წყეული სანთებელა!!!

A: დაჯექი!

(ელა ურნაში აგდებს სიგარეტს და მორჩილად ჯდება)

A: არ უნდა მკითხო, რატომ მინდა სიკვდილი?

ელა: მართალი ხართ, ვწუხვარ, ჩემი მხრიდან ეს არაპროფესიონალური ქცევაა. ჩემს თავზე ვფიქრობ, ნაცვლად იმისა რომ თქვენზე ვიფიქრო. იქნებ ეს იმიტომ, რომ აქამდე არასოდეს მქონია შემთხვევა, იმისთვის მემკურნალა, ვინც ჩემს მოკვლას აპირებს...

A: ეს პირადული არაა, ელა.

ელა: ცხადია, რა თქმა უნდა. არაფერია პირადული, რასაც თქვენ აკეთებთ. ოკეი *(წელში იმართება და ცდილობს, თავი ხელში აიყვანოს)*... ეს აღარ განმეორდება. ისაუბრეთ. გისმენთ.

A: მე მეტი აღარ შემიძლია.

ელა: *(ისევ კარგავს განსჯის უნარს)* მეტი აღარ შეგიძლიათ?! მერე, წადით სამსახურიდან და სხვა ღმერთს მიეცით საშუალება, საქმეებს გაუძღვეს.

A: მგონი მართალი ხარ.

ელა: მართლა?

A: ეს არ გამოვა. შენ მხოლოდ შენი ბრაზი გალაპარაკებს.

ელა: ერთი წუთით, ასე მალე ნუ დაყრით ფარ-ხმალს. მოდი, ნუ მოვიმოქმედებთ რამეს ნაუცბათევად, კარგი? მოდი, ვისაუბროთ იმაზე, რაც ხდება აქ და ახლა. რატომ ვერ ვახერხებ... თქვენ მიმართ ემპათია გამოვიჩინო?

(A დუმს)

ელა: არადა, ნებისმიერი მოძრავი არსების მიმართ განვიცდი თანაგრძნობას.

A: ვიცი.

ელა: სასწავლო პრაქტიკის ფარგლებში ყველაზე გულბოროტ პატიმრებსაც კი ვმკურნალობდი და ვუგებდი მათ... თქვენთან რატომ არ...

A: *(ოხრავს)* ეს ჩემი ცხოვრებისეული ამბავია.

ელა: ახლა სიბრალული უნდა მეგრძნო.

A: მაგრამ არ გიგრძნია.

ელა: არა.

A: გინდა, ამაზე ვილაპარაკოთ?

ელა: დიახ... არა! ეს რა შუაშია? ჩემზე საუბარი როდის დავიწყეთ? მე უნდა გიმკურნალოთ თქვენ და არა – თქვენ მე *(შუბლზე იტკიცავს ხელს)*

A: ესეც ჩემი ცხოვრებისეული ამბავია.

ელა: ჰო, არა? მუდმივად მხოლოდ სხვათა უბედურებებს ისმენთ.

A: გამუდმებით. გაამრავლე სამას სამოცი დღე ხუთი ათას შვიდას ოთხმოცდაექვს წელზე და გაამრავლე მილიარდ ადამიანზე დღეში.

ელა: ეს გამოდის... აუჰ!

A: და როდის ვახსენდები? მხოლოდ როცა უჭირთ. და როცა ულხინთ, ვინმე იხედება ჩემკენ? სულაც არა. მხოლოდ შავ დღეში მყოფთ ვახსენდები ანაზდად.

ელა: ბუნებრივია, როცა გიჭირს, რას იზამ...

A: ყველაზე ცივსისხლიანი მკვლელები სასამართლოში ქიფათი და წვერით მოდიან. „გამარჯობა შენი! აქამდე სად იყავი? ახლა გაიძახი, ღვთის მადლითო?! მოხუც ქალებს რომ სცემდი, გახსოვდი მაშინ? ჰეროინს რომ ბავშვებზე ჰყიდდი, ამას ღვთის მადლით შვრებოდი, არა? სხვათა შორის, ფსალმუნი უკუღმა გიჭირავს“... ყველაზე თავგადაკლული ათეისტები, კურდღლისა და ლეშის მჭამელები, სიკვდილამდე წამით ადრე უცებ ყველას ევედრებიან, ჩვენთვის ილოცეთო...“ „ჰეი! ჯერ კიდევ არ შეგშრობიათ ღორის ქონი ტუჩებზე!“... თავი

მომაბეზრეთ! ღმერთო, ღმერთოო, და მეც მაქვს ორი ყური!!

ელა: როგორც მესმის, ცოტა არ იყოს, არაქათგამოცლილი ხართ მთელი ამ... ამბით.

A: *(მწარედ იცინის)* არაქათგამოცლილი... კარგი სიტყვაა.

ელა: მითხარით, რას გრძნობთ.

A: არაფერს.

ელა: არაფერში რას გულისხმობთ?

A: მეტს აღარაფერს ვგრძნობ. არაფერი მინდა. არაფერს ვეელოდები, არაფრის იმედი არ მაქვს, არაფერი მაინტერესებს. არაფერი მანაღვლებს.

ელა: აქ არ მოხვიდოდით, თუ არაფერი განაღვლებთ. რა ხანია, რაც თავს ასე გრძნობთ?

A: ასე... ორი ათასი, ორი ათას ხუთასი წელია, პლუს-მინუს.

ელა: ორი ათასი წელია, დეპრესიაში ხართ და მხოლოდ ახლა მოდიხართ სამკურნალოდ? რას ელოდებოდით?

A: მეგონა, დრო თავისას იზამდა.

ელა: დროის რაღაც მონაკვეთი.

(სიჩუმე)

ელა: პირველად რისი ხსოვნა მოგდით თავში?

A: თავდაპირველად შევქმენი ცა და მიწა...

ელა: მანამდე. მანამდე რა იყო?

A: იყო წყვდიადი.

ელა: კიდევ?

A: ქაოსი.

ელა: კიდევ?

A: სული.

ელა: კი, ეს ჩვენც ვიცით, მაგრამ რას გრძნობდით?

A: ეს კარგა ხნის წინ იყო.

ელა: შეეცადეთ, იმ წამში დაბრუნდეთ. გვაქვს ქაოსი, წყვდიადი უფსკრულის ზედაპირზე. თავს როგორ გრძნობთ ამ ყველაფერთან ერთად?

A: ჩვეულებრივ.

ელა: ჩვეულებრივ? არ გიგრძნიათ არავითარი... მარტოობა?

A: რატომ მარტოობა?

ელა: ვისთან ერთობოდით, ქაოსთან?

A: მართლა არ მახსოვს. ჩემთვის მთელ მაგ პერიოდს ბინდი აქვს გადაფარებული.

ელა: მე დაგეხმარებით, გაიხსენოთ. მოდი ვიფიქროთ: რა თქმა უნდა, არც ისე სასიამოვნოა სრულიად მარტო იყო ქვეყანაზე.

A: შესაძლებელია.

ელა: ჩემი გამოცდილებით, თავს ისე გრძნობ, თითქოს... რაღაც ციხეში ხარ?

A: დავუშვათ.

ელა: არც დედა, არც მამა, არც ძმა, არც და, არც მეგობარი...

A: გინდა, ისევ ავტირდე, თუ რა? დიახ. ცუდი იყო, საშინლად ცუდი. მარტო ვეგდე ძაღლივით. მარტო დავფარფატებდი წყვდიადში...

ელა: და მერე? უცებ გადაწყვიტეთ, სამყარო შეგექმნათ?

A: *(მგზნებარედ)* ეს რაღაც მოზღვავება იყო შთაგონებისა. უეცრად მთელი ამბავი თვალწინ წარმომიდგა. მთელი შვიდი დღე, ერთმანეთის მიყოლებით.

ელა: რას გრძნობდით ამ ყველაფერთან ერთად?

A: მეხუთე დღემდე ეიფორიაში ვიყავი.

ელა: შეგიძლიათ ის განცდა აღიდგინოთ?

A: უზომო მღელვარება იყო. სულიერი აღმაფრენა, რომლის მსგავსი მანამდე არ განმეცადა და აღარც ოდესმე განვიცდი. ერთი კვირის თავზე ზენიტში ვიყავი, მას აქეთ კი მხოლოდ დაღმართზე ვეშვები.

ელა: ერთი წუთით. მოდი, რაღაც მომენტი ისევ ზენიტში დავრჩეთ. რასაკვირველია, ამაღელვებელი იქნებოდა პირველი მზის ამოსვლის ხილვა, ხეები, ყვავილები, პირველი ჭიამაია.

A: იცით, არ მსიამოვნებს ტრაბახი...

ელა: პირიქით – იტრაბახეთ. ვისთან უნდა იტრაბახოთ, თუ არა თქვენს ფსიქოლოგთან?

A: ოდესმე დაგითვლიათ, რამდენი ელფერი აქვს მწვანეს?

ელა: რამდენი?

A: *(სიამაყით)* უსასრულო.

ელა: საოცარია.

A: და ზებრა? ჟირაფი?

ელა: ულამაზესები.

A: მთვარე.

ელა: საყვარელი.

A: მხოლოდ საყვარელი?

ელა: არა, მთვარე მომხიბვლელია. ის თემა რომ მისი შუქი, ფაქტობრივად, მზის ანარეკლია... ეს... ხელოვნებაა.

A: კენგურუ?

ელა: უდავოდ. ეს ჩანთა გენიალური აზრია.

A: ბოლო წამს მომივიდა ეს აზრი, რატომ არ უნდა ჰქონდეს პატარა ჩანთა ჩვილისთვის-მეთქი.

ელა: დიახ. აი, კოღოებით კი ნაკლებად ვარ აღფრთოვანებული.

A: კოღო აბუჩად ასაგდები არაა.

ელა: მოდი, ნუ შევალთ მთელ ამ არაჩვეულებრივ ჟანრში, მწერები რომელსაც ჰქვია. კარგი? რამ დაგარტყათ თავში, როცა მათ ქმნიდით, ოთახში რომ შემოზუზუნდებიან ხოლმე და საწოლზე დასკუპდებიან? ნეტა რა წარმოთქვით მაშინ? „იყავნ ტარაკანა?“

A: *(იცინის)* რა გჭირს? არ შეიძლება, ცოტა გავხალისდეთ?

ელა: ეს თქვენ გახალისებთ?

A: *(თავს აქნევს)* არა.

ელა: თქვით, რომ მეხუთე დღემდე ეიფორიაში იყავით. რა მოხდა მეექვსე დღეს?

A: არ იცი, მეექვსე დღეს რა მოხდა?

ელა: ადამიანი შექმენით?

A: შავი პარასკევი...

ელა: ამ ზომამდე?!

A: ამ ზომამდე. დღე არ გავა, რომ არ დავიპუტო თმა, რომელიც არ გამაჩნია. რატომ არ შევჩერდი მეხუთე დღეს? რა ბრიყვი, რეგვენი, სულელი, ყეყეჩი ვარ! რა დიდებული იყო ქვეყნიერება, სანამ თქვენ მოხვიდოდით. ერთი ვეება მშვიდი საფარი...

ელა: პირიქით, ამას არ აქვს ახლა მნიშვნელობა, თუმცა ყველა სამეცნიერო კვლევით სადღაც თხუთმეტი მილიარდი წელი დასჭირდა სამყაროს შექმნის წამიდან პირველი ადამიანის გამოჩენამდე.

A: რას ამბობ? მართლა? ერთი დღესავით იყო. როგორ გარბის დრო, როცა განცხრომაში ხარ.

ელა: მაშ... თუ ასეთი კარგი იყო ყოველივე, რატომ შექმენი ის?

A: მილიონდოლარიანი კითხვაა. *(დრამატულად)* რატომ შევქმენი ის წყეული ადამი?

ელა: შეიძლება იყო რაღაც საჭიროება? რაღაც მოთხოვნილება?

A: მომკალი და არ მახსოვს.

ელა: შეეცადეთ გაიხსენოთ გადაწყვეტილების მიღების წინა წამი. წამი, სანამ იტყოდით „ჩვენს სახედ და ხატად შევქმნათ ადამიანი“. რა იგრძენით?

A: არ მახსოვს. როგორც ჩანს, ყურადღებით არ ვყოფილვარ.

ელა: ყურადღებით არ ყოფილხართ, როცა ადამიანს ქმნიდით??

A: გგონია, ყურადღებით რომ ვყოფილიყავი, ასეთ სისულელეს ვიზამდი?

ელა: იქნებ ახლა თავი გინდათ დაიძვრინოთ?

A: რისგან?

ᲔᲚᲐ: რაღაც გაკლდათ. ამ რაღაცას ვეძებ. რა გაკლდათ იქ, იმ თქვენს ვეება ჯადოსნურ საფარში?

A: ვიღაც, ვინც...

ᲔᲚᲐ: თქვენ გაგიგებდათ?

A: არა. ვიღაც, ვინც...

ᲔᲚᲐ: დაგაფასებდათ?

A: არა.

ᲔᲚᲐ: გეთაყვანებოდათ?

A: არა, არა.

ᲔᲚᲐ: შეგიყვარებდათ.

A: არა! ვინმე, ვინც ხეებს მორწყავდა.

ᲔᲚᲐ: რა??

A: და ცხოველებს აჭმევდა და ამ ყველაფრის მოვლა-პატრონობას ითავებდა.

ᲔᲚᲐ: აჰ, ესე იგი, ფილიპინელი!

A: ისევ ღიზიანდები.

ᲔᲚᲐ: ბოდიშს ვითხოვ ფილიპინელებისაგან.

(დუმილი)

A: მეგობარი.

ᲔᲚᲐ: რა მეგობარი?

A: სწორედ ის მაკლდა.

ᲔᲚᲐ: მეგობარი.

A: ვინმე... მასთან ერთად რომ გავზრდილიყავი.

ᲔᲚᲐ: მშვენიერია. ვინმე, მასთან ერთად რომ გაზრდილიყავით.

A: გმადლობ.

ᲔᲚᲐ: მაშ, ადექით და მეგობარი შექმენით თქვენთვის.

A: დიახ. „მეგობარი“.

ᲔᲚᲐ: რატომ? რა მოხდა?

A: რა მოხდა? ახლა ექვსი მილიარდი მეგობარი მყავს და თავი არასოდეს მიგრძნია ასე მარტო. როდესაც ვამბობდი, „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ“, არ მიგულისხმია, მხოლოდ ეს ქენით-მეთქი.

ᲔᲚᲐ: „მეგობრისაგან“ იმედგაცრუება მესმის?

A: იმედგაცრუება? რატომ იმედგაცრუება? მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყნიერება ვერცხლის ლანგარზე მივართვი და მას აქეთ მისი განადგურებითაა დაკავებული? იმედგაცრუება? ჩემი? საიდან მოიტანე? რატომ? რომ ჩემმა საყვარელმა მეგობარმა მთელი მიწა სისხლში ჩაახრჩო, ნავთობითა და ქიმიკატებით მოწამლა მთელი ზღვა, ჰაერი გაზებითა და კვამლით აავსო, ცა თვითმფრინავებით დაფარა, კოსმოსი თანამგზავრებით გამოტენა და როცა ცაში ნათებას ხედავ, აღარ იცი, სურვილი ჩაიფიქრო თუ უახლოესი თავშესაფრისაკენ გაიქცე. იმედგაცრუება? რა შუაშია? ჩემი? რატომ?

ᲔᲚᲐ: მაშ, ამიტომ გინდათ წარღვნა მოავლინოთ.

A: შენ გესმის, რას ნიშნავს ხედავდე, შენი ნაღვაწი როგორ ეშვება ფეკალიებში? და ვისი ხელით? შენი „საუკეთესო მეგობრის“ ხელით.

ᲔᲚᲐ: იცით, უცებ ვინ გამახსენეთ? დედაჩემის ალიკვალი ხართ. ისიც, თუ ამის შესაძლებლობა მიეცემოდა, ყველას მოსპობდა, ვინც მოლოდინს უმტყუნებდა, ასეთი კი თითქმის მთელი მსოფლიო იყო.

A: პოლონელ ქალს მადარებ?

ᲔᲚᲐ: რა მოლოდინები გქონდათ მაგ მეგობრისაგან?

A: მოლოდინები?

ᲔᲚᲐ: გარდა იმისა, რომ კარგი მებაღე უნდა ყოფილიყო.

A: მეგობრისაგან რასაც ელიან, ეს, უპირველეს ყოვლისა, ერთგულებაა.

ელა: კიდევ?
A: მოსმენა უნდა იცოდეს.
ელა: კიდევ?
A: უნდა გააკეთოს ის, რასაც ეუბნებიან, გული სიხარულით ევსებოდეს, როცა ჩემზე ფიქრობს, მე დამენდოს, მოვიდეს, როცა ვუხმობ, ნებისმიერ დროს...
ელა: ჩემი ძაღლივით.
A: მშვენიერია, ჯერ პოლონელი ქალი, ახლა ძაღლი...
ელა: მაპატიეთ, მე მხოლოდ ვცდილობ გავიგო, რა მოლოდინები გქონდათ სინამდვილეში.
A: რის თქმა გინდა?
ელა: იქნებ სხვა რამეს ეძიებდით?
A: რას?
ელა: თქვენ თქვით.

(დუმილი)

ელა: დრო მაქვს.
A: შენ არ ხარ იმ ფსიქოლოგებივით, საათი რომ მდუმარედ არიან და მერე ორას შეკელს იღებენ...
ელა: ოთხასს.
A: ოთხასი შეკელი განქორწინებულის ფსიქოთერაპიისთვის?
ელა: ასე რატომ გიჭირთ აღიაროთ?
A: რა ვაღიარო?
ელა: რას ეძებდით?
A: რას ვეძებდი?!
ელა: სან-ით იწყება?
A: სანით...
ელა: სიყვარული?
A: კარგი რა, ეს ისე ბანალურია. რამე უფრო ორიგინალური ვერ

მოიფიქრე? რა გგონია, თქვენნაირი უბადრუკი ქმნილება ვარ, რომლის მთელი არსება მაგ კაპრიზულ მოვლენაზე ჰკიდია, „სიყვარულს“ რომ ეძახიან?
ელა: ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ კი.
A: ჰოდა, ცდები.
ელა: ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ არა.
A: ამაში იღებ ოთხას შეკელს?
ელა: მართალი ვთქვა, კი. ბოლოს ეს მუდამ აქამდე მიდის. არ აქვს მნიშვნელობა, ვინაა და რა პრობლემით მოდის, ბოლოს ყველას სი – - – - ული უნდა.
A: პათეტიკურია.
ელა: ფაქტია.
A: მე თავისუფალი ვარ ამ მოთხოვნილებისაგან, მადლობა ღმერთს.
ელა: რამდენადაც მე ვგრძნობ, თქვენ ყველაზე მეტად გინდათ.

(A დუმს)

ელა: და იღებთ კიდეც ყველაზე მეტს.
A: რას ვიღებ?
ელა: სიყვარულს.
A: ასე ფიქრობ?
ელა: ამას ვერ გრძნობთ?

(A დუმს)

ელა: ნახეთ, რა ხდება ეკლესიებში, მეჩეთებში, სინაგოგებში...
A: რა ხდება?
ელა: გასაგიჟებელი ქამბექი გაქვთ. ნემსი არ ჩავარდება, ისეთი სიმრავლეა, ყველა თქვენ გამო იდებს თავს, თქვენზე ლო-

ცულობენ, მზად არიან, მოკვდნენ თქვენთვის, არასოდეს ყოფილხართ ასე პოპულარული.

A: მათ მე არ ვუყვარვარ. ისინი იესოს ეტრფიან, მუჰამედზე გიჟდებიან, წმინდად რაცხავენ თავიანთი რაბინების პირიდან გადმოვარდნილ ყოველ ნამცეცს, ყოველი მათგანი ჩემზე რაღაც სხვას ამბობს, ისე რომ მეც კი აღარ ვიცი, ვინ ვარ და საბოლოოდ ეს რომელიმე პატარა ან დიდი ომით მთავრდება, ჩემი სახელის სიწმინდისათვის, ცხადია, ადამიანები იღუპებიან, ცხოველები ნადგურდებიან, სახლები ცეცხლის ალში ეხვევა... ასე და ამრიგად, მოხარული ვიქნები, თუ ამიხსნი, აქედან რა დასკვნა უნდა გამოვიტანო – რომ ვინმეს ვუყვარვარ?

(ელა დუმს)

ელა: მოდი, ერთი წამით ადამის შექმნას დავუბრუნდეთ. რა დაირღვა იქ? სად მოხდა, ფაქტობრივად, დარღვევა? როდის იგრძენით, რომ ეს... ის არაა.

A: პირველივე წუთიდან მიბღვერდა.

ელა: გიბღვერდათ?

A: ვაჩვენებ ქვეყანას, ხეებს, ყვავილებს, ცხოველებს, ჩიტებს, ჩანჩქერებს... ყველაფერი შენია-მეთქი – ჩემგან. ის კი... ცხვირით მიწას თხრის.

ელა: რატომ?

A: რატომ. მეც მაწუხებდა ეს კითხვა, სანამ მივხვდებოდი.

ელა: რომ რა?

A: რომ... cherchez la femme[1].

ელა: მაშ, წინასწარ არ დაგიგეგმავთ ქალის შექმნა?

A: მე ადამით ვკმაყოფილდებოდი.

[1] ეძიე ქალი (ფრანგ.)

ელა: მაგრამ იგრძენით, რომ იგი თქვენით არ კმაყოფილდება.

A: მაშინ მე მას ქალი გავუკეთე. ოღონდაც კმაყოფილი ყოფილიყო.

ელა: დიდი სულგრძელობაა თქვენი მხრიდან.

A: ზუსტად ისეთი გავუკეთე, როგორიც მას ეწადა.

ელა: როგორიც მას ეწადა?

A: მკერდის საკითხზე გამუდმებით მიჩიჩინებდა.

ელა: და თქვენც შეუქმენით...

A: „ორი ძუძუ როგორც ორი თიკანი ნიამორისა...“

ელა: მესმის.

A: ძალიან კმაყოფილი იყო. უცებ პოეტობა დაიწყო – *(დაცინვით)* „რა საამურია შენი ალერსი, სასძლოვ, დაო ჩემო! რა ტკბილია შენი ალერსი, ღვინის უმჯობესი! გოლი მოსწვეთს შენს ბაგეებს, სასძლოვ, თაფლი და რძეა შენი ენის ქვეშ“...

ელა: და თქვენ რას განიცდიდით?

A: რის მიმართ?

ელა: იმის მიმართ, რომ დაინახავდა თუ არა ევას... სიმღერას იწყებდა.

A: უბრალოდ, არ მესმოდა.

ელა: რა არ გესმოდათ?

A: რა არის მასში ისეთი, რაც ჩემში არაა?

ელა: გრძნობდით... იქნებ შურს?

A: იმ წამიდან, რაც ქალი გამოჩნდა, ადამი საოცრად მოუცლელი გახდა. და რას აკეთებდა? ქალთან ათასგვარი იდიოტური თამაშით იყო გართული: „სად ვარ?“ – „კუ-კუ“...

ელა: მაშინ გაგზავნეთ გველი ქალისთვის ხაფანგის დასაგებად.

A: არ გამიგზავნია, თავად მიხოხდა.

ელა: უბრალოდ, საგნებს გასაქანი მიეცით.

A: *(თვითკმაყოფილებით)* ზუსტად ერთი წუთი დასჭირდა ქალის საცდუნებლად, ვაშლი რომ შეეჭამა.

ელა: ხრიკმა გაამართლა?

A: ეს მოსალოდნელი იყო.

ელა: რას ელოდით ამის შემდეგ? რომ ადამი ქალზე გაჯავრდებოდა და თქვენს მკლავებს დაუბრუნდებოდა?

A: გაჯავრდებოდა? ეს იდიოტი არც კი შეკამათებია. ვაშლი ისე გამოსტაცა, ღმერთი არც გახსენებია.

ელა: თქვენი გადასახედიდან... არჩია, ქალისთვის ეგდო ყური, ვიდრე თქვენთვის.

A: საერთოდ აღარ ვახსოვდი. თითქოს არც ვარსებობდი. ჰაერი ვიყავი.

ელა: ამის გამო ხომ არ მოიძულეთ ქალები?

A: მე? ქალები მოვიძულე? ეს საიდან მოიტნე?

ელა: შეხედეთ, როგორი სასჯელი დააკისრეთ ევას.

A: მერედა, რა მოხდა? მე ვუთხარი, ტკივილით შობდე-მეთქი შვილებს, დიდი ამბავი, რა მოთქმა-გოდებაა? მეტადრე დღეს, ეპიდურული გაუტკივარების პირობებში.

ელა: მე არ გელაპარაკებით ფრაზაზე: „ტკივილით შობდე შვილებს“, მე გეუბნებით იმაზე, რომ მაგ იდიოტს, როგორც თქვენ უწოდეთ, ნება მიეცით, ქალზე ებატონა.

A: ქალზე ებატონაო, თითქოს ვინმეს შეეძლოს თქვენზე ბატონობა...

(სიჩუმე)

ელა: გახსოვთ ის მომენტი, ლეღვის ფოთლებით რომ დაიფარეს სხეული?

A: გუშინდელივით.

ელა: რა იგრძენით, როცა ისინი დაინახეთ... უცებ ასე გამოწყობილები.

A: შოკი იყო.

ელა: კიდევ რა?

A: თავიდან ვიფიქრე, მხედველობა მღალატობს-მეთქი. მაგრამ მერე დავინახე...

ელა: რა დაინახეთ?

A: დავინახე, რომ არ იყო საქმე კარგად.

ელა: გაჯავრდით?

A: გავჯავრდი? გავცეცხლდი. გავცოფდი. ვიყვირე: „ადამ, სად ხარ!!!“ ვერ წარმოიდგენ, როგორ დაფრთხა, კინაღამ ფოთლის საცვალში ჩაიფსა.

ელა: იცით, მე მაგ ყვირილიდან თქვენი შიში უფრო მეყურება.

A: *(დაცინვით)* ჩემი შიში?

ელა: ამ ყვირილში მე შეშინებული ღმერთის ხმა მესმის, რადგან თქვენ დაკარგეთ იგი.

A: რა შიში? ვის შეეშინდა? ის ვინ მიგდია, არარაობა. ერთ სულს შევუბერავ და...

ელა: მაგრამ ეგ „არარაობა“ ალბათ თქვენი ერთადერთი მეგობარი იყო, მაშინ... ბუნებრივია, რომ მისი დაკარგვის შეგეშინდათ.

A: გგონია, შესაძლებელია დამეკარგოს? ეგ შტერი ხის უკან იმალებოდა, თითქოს ვერ დავინახავდი. ალო? შეგახსენოთ, ვინ ვარ?

ელა: ჩემი შთაბეჭდილებით, შეიძლება ვცდებოდე...

A: ვიცი, რისი თქმაც გინდა და წინასწარ გეტყვი, რომ ცდები.

ელა: მაინც ვიტყვი ამას. ჩემი შთაბეჭდილებით, თქვენი ყველაზე დიდი შიში ისაა, რომ არ მიგატოვონ.

A: *(დგება)* კარგი, ეს საუბარი, ცოტა არ იყოს, კურიოზულ სახეს იღებს. იქნებ მართლაც არ შეგიძლიათ იმუშაოთ მასთან, ვისაც მდარე ადამიანური კომპლექსები არ გააჩნია. ეს იგივეა, რაც ის, რომ შუნტირება ვეტერინარს გააკეთებინო.

ელა: მოდი, ათი მცნება გავიაროთ, კარგი? ათი მცნება, არა? რა

არის პირველი მცნება? რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ათ მცნებაში? არა კლა? არამც და არამც! არა იპარო? – ღმერთმა დაგვიფაროს! პირველი მცნებაა: „არ იყოლიო სხვა ღმერთები ჩემ წინაშე!“...

A: მერე?

ელა: მერე, თუ ეს მიტოვების შიში არაა, მაშ, ფსიქოლოგსაც ნუღარ დამიძახებთ.

A: *(დაცინვით)* მიტოვების შიში... არ შეგიძლია სცადო მაინც, რომ უფრო ორიგინალური იყო?

ელა: ამ მცნებიდან დიდი შიში ჩამესმის.

A: *(ცინიკურად)* კიდევ რა „ჩაგესმის?“

ელა: იცით, წეღან მითხარით, რომ მხოლოდ მაშინ ახსენდებით, როდესაც უჭირთ, ხომ ასეა?

A: სრული ჭეშმარიტებაა.

ელა: შეიძლება იმდენად გეშინიათ, რომ მიგატოვებენ... რომ გამუდმებით ზრუნავთ, ცუდი ვითარება იყოს, რომ სულ ღვთის შეწევნას საჭიროებდნენ?

A: ამაში იღებ ოთხას შეკელს?

ელა: როგორც ვხედავ, ძალიან გაწუხებთ ეგ ოთხასი შეკელი.

A: ცნობილი სახეებისთვის ფასდაკლება არ არის?

ელა: შემიძლია გავახმაურო, რომ ჩემთან იყავით?

A: შეგიძლია, მაგრამ მალევე ფსიქიატრიულში გაგაქანებენ.

ელა: მაშ, ფასდაკლებაც არ გვაქვს.

A: ეს თქვენი სისუსტეა, არა? ვერცხლისმოყვარეობა. რა არის ისეთი ფულში, ასე რომ გაგიჟებთ ყველას. დღენიადაგ დოლარი იწევს, დოლარი ეცემა... რა არის ეს დოლარი? რატომ ხართ მასზე ასე ყურებამდე შეყვარებული? განა რა გააკეთა კაცობრიობისათვის?

(დუმილი)

ელა: რატომ მაქვს მუდმივად იმის განცდა, რომ რაღაცას მიმალავთ?

A: მე??

ელა: *(ნაზად)* რას მიმალავთ?

A: გიმალავ?

ელა: არის რაღაც, რასაც არ მეუბნებით?

A: რაზე მეკითხები?

ელა: ყოველთვის, როდესაც რაღაც ნამდვილს უნდა შევეხოთ, თქვენ გამირბიხართ. თითქოს გეშინიათ, რომ რაღაცას გამოვააშკარავებ. ეს რა უნდა იყოს? რის დამალვას ცდილობთ ასე გულმოდგინედ?

A: მე არაფერს ვმალავ.

ელა: შეიძლება ჩაიდინეთ ისეთი რამ, რომ...?

A: არაფერი ჩამიდენია! მოეშვი ამას.

(დუმილი)

ელა: მითხარით, რა მოლოდინი გაქვთ ამ სეანსისგან?

A: ისევ მოლოდინი?

ელა: დარწმუნებული ვარ, გექნებოდათ მოლოდინი. თქვენთვის თერაპიაზე მოსვლა ნამდვილად არ იქნებოდა იოლი გადასაწყვეტი. რას ფიქრობდით, რა უნდა მომხდარიყო აქ?

A: სიმართლე ვთქვა, რაიმე მოლოდინი არ მქონია. ვიცი, რომ ფსიქოლოგია თქვენი ახალი ღმერთია და მუდმივად ყველა ერთიმეორეს მკურნალობთ, თუმცა ამის ნაკლებად მჯეროდა.

ელა: ესე იგი, მართლა არ გჯეროდათ...

A: და მართალიც ვიყავი. თქვენ წინასწარ ამოიჩემებთ ხოლმე რაიმე თეორიას და ძალით მოარგებთ ხოლმე მორიგ მსხვერპლს, მიუხედავად იმისა, რას ამბობს იგი.

ელა: საინტერესოა, მსხვერპლის სურათხატი გამოიყენეთ.

A: რა არის ამაში საინტერესო?

ელა: თქვენ თუ გრძნობთ თავს მსხვერპლად?

A: ხედავ? ყოველ სისულელეს ეკიდები, რასაც კი უსაგნოდ წამოვისვრი...

ელა: უსაგნო არაფერია.

A: ვინ თქვა? მისმა უდიდებულესობა ფროიდმა?

ელა: თუნდაც.

A: მაშ, უთხარით მას, რომ იობს უთქვამს, არსებობს უსაგნო რაღაცებიო.

ელა: იობს?

A: რა იობი?

ელა: თქვენ ახლა თქვით: „უთხარით მას, რომ იობს უთქვამს...“

A: მე ვთქვი: „უთხარით მას, ღმერთი ამბობს-მეთქი, რომ არსებობს უსაგნო...“

ელა: ღმერთი არ გითქვამთ, იობი თქვით.

A: იობი არ მითქვამს.

ელა: მე იობი გავიგონე.

A: მაშ, ამრევია, ღმერთის თქმას ვაპირებდი.

ელა: მაგრამ იობი გამოგივიდათ. რატომ ფიქრობთ, რომ იობი თქვით?

A: *(ნერვიულად)* უბრალოდ, ლაფსუსია, რას შემომიჩნდი?

ელა: გსურდათ, იობზე გელაპარაკათ?

A: არა!

ელა: კარგი *(დამამშვიდებლად)* კარგი.

(სიჩუმე. A საათზე იყურება. სტვენას იწყებს)

ელა: ოდესმე გიფიქრიათ, რას გრძნობდა თქვენი მეგობარი?

A: რომელი მეგობარი?

ელა: პირველი მეგობარი, რომელიც თქვენთვის შექმენით. შეგიძლიათ სცადოთ, წამით გაცვალოთ მასთან როლები.

A: რისთვის? რა არის აქ? თეატრი?

ელა: ისე, სავარჯიშოდ. მოდი, სცადეთ, ერთი წამით თქვენი ახალი მეგობრის ფეხსაცმელი ჩაიცვით მისი დაბადებიდან ხუთი წუთის შემდეგ.

A: არ მესმის, რატომ უნდა ვბრუნდებოდე მუდმივად წარსულში. დრო ხანმოკლეა, წარსული კი ხანგრძლივი.

ელა: წამით წარმოიდგინეთ, რომ ადამი ხართ. რამდენიმე ბიბლიური მუხლი, მას აქეთ, რაც დაიბადეთ და... *(აღფრთოვანებას განასახიერებს)* „ჰეი, რა მშვენიერია, ხავა, მოდი, ნახე ბეჰემოთი...“, ნახევარი თავიც და, ედემიდან გამოგაპანღურებენ სამუდამოდ დამცირებულს და დაწყევლილს, ხოლო ოთხი სტრიქონის შემდეგ შენი ორი შვილიდან ერთი მკვდარია, მეორე კი – მკვლელი...

A: მერე?

ელა: მერე? კარგი დასაწყისი კი მოუწყვე შენს ახალ მეგობარს.

A: მან, დიახაც, ის მიირთვა, რაც თავადვე მოამზადა. ეს არის მთელი პრინციპი ამ საქმისა.

ელა: თავს როგორ გრძნობდა, თქვენი აზრით?

A: ვინ?

ელა: ადამი.

A: თავს როგორ გრძნობდა? როდის?

ელა: გამოპანღურების მომენტში. წამით წარმოიდგინეთ, სულ რამდენიმე მუხლის წინ დაიბადა. უცებ ყვირილი, აურზაური, „ადამ, სად ხარ!“ მაგ თქვენი დაბალი, შთამბეჭდავი ხმით.

A: *(დაფარული სიამაყით)* დიახ, ძლიერი ხმა მაქვს.

ელა: და ეს წყევლა-კრულვა – „პიროფლიანმა ჭამე პური მთელი შენი დღენი!“

A: კლასიკურია.

ელა: მართლაც დამზაფრავია, არა?

A: დაუმატე ამას ძლიერი ქარი და ჭექა-ქუხილი...

ელა: მითხარით, მთელ მაგ მოვლენაში, თუ იყო წამი, როდესაც სიბრალული იგრძენით მის მიმართ?

A: სიბრალული?

ელა: დიახ, სიბრალული... იცით, ეს გრძნობაა, რომელსაც განიცდიან, როცა ხედავენ, სხვა როგორ იტანჯება.

A: ნუ მასწავლი, სიბრალული რა არის, კარგი? შეგახსენებ, რომ მე ღმერთი ვარ, სავსე სიბრალულითა.

ელა: თვითსიბრალულით აღსავსე ღმერთი.

A: ეს რას ნიშნავს?

ელა: ჯერჯერობით ერთთავად საკუთარი თავის მიმართ სიბრალული მესმის.

A: ეს კითხვაა თუ მტკიცება?

ელა: მე გეკითხებით, წამი მაინც თუ ყოფილა, რომ შეგებრალათ თქვენ მიერ შექმნილი ახალი არსება, რომელმაც ის-ის იყო, თვალი გაახილა და ბუმ!..

A: მართლაც იყო ერთი წამი...

ელა: *(გაოცებული)* იყო? მიამბეთ მაგ წამზე.

A: ეს უკვე დასასრულისკენ იყო, მთელი იმ ყვირილების, წყევლებისა და ყველაფრის შემდეგ. ...ორივენი იქ იდგნენ, მობუზულები... აკანკალებულები... შიშვლები, დამჭკნარი ლეღვის ფოთლებით, რომლებიც ტანს ძლივს უფარავდა ... უცებ გულზე მომხვდა... ვიგრძენი, რომ რაღაც უნდა გამეკეთებინა მათთვის.

ელა: დიდებულია! რა მოიმოქმედეთ?

A: *(ამაყად)* ტყავის პერანგები შევუკერე.

ელა: რა?

A: ჩემი ხელით. დოკუმენტურადაა დადასტურებული, შეგიძლია გადაამოწმო: „გაუკეთა უფალმა ადამს და მის დედაკაცს ტყავის სამოსელი და შემოსა."

ელა: ტყავის პერანგები.

A: ცუდი არ გამომსვლია, პირველი ცდისათვის. სახელოები, ვაღიარებ, ცოტა გრძელი გამომივიდა...

ელა: ჩვენ ახლა მოდაზე ვსაუბრობთ?

A: უკაცრავად, უბრალოდ უცებ გამახსენდა ის საღამო. არ არის იოლი ტყავზე მუშაობა, იცი, რთული მასალაა, ტყავზე მუშაობას ცოდნა უნდა.

ელა: მაშ ესაა, რაც „იმ საღამოდან" გახსოვთ? რომ მათ ტყავის პერანგები შეუკერეთ?

A: რისი თქმა გინდა?

ელა: როგორ გეძინათ იმ ღამეს?

A: ბავშვივით.

ელა: ააჰ, და მას შემდეგ, რაც კაენმა აბელი მოკლა, ისევ ბავშვივით გეძინათ?

A: რატომაც არა?

ელა: არ გიგრძნიათ არავითარი... ოდნავი შერხევა ფრთისა?

A: მე? რატომ?

ელა: იქნებ იმიტომ, რომ იგრძენით, რომ ეს თქვენ... ნაჰკიდეთ ერთმანეთს?

A: მე არაფერ შუაში ვარ. აბელის კრავი უფრო გემრიელი იყო!

ელა: ორივემ მოგართვა ძღვენი, თითოეულმა თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, თქვენ კი ერთი ამჯობინეთ მეორეს.

A: რა მომიტანა კაენმა? მწვანილი? რა, თხა ვარ?

ელა: ოდესმე გიფიქრიათ, რაში გჭირდებათ ძმებს შორის მუდმივად შუღლის ჩამოგდება? იმიტომ ხომ არა, რომ რადგან თვითონ „დედისერთა" ხართ, გშურთ დედმამიშვილური ურთიერთობის? ამ განსაკუთრებული ნათესაური კავშირის, რომელიც არასოდეს განგიცდიათ?

A: რატომ გადაწყვიტე, რომ შუღლს ვაგდებ ძმებს შორის?

ელა: რატომ? გავიხსენოთ იაკობი და ესავი, იოსები და მისი ძმები, რომ აღარაფერი ვთქვათ ისააკსა და ისმაელზე, დღემდე

რომ ვჭამთ თქვენ მიერ მაშინ მათთვის მომზადებულ „ფაფას“. და ყველაფერი დაიწყო იქიდან, რომ კაენს ნება მიეცი, აბელი მოეკლა.

A: ამაოება ამაოთა! მე გავაფრთხილე კაენი!

ელა: გააფრთხილეთ?! გახსოვთ, რა უთხარით?

A: რანაირად უნდა დავიხსომო ყოველი სიტყვა, რომელიც ხუთი ათასი წლის წინ ვთქვი?!

ელა: მე მახსოვს, რა უთხარით, რადგან ერთხელ ფიზკულტურის გაკვეთილზე დავიგვიანე და სასჯელად მთელი ეს თავი დამაზუთხვინეს. მთელი ღამე გწყევლიდით.

A: ეს კი მშვენივრად მახსოვს.

ელა: ყურადღება მიაქციეთ, რა უთხარით კაენს. სიტყვასიტყვით: „თუ სიკეთის მქნელი ხარ, განა თავაწეული არ უნდა იყო? თუ სიკეთის მქნელი არა ხარ, ცოდვა ჩასაფრებულია კართან, შენკენ აქვს ლტოლვა, შენ კი იბატონე მასზე.“

A: მერე?

ელა: რა სისულელეებია?

A: როგორ ლაპარაკობ?

ელა: სამი ათასი წელია, უდიდესი კომენტატორები ოფლს ღვრიან, ჰაერში იკვანძებიან, ეს ბუნდოვანი მუხლი რომ ახსნან და თქვენ ელოდით, რომ კაენი, პირველი ბავშვი ბუნებისა, გაიგებდა ამას?

A: რა არის აქ გაურკვეველი?

ელა: ეს იმდენად ნათელი იყო, რომ წამის შემდეგ ადგა და აბელი მოკლა.

A: რა უნდა მეთქვა მისთვის? რომ აბელის მოკვლა ტეხავს?

ელა: შეგეძლოთ გეთქვათ „კაენ, ნუ მოჰკლავ აბელს! ხომ საკმარისად ლიტერატურულია თქვენთვის? რას ნიშნავს, „თუ სიკეთის მქნელი ხარ... თუ სიკეთის მქნელი არ ხარ?“

A: მართლა საწყენია, შენ რომ არ დაწერე ბიბლია.

ელა: მართლა საწყენია.

A: შენ რა ფსიქოლოგი ხარ?

ელა: და თქვენ რა ღმერთი ხართ?

A: ყველაფერს თავდაყირა აყენებ. რაც მოვედი, მხოლოდ მამუნათებ. განა დადებით ენერგიას არ უნდა მაძლევდე? ხომ უნდა მიმიღო ისეთი, როგორიც ვარ? არ აქვს მნიშვნელობა, რას ვაკეთებ, განა არ უნდა მითხრა, რაოდენ მართალი, დადებითი და შესანიშნავი ვარ და გაამართლო ჩემი ნებისმიერი ყველაზე საშინელი, უბადრუკი ბავშვობის დროს ნამოქმედარი? ნებისმიერ ცინგლიანში რაღაც დადებითს პოულობ და მხოლოდ ჩემში ვერაფერი მოიძებნა ხეირიანი???

(ელა დუმს)

A: ერთი რამეც კი.

ელა: თქვენ დიდი ხელოვანი ხართ.

A: ო, უღრმესი მადლობა...

ელა: ალბათ რაც უფრო დიდია ხელოვანი, მით ნაკლებია, როგორც ადამიანი? მაგალითად, პიკასო, იცით, რამდენმა ქალმა მოიკლა თავი მის გამო? და დოსტოევსკი? „დანაშაული და სასჯელი“ მხოლოდ იმისთვის დაწერა, რომ თავისი აზარტული თამაშების ვალები გადაეხადა? რომ აღარაფერი ვთქვათ ვუდი ალენზე, რომელმაც... თავისი გერი „შეიცნო“...

A: მაშ, ასეთი წარმოდგენა გაქვს ჩემზე?

ელა: გინდათ იცოდეთ, მართლა რას ვფიქრობ თქვენზე?

A: უკვე აღარ ვარ დარწმუნებული...

ელა: მგონია, რომ დახმარება გჭირდებათ, მგონია, რომ პრობლემა გაქვთ, სერიოზული, არა ერთი სეანსის და არც ორის.

A: მაშ, ესაა თქვენი დიაგნოზი, ქალბატონო ფსიქოლოგო? რომ მე „პრობლემა“ მაქვს?

ელა: თქვენ აგრესიის პრობლემა გაქვთ. შეეჩვიეთ ყველაფრის ძლიერი ხელითა და გრძელი მკლავით გადაჭრას, არ გინდათ, რომ უყვარდეთ, გინდათ, რომ თქვენი ეშინოდეთ, თქვენი წყრომის, თქვენი რისხვის! ისე იქცევით, როგორც...

A: როგორც რა?

ელა: მოძალადე მამაკაცი.

A: მოძალადე მამაკაცი?!

ელა: გამუდმებით იმუქრებით, ღიზიანდებით, ბრაზობთ, ენთებით, საშინლად სჯით! – და ამის შემდეგ მალევე საშინლად ნანობთ. ეს ზუსტად მოძალადე მამაკაცის ტიპია, თქვენ საშიში ხართ საზოგადოებისთვის, ჩემო ბატონო.

A: ეს ყველაზე სულელური რამაა, რაც ცხოვრებაში მსმენია, ჩემი ცხოვრება კი ძალიან, ძალიან, ძალიან ხანგრძლივია.

ელა: თქვენი აგრესიის რეციდივები პერიოდულად იჩენს თავს ყველასთან, ვინც თქვენ გიყვართ, განსაკუთრებით კი მასთან, ვინც ყველაზე მეტად გიყვართ. ებრაელები ყველაზე მეტად გიყვართ, არა? „რჩეული ერი“, რა საამურია ცხოვრება, რა რომანტიკულია! მოდი ვნახოთ, რა გამოგვივიდა ამ ჯადოსნური სიყვარულიდან – ოთხასწლიანი მონობა, ორმოცი წელი უდაბნოში ნორმალური ტუალეტის გარეშე, ბედნიერების ეფემერული პერიოდი, სანამ ისევ არ გაცეცხლდით და არ გაგვისტუმრეთ ორიათასწლოვან დევნილობაში, დიდებულ ადგილებში, სადაც გვანებივრებდნენ პოგრომებით, ინკვიზიციებითა და საკონცენტრაციო ბანაკებით. აი, მესმის სიყვარული! აჰ, დამავიწყდა. ეს, უბრალოდ, სიყვარული როდია, ეს აღთქმაა, არა? აღთქმა! თქვენთვის ჩვენს ვაჟებს პენისიდან ხორცს ვაჭრით და სანაცვლოდ რას ვიღებთ? – ერთ დიდ პენისს!!

A: როგორ ლაპარაკობ?

ელა: უკაცრავად.

A: შენ არაფერი გესმის.

ელა: არა, არა, ახლა ვეღარ დამაბოლებთ მაგ უსუსური მარაზმით: „შეუცნობელნი არიან გზანი უფლისანი“ და ჩვენ თითქოს არ შეგვეძლოს თქვენი გაგება.

A: თქვენ მართლა არ შეგიძლიათ გაიგოთ.

ელა: თავად თუ გესმით?

A: დიახ.

ელა: მაშ, ამიხსენით.

A: შენ ვერ გაიგებ.

ელა: გამომცადეთ.

A: ვერ გაიგებ-მეთქი, გეუბნები.

ელა: მე კი გეუბნებით, გაუგებარი არაფერია, რადგან არავითარი გეგმა არ გქონიათ. ამხელა ავანტიურაში ყოველგვარი გეგმის გარეშე შეტოპეთ.

A: მე, რა თქმა უნდა, მქონდა გეგმა.

ელა: რა გეგმა? წამდაუწუმ განცვიფრებული ხართ. ეგ არის გეგმა? გამუდმებით იმპროვიზირებთ. ჯერ აკეთებთ და მხოლოდ მერე... არც კი ფიქრობთ.

A: როგორ ლაპარაკობ? ფეხსაცმელი გაიხადე წმინდა ალაგსა!

ელა: ღმერთო დიდებულო, როდისღა უნდა დაღვინდეთ?

A: *(დგება)* ასე ვერ დამელაპარაკები, გესმის?!

ელა: *(გაჯგიმული დგება მის წინაშე)* რას მიზამთ? მარილის სვეტად მაქცევთ? რაო? ცეცხლსა და გოგირდს მაწვიმებთ? აბა, რა გაქვთ საღამოს რეპერტუარში?

A: გაფრთხილებ! ნუ მცდი!

ელა: არ მეშინია. გესმით? მე თქვენი არ მეშინია. თუნდაც ამ წამს ამომართვათ სული. მიმიფურთხებია ამ ცხოვრებისთვის, გესმით?! მიდით! გაანადგურეთ! გააცამტვერეთ! მოსპეთ! ქვას ქვაზე ნუ დატოვებთ, ბოლო მოუღეთ ამ ნაგვის ბუნკერს, რაც შეგიქმნიათ! არ მე-ში-ნი-ა!

(იგი ხელს აღმართავს. ქალი ადგილიდან არ იძვრის. კაცი საზარელი ხმის თანხლებით იგრიხება და იკუნტება. ქალი ადგილიდან არ იძვრის. ისე ჩანს, თითქოს კაცი თავის თავს ებრძვის. ცდილობს, ძალით დაიჭიროს თავი. წამში ჩერდება. ნელა დაუშვებს ხელებს. თავს ჩაქინდრავს. მძიმედ ჩაეშვება სავარძელში)

ელა: თავი მოთოკეთ! შეძელით ბრაზის მორევა!

(A ხელებში ჩარგავს თავს)

ელა: *(მღელვარედ)* კარგად იქნებით, ეს დიდებულია. ტანში ჟრუანტელმა დამიარა. შეძელით რისხვის დაოკება. თქვენ გმირი ხართ!

(A ქალს არ უყურებს. თავს უარის ნიშნად აქნევს)

ელა: *(მღელვარედ)* იცით, რას იზამდა ფროიდი ასეთ შემთხვევაში? გამოიღებდა სიგარას კარადიდან, პაციენტს გაუწვდიდა და ერთად იზეიმებდნენ ცვლილებას. სამწუხაროდ, სიგარები არ მაქვს და არც თქვენ მეჩვენებით სიგარის მოყვარული, თუმცა იქნებ შოკოლადი მქონდეს. *(ოთახში მიდი-მოდის)* ოდესმე თუ გაგისინჯავთ შოკოლადი? *(შედგება და მისკენ შებრუნდება)* ოდესმე რამე გიჭამიათ?

(A ისევ ხელებში ჩარგავს თავს)

ელა: რაო?

(A დუმს. ელა ჩამოჯდება)

ელა: უნდა გიხაროდეთ.

(A დუმს)

ელა: გინდათ გამიზიაროთ ის, რასაც გრძნობთ?

(A დუმს)

ელა: ახლა ნუ ჩაიკეტებით. მელაპარაკეთ. შემომხედეთ. *(იგი ქალს მიაჩერდება)* დიდებული რამ დაგემართათ: შეგეძლოთ დაგეხშოთ ჩემი მეტყველების ღრუ, მაგრამ ამჯობინეთ, ძალა არ გამოგეყენებინათ, თუმცა ხელს არაფერი გიშლიდათ. თავშეკავება ისწავლეთ.

(A თავს აქნევს უარის ნიშნად)

ელა: რა არა?
A: თავი არ შემიკავებია.
ელა: ცხადია, თავი მოთოკეთ. განრისხებული იყავით.
A: დიახ, გავბრაზდი.
ელა: ჩემი მოკვლა გინდოდათ.
A: მინდოდა.
ელა: მერე? მაშ, რამ შეგაჩერათ? ეს რატომ არ გააკეთეთ?
A: არ შემიძლია!
ელა: რას ნიშნავს, არ შეგიძლიათ?
A: არ შემიძლია, არ შემიძლია.
ელა: რა არ შეგიძლიათ? აკი ყოვლისშემძლე ხართ. მეუფე მეუფეთა. თქვენ გაქვთ ძალა, რომელიც...
A: ელა,
ელა: რა?

A: მე არავითარი ძალა არ გამაჩნია.

ელა: რა თქმა უნდა, გაქვთ, თქვენ...

A: არ მაქვს, არა. მე არაფრის ძალა არ შემწევს.

ელა: არ მესმის. რის თქმას ცდილობთ?

(გარედან ყვირილი და ბრახუნი ისმის. ორივე კარს მიაჩერდება. კარი იღება. შემოდის ლიორი დივიდი ფლეიერით)

ელა: *(A-ს)* ბოდიში, ერთი წუთით. არ არის მიჩვეული, რომ ასეთ დროს ვმუშაობ. *(ლიორს)* რატომ გამოიტანე დივიდი? გაფუჭდა? ერთი წუთით, დამშვიდდი. მოვაგვარებთ. აი, კაბელებში ყოფილა პრობლემა. კიდე ერთი მავთული გამოსულა... *(დახმარების მოლოდინში A-ს მისჩერებია)* ლიორ, მოდი, გაიცანი. *(A-ს)* ეს ლიორია. *(ლიორს)* ეს კი... ღმერთია.

ელა: *(ლიორთან ერთად გადის)* ახლავე მოვაგვარებთ *(A-ს ფლეიერს უჩვენებს)*... შეგიძლიათ ამას რამე მოუხერხოთ?

(ყველა გადის. გარედან მათი ხმები ისმის)

ელა: *(ლიორს)* უკვე კეთდება.

ელა: რას შვრებით?

A: მგონი ეს მავთული აქ უნდა უერთდებოდეს.

ელა: არა, ეს კაბელი ტელევიზორს უერთდება. არ შეგიძლიათ უბრალოდ... რაღაცნაირად მოაგვაროთ?

A: აი, ყვითელი მავთული სად მიდის, რომ ვიცოდე...

ელა: *(მოთმინებიდან გამოდის)* კარგი, მომეცით.

A: არა, ერთი წამით. აი, ეს აქ უერთდება.

ელა: არა. მომეცით, რა.

A: აჰ, ახლა წითელი დარჩა გარეთ.

ელა: არ მჯერა, თქვენ ჩემზე უარესი ხართ.

A: *(ოთახში ბრუნდება)* მეტისმეტად ბევრი მავთულია და ძალიან ცოტა ხვრელი!

ელა: *(გარედან ლიორს)* აი, ახლა მგონი კარგია.

(ოთახში ბრუნდება. ჯერ კიდევ სასტუმრო ოთახისკენ აქვს სახე მიქცეული) მუშაობს? მშვენიერია.

(კარს კეტავს. A-სკენ შებრუნდება)

A: რა?

ელა: თქვენ? – რომელმაც ისრაელელები ეგვიპტიდან გამოიყვანეთ, წითელი ზღვა ორად გაკვეთეთ, ათ სასჯელსა და ათ მცნებას შორის – არ შეგიძლიათ, დივიდი შეაკეთოთ??!

A: სწორედ ამის ახსნას ვცდილობ შენთვის.

ელა: ეს როგორ შეიძლება?

A: ძალები დავკარგე.

ელა: რას ნიშნავს ძალები დაკარგეთ?

A: იმას, რომ ძალა აღარ გამაჩნია. არავითარი. მორჩა. ყველაფერი გაქრა.

ელა: გაქრა?

A: ავად ვარ, ელა.

ელა: ავად ხართ? როგორ შეიძლება, ავად იყოთ? თქვენ...

(A ქუდს იხდის. უეცრად მოხუცებული და დაღლილი გამოჩნდება)

ელა: ავადმყოფი...

A: არაფრის გაკეთება არ შემიძლია, არაფრის.

ელა: როგორ?... მაგრამ... როდესაც შემოხვედით...

A: ყველაფერი წარმოდგენებია. შემომრჩა რამდენიმე მარტივი ფოკუსი, რომელიც ყოველმა დამწყებმა ილუზიონისტმა იცის.

ელა: მაშ, მთელი ის ამბავი წარღვნისა...?

A: წარღვნა? *(მწარედ იცინის)* ცხვირის მოფხანას ძლივს ვახერხებ.

ელა: ერთი წუთით, თუ სწორად მესმის, ღმერთი, ეს, ფაქტობრივად, ცარიელი სიტყვაა. არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ.

A: მეტ-ნაკლებად ეგ ვითარებაა.

ელა: მაშ... ღმერთი კი არ მოკვდა, როგორც ამბობენ, ღმერთი... ავადაა?

A: ძალიან ავად.

ელა: ოჰ, ღმერთო...

A: რა?

ელა: საშინელებაა.

A: სამწუხაროა?

ელა: საშინელი. ეს იგივეა, რომ გაცხადდეს, გენშტაბის უფროსი შტერიაო.

A: მადლობელი ვრ.

ელა: უკაცრავად. ხომ გესმით, რას ვგულისხმობ. უბრალოდ, არასოდეს მიფიქრია, რომ ამგვარი რამ შესაძლებელია, რომ ოდესმე ავად გახდებოდით.

A: დამიჯერე, ეს არც მე მიფიქრია.

ელა: თავიდანვე რატომ არ მითხარით? რატომ დამიმალეთ?

A: რა უნდა მეთქვა? როგორ დაგარწმუნებდი, რომ ღმერთი ვარ, თუ ვერაფერს შთამბეჭდავს ვერ მოვიმოქმედებდი? კიბისაკენ გამიძახებდი და სამართლიანადაც. ავდექი და ღმერთი გავითამაშე, ისეთი, როგორსაც ბიბლიური თქმულებებიდან იცნობ. თამაში ჯერ კიდევ შემიძლია.

ელა: რომელი ღმერთი გამითამაშე?

A: ძლიერი. დიდებული. ყოვლისშემძლე. სასწაულმოქმედი!

(დუმილი)

ელა: სიმართლე გითხრათ, ასე ბევრად უფრო მომწონხართ.

A: ავადმყოფი?

ელა: რბილი.

A: რბილი?

ელა: რბილ მასალაზე მუშაობა შესაძლებელია.

A: მაშ, ეს ისაა, რაც გინდოდა – მეტროსექსუალური ღვთაება?

ელა: ცხადია, ძალიან გიჭირთ.

A: წარმოიდგინე...

ელა: ძლიერი ხელის გარეშე, გრძელი მკლავის გარეშე.

A: უსუსურობა. ყველაზე დიდი წყევლა სამყაროში.

ელა: მიამბეთ ამაზე.

A: ყველაფერი, რაც ჩემზე თქვი, სწორია. ნული ვარ (თითებით დიდ ნულს შემოხაზავს), ნუ-ლი.

ელა: ეს ისაა, რასაც გრძნობთ?

A: არა – მინუს ოცდაცამეტის სიმძლავრეზე ათს ვგრძნობ, მაგრამ რთული განტოლებებით შენი დაბნევა არ მინდოდა. მოარული მარცხი ვარ, მოჟღარუნე იმედგაცრუება, ფარსი შევქმენი და ახლა ჩემი სასჯელია, ყოველდღე, ყოველ საათს ვუცქირო მას, თანაც შეუძლებელია, შუა თამაშიდან გამოხვიდე... სიკვდილიც კი არ შემიძლია.

(სიჩუმე)

A: დამეხმარე!

(დუმილი. კაცი მზერას მიაპყრობს ქალს)

ელა: არ ვიცი.

(A გაკვირვებული მისჩერებია)

ელა: იმას ვგულისხმობ, რომ ერთი მხრივ, მინდა დაგეხმაროთ, რა თქმა უნდა, ეს ინსტინქტია, პროფესიული და ადამიანური... მეორე მხრივ, თუ ვინიცობაა, მოვახერხეთ და ძალები დაგიბრუნდათ, ისევ რომ აგივარდეთ სისხლი თავში და მოულოდნელად გადაწყვიტოთ, დაანგრიოთ, გააცამტვეროთ და გაანადგუროთ...

A: თუ მეტყვი წადიო, მე გაგიგებ.

ელა: მესამე მხარეცაა: ჩვენ უთქვენოდაც მშვენივრად ვანგრევთ და ვანადგურებთ, მაშ, რაღა განსხვავებაა?

(A დუმს. ქალს ყოყმანის საშუალებას აძლევს)

ელა: ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც არ ვიცი, მინდა თუ არა, რომ მკურნალობამ შედეგი გამოიღოს...

A: მე წავალ. ასე უკეთესი იქნება ყველასთვის.

(ელა დუმს)

A: მივდივარ.

(ელა დუმს)

A: წავედი.

ელა: მეოთხე მხარეცაა...

A: *(შეჩერდება)* მართლა?

ელა: ...არ ვარ დარწმუნებული, მინდა თუ არა ცხოვრება ამქვეყნად უღმერთოდ.

A: რატომ?

ელა: ასე არაა საინტერესო. ცარიელია. როგორც ხელოვნების ქმნილება, რომლის მიღმა არავითარი იდეა არაა. ლამაზი ნახატი, რომელიც გულგრილს გტოვებს.

(A დაძაბული დუმს. ქალი ფიქრიანად მისჩერებია. კაცი იმედით უმზერს. ქალი დაფიქრებული ითათუნებს ხელს ნიკაპზე)

ელა: დაბრძანდით.

A: დარწმუნებული ხარ?

ელა: დაბრძანდით, გეთაყვა.

A: *(ჯდება)* ვალდებული არ ხარ.

ელა: გსურთ მიამბოთ, როგორ დაიწყო მთელი ეს... ავადმყოფობა?

A: წვრილმანებით დაიწყო. ხმა დამისუსტდა. უცებ ხელების კანკალი ამივარდა, მომავლის ხედვა გამიბუნდოვანდა...

ელა: ეს როდის დაიწყო?

A: ზუსტად არ მახსოვს.

ელა: დაახლოებით?

A: დაახლოებით ორი ათასი წლის წინ. მაგრამ მართლაც დაახლოებით...

ელა: მაშ, ფაქტობრივად ყველაფერი, რაც მოხდა მთელ... ამ პერიოდში, უთქვენოდ მოხდა??

A: მმმ... და ვის ადანაშაულებენ?

ელა: გახსოვთ, რა იყო პირველი სიმპტომი?

A: თავის ტკივილი. მცირე.

ელა: იყო თუ არა რაიმე დრამატული მოვლენა, რომელიც წინ უძღოდა მაგ „მცირე“ თავის ტკივილს?

A: იმდენი დრამატული მოვლენა იყო იმ პერიოდში.

(ელა დგება და ბიბლიის მოსაძებნად მიდის)

A: რას შვრები?

ელა: თანახის მოსატანად მივდივარ.

A: რისთვის?

ელა: მინდა დავაზუსტო, როდის გაუჩინარდით *(წიგნს ფურცლავს)* თუ თანახის გაძლიერებული გაკვეთილებიდან სწორად მახსოვს, უკანასკნელი, ვინც თქვენი ხმა მოისმინა, იყო... იყო...

A: რა მნიშვნელობა აქვს?

ელა: არ გახსოვთ, ვინ იყო უკანასკნელი ადამიანი, ვისაც ელაპარაკეთ?

A: ნამდვილად არ მახსოვს, ეს კარგა ხნის წინ იყო, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ელა: იობი *(წიგნს ხურავს)*.

A: რა, მუდმივად იობი?

ელა: უკანასკნელი ადამიანი, ვისაც ესაუბრეთ, იყო იობი.

A: მერე რა? ეს სრულიად შემთხვევითია.

ელა: ჩემი შეგრძნებით, ეს სრულებით არ არის შემთხვევითი.

A: საით უმიზნებ, არ მესმის.

ელა: მე მგონი, ღირს გამოვარკვიოთ, რა კავშირია იმ ამბავთან, რომ იობის შემდეგ უეცრად ქრებით. რომ იობის შემდეგ არავის არც რამე სმენია თქვენგან და არც უნახიხართ.

A: *(უარყოფს)* გავქრი?...

ელა: სრულიად გაუჩინარდით.

A: არ გავმქრალვარ, შეიძლება ცოტათი ჩავიკეტე, მაგრამ...

ელა: ცოტათი ჩაიკეტეთ? ჩემო ბატონო, თქვენ აორთქლდით, თითქოს ცამ ჩაგყლაპათ. მეტადრე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იობამდე ორი ათასი წელი პირი არ დაგიხურავთ.

A: კარგი, შეიძლება თავიდან ცოტა გადავაჭარბე, მომეტებული მზრუნველობა გამოვავლინე...

ელა: ორი ათასი წელი გამუდმებით ერეოდით ყველაფერში, ომებით დაწყებული და ქორწილებით დამთავრებული, ვინ ვის მისთხოვდებოდა და რატომ, ვინ დაორსულდებოდა, ვის და როდის გაეხსნებოდა საშო და ვის დაეხურებოდა. ჩემი გინეკოლოგი არ მუშაობს ასეთი დატვირთვით.

(A დუმს)

ელა:

ყველაფერზე გქონდათ სათქმელი, იობის შემდეგ კი, უცებ – სამარისებური სიჩუმე. ჩამიჩუმი არ ისმის. საპატიო დუმილია.

(A დუმს)

ელა: მგონია, რომ უნდა გამოვარკვიოთ, რა მოხდა იქ, იობთან, რამაც... დაგადუმათ.

(A-მ ღრმად ამოიოხრა)

A: ოჰ, ღმერთო...

ელა: მესმის, რომ გიჭირთ იობზე საუბარი, მაგრამ თუ ერთხელ და სამუდამოდ გამოუშვებთ ამ ბალღამს, იქნებ გეშველოთ კიდეც. საგნები, რომლებსაც დახშულ ადგილას დიდხანს ინახავენ, ლპობას იწყებენ. ხოლო თუ იქ ჭრილობაა...

A: არავითარი ჭრილობა!

ელა: მიამბეთ იობზე.

A: რა მოვყვე? ყველაფერი წერია.

ელა: იობი ალალი და პატიოსანი კაცი იყო?

A: დიახ.

ელა: სპეტაკი?

A: დიახ.

ელა: უბოროტო?

A: კი... რა?

ელა: უცოდველი.

A: სუფთა.

ელა: გლახაკთა გამკითხავი, ობოლთა გამხარებელი, ხეიბართა შემწე, მონათა მოსარჩლე...

A: დიახ, დიახ, დიახ, დიახ.

ელა: ყველაფერი, რაზეც კი გიოცნებიათ, როდესაც ადამიანს ქმნიდით. სრულყოფილი მაგალითი.

A: ასე ვთქვათ.

ელა: და ამ ყველაფერთან ერთად თქვენ თავდავიწყებით უყვარდით.

(A დუმს)

ელა: აჰა, დგას თქვენ წინაშე სრულყოფილი ადამიანი, ფაქტობრივად, მთელი თქვენი ოცნებების ხორცშესხმა, სავსე სიყვარულითა და ბედნიერებით თქვენთან ერთად, თქვენ კი რას აკეთებთ?

(A დუმს)

ელა: რას აკეთებთ?

A: გამოცდას ვუწყობ?

ელა: ეს თქვენეული განმარტებაა, მოდი, ერთი წამით ფაქტებს დავუკვირდეთ. ფაქტები შემდეგია: თქვენ მას ფარას უნადგურებთ, მთელ ქონებას ართმევთ, ათ შვილს უხოცავთ და პატარა ბონუსად კანის დაავადებასაც უჩალიჩებთ, ისეთ ქალს რომ აწყებინებს, რომელსაც კაცი ჭკუიდან გადაჰყავს.

A: როგორც შენ აღწერ, ეს მართლაც არ მოჩანს კარგად...

ელა: შეიძლება ამ ყველაფრის იმგვარად აღწერა, რომ კარგად გამოჩნდეს?

(A დუმს)

ელა: შეიძლება?

A: *(ფეთქდება)* ეს სატანამ ქნა! მან გამაგიჟა!! წამდაუწუმ ჩამჩურჩულებდა, იობს სინამდვილეში არ უყვარხარო. ყალბი რწმენა აქვსო! „ყველაფერი სპექტაკლია, – მეუბნებოდა, – გეპირფერება, რომ განაგრძო მისი განებივრება სიმდიდრითა და ფუფუნებით... განა უანგაროდ ღვთისმოშიშობს იობი?“ – ტვინს მიბურღავდა, სანამ მისი არ დავიჯერე.

ელა: და მაშინ გაგზავნეთ იგი იობის გასანადგურებლად.

A: არ გამიგზავნია, თავად გაფრინდა.

ელა: დინებას კვლავ გზა მიეცით.

A: მე არაფერი მიქნია. ეს მან...

ელა: რა მოსახერხებელია პასუხისმგებლობის სხვებისთვის აკიდება. გველი, სატანა... ვინ არის საერთოდ ეს სატანა?

A: რა ვინ არის?

ელა: საიდან გამოგვეცხადა? მთელ ბიბლიაში სატანა არსადაა და უცებ იობის წიგნში: „გამარჯობა, სატანავ“. ვინ არის ის? რა არის? საიდან გამოტყვრა?

A: არ ვიცი, ის... რა მნიშვნელობა აქვს?

ელა: როგორ გამოიყურება?

A: ვის ახსოვს?

ელა: მაღალია? დაბალია? მსუქანია? გამხდარია?

A: გარეგნულ ნიშნებს არ ვაქცევ ყურადღებას.

ელა: მაშ, რა გახსოვთ მისგან? ერთი რამე ნაღდად გემახსოვრებათ.

A: მისი ხმა.

ელა: მისი ხმა. შეეცადეთ, წამით მისი ხმა გაიხსენოთ. *(A თვალებს ხუჭავს)* რას გრძნობთ?

A: ჟრუანტელს.

ელა: შეეცადეთ, ყურადღება მოიკრიბოთ. საიდან მოვიდა ეს ხმა?

A: რას ნიშნავს, საიდან მოვიდა?

ელა: შესაძლებელია, რომ ეს ხმა, ყურში რომ ჩაგჩურჩულებდათ, გარედან კი არა, შიგნიდან მოვიდა?

A: რა შიგნიდან?

ელა: ის თქვენი ხმაა.

A: ჩემი? შენ როგორც ამბობ, სატანა, ეს... *(თავის თავზე მიუთითებს)*

ელა: ყველას ჰყავს პატარა სატანა, საქმე ისაა, რა აღვიძებს მას. საქმე ისაა, რა იყო იობში ისეთი, რამაც თქვენი სატანა გამოაღვიძა.

(სიჩუმე)

ელა: არ გინდოდათ, გამოგერკვიათ, რა საჭიროება იყო იმისა, რომ სწორედ თქვენი მოყვარული ადამიანი უსასტიკესი გამოცდის წინაშე დაგეყენებინათ?

(A დუმს)

ელა: *(ნაზად)* რატომ არ შეგიძლიათ, დაიჯეროთ, რომ ვინმეს შეიძლება უყვარდეთ?

(A დუმს)

ელა: არ ფიქრობთ, რომ სიყვარული შესაძლებელია?

(A დუმს, ფრჩხილებს ითვალიერებს)

ელა: რას გრძნობდით, იობი თქვენდამი რწმენას არ კარგავდა, მაშინაც კი, როდესაც ყველა შვილი დაეღუპა? რა იგრძენით, როდესაც მან, მათ საფლავებთან მდგარმა, თქვა თავისი უკვდავი სიტყვა: „უფალმა მომცა და უფალმა წაიყვანა, კურთხეულ იყოს მისი სახელი“?

(A დუმს)

ელა: რატომ მაქვს იმის განცდა, რომ იმ ღამეს ბავშვივით არ გძინებიათ?

A: მშვენივრად მეძინა, სანამ იმან არ დაიწყო გახურება.

ელა: იობმა?

A: „ეს მე რატომ დამმართე, რით დავიმსახურე, რისთვის, რისთვის, რისთვის...“ მთელი ცხრამეტი თავი გაიძახის, რისთვისო...

ელა: ამან შეგაწუხათ?

A: ტვინი შეჭამა. სადამდე შეიძლება?

ელა: რა მოიმოქმედეთ?

A: ბოლოს მეც მოვაღე პირი. *(დგება)* „წელი შემოისარტყლე, მეომარივით, გაქვს კი მკლავი ჩემნაირი, შეძლებ ჩემსავით იბუბუნო? სად იყავ, როცა დედამიწას ვაფუძნებდი? ... ლომს შენ უნადირებ მსხვერპლს, შენ უკლავ შიმშილს ლომის ბოკვერებს?... ცხენს შენ ახტუნებ კალიასავით? მისი დიდებული ჭიხვინი ზარდამცემია! მიწას თხრის ველზე და ხარობს, ძლიერი ჭენებით მახვილს ეგებება. შიშს დასცინის, არ ფრთხება და მახვილისგან პირს არ აბრუნებს; მის თავზე ჟღრიალებს კაპარჭი, ელავს შუბისწვერი და ჰოროლი!..“ აი, რა ვუთხარი მას. *(კმაყოფილი ჯდება)*

ელა: იცით, რა მესმის მთელი მაგ გამოსვლიდან? ერთი სიტყვა მესმის – „იმიტომ“.

A: რატომ „იმიტომ“?

ელა: იმიტომ – ესაა თქვენი პასუხი იობის ყველა კითხვაზე. მთელი ოთხი თავი „იმიტომაა“. „იმიტომ რომ მე შემიძლია,

იმიტომ რომ მე ძლიერი ვარ. იმიტომ რომ მე ბევრად ბევრად ბევრად ძლიერი ვარ შენზე“ – ეს იყო თქვენი პასუხი მისადმი.

(A დუმს)

ელა: ოთხი თავი სხვა არაფერია, მხოლოდ ის, რომ „მე დიადი ვარ! მე უძლეველი ვარ! მე უმაგრესი ვარ!

(A დუმს)

ელა: მაგრამ იობი ძალ-ღონეზე არ გეკითხებოდათ, ის სამართლიანობაზე გეკითხებოდათ.

(A დუმს)

ELA: *(დაიბუბუნებს)* „წელი შემოისარტყლე, მეომარივით!“ *(A შეკრთება)* „გაქვს კი მკლავი ჩემნაირი, შეძლებ, ჩემსავით იბუბუნო?...“ ეს რას ნიშნავს?

A: რომ იცოდე: კასუტო წერდა, რომ ეს არის მაღალფარდოვანი, პოეტური, მხატვრული და მრავალფეროვანი მონოლოგი, ხოლო რაში ამბობდა, ეს სიტყვა მწვერვალია მსოფლიო პოეზიაშიო.

ELA: იცით, მე რა მესმის მაგ ამაღლებულ პოეზიაში? სულ... ბრალდება მესმის.

A: *(ყვირის)* ბრალდება? არავითარი ბრალდება! გესმის? შენ მე აქ ვერ დამადანაშაულებ... *(წყვეტს ყვირილს. დარცხვენილია)*

ELA: მე თქვენ არ გადანაშაულებთ.

A: არ მადანაშაულებ?

ELA: თუმცა ალბათ თქვენვე ადანაშაულებთ საკუთარ თავს.

(A დუმს)

ELA: არ გაწუხებთ, თქვენი დიდებული მონოლოგებიდან, აღსავსე სიბრალულით სუსტის, ღატაკის, ობლის, ხიზანის მიმართ, მთელ ბიბლიას რომ გასდევს, – მაინცდამაინც ეს უკანასკნელი მონოლოგი არის... *(სიტყვას ეძებს)*... მაფიის ბოსის სიტყვა?

A: მშვენიერია! პოლონელი ქალი, ძაღლი, სატანა და ახლა მაფიის ბოსი.

ELA: არ გაწუხებთ.

A: *(ფეთქდება)* არ მაწუხებს?! არ მაწუხებს?! რას არ მივცემდი მაგ წყეული ოთხი თავის ამოსაშლელად... მთელი მაგ საშინელი წიგნის... არ მაწუხებს?! მე იობს გული გავუტეხე!

(სიჩუმე)

ELA: იქნებ იობს კი არა, საკუთარ თავს გაუტეხეთ გული?

(A ქალს მიაჩერდება)

ELA: იობმა ბოლოს გაპატიათ. თქვენ რატომ არ შეგიძლიათ, თქვენს თავს აპატიოთ?

A: იობს არ უპატიებია ჩემთვის. თუ კარგად წაიკითხავ მის უკანასკნელ ფრაზებს, იქ ვერ ნახავ რაიმე შენდობას. „ყურმოკვრით მსმენია შენზე, ახლა კი ჩემი თვალით გიხილე. ამიტომაც ვიცხავ ჩემს თავს და ვინანიებ მტვერსა და ნაცარში.“

ELA: ანუ?

A: ანუ ახლა მოგისმინე და აღმოვაჩინე, ვინც ხარ. მირჩევნია მოვკვდე! – აი, ეს თქვა იობმა!

ELA: თავს როგორ გრძნობდით?

A: *(ღრმად ოხრავს)* ეს პირველად იყო, როცა ვიგრძენი, იქნებ მე...

ელა: რა?

A: ბოროტი ვარ-მეთქი. უბრალოდ ბოროტი. არა მწყალობელი, არა მიმტევებელი და შემნდობი, და, რაღა თქმა უნდა, არა ყოვლადმოწყალე, როგორც...

ელა: როგორც რა?

A: როგორადაც მიმაჩნდა თავი.

ელა: *(ნაზად)* გეგონათ, ყოვლადმოწყალე იყავით?

A: მეგონა.

ელა: და რა იგრძენით, როდესაც მიხვდით, რომ შესაძლოა თქვენ... არ ხართ?

A: შიში.

ელა: შიში რის მიმართ?

A: ჩემი თავის მიმართ.

ელა: თქვენი ძლიერების მიმართ?

(A თავს უქნევს)

ელა: გესმით, რა მოხდა?

A: რა?

ელა: რა გემართებათ, წარმოთქვამთ თუ არა იმ მგზნებარე სიტყვას თქვენი ყოვლადძლიერების შესახებ?

A: რა მემართება?

ელა: რა მოსდის ამ ძალას?

A: *(ჩუმად ბუტბუტებს)* მე ვკარგავ მას.

ელა: რა?

A: მე მას ვკარგავ.

ელა: თქვენ კარგავთ ძალას.

(სიჩუმე)

A: მოკლედ, ამბობ, რომ მე დავმართე ჩემს თავს ეს...

ელა: თქვენ ეს ალბათობა უნიადაგო გგონიათ?

A: რატომ ვუზამდი ჩემს თავს ასეთ რამეს?

ელა: იქნებ... რადგან... მართლა გენაღვლებით?

(A დუმს. კითხვით აღსავსე მზერას მიაპყრობს ქალს)

ელა: ვერ ხედავთ, რა გააკეთეთ?

A: რა გავაკეთე?

ელა: თქვენ ყველაზე ძვირფასი რამ წაართვით თქვენს თავს – ძალა – რომ აღარ გევნოთ ადამიანებისათვის. დათმეთ ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო თქვენთვის. ეს ყველაზე გასაოცარი საჩუქარია, რაც კი შეგეძლოთ მოგეცათ.

(A გაოცებული მისჩერებია ქალს)

ელა: შეხედეთ, რა გზა გაიარეთ, მას აქეთ, რაც ტყავის ის უბადრუკი პერანგები შეუკერეთ პირველ ადამიანს, როგორც ჟესტი თქვენი „მზრუნველობისა“ – მანამდე, როცა თქვენთვის ყველაზე ძვირფასი რამ დათმეთ.

(A დუმს, ქალს მისჩერებია)

ელა: თქვენ, როგორც ჩანს, იმაზე მეტად გყვარებივართ, ვიდრე გეგონათ.

(A დუმს)

ელა: ახალი ამბავი მაქვს თქვენთვის, ძვირფასო ბატონო: თქვენ ავად არ ხართ. თქვენ ჯანმრთელი ხართ. გათავისუფლდით თუ არა ძალისაგან, იმ წამიდან განიკურნეთ.

(A დუმს)

ელა: ახლა, ბოლოს და ბოლოს, შეგიძლიათ იყოთ ის, რაც გინდოდათ ყოფილიყავით. მოწყალე, მიმტევებელი, შემნდობი...

A: რატომ უნდა მებრალებოდეთ?

ელა: რადგან ახლა ჩვენ გვჭირს მძლეთამძლეობის სენი. ჩვენ გვჭირდება მკურნალობა და არა თქვენ. თქვენ აღარ ხოცავთ ყრმებსა და ჩვილებს, ახლა მათ ჩვენ ვხოცავთ. თქვენ აღარ აწვიმებთ თქვენს პრიმიტიულ ცეცხლსა და გოგირდს, ახლა ჩვენ ვაწვიმებთ ატომური ბომბებით, რომელიც თქვენს სოდომსა და გომორს ისე მყისიერად აღგვიდა პირისაგან მიწისა, რომ ლოტის ცოლი თავის მობრუნებასაც კი ვერ მოასწრებდა!.. აბა, ვის სჭირდება აქ მკურნალობა?

A: ყველაფერი ჩემ გამოა. ყველაფერი ჩემგან ისწავლეთ. თქვენ ცუდი მასწავლებლის კარგი მოწაფეები ხართ.

ელა: მაგრამ თუ თქვენ შეიცვალეთ, იქნებ ჩვენც შეგვიძლია შევიცვალოთ. აკი თქვენს სახედ და ხატად გავჩნდით, არა? იქნებ ერთ დღეს ჩვენც გავთავისუფლდეთ ძალისაგან და მოვრჩეთ ერთმანეთის განადგურებას.

A: შენ მართლა გჯერა მაგის?

ელა: არა... მაგრამ ვალდებული ვარ, დავიჯერო.

(დუმილი)

ელა: წელან ჩემი ოცდამეთოთხმეტე დაბადების დღე ახსენეთ.

A: *(ამჯერად ფრთხილობს)* დარწმუნებული ხარ, რომ გინდა ამაზე საუბარი?

ელა: დარწმუნებული ვარ.

A: ბავშვის მოკვლას და თვითმკვლელობას გეგმავდი.

ელა: მაგრამ ეს არ მიქნია.

A: თითქმის ქენი. ყველა ფანჯარა ჩაკეტე და გაზი გაუშვი.

ელა: და მაშინ თქვენ დაგელაპარაკეთ.

A: სწორია.

ელა: საშინელი რაღაცები გითხარით.

A: გადაჭარბება არ არის საჭირო.

ელა: არ არის საჭირო გადაჭარბება? ჰიტლერი გიწოდეთ! გეუბნებოდით, რომ სადისტი ხართ, ფსიქოპათი... კიდევ რა?

A: ვამპირი.

ელა: გმადლობთ. ურჩხული.

A: სულით ავადმყოფი, ტერორისტი, დაბოლოს, ყველაზე საყვარელი – კანიბალი.

ელა: კანიბალი არ მითქვამს. *(A თავს იქნევს)* ვთქვი?

A: ორჯერ.

ელა: ვწუხვარ. განტევების ვაცს ვეძებდი და თქვენ... ერთადერთი იყავით იქ.

(სიჩუმე)

A: საბოლოოდ ეს რატომ არ ჰქენი?

(ელა დუმს)

A: რატომ, ელა?

ელა: თქვენ გამო.

A: ჩემ გამო?

ელა: თქვენ გამო.

A: მაგრამ მე არაფერი გამიკეთებია... არაფრის გაკეთება არ შემეძლო.

ელა: შეიძლება. მაგრამ უცებ ვიგრძენი, რომ თქვენ...

A: რა? რომ მე რა?

ელა: რომ თქვენთვის ეს სულერთი არ იყო...

(A დუმს)

ელა: ნუ მიპასუხებთ. საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა, ასეა თუ არა. ნამდვილად იყავით თუ არა ჩემს შეგრძნებაში, იმ წამს... იქ იყავით. იმ მომენტიდან ამ ბავშვის მიმართ ისე განვეწყე, როგორც ღვთის საჩუქრისადმი. და თუმცა არ ლაპარაკობს და ვერასოდეს გავიგებ მისგან ნათქვამ „დედას“ ან სხვა ნებისმიერ სიტყვას, იგი ისეთ რამეებს მაძლევს, რომ არ ვიცი, ჩვეულებრივი ბავშვისგან ამას თუ მივიღებდი, გესმით? და როცა ჩემთვის უკრავს ან მეხუტება... ჩემთვის ეს მეტია, ვიდრე ათასი სიტყვა, გესმით? და ყველაფერი მხოლოდ ჩემს თავში რომც იყოს, თქვენ გარეშე ეს არ მოხდებოდა. თქვენი... შთაგონების გარეშე.

(სიჩუმე)

A: მშურს შენი.

ელა: *(გაოცებული)* ჩემი? რატომ?

A: შენი უნარის გამო, გიყვარდეს ის, მიუხედავად იმისა, რომ ის...

ელა: შეზღუდული შესაძლებლობისაა?

(A დუმს. ელა იღიმის)

ელა: იცით, უცებ დავფიქრდი იმაზე, რომ ფაქტობრივად... არასოდეს, ათასობით წლის განმავლობაში, რაც არსებობთ, არავინ ჩაგხუტებიათ.

A: ეგ რაღაა?

ელა: ჩახუტება.

A: არ ვარ მე ასეთებისთვის მოწყობილი.

(სიჩუმე)

ელა: ადექით ერთი წუთით.

A: რატომ?

ელა: ადექით.

A: რისთვის?

ელა: ადექით, ნუ გეშინიათ.

A: მაგრამ არ მესმის...

ელა: ადექით-მეთქი!

(A უხალისოდ დგება. ელაც დგება და უახლოვდება. კაცი, ცოტა არ იყოს, დამფრთხალია)

A: რას შვრები?

ელა: ნუ გეშინიათ. მე მხოლოდ ჩახუტებას ვაპირებ. ნებას მაძლევთ, ჩაგეხუტოთ?

A: მე არ...

ელა: მხოლოდ ჩაგეხუტებით, შეიძლება?

A: ჩემთვის სულ ერთია, მაგრამ...

ელა: არაფრის გაკეთება არ გჭირდებათ. მარტო ერთ ადგილას დარჩით, კარგი? უბრალოდ იდექით.

A: *(ძალიან დაძაბულია)* შენთვის დაშვებულია ასეთი რამეების კეთება? ეს კანონიერია? ეს ეთიკური ნორმების დარღვევა არ არის?

ელა: უბრალოდ, მშვიდად იყავით.

A: როგორ უნდა დავმშვიდდე?

ელა: თვალები დახუჭეთ.

(A მორჩილად ხუჭავს თვალებს. ძალიან უხერხულადაა. ელა ნაზად ეხუტება. კაცმა არ იცის, თავს რა მოუხერხოს. ხელებს უსუსურად იქნევს. ჩელოს მომაჯადოებელი მელოდია იჭრება. ქალი ნაზად უტყაპუნებს ხელს ზურგზე მამაკაცს. ნელ-ნელა ისიც მშვიდდება ქალის მკლავებში. ხელები აქეთ-იქით აქვს ჩამოშვებული. თავს მხარზე ადებს ქალს და ნებდება ჩახუტებას. კაცი ტირის. სხეული უცახცახებს ქალის მკლავებში. ქალიც ტირის. ერთმანეთს ეკვრიან)

(წამში კაცი მოწყდება ქალს. მუსიკა ჩერდება. სტუმარი ოთახის კიდისკენ იხევს. ზურგშექცეული, ფანჯრიდან გარეთ იცქირება)

ელა: კარგად ხართ?

A: *(ქალისკენ ზურგით)* დრო ამოიწურა.

ელა: ეს მე უნდა გითხრათ.

A: ასეა თუ ისე, ის დასრულდა.

ელა: არა უშავს, შემიძლია კიდევ ცოტა ხანს დავრჩე, ახლა ის წყნარადაა...

A: *(ქალისკენ შებრუნდება)* არა. დამთავრდა.

ელა: მაგრამ...

(A ლიორის ნახატს უახლოვდება, იქიდან დიდებული ვაშლი გამოაქვს. ჩელოს მელოდია ისევ შემოდის. A ჰაერში მოძრაობებს ხაზავს და ვაშლი ოთახში იწყებს ლივლივს, ელას უახლოვდება, მის თავზე ტრიალებს, მერე უკან უვარდება ხელში A-ს. A ელას ვაშლს უწვდის. მუსიკა წყდება)

ელა: *(კინაღამ დასწვდება ვაშლს, ბოლო წამს ყოყმანობს. ღიმილით)*... არა, გმადლობთ.

A: ზოგჯერ ვაშლი მხოლოდ ვაშლია.

(ერთმანეთს შეჰღიმიან. ქალი ვაშლს იღებს. A უახლოვდება. ჯიბიდან კუპიურებს იღებს და ხელში უდებს)

A: ოთხასი შეკელი.

ელა: *(უკან უბრუნებს)* არა. არაა საჭირო.

A: ცნობილი სახეებისთვის ფასდაკლება არ არის. *(ფულს უკან აძლევს. სახესთან თითს უქნევს)* ნუ შეიცვლები.

(A თანდათან შორდება, სახით მისკენ. შედგება. ქუდს იხურავს. შებრუნდება, რომ გავიდეს)

ელა: ნუ წახვალთ.

A: მშვიდობით, ელა, სასიამოვნო იყო შენთან შეხვედრა.

(ხელში იღებს მის ხელს, თავს ხრის და ნაზად ეამბორება. ნელ-ნელა უშვებს ხელს და თან ცოტათი შორდება, სანამ მიქელანჯელოს ნახატის – „ადამის შექმნის“ – გმირებს არ დაემსგავსებიან)

ელა: ერთი წუთით...

(A ქრება)

(ელა მონუსხული შესცქერის კარს, ხელში ვაშლი უჭირავს)

(სახლის შიდა კარი იღება. შემოდის ლიორი. დედისკენ გარბის და ვაშლს გამოსტაცებს. ჩაკბეჩს)

ელა: არა, ერთი წამით!

(გაისმის ჭექა-ქუხილი. დედა-შვილი ერთმანეთს შეაჩერდებიან. ოთახს ელვის ციაგი ანათებს, ელვას მაშინვე მოსდევს ქუხილი)

(წვიმას იწყებს. ბალისკენ გამავალი ფანჯრები წვეთებით იფარება)

ელა: ეს რა არის? წვიმა? წვიმს?

(ლიორი სიხარულით ხტუნავს)

ელა: წვიმს! ბოლოს და ბოლოს წვიმს! ლიორ, წვიმს! წყალი მოდის ზეციდან!

(ელა დგას კართან, წვიმას თავს უშვერს, რომ დასველდეს)

(ჭექა-ქუხილი ძლიერდება. წვიმაც უმატებს)

ელა: ჰეი! დამშვიდდი! ეს წვიმაა და არა წარღვნა!

(ეპასუხება ელა გაძლიერებულ ქუხილს)

ელა: *(ცისაკენ)* ჩშშშშშ, ასე ძლიერადაც არ გვინდა. უკელი ცოტა. ეს მიწა წლების გვალვის შედეგად მშრალია. ნაზად მოექეცი.

(წვიმა სუსტდება)

ელა: ცოტა კიდევ უფრო ნაზად.

(თავსხმა წვიმა საამო ჟუჟუნა წვიმად გადაიქცევა)

ელა: დიახ, ასე, სწორედაც... დიახ, ეს საამურიაااა.

(მუსიკა შემოდის. ელა სახეს ისველებს, პეშვით ლიორსაც ასხამს წვიმის წყალს)

ელა: იგრძენი, ლიორ, იგრძენი, როგორ გეხუტება წვიმა. რამდენი სიყვარულია ამ წყალში.

ლიორ: წყალი.

ელა: *(შოკირებული)* რა? რა თქვი?

ლიორ: წყალი.

ელა: წყალი?

ლიორ: წყალი.

ელა: შენ „წყალი“ თქვი.

ლიორ: წყალი. წყალი. წყალი. წყალი. წყალი! წყა-ლი წყა-ლი წყا-ლი წყა-ლი წყა-ლი

(ნაზი გრუხუნი მოისმის შორიდან. მუსიკა ქუხილის მოახლოებასთან ერთად ძლიერდება. შუქი ნელ-ნელა ეშვება. მუსიკა ზენიტს აღწევს. გრძელი და თვალისმომჭრელი ელვის ნათებაა. ფონზე ღმერთის აჩრდილი მოსჩანს. წყვდიადი)

დასასრული

რევოლუციონერი ცოლები

იოსეფა ევენ შოშან და დალია შიმკო

რეჟისურა: დალია შიმკო

დიალოგები: იოსეფა ევენ შოშან

მოქმედი პირები:

მართა ფროიდი	კარლ მარქსი
ზიგმუნდ ფროიდი	ქსანტიფე
ჯენი მარქსი	სოკრატე

პირველი სურათი: 2017 ისტორიის გადასახედიდან

(სცენაზეა დიდი მაგიდა. შუაში ზის სოკრატე, მის მარჯვნივ სხვადან ცოლ-ქმარი ფროიდები და მარქსები. ქსანტიფე, სოკრატეს ცოლი, მათ გარშემო ტრიალებს, მოაქვს საჭმელი, ღვინო, ცვლის ჭურჭელს. მთელი სცენის განმავლობაში მდუმარედაა, მხოლოდ დაბოღმილი ბურტყუნებს)

სოკრატე: ახლა გთავაზობთ, შევსვათ თავისუფლების სადღეგრძელო.

ყველანი: გაუმარჯოს თავის...

სოკრატე: ერთი წამით... კაცმა რომ თქვას, რა არის თავისუფლება?

(ფიქრობენ)

ზიგმუნდი: მე ვფიქრობ, ნამდვილი თავისუფლება სიზმარშია, მხოლოდ იქ ვართ თავისუფლები, გასაქანი მივცეთ ჩვენს ყველაზე მიჩქმალულ მრისხანებას, დაფარულ იმპულსებსა და ვნებებს.

მართა: და ასევე ფუჭ წარმოსახვებს, ზიგი

ზიგმუნდ: დიახ, აუცილებლად, მართა, ფუჭ წარმოსახვებსაც და ზმანებებსაც,

მართა: რაზეც უკვე დაწერე 1905 წელს

ზიგმუნდი: სწორია. მაშ, შევსვათ სიზმარში თავისუფლების სადღეგრძელო!

ფროიდები: გაუმარჯოს სიზმარში თავისუფლებას! გაუმარჯოს!

(სვამენ)

სოკრატე: ერთი წამით, პროფესორო ფროიდ, ამწუთას ამტკიცებდით, რომ ნამდვილი თავისუფლება სიზმრის თავისუფლებაა, არა?

ზიგმუნდი: სიზმარში თავისუფლება

სოკრატე: სიზმარი რომ ნახოს, უნდა დაიძინოს კაცმა, არა?

ზიგმუნდი: თავისთავად ცხადია, ჰერ სოკრატე

სოკრატე: მაშ, თქვენი თქმით, თავისუფალი ადამიანი – ეს მძინარე ადამიანია.

(ყველანი იცინიან)

ზიგმუნდი: მე ეს არ მიგულისხმია...

მართა: ეს წვნიანი დიდებულია, რა უქენი, ძვირფასო, ნიორი?

კარლი: მძინარე ადამიანი ვერ ხედავს, არ ესმის, ვერ გრძნობს სუნს ან შეხებას, და არ შეუძლია გრძნობებით შეთვისებულ მონაცემთა გადამუშავება. ამგვარი ადამიანი დამონებული ადამიანია. „პროფესორმა“ შემოგვთავაზა, შევსვათ საღღეგრძელო თავისუფლებისა, რომელიც მონობაშია? მე ვფიქრობ, ნამდვილი თავისუფლება ეს მოქმედების თავისუფლებაა.

სოკრატე: დარწმუნებული ხართ ამაში, ბატონო მარქს? ნამდვილი თავისუფლება მოქმედებაშია?

კარლი: ცხადია! თავისუფალი ადამიანი მოქმედებს წინააღმდეგ იმ ძალებისა, რომელიც ცდილობს მისი ბედი განსაზღვროს.

ზიგმუნდი: ამ საკითხში აბსოლუტურად გეთანხმებით, თავისუფალ ადამიანს მოეხსენება ქვეცნობიერსა და რაციონალს შორის გაჩაღებული ბრძოლის შესახებ და წარსულის მოგონებებს ეომება.

კარლი: პროფესორო ფროიდ, მე არ ვსაუბრობ წარმოსახვით ძალებზე, მე ვსაუბრობ ბაზრის ძალების წინააღმდეგ მოქმედების თავისუფლებაზე.

მართა: დაფნის ფოთოლი! ადრე როგორ ვერ მივხვდი ამას. დაფნის ფოთოლი ჩაგიგდია... ხომ, ძვირფასო?

(ქსანტიფე ბუზღუნებს)

ფროიდი: ასე რატომ წყრება თქვენი მეუღლე, ჰერ სოკრატე?

სოკრატე: რადგან ესაა ქალის ბუნება, ყურადღებას ნუ მიაქცევთ. კარლ, ჩემო მეგობარო, რა არის, კაცმა რომ თქვას, ბაზრის ძალები?

კარლი: ბაზრის ძალები წარმოების საშუალებებია, რომელიც კაპიტალისტების ხელშია. ისინი ექსპლუატაციას უწევენ მშრომელებს, რათა თავიანთი კაპიტალი გააორმაგონ და გაასამმაგონ.

ზიგმუნდი: არც კაპიტალისტები არიან თავისუფლები, ისინიც იტანჯებიან იმ დაუნდობელი ბრძოლისაგან რაციონალსა და ქვეცნობიერს შორის.

კარლი: კაპიტალისტებს აქვთ ფული და უქმი დრო, „ჰერ პროფესორის“ სავარძელში რომ მოიკალათონ და რაციონალსა და ქვეცნობიერს შორის დაუნდობელ ბრძოლაზე ისაუბრონ, ხოლო მშრომელები დღენიადაგ ლუკმაპურის შოვნას არიან გამოდევნებულნი. ამიტომ მე ვადგენ, რომ ჭეშმარიტი თავისუფლება არის თავისუფლება, რომელიც კლასობრივ მოძრაობაშია. გაუმარჯოს კლასობრივ მოძრაობას!

(კარლი ჭიქას სწევს, ჯენიც)

კარლი და ჯენი: გაუმარჯოს კლასობრივ მოძრაობას.

ჯენი: *(ქსანტიფეს – თავის ჭიქას სთავაზობს)* დალიე, ძვირფასო.

(მზერას ცვლიან ქსანტიფე და სოკრატე, რომელიც კატეგორიულ „არას“ ანიშნებს)

სოკრატე: ერთი წამით, რას ნიშნავს „კლასობრივი მოძრაობა“?

კარლი: კლასობრივი მოძრაობა აბათილებს ბატონყმობის იდეას, რომელსაც ასე ეტრფით.

ჯენი: კლასობრივი მოძრაობა შესაძლებლობას მისცემდა თქვენს ძვირფას მეუღლეს, ჩვენს სუფრას შემოერთებოდა, როგორც ტოლი და თანასწორი.

(ქსანტიფე წყვეტს ფუსფუსს, მისჩერებია სოკრატეს, რომელიც უარყოფის ნიშნად ხელს აიქნევს)

სოკრატე: *(კარლს)* თუ ასეა, თქვენ ადგენთ, რომ ნამდვილი თავისუფლება ისაა, რომ ის იყო, ვინც არ ხარ?

კარლი: ნამდვილი თავისუფლება ნიშნავს იყო ის, ვინც გინდა იყო, და გააკეთო ის, რისი გაკეთებაც გინდა, შენი არჩევანიდან გამომდინარე.

სოკრატე: მაშ, ჭეშმარიტი თავისუფლება არჩევანის თავისუფლებაა?

კარლი: აუცილებლად.

ზიგმუნდი: ბოლოს და ბოლოს ჩვენ ვთანხმდებით, ჰერ მარქს! ყოველი ადამიანი თავისუფალია არჩევანში, იყოს თავისი ტრავმების მსხვერპლი ან გათავისუფლდეს მათგან. გაუმარჯოს არჩევანის თავისუფლებას!

(ზიგმუნდი და კარლი, მართა და ჯენი ჭიქებს სწევენ)

სოკრატე: კიდევ ერთი პატარა კითხვა – უნდა იცოდეს თუ არა ადამიანმა, რასა და რას შორის ირჩევს?

ზიგმუნდი: თავისთავად ცხადია, ჰერ სოკრატე.

სოკრატე: და ნებისმიერმა ადამიანმა იცის, ვინ არის და რა არის იგი?

ზიგმუნდი: იმ შემთხვევაში, თუ აცნობიერებს იმპულსებსა და ინსტინქტებს, რომლებიც მას ამოძრავებენ.

სოკრატე: და ადამიანმა, რომელიც დაიბადა მონად, ცხოვრობს როგორც მონა და მონადვე მოკვდება, იცის, რა არის ბატონად ყოფნა?

კარლი: *(ენთება)* რასაკვირველია, არ იცის, რადგან არასოდეს ჰქონია თავისუფლება, გადაბარგებულიყო მონათა კლასიდან ბატონთა კლასში.

სოკრატე: წამით ამ მიზეზებს რომ თავი დავანებოთ... ვთანხმდებით, რომ ადამიანმა, რომლის არსიც მონაა, არ იცის, რა არის ბატონის არსი?

კარლი: როგორ ბედავთ იმის თქმას, რომ არსებობს ადამიანი, რომლის არსიც მონაა?! მოდი, ჯენი, დროს ვკარგავთ. ამისთანების გამო ფიქრობენ მშრომელები, რომ ჩაგვრა ბედისწერაა, მაგრამ მე მინდა გავაცამტვერო ეს ყველაფერი. დავანგრიო ძველი მსოფლიო და მის ნანგრევებზე ახალი მსოფლიო ავაშენო, თავისუფალი და თანასწორი!

ფროიდი: ჰერ მარქს, მაინტერესებს, რა იმპულსმა გიბიძგათ ნგრევისა და განადგურების ფანტაზიისაკენ „უტოპიური მსოფლიოსათვის“, მოხარული ვიქნები, გიმასპინძლოთ ჩემთან დივანზე, უსასყიდლოდ, რა თქმა უნდა.

კარლი *(აგდებით ამოიხვნეშებს)*

(ქსანტიფეს დესერტი მოაქვს. არავინ ჭამს, გარდა მართასი, რომელიც ნამდვილ განცხრომაშია)

სოკრატე: კარლ, მეგობარო, გინდათ, საზოგადოების ფუნდამენტი მოშალოთ. გესმით, რომ ამ ნგრევას უსამართლობა მოჰყვება?

მარქსი: შეუძლებელია, გამოასწორო უსამართლობა, თუ უსამართლობას არ გამოიწვევ.

სოკრატე: და თუ გეტყვით, რომ უსამართლობის ჩადენა ავი რამაა, რაც არცხვენს მის ჩამდენს?

მარქსი: მე კი გეტყვით, რომ მას, ვინც დააზიანეს, უფლება აქვს, საპასუხოდ ზიანი მიაყენოს.

სოკრატე: და თუ გეტყვით, რომ არ შეიძლება, თავი დავიცვათ მისთვის ზიანის მიყენებით, ვინც ჩვენ დაგვაზიანა?

მარქსი: მაშ, მე გეტყვით, რომ თქვენ ისეთივე სიმართლის მაძიებელი ხართ, როგორიც ეს ბურჟუაა, და ორივე ბრიყვ-

სოკრატე: დაწყნარდით, მეგობარო, თავისუფალი ადამიანი თავის მრისხანებას არ ემონება.

მარქსი: და თუ რისხვა ისე ბოგინობს მასში, როგორ ველური ცხენი?

სოკრატე: მაშინ მხედარმა უნდა იმარჯვოს და ლაგამი ამოსდოს. ჩემგან აიღე მაგალითი: საკუთარი თავის მოთოკვის უნარი ჩემი ცოლის ავ ზნესთან ყოველდღიური ჭიდილით შევიძინე, იმის ნათელი გაცნობიერებით, რომ თუ ქსანტიფესნაირ ბოროტსა და ბოღმიან ქალს გავუმკლავდები, ქვეყნად ნებისმიერ ადამიანს ვძლევ, და ამიტომ...

(აქ მოთმინებადაკარგული ქსანტიფე იყვირებს, სუფრას მთელი ძალით ააყირავებს და ჭურჭელსა და საჭმელს ჰაერში აისვრის)

(დინამიკური კადრი: პერსონაჟები სცენას სამ სხვადასხვა პატარა სცენად გადააწყობენ: მართასა და ზიგმუნდის საძინებლად, ქუჩად კარლის და ჯენის სახლის გვერდით და სოკრატეს დილეგად.

ჯენი გაშტერებული დგას, მისი და კარლის ნივთები ქუჩაშია მიმობნეული – გაცვეთილი ჩემოდნები, ჯამ-ჭურჭელი, თოკით შეკრული წიგნები).

მეორე სურათი: ჯენი და კარლი ლონდონი 1864

(კარლი მორბის, თან ხელნაწერი ფურცლების დასტას ინიავებს, სეზონის შესაფერისი თხელი ქურთუკი აცვია და გაქუცული ქუდი ახურავს, მაგრამ ბედნიერი ჩანს. ჯენი მას ეგებება)

ჯენი: კარლ!!!! კარლ!! *(ეხუტება)*...

კარლი: ჯენი, ჯენი, დღეს დიდებული დღე მქონდა მუზეუმის ბიბლიოთეკაში, მუზა მეწვია, უეცრად შემომიხტა თავში წინადადება, რომელსაც რამდენი ხანია ვეძებთ, დღეს აღმოვაჩინე! ეს ის წინადადებაა, რომელიც ყოველი წიგნის თავფურცელზე უნდა ეწეროს, ნებისმიერი სტატიის დასაწყისში, ნებისმიერი მონუმენტის ფასადზე უნდა იყოს ამოტვიფრული. ყური უგდე, აბა, რას იტყვი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ეს არის კრისტალური სიმართლე, რის თქმასაც ჩვენ ვცდილობთ. მინდოდა, დეპეშა გამეგზავნა ენგელსისთვის, მაგრამ ჯიბეში გროშიც არ მაქვს, ნავახშმევს ფოსტაში გაიქეცი... ბედნიერი იქნება...

ჯენი: კარლ...

კარლი: იფიქრე ამაზე, საპირისპიროდ ლოზუნგისა – „ყველა ადამიანი ერთიმეორის ძმაა“ – ეკლესიის ტყუილი. რამდენი ფარისევლობაა ამ ფრაზაში, რა საერთო გვაქვს მთელ ამ უბადრუკ ბურჟუებთან, სოსისებით რომ იყორავენ სტომაქს... *(უცებ ჩერდება, თვალს მოავლებს ქუჩაში მიმოფანტულ*

მათ ნივთებს) აქ რა ხდება? მთელი ჩვენი, ჩვენი გოგონების ტანსაცმელი, ასე ყრია ქუჩაში?

ჯენი: სახლიდან გამოგვყარეს.

კარლი: რა?

ჯენი: კი, ორნი მოვიდნენ – სახლის პატრონი და კიდევ შიშისმომგვრელი კრედიტორი... თქვეს, უკვე ორი თვეა, ბინის ქირა არ გადაგიხდიაო... მემუქრებოდნენ, მთელ თქვენს ნივთებს ფანჯრიდან გადავუძახებთო... უჯრებში ვეძებდი ფულს, ვერაფერი ვნახე, შევეხვეწე, ბარგის შეკვრის საშუალება მაინც მომეცით-მეთქი...

კარლი: და ეს ყველაფერი მარტომ ათრიე?

(ჭექა-ქუხილის ხმები გაისმის მთელს სცენაზე)

ჯენი: ყველაფერი სასწრაფოდ ჩავყარე ჩემოდნებში და მერე სათითაოდ გამოვათრიე.

კარლი: მთელი წიგნები ასეა მიმოფანტული, ცოტა ხანში გაწვიმდება და დასველდებიან. ერთი წამით, გუშინ დავიწყე რაღაცის წერა არისტოკრატების ხელში მყოფ წარმოების საშუალებებზე... სად არის, ჯენი? ძალიან მნიშვნელოვანი სტატიაა... *(ისტერიულად იწყებს ფურცლებში ქექვას)*

ჯენი: *(ჯიბიდან იღებს სტატიას)* აი ეს...

კარლი: გმადლობ, ჩემო საყვარელო... *(ეხვევა)* რა გაყინული ხარ... წავალ, ჭკუას ვასწავლი მაგ გაფუჭებულ სახლის პატრონს, როგორ გამომიყარა მთელი ოჯახი შუა ზამთარში?.. გოგონები სად არიან?

ჯენი: ეკლესიაში დავტოვე

კარლი: გაგიჟდი? ჩვენი ქალიშვილები იმ წყეულ დაწესებულებაში დაყარე?

ჯენი: მღვდელი დამპირდა, ცხელ კერძს და საწოლს მივცემო.

კარლი: დაგპირდა... დაგპირდებოდა, აბა რა... რის სანაცვლოდ, ჯენი?

ჯენი: არაფერი უთხოვია

კარლი: რასაკვირველია, არაფერს გთხოვდა, მან ხომ მათი სულები მიითვალა... აიძულებს, „ავე მარია“ ილოცონ ძილის წინ, ჯვარცმის წინ დააყენებს... საშინელ ამბებს მოუყვება, იფიქრე ამაზე?

ჯენი: აბა ჯობდა, ქუჩაში, სიცივეში გაყინულიყვნენ?

კარლი: ჯობდა, მშობლებთან ერთად ეცხოვრათ სახლში. ახლა წადი, გამოიყვანე იქიდან, მე კი იმ არამზადასთან წავალ და ყველაფერს მოვაგვარებ. თავი რა ჰგონია, შერჩება ბარონესა ფონ ვესტფალენის ქუჩაში გაგდება?

ჯენი: მეპატრონე მართალია! უკვე ორი თვეა, ბინის ქირა არ გადაგიხდია.

კარლი: რა? ტყუილია. შენ შენი ქურქი დააგირავე და მაგის მისაცემი ფული მომეცი, მშვენივრად მახსოვს, ორი თვის ქირა ხელში მეჭირა...

ჯენი: ფულს რა უყავი?

კარლი: მე... სახლის პატრონს მივეცი.

ჯენი: არა.

კარლი: არა?

ჯენი: მას ფული არ მიუღია, ეს ფაქტია.

კარლი: დარწმუნებული ხარ? ზუსტად როდის იყო?

ჯენი: ორი თვის წინ. მე მგონი, იმ საღამოს ნასვამი და მხიარული დაბრუნდი... ფულს რა უყავი...?!

კარლი: რაზე მიანიშნებ, ჯენი, იცი შენ, მე სმას გადაყოლილი ტიპი არა ვარ... ერთი წამით, ერთი წამით... ორი თვის წინ, არა? სექტემბერში... ეს იმ დღეს არ იყო, როცა...? სწორედაც... ეს ის დღე იყო, როდესაც „მშრომელთა პირველი საერთაშორისო პროფკავშირი“ დავაარსეთ სან მარტინში. ეს დიდი დღე

იყო, მთელი ევროპიდან მოვიდნენ მშრომელთა წარმომადგენლები... იქ იყვნენ: იტალიის დელეგაცია, სოციალისტები საფრანგეთიდან, ბრიტანეთის წარმომადგენლები, გერმანელები, რუსი ანარქისტებიც კი, იყო იქ ერთიც – ბაკუნინი, ბრწყინვალე ახალგაზრდა... მე შენ გეუბნები, იქ იყო საერთო თანხმობა, რომ აზრი არ აქვს, რამე შეაგნებინო ძლიერთა ამა ქვეყნისა, მხოლოდ მშრომელებს ძალუძთ, თავი დაიხსნან... ბედნიერები ვიყავით... ყველანი...

ჯენი: ფული?

კარლი: აჰ, დიახ... ფული... მე ისინი ჭიქა ღვინოზე დავპატიჟე.

ჯენი: ყველა?

კარლი: *(იბუზება)* ყველა, ვინც იქ იყო.

ჯენი: მთელი ფულით?

კარლი: ჯენი, დაფიქრდი, მე მოვიწვიე და ისინიც მოვიდნენ, მოვიდნენ ფეხით, მატარებლით, კონტინენტის ყველა კუთხიდან, ზოგიერთმა ღამის გასათევი ადგილიც ვერ ნახა... მაშ, ჩემი მხრიდან ეს მაინც...

ჯენი: ორი თვის ქირა გამოცალეთ?

მესამე სურათი: მართა და ზიგმუნდი, 1896 ვენა

(მართა და ზიგმუნდი საწოლში არიან. მართას ღამის პერანგი აცვია, ხოლო ზიგმუნდს – საშინაო ხალათი. სიბნელეში თავიდან ზიგის გაურკვეველი ბუტბუტი გვესმის, მართას ხმა კი გარკვევით ისმის. საკუთარ თავს ელაპარაკება)

მართა: ბავშვების ტანსაცმელი შეკრულია, ზიგის კოსტიუმები არ დაიკუჭოს, ქანდაკებები სახლში რჩება... დაუშვებელია,

ზიგი გაჯავრდება, ეგვიპტური კატა შთაგონებას აძლევს... როგორ შეიძლება, კატისთავა ქალმა შთაგაგონოს? კმარა, ვტოვებ... როგორც მატარებლის ჭუჭყიან კატებს, ოჰ, მატარებელი! ბილეთები...

(ზიგმუნდის ბურტყუნი სინათლის მატებასთან ერთად მკაფიო და გასაგები ხდება და ვხედავთ, რომ ის მართაზე გადამხობილა და სექსი აქვთ. ქალს თავი ლოგინზე არ უდევს, გარეთ აქვს გადმოკიდებული. ხოლო ზიგმუნდი უფრო და უფრო ხურდება)

ზიგმუნდი: მართა! Meine Appelstrudel...

მართა: ზიგი, ბიზნეს კლასით, აუცილებლად. პირველი ვაგონით...

ზიგმუნდი: Meine Appelstrudel... ვანილის ნაღებით...

მართა: ფანჯარა პანორამას უნდა უყურებდეს...

ზიგმუნდი: Meine Appelstrudel... ათქვეფილი ვანილის ნაღებით...

მართა: მოძრაობის მიმართულებით?

ზიგმუნდი: Meine Appelstrudel... ათქვეფილი ვანილის ნაღებით, ნოტიო და ცეცხლოვანი...

მართა: იქნებ საპირისპირო მიმართულებით სჯობს?.. ოი, არა! სადგურზე უნდა გავვარდე... ხვალ... ადრიანად...

ზიგმუნდი: ჩემი ცეცხლოვანი აპპელშტრუდელი ხარ, მე კი შენი მწარე ზახერის ტორტი...

(ქალის ხელს იღებს და თავზე იდებს, მომეფერეო)

მართა: ოღონდაც, ოღონდაც, ოღონდაც რომ გვქონოდა...

ზიგმუნდი: შენი მწარე ზახერის ტორტი ხომ ვარ? Liebe meine მითხარი, მითხარი...

მართა: *(კაცს თავზე ეფერება)* კი, ჩემო ბაჭია, შენ ჩემი ტელეფონი ხარ.

ზიგმუნდი: *(შოკისგან ზიგმუნდი წამში წყვეტს აქტს)* რა? ტელეფონი?!

ტელეფონი?!

მართა: ზიგი, ვწუხვარ, მაგრამ ტელეფონი რომ გვქონდეს, ყოველ პატარა ცვლილებაზე სადგურზე სირბილი აღარ მომიწევდა .

ზიგმუნდი: რა შუაშია ახლა ტელეფონი?

მართა: *(მართა ყოყმანობს)* ვწუხვარ... Sacher Tortermeine... შენ მართლა ჩემი ბაჭია ხარ და ზახერის ტორტიც, და მე ასე მართლა არ უნდა შემეშალა ხელი, შუა... მართლა უცნაურია, რა მემართება დღეს... თავად არ მესმის საკუთარი თავის, უბრალოდ... *(გამბედაობას იკრებს)* სიმართლე ისაა, რომ ეს პოზა მტკენს და თან გულისრევას იწვევს, იქნებ შესაძლებელია, ანუ მე ვამჯობინებდი, ჩვენი საქორწილო ვალდებულება შუაგულ ლოგინზე შეგვესრულებინა.

ზიგმუნდი: აჰ... *(დარცხვენილი)* მე კი ვიფიქრე... გსიამოვნებდა.

მართა: მსიამოვნებს, მაგრამ არცთუ კომფორტულია

ზიგმუნდი: მაპატიე, მართა, ძვირფასო, რომ მცოდნოდა

მართა: დამნაშავე არ ხარ

ზიგმუნდი: გპირდები, დღეიდან მხოლოდ საწოლის ცენტრში იქნება. რამდენი ხანია, დაქორწინებულები ვართ?

მართა: ოცი წელია, ჩემო ბაჭია.

ზიგმუნდი: და მხოლოდ ახლა აღმოაჩინე ეს დისკომფორტი?

მართა: ადრეც მიფიქრია, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ მეთქვა.

ზიგმუნდი: 20 წელი?

მართა: როგორც წესი, პრობლემა არ მაქვს... უბრალოდ, აღარ მახსოვდა, შენთვის ბიზნესკლასში ფანჯარასთან სავარძელი მოძრაობის მიმართულებით თუ მოძრაობის საწინააღმდეგოდ შევუკვეთე, ახლა მომიწევს ხვალ, შუა ჩაბარგებისას გავვარდე მატარებლის სადგურზე და ბილეთი გამოვცვალო, ტელეფონი რომ გვქონოდა, ზიგი...

ზიგმუნდი: იცი, რასაც ვფიქრობ ამაზე, მართა.

მართა: ეს მე ძვირფას დროს დამიზოგავდა.

ზიგმუნდი: *(ახლა უკვე ფიცხდება)* იცი, რომ მეზიზღება ტელეფონები, მართა, რაწამს აქ ტელეფონი გაჩნდება, ყველა, ვისაც მოუნდება, რამე მკითხოს ან კონსულტაცია გაიაროს, ან, უბრალოდ, რაიმე სისულელე მიამბოს, ადგება, ყურმილს აიღებს და აქ დარეკავს. მართა, გესმის, ეს რა იქნება? უცერემონოდ შემოგვეჭრებიან, ერთგვარი... ეგოცენტრიზმით, ისე რომ თავს არც ჰკითხავენ, ვმუშაობ, ვფიქრობ თუ ვწერ, გესმის? ეს მოწყობილობა პირადულში შემოჭრით და ცხოვრებაზე გაბატონებით იმუქრება...

მართა: რა მნიშვნელობა აქვს შენთვის, ტელეფონი გვექნება თუ არა, მარტო მე ვუპასუხებ ხოლმე.

ზიგმუნდი: მაგრამ მაშინ შენ მოგთხოვენ, რაღაცები გადმომცე. წუთით მოსვენება აღარ გვექნება.

მართა: მაგრამ...

ზიგმუნდი: ეს წყეული ინსტრუმენტი ჩვენს სახლში არ გაჭაჭანდება!

მართა: კარგი, კარგი, ბაჭია, ბრაზი ძილს გიფრთხობს, ახლა ჩემთან მოდი... *(მართა ცდილობს, ზიგმუნდი აცდუნოს და სექსზე დაიყოლიოს, ის კი ზურგს აქცევს)*

მართა: ზიგი, რა მოხდა, თავს ცუდად გრძნობ?

ზიგმუნდი: *(ზურგს შეაქცევს შეფიქრიანებული და შეწუხებული)* პოზა, პოზა არ არის კომფორტული, რატომ არაფერი თქვი...

(ადგება და მდუმარედ მოჰყვება ოთახში ბოლთის ცემას. დროდადრო რომელიმე ქანდაკებას ეფერება, მართა საწოლშია, კითხულობს „სიკვდილი ვენეციაში“, ჩასთვლემს და სექსუალურ ფანტაზიებში ნავარდს იწყებს).

მეოთხე სურათი: ქსანტიფე და სოკრატე, ათენი 399 ჩვ.წ.-მდე

(სოკრატე, 60 წლამდე მამაკაცი, საპყრობილეში, სადაც მან საწამლავი უნდა დალიოს გამამტყუნებელი განაჩენის შემდეგ – ბრალი დასდეს ახალგაზრდობის გარყვნასა და ერესში. სოკრატეს ფიცარნაგზე სძინავს. შემოდის ქსანტიფე, მისი ცოლი, ძალზე ახალგაზრდა ქალი, სადად ჩაცმული, ჩუმად უახლოვდება, თავზე დაადგება, დააცქერდება, ყოყმანობს, შეეხოს თუ არა მის სახეს, ბოლოს გადაწყვეტს, არ შეეხოს. ტუსაღს ნახევრად დახურულ საბანს გადააფარებს. სოკრატეს შეშფოთებულს გაეღვიძება).

ქსანტიფე: შემაშინე.

სოკრატე: გამაღვიძე.

ქსანტიფე: ვწუხვარ... უბრალოდ... მაპატიე.

სოკრატე: მნიშვნელობა არ აქვს. მთელი მარადისობა მექნება დასაძინებლად. როგორ შემოხვედი?

ქსანტიფე: თქვეს, რომ ამ საღამოს დალევ საწამლავს. მთელი ძალით ვაბრახუნებდი ჭიშკარზე. არ მიღებდნენ. ჭიშკარზე გადაძრომა დავაპირე. მომვარდნენ და ჩამომაგდეს. გისოსებზე დავეკიდე. ანჯღრევდნენ, რომ მოვეშორებინე, მაშინ მთელი ხმით ავკივლდი, მითხრეს, გაჩუმდიო, ვუთხარი, არ გავჩუმდები-მეთქი... არც გავჩუმებულვარ... ადგნენ და შემომიშვეს

სოკრატე: ცუდია, რომ ბავშვები არ მოიყვანე. მინდოდა, მათაც გამოვმშვიდობებოდი.

ქსანტიფე: მე გამოსამშვიდობებლად არ მოვსულვარ.

სოკრატე: აბა, რისთვის მოხვედი?

ქსანტიფე: რომ გითხრა, რომ არ დალიო.

სოკრატე: განაჩენი საბოლოოა.

ქსანტიფე: შენ ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ. ჯერ კიდევ შეიძლება განაჩენის შეცვლა. იფიქრე ჩვენზე.

სოკრატე: რა უნდა ვიფიქრო? მათ კენჭი ყარეს და მორჩა!

ქსანტიფე: კვლავ გამართავენ კენჭისყრას. შენ სოკრატე ხარ. თუ დაიჟინებ, დაგთანხმდებიან. ახლაც დაახლოებით ას ოცმა კაცმა შენ გაგამართლა, მხოლოდ ოცდაათი ხმა დაგაკლდა. სოკრატე: და ეგ ოცდაათი მსაჯული აზრს რატომ შეიცვლის?

ქსანტიფე: შეიცვლიან.

სოკრატე: როგორ? გეკითხები, როგორ?

ქსანტიფე: შენს მეგობრებს ფული აქვთ.

სოკრატე: მერე რა, მსაჯულები აზრს არ შეიცვლიან.

ქსანტიფე: ისინი შენს სასარგებლოდ მისცემენ ხმას.

სოკრატე: ისინი ფულს მისცემენ ხმას, აზრს კი არ შეიცვლიან.

ქსანტიფე: რა მნიშვნელობა აქვს, აზრს შეიცვლიან თუ არა, გაგამართლებენ და გადარჩები!

სოკრატე: ეს არაეთიკურია, ეს უწესობაა. მხოლოდ ქალს შეუძლია ასე იფიქროს!

ქსანტიფე: სწორია, და მეც ქალი ვარ – შენი ცოლი!

მეხუთე სურათი: კარლი და ჯენი

ჯენი: მე ჩემი ქურქი დავაგირავე, შენ კი მთელი ფული გამოცალე.

კარლი: ვწუხვარ... იმწუთას ამაზე არ მიფიქრია... გამარჯვების განცდამ თავბრუ დამახვია, ვგრძნობდი, ტალღამ როგორ აგვიტაცა და რომ ყველაფერი დალაგდებოდა... ახლა კი...

ჯენი: ახლა ყველანი ეკლესიაში უნდა წავიდეთ...

კარლი: არავითარ შემთხვევაში... ბარონესა ფონ ვესტფალენს

ეკლესიის წყალობა არ სჭირდება. აქ დამიცადე, მე მივდივარ, ყველაფერი მოგვარდება.

ჯენი: სად მიდიხარ?

კარლი: მშრომელთა სალაროდან ვისესხებ...

ჯენი: ვერა... მათ რამდენიმე თვის წინ გამოვართვით ფრანჩესკას დაკრძალვისთვის. დავიფიცეთ, რომ ყველაფერს უკანასკნელ შილინგამდე დავუბრუნებდით...

კარლი: სხვა გამოსავალი არ გვაქვს.

ჯენი: არის გამოსავალი! ბოკალი და ფიალა დავაგირავოთ.

კარლი: არამც და არამც. მამაშენის თასს ვერ შევეხებით, ვერც ფიალას. ხომ ვთქვით, რომ მათ არასოდეს დავაგირავებდით. თავს ვერ ვაპატიებ, თუ იძულებული გახდები, ჩემი წამიერი ეიფორიის გამო დაშორდე ამ ნივთებს... ორგანიზაციის სალაროდან ვისესხებთ.

(კარლი ცდილობს, ჯენის გადააფიქრებინოს, მაგრამ ქალი გამწარებული ეძებს თასს მიმოფანტულ საგნებში)

კარლი: ნუ... არ გინდა, ჯენი... ვნახავთ გამოსავალს...

ჯენი: დაუშვებელია, შემწეობას ვითხოვდეთ, თასს დავაგირავებთ, სახლის პატრონს გავისტუმრებთ, გოგონებს ეკლესიიდან გამოვიყვანთ, მართალი ხარ, ისინი იქ არ უნდა იყვნენ, და სახლს რამდენიმე დღეში გამოვისყიდით. *(ქალი ყველგან იქექება, ჩემოდნებს ხსნის, ბოლოს იპოვის ყუთს, თავს ახდის... ყუთი ცარიელია.)* კარლ... *(კარლი დუმს)* კარლ... მატყუარა! მატყუარა! დგახარ, მეხვეწები, თასი არ დავაგირავოთო, თურმე თავად დაგიგირავებია და უსირცხვილოდ მატყუებ *(თვალები ცრემლით ევსება)*

მეექვსე სურათი: მართა და ზიგმუნდი

მართა: *(საკუთარ თავს, როგორც პატარა გოგონა)* რაში ისე სწრაფად მიჰქრის... შენ კი, მართა, ცუდი გოგო ხარ... სასჯელს იმსახურებ... *(უცებ წყვეტს მონოლოგს)* ზიგი, აუტანელი ხმაურია, ისევ დაფლატუნობ, შეეცადე, ჩუმად იარო, კონცენტრაციას ვერ ვახერხებ...

ზიგმუნდი: მეგონა გეძინა, რას აკეთებ?

მართა: *(დარცხვენით)* მე... აა... აა... ვკითხულობ! თომას მანის „სიკვდილი ვენეციაში“.

ზიგმუნდი: ისევ ეგ წიგნი? მართა, meine liebe, რატომ ფლანგავ ასე ძვირფას დროს?

მართა: რადგან ამ მწერალმა გუმანით ყველაფერი იცის, ჩემო ბაჭია.

ზიგმუნდი: ასე დაბეჯითებით როგორ ამბობ ასეთ არამეცნიერულ რამეს.

მართა: იმიტომ რომ სიმართლეა.

ზიგმუნდი: თომას მანისთვის იოლია, მას არ აწევს მხრებზე დასაბუთების ტვირთი. ამიტომაც უპასუხისმგებლოდ იქცევა, რამაც შესაძლოა კატასტროფამდე მიგვიყვანოს.

მართა: კატასტროფა, ზიგი? ხომ არ აჭარბებ?

ზიგმუნდი: კატასტროფამდე. დიახ. აუცილებლად კატასტროფამდე... როდესაც მე მეცნიერულად მივუთითებ კავშირზე უხილავ შინაგან სამყაროსა და ფიზიკურ მოვლენებს შორის, მთელი სამედიცინო სამყარო ჩემ წინააღმდეგ ამხედრდება და მამუნათებს, ხოლო შენი თომას მანი აბსოლუტურად უსაფუძვლოდ აკავშირებს ქოლერას პანდემიას სიყვარულთან, ყველანი კითხულობენ და ხოტბას ასხამენ, ოღონდაც კაცი არ ფიქრობს იმ საშიშ იდეებსა და ფანტაზიებზე, რითაც თავებს უტენის ადამიანებს. მერე ვინ უნდა იზრუნოს ამ ყველა-

ფერზე, როცა შენი ქებული მწერალი ჭიქა ღვინოს დალევს და მომდევნო ზღაპარზე იფიქრებს?

მართა: რა თქმა უნდა, შენსავით სკრუპულოზური არ არის, ზიგი... მაინც, იქნებ სცადო, ლანჩები იატაკს არ გაუხახუნო, კარგი?

ზიგმუნდი: *(დაბნეულად)* კარგი, კარგი, შევეცდები.

(მაგიდასთან მჯდარი ზიგმუნდი თავის ქაღალდებს დასცქერის, სასოწარკვეთილია, უკმაყოფილება ეტყობა იმის გამო, რასაც იქ პოულობს, განაგრძობს ქაღალდების თვალიერებას, ვერაფერს ნახულობს. ქანდაკებებს მიეფერება და ჩიბუხს მოუკიდებს. მართა თავის ფანტაზიას უბრუნდება და ბუტბუტებს)

მართა: *(ბავშვის ხმით)* დამნაშავე ხარ, მართა, კარგ გოგოს ტრუსები უნდა ეცვას... შენ კი ცუდი გოგო ხარ, მართა, ძალიან, ძალიან ცუდი, და ახლა სასჯელს იმსახურებ...

(ოთახი იბუღება, ზიგმუნდი ხველას იწყებს, მართაც ხმას უწევს)

მართა: ჩვენ გადავწყვიტეთ, საძინებელში არ მოგვეწია, გრიპი ახლახან მოიხადე, ზიგი, აფორიაქებული ხარ, რაღაც გაწუხებს. რატომ არ იღებ შენს წამალს? ბერტამაც თქვა, გუნების გამოსაკეთებლად ძალიან კარგიაო.

ზიგმუნდი: ბერტამ?

მართა: ბერტა პაპენჰაიმმა.

ზიგმუნდი: ეგ ვინ არის?

მართა: თავს ნუ იკატუნებ, ზიგი, ბერტა პაპენჰაიმი, ქალი, რომელსაც შენს ცნობილ სტატიებში ანა ო. – თი მოიხსენიებ.

ზიგმუნდი: საიდან იცი, რომ ბერტა პაპენჰაიმი ჩემი პაციენტია? მე გითხარი?

მართა: ჩემი დაქალია, ზიგი.

ზიგმუნდი: და მან გითხრა, რომ ანა ო.-ა?

მართა: ყველაფერი მიამბო.

ზიგმუნდი: ეს არ შეიძლება, ეს არაპროფესიულია.

მართა: ბერტა თვითონ მომიყვა, და ეს განსაკუთრებული წამალიც ძალიან უყვარს, იმასაც კი ამტკიცებს, რომ პარალიზის შეტევებს მიმსუბუქებსო...

ზიგმუნდი: არავინ უნდა იცოდეს, რა ხდება ჩემს სეანსებზე, მე ვალდებული ვარ, სამედიცინო ეთიკა დავიცვა... ისედაც არ ესმით ჩემი ნათქვამით ამ მკურნალობის მნიშვნელობა და თუ გაჟონავს, თუ ვინმე გაიგებს...

მართა: ზიგი, ეს მე ვარ, მე არ მენდობი? ორიოდ ნამცეცი მაინც მიიღე მაგ წამლიდან და დაწყნარდები.

(ზიგმუნდი კოკაინს ისუნთქავს)

ზიგმუნდი: იცი, ბერტა პაპენჰაიმი... *(ჩუმდება)* დასაფიქრებლად, რომ ხვალ ეს მთელ ვენას ეცოდინება...

მეშვიდე სურათი: ქსანტიფე და სოკრატე

სოკრატე: გაცემული ცოდნის სანაცვლოდ ცხოვრებაში ფული არავისგან ამიღია და ახლა გინდა, ჩემს მეგობრებს გამოვართვა ფული, მსჯავრი რომ გაამრუდონ?

ქსანტიფე: ერთხელ მაინც გადაიხადონ როგორც საჭიროა იმ ყველაფრისთვის, რაც მათ ასწავლე.

სოკრატე: რას იტყვიან ჩემზე ათენში? სოკრატემ სამართალი იყიდაო?

ქსანტიფე: იტყვიან, რომ გაბღენძილი კუდაბზიკა მუდამ გაბღენძილ კუდაბზიკად დარჩება.

სოკრატე: რას ნიშნავს გაბღენძილი კუდაბზიკა?

ქსანტიფე: კუდაბზიკა ისაა, ვინც ფიქრობს, რომ სხვებზე უკეთესია. ხოლო გაბღენძილი კუდაბზიკა ისაა, ვინც ზურგს ენით იფხანს, ეს რომ ნებისმიერ ფასად დაამტკიცოს, ზუსტად როგორც შენს პროცესზე: საკუთარ თავს „ათენისთვის ბოძებულ ღვთის საჩუქარს“ უწოდებ, ჰაჰა, საჩუქარს! ლანძღავს ბრალმდებელს, და ნაცვლად იმისა, რომ პატივი სცეს მსაჯულებს – პოლიტიკოსებს, ხელოვანებსა და პოეტებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ქვეყნად ყველაზე ბრძენები არიან, „ღვთის საჩუქარი“ მათ მიწასთან ასწორებს, და თან ურცხვად აცხადებს, რომ დელფოსის ორაკულს უთქვამს მისთვის, ყველაზე ბრძენი ადამიანი შენ ხარო.

სოკრატე: ეს სიმართლეა.

ქსანტიფე: კიდევ ამბობ, სიმართლეაო, რომ შენ მართლა ამქვეყნად ყველა პოეტზე, პოლიტიკოსსა და ხელოვანზე ჭკვიანი ხარ.

სოკრატე: ამას დაზუსტება სჭირდება: ისინი ფიქრობენ, რომ მათ ყველაფერი იციან, მე კი ის ვიცი, რომ არაფერი ვიცი დანამდვილებით, ისიც კი არ ვიცი დანამდვილებით, რომ არ ვიცი – ამიტომ ვარ მე ჭკვიანი.

ქსანტიფე: ვერ ატყობ, რომ გაბღენძილი კუდაბზიკა ხარ? იცი დანამდვილებით, არ იცი დანამდვილებით... სიკვდილს რომ აპირებ, ის თუ იცი დანამდვილებით? მუდმივად თხრი და ჩიჩქნი მიწის ზემოთ და ქვემოთ, არასწორი სწორი გამოგყავს, სხვები რომ დააკნინო. გეგონა, ტაშს დაგიკრავდნენ შენი სიბრძნისთვის?

სოკრატე: არა. მეგონა, რომ სიმართლის მხარეს დადგებოდნენ.

ქსანტიფე: ხედავ, რა ბრიყვი ხარ? მათ სიმართლე კი არა, პატივი

აინტერესებთ. არაფერი გესმის: მათ სხვა არჩევანი არ ჰქონდათ, მამაკაცები არიან, თავიანთი ღირსება უნდა დაეცვათ მას შემდეგ, რაც თავს ლაფი დაასხი. ალბათ შენთვის ლაგამის ამოდება უნდოდათ, თუმცა შენი სიკვდილი არ ყოფილა მათი სურვილი. შესაძლებლობა მოგცეს, გეთხოვა შეებრალებინათ შენი შვილები, რომლებიც დაობლდებოდნენ, შენი ცოლი, რომელიც დაქვრივდებოდა, და ნაცვლად ამისა, განაცხადე, რომ დიახაც გყავს შვილები, თუმცა არ ითხოვ მათ გამო შებრალებას, უფლება გქონდა, შეწყალება გეთხოვა, რატომ არ ითხოვე?

სოკრატე: რა გინდოდა? *(დამცინავად)* რომ ჩემი მეგობრები მოწმეებად მომეყვანა, ჩემს საუკეთესო თვისებებზე რომ ესაუბრათ, რომ ნიანგის ცრემლები მეღვარა და მათთვის გული გამეპო შემაძრწუნებელი ამბებით „ჩემს უბედურ ცოლსა და მშვენიერ და ჭკვიან შვილებზე, რომლებიც სახიფათო და მშიერ ობლებად იქცევიან, ძონძებში ფეხშიშველები რომ იტანტალებენ?“

ქსანტიფე: დიახ, სწორედ ეს მინდოდა! სწორედ ასე მოიქცეოდა ნებისმიერი ადამიანი, ვისაც გული აქვს. მშიერი ბავშვი – ეს მართლაც გულსაკლავია. მაგრამ შენ მხოლოდ შენი თავი განაღვლებს.

სოკრატე: არა! მე მხოლოდ სიმართლე მანაღვლებს.

ქსანტიფე: იმიტომ რომ გაბღენძილი კუდაბზიკა ხარ, ვისაც გმირივით უნდა მოკვდეს.

ჯენი: მატყუარა ხარ... უბრალოდ, მატყუარა, კიდევ რას მიმალავ?

კარლი: მე... მაპატიე, ჯენი, ვაპირებდი გამომესყიდა... კომუნისტებს ასამართლებდნენ კიოლნში... შენ ეს არ უნდა გცოდნოდა... მე გაქცევით ვუშველე თავს... გახსოვს?... შენ არ უნდა გაგემჟღავნებინა... ისინი გაასამართლეს, ხომ გახსოვს? მე გადავრჩი, მაგრამ არ შემეძლო მიმეტოვებინა იქ ჩვენი ხალხი, ავდექი და სტატია დავწერე. საჭირო იყო, დამებეჭდა და სასწრაფოდ გამეგზავნა, ენგელსის შემწეობა ამოიწურა... და მაშინ... თასში... ბევრი ფული მომცეს... არაფერი არ უნდა გაგეგო... სხვა გამოსავალი არ მქონდა...

ჯენი: *(რომელიც აქამდე წუხილს და სასოწარკვეთას გულში იხვევდა, აზლუქუნდება, კარლს მივარდება და სცემს)* ეს ერთადერთი რამ იყო, რაც ოდესმე შენთვის მითხოვია, ერთადერთი პირობა. ეს მამას თასი იყო, მისი ბავშვობიდან მოყოლებული, მანამდე – მისი ბაბუის ბაბუის ბაბუის და სამივეს ნათლობის თარიღი იყო მასზე ამოტვიფრული... იცი, რომ ჩემი ნებით გავყიდე ვერცხლის ჭიქები და თეფშები, ფაიფურის მთელი სერვიზი, დედას შანდლებიც კი, მაგრამ ის თასი... ერთადერთი სახსოვარი, რაც მამაჩემისგან დამრჩა... და ჩემი კატის ფიალა... კარლ, როგორ არ იფიქრე ჩემზე?.. *(ხმამაღლა ქვითინებს, ტირის და შორდება, მიმოფანტულ ნივთებთან ტოვებს)*

(შეწუხებული ზიგმუნდი ფურცლებს ააფრიალებს, თამბაქოც მიმოიფანტება, გაღიზიანებულია... რაღაც იმსხვრევა. მართა შეკრთება. ხმაური წარმოსახვას უფანტავს, თუმცა მყისვე აფუსფუსდება. გადის და გამოდის ცოცხითა და აქანდაზით, სახლს ალაგებს)

მართა: არ გაინძრე, ზიგი. ეს უფრო დაამძიმებს მდგომარეობას.

(მართა აგრძელებს დალაგებას, ხოლო ზიგი შუა ოთახში დგას, განძრევის ეშინია)

ზიგმუნდი: მართა, როგორ გგონია, იმ ფაქტმა, რომ თავად ჩემი კეთილშობილება ავდექი და საყიდლებზე მაღაზიაში წავედი, რადგან შენ დაღლილი იყავი, მოსამსახურეს კი ფეხი სტკიოდა, მათ თვალში დოქტორ ფროიდის იმიჯი არ გააცამტვერა?

მართა: ვის თვალში?

ზიგმუნდი: ნოქრების, მეზობლების, ყველას...

მართა: რა სისულელეებს როშავ, როდესაც კაცი ჰერ დოქტორ ზიგმუნდ ფროიდია, არ უნდა ანაღვლებდეს, რა იმიჯი აქვს ნოქრის თუ მეზობლის ან სხვა ვიღაცის თვალში...

ზიგმუნდი: *(დაბნეულია)* კი, კი, ალბათ მართალი ხარ *(ისევ ჩუმდება და კოკაინის ახალ დოზას იღებს, მართა ყურადღებით აკვირდება)*

მართა: რაღაც სხვა გაწუხებს, ეს რამდენიმე დღეა, კარგად არ ჭამ, თითქმის არ გძინავს, მიუხედავად იმისა, რომ შენთვის ძალიან მნიშვნელოვანია სიზმრების ნახვა, *(ქალს ის საწოლისკენ მიჰყავს და თავზე ჩაჩს უსწორებს)* ახლა, როცა აქაურობა სუფთაა, დაჯექი და ყველაფერი მიამბე.

(ზიგი საწოლზე ჩამოჯდება და აზრებს აწყობს, როგორ დაიწყოს)

მეათე სურათი: ჯენი და მარქსი

(ჯენი ჯერაც მოთქვამს)

კარლი: კარგი რა, ჯენი... არ შემიძლია. ასე ატირებულს გიყურო... გამოვისყიდით თასსაც და ფიალასაც, გპირდები...

ჯენი: *(ისტერიკულად, გულამომჯდარი ტირილით)* ჩვენ ვერაფერს გამოვისყიდით, რადგან არასოდეს გვექნება ფული... *(ზლუქუნებს)*

(ქალი დიდხანს მოთქვამს, სანამ კარლი წყობიდან არ გამოვა)

კარლი: *(ყვირის)* გეყოფა! კმარა! რა გატირებს? არა გრცხვენია? კიოლნში ჩვენების სიცოცხლე საფრთხეში იყო, თასი დავაგირავე, რომ სტატია გამომექვეყნებინა, რომელმაც ხალხი ქუჩაში გამოიყვანა, და ნაცვლად იმისა, რომ ჩვენს ბრძოლაში მონაწილეობა გიხაროდეს, მოახლესავით ბღავი რაღაც უბადრუკ ბოკალსა და კნუტის ლამბაქზე?!. რა დაგემართა, ჯენი... გონს კარგავ და უსულგულო ბურჟუასავით იქცევი...

(„უსულგულო ბურჟუა“ ცეცხლზე ნავთის დასხმასავით მოქმედებს, ჯენი მოქვითინე ქალიდან მძვინვარე ძუ ლომად იქცევა და კარლს რისხვით დააცხრება)

ჯენი: უსულგულო ბურჟუა ვარ, კარლ? მე?.. მე, რომელიც მამაჩემის სურვილის წინააღმდეგ ცოლად გამოგყევი? მე ვარ ბურჟუა? რომელმაც დიდებული სასახლე დავტოვე ტბის პირას, რათა შენთან და შვილებთან ერთად მეცხოვრა სახლში, რომელიც ყასბის აყროლებულ ეზოს გადაჰყურებს? მე, რომელმაც მთელი ჩემი სამკაულები, ვერცხლის ჭურჭელი

და დედაჩემის შანდლებიც კი გავყიდე, შენი სტატიების გამოცემა რომ დამეფინანსებინა, თან რომ დაგდევ ფაბრიკა-ქარხნებში, მთელი ღამე ვზივარ, სანთლის შუქზე ვიწერ შენს ხელნაწერებს და კარდაკარ ვარიგებ... მე მეძახი ბურჟუას, კარლ? როგორ ბედავ?!

კარლი: მე... არ მიგულისხმია...

ჯენი: დიახაც! იგულისხმე, თქვი, რომ მოახლე გოგონასავით ვარ გაწიწმატებული...

კარლი: ვთქვი, რომ ისე ტირი, როგორც...

ჯენი: ზუსტად გავიგე, რაც თქვი, და მე ბურჟუა არ ვარ! თუ სიმართლე გინდა, მე ბარონესა ვარ, არისტოკრატთა წრეში დაბადებული და სხვათა შორის, შენ არ გინდოდა, რომ უარი მეთქვა საგვარეულო ტიტულებზე; შენ კეკლუცობ ხოლმე, ჩემი ცოლი ბარონესა ფონ ვესტფალენიაო, შემთხვევას არ უშვებ ხელიდან, რომ ჩემი ოჯახის საპატიო ლეგიონის ორდენით თავი მოიწონო და გადმოუშლი ხოლმე იმ სულელურ საგვარეულო გერბებს ნებისმიერს, ვინც ჩვენს უბადრუკ სახლში ფეხს შემოდგამს. ჩემდა თავად, მიმიფურთხებია მაგ გერბებისთვის, გადასარევად იცი, რომ არავითარი კავშირია ბარონესა ჯენისა და ჯენი მარქსს შორის. ჯენი ფონ ვესტფალენი აღარ არსებობს, ის შენ მოკალი, ისე როგორც კლავ ყველა შენს ახლობელს მაგ შენი რევოლუციისთვის!

კარლი: ჩემი რევოლუცია? ესე იგი, რევოლუცია მარტო ჩემია და მე მკვლელი ვარ? რატომ მეძახი მკვლელს? მხოლოდ რაღაც წყეული ბოკალის გამო?

ჯენი: დიახ, მკვლელი ხარ! ხოლო მე – შენი პირველი რევოლუციური მსხვერპლი. შენ აქციე დიდგვაროვანთა ქალიშვილი მათხოვრად. ამიტომ გძულდა ასე ეგ ჩემი პატარა ბოკალი, გაღიზიანებდა, იმდენად გაღიზიანებდა, რომ უნდა დაგეგი-

რავებინა, მიუხედავად ჩემთვის მოცემული პირობისა, და რატომ? რადგან შენ მძარცვავ ყოველგვარი ნაშთისგან, რაც ჩემს წარსულთან მაკავშირებს, მე კი მოხარული ვარ, განვიძარცვო, კარლ, და არა მარტო შენთვის, არამედ რევოლუციისთვის, რომლის სისხლიც ახლა ჩემს ძარღვებში არანაკლებად ჩქეფს, ვიდრე შენსაში.

კარლი: ამის თქმა არ გჭირდება, ჯენი... მე რომ არ გაკავებდე, ქარხანაში წახვიდოდი სამუშაოდ.

ჯენი: არავის კლავს ხელგარჯილობა

კარლი: მაგრამ შენ ბრწყინავ... შენი ტვინი სადღაც ქარხანაში არ უნდა მოცდეს... შენ ფილოსოფოსი ხარ.

ჯენი: ვირთხების ფილოსოფოსი, აი, მე რა ვარ!

კარლი: არაა მართალი: შენ გვასწავლე მე და ენგელსს, რაოდენ დამამცირებელია, დათმო ლუკმაპური, ავადმყოფ ბავშვს წამლები რომ უყიდო. შენ თქვი, რომ ეს დამცირება საპოხია, რომელიც რევოლუციის ისტორიულ ბორბალს აამოძრავებს.

ჯენი: თქვენ კი, აღფრთოვანებულებმა, ქებით ამავსეთ.

კარლი: სწორედაც, ჯენი... შენი იდეები ცეცხლია რევოლუციისა.

ჯენი: მაგრამ ცეცხლი აღარაა. შენ ჩააქრე ცეცხლი, მთელი ღამე ფიქრებში ხარ, ხოლო დილით მუზეუმში გარბიხარ, რომ გაღუნღულებულ ბიბლიოთეკაში დაჯდე და ისტორია წერო, მე კი რას ვწერ, კარლ? რას ვწერ? ვალების სიებს: ოცდაორი სტერლინგი სახლის პატრონს, ათი შილინგი ხაბაზს, ხუთი შილინგი მერძევეს; ჩაის გამყიდველი ქუჩაში თვალს მარიდებს, ყასაბი ძვლებსაც კი აღარ მთავაზობს კატებისთვის, გამუდმებით ტვინს ვიჭყლეტ: ხომ არ აჯობებს, ორი დღის სადილზე უარი ვთქვათ და სანაცვლოდ ექიმი გამოვიძახოთ, ლენხენი ყვავილზე რომ გასინჯოს? მაგრამ ექიმი რომც მოვიდეს, წამლების საფასური როგორ გადავიხადოთ? და საერთოდ, რამდენად ზნეობრივია, მთელი ოჯახი აშიმშილო

იმისთვის, რომ ერთ ბავშვს უყიდო წამალი? უკვე ორი შვილი დავკარგეთ, კარლ! და თუ ლენხენსაც რამე დაემართება, მე მასთან ერთად მოვკვდები... *(კარლი აწყვეტინებს, გულში იხუტებს)*

კარლი: მე შენ მიყვარხარ... ო, როგორ მიყვარხარ...

ჯენი: *(ქმარს ეყრდნობა)* ... ღამღამობით მეღვიძება, მესმის როგორ ახველებენ გოგონები და თავს ისე დამნაშავედ ვგრძნობ...

კარლი: ... შენ დამნაშავე არ ხარ... მე ვარ დამნაშავე. გადავარდნილი ვარ ჩემს მოჩვენებით ეიფორიაში და მსხვერპლად გწირავთ შენ და გოგონებს... მართალი ხარ, ჯენი, მე მკვლელი ვარ...!

ჯენი: დავიღალე, კარლ... ძალიან დავიღალე... მცივა... მძულხარ და ეს მაშინებს...

მეთერთმეტე სურათი: მართა და ზიგმუნდი

(მართა ოთახსა და ქაღალდებს ალაგებს, ხოლო ფროიდი საუბარს იწყებს)

ზიგმუნდი: საქმე ისაა, რომ ვგრძნობ, გზაგასაყარზე ვდგავარ.

მართა: რა თქმა უნდა! ისტორიის პანთეონში შეხვალ, ბაჭია, როგორც ჰომეროსი, იმანუელ კანტი ან სოკრატე...

ზიგმუნდი: მაგრამ, მართა, გავიჭედე...

მართა: რატომ? თითოეულ შენს სტატიას ურიცხვი გამოხმაურება აქვს... ხოლო ეგ პროცედურა, რომელსაც შენ „სიტყვის თერაპიას“ უწოდებ, რევოლუციური მიგნებაა, თან ეკონომიურიცაა.

ზიგმუნდი: რა?

მართა: დიახ, დიახ... ის ცვლის წამლებს, ძვირადღირებულ ფი-

ზიოებს ან ხარჯიან მოგზაურობებს სამკურნალო აბანოებზე. თანაც წარმატებულიცაა. ნახე შენი დღიური, ყველა ჩემი დაქალი ითხოვს მაგ სეანსის გამოცდას, მაშინაც კი, როცა არაფერი აწუხებთ, შენ, უბრალოდ, გე...

ზიგმუნდი: გაჭედილი ვარ! დიახ, გაჭედილი! გავიჭედე. იქნებ მაგ ფლოსტებით ფლატუნის ნაცვლად ერთი წუთით დაჯდე და მომისმინო?

(მართა გვერდით მიუჯდება და თავზე ეფერება)

ზიგმუნდი: პაციენტი მყავს – ლიზა როზენშტეინი. 25 წლის ახალგაზრდა ქალი. ხუთი წლის წინ გათხოვდა, ფაქტობრივად ჯანმრთელია. გულის მდგომარეობა ნორმალური. პულსიც. სისხლის წნევა ნორმალური, გამავლობა რეგულარული აქვს, თუმცა ეს ორი წელია, აუტანელი თავისტკივილებით იტანჯება, რომელიც გამოზომილად იჩენს თავს თვეში ერთხელ და ამ შაკიკს მუდამ ახლავს მონაცვლეობით ორი სინდრომი – ან თავბრუ ეხვევა, რაც საბოლოოდ ქვედა კიდურებში შეგრძნების დაკარგვით მთავრდება და მაშინ იგი ლოგინად ჩავარდება ხოლმე; ან ნერვული შეტევა მოსდის, უყვირის მოსამსახურეებს, ქმარს და ვერ მშვიდდება, სანამ ქმარი მებაღეს არ გაათავისუფლებს.

მართა: მებაღე რა შუაშია?

ზიგმუნდი: რადგან ყველა მსგავსი შეტევის დროს ეჩვენება, რომ თხისტანიანი მებაღე მის ოთახში დაფარფატებს და თავდასხმით ემუქრება.

მართა: იქნებ მებაღე მართლა აწუხებს ქალს?

ზიგმუნდი: არა, მართა, მებაღე მას არ ერჩის და ეს მე დანამდვილებით ვიცი. ჯერ ერთი: ქმარმა აუკრძალა მებაღეს სახლში შესვლა და ცოლს პირადი მცველიც კი აუყვანა, მეორეც: საუბარი არ არის ერთ მებაღეზე, არამედ ნებისმიერ მებაღეზე, ვისაც კი როზენშტეინებთან უმუშავია. ყოველი მებაღე მხოლოდ სამ თვემდე ინარჩუნებს სამსახურს, სანამ ლიზას შაკიკი არ შეუტევს და ქმარი იძულებული არ გახდება, დაითხოვოს იგი. ახლა ნამდვილად ვერ მოჰყვები იმის მტკიცებას, რომ ქვეყნად ყველა მებაღე სწორედ ლიზა როზენშტეინზე თავდასხმას ცდილობს.

მართა: ჰერ როზენშტეინი რატომღა ქირაობს გაუთავებლად ამ მებაღეებს, თუ ასე აუბედურებენ მის ცოლს?

ზიგმუნდი: იმიტომ რომ ჰერ როზენშტეინს უყვარს თავისი ცოლი, ხოლო ცოლს ვარდები უყვარს. ქმარმა ქალს საოცნებო ვილა შეუძინა. ვილის გარშემო იშვიათი ვარდები გააშენა, რომელთაც მთელი კონტინენტიდან ეზიდებოდა.

მართა: კი, ვარდებს ნამდვილად სჭირდება ყურადღება, ძალიან ფაქიზები არიან. ამ შემთხვევაში მართლა სჭირდებათ მებაღე. *(პაუზა)* შენ ამბობ, რომ შეტევები იმ წუთიდან დაიწყო, როცა საოცნებო ვილაში გადავიდნენ?

ზიგმუნდი: ვილაში გადასვლიდან დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ დაიწყო შეტევები, რომლებიც უფრო და უფრო მწვავდებოდა და ერთ-ერთი ასეთი ძლიერი შეტევის დროს, ხუთი თვის წინ, გამომიძახეს. მას აქეთ ამ ქალს ყოველდღე ვნახულობ, მაგრამ პრობლემის ძირისძირამდე ამოხსნას ვერ ვახერხებ. ეს არ მასვენებს, ძილი დამიფრთხო... ჩიხში ვარ. მართა, რას შვრები?

(მართა ფროიდის კოკაინის ყუთთან მიდის და კოკაინის დაყნოსვას ცდილობს. არცთუ მარჯვედ გამოსდის და ფხვნილი ეფანტება, ზიგმუნდი ღიზიანდება... რამდენიმე მცდელობის შემდეგ ქალი შეყნოსვას ახერხებს)

მართა: მინდოდა, ეს შენი დამამშვიდებელი წამალი გამესინჯა...

ზიგი: რა თქმა უნდა, ჩემო აპელშტრუდელო, ოღონდ ფრთხილად.

(ასწავლის, როგორ შეისუნთქოს კოკაინი. ფხვნილი ქალს ცემინებას დააწყებინებს და მიზნის მისაღწევად რამდენიმე მცდელობა დასჭირდება. კოკაინი მართაზე ზემოქმედებას იწყებს)

მართა: უკვე რამდენი მებაღე დაესხა თავს ლიზა როზენშტეინს?

ზიგმუნდი: დღემდე ხუთი.

მართა: და საცოდავი ვარდები როგორ რეაგირებენ ამ ცვლილებებზე?

ზიგმუნდი: მთელი ბაღი ჭკნება და ხმება. მხოლოდ გუშინ დაიჩივლა ამ საკითხზე ჰერ როზენშტეინმა და თქვა, რომ თუ მისი ცოლის მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, იძულებული იქნება, ამოძირკვოს ვარდის ბუჩქები და მათ ნაცვლად გამძლე მცენარეები დარგოს, რომელთაც სისტემატური მოვლა არ დასჭირდება... მაგრამ, მართა, რა მნიშვნელობა აქვს ახლა ვარდებს?.. გეუბნები, ჩიხში ვარ-მეთქი. უკვე შევთავაზე სამკურნალო მარილები, დამამშვიდებელი აბაზანები, საგონებელში ჩავარდნილმა ფიზიოთერაპიაც ვიფიქრე, მიუხედავად იმისა, რომ პრინციპულად ვეწინააღმდეგები მექანიკურ გამოსავლებს და მტკიცედ მწამს, სიტყვის თერაპიას სასწაულების მოხდენა შეუძლია. ვგრძნობ, ეს პრობლემა ქალის ქმართან ურთიერთობის ხასიათს უკავშირდება, მაგრამ ყოველთვის, როცა ვცდილობ, მას ამ თემაზე გავესაუბრო, ლიზა უბრალოდ კისკისებს, მეფიცება, რომ მასზე ბედნიერი ქორწინებით არავინაა, რომ ასაკობრივი სხვაობა მასა და ქმარს შორის სწორედ რომ უძლიერებს სიყვარულს, ხოლო როდესაც ვცდილობ, წყვილის ინტიმურ ურთიერთობას ჩავუღრმავდე და გამოვარკვიო, ქალს თავბრუსხვევა ეწყება და ისევ ეჩვენება, რომ კარს უკან მებაღე დგას, და იჟინებს, შევამოწმო დაკეტილია თუ არა კარი.

მართა: რა ისტერიკიანია.

ზიგმუნდი: რასაკვირველია, მართა, რასაკვირველია, აქ სიახლე არაფერია, თავისთავად ცხადია, პირველივე ვიზიტზე დავსვი ეს დიაგნოზი: ეს ისტერიკაა, ამის ყველა სიმპტომი ხელისგულზეა – სპაზმები, დროებით პარალიზება, დაბუჟება, უხეში ქცევა, შაკიკი, დეპრესია, აუხსნელი ნერვული შეტევები და, ყურადღება მიაქციე, მართა, როდესაც პარალიზებულ ფეხზე ვჩქმეტ, ვჩქმეტ ზუსტად იმ უბანზე, სადაც იგი დაბუჟებას უჩივის, არა? მაშინ, ნაცვლად იმისა, რომ ჩემს ზემოქმედებას ტკივილით ან კივილით უპასუხოს, უცნაური რეაქციას ავლენს, რომელიც ნეტარებას უფრო მოწმობს, ვიდრე ტკივილს... რაღაც ღიმილი გაუკრთება ხოლმე, მერე თავისტკივილები უძლიერდება და კატატონიაში იძირება... ეს ელიზაბეტის შემთხვევას მაგონებს, იგივე იდუმალი ღიმილია, როდესაც ვითომდა დადამბლავებულ ადგილას ეხებიან, იგივე მოვლენებია და ხილვებიც კი მსგავსია. იქ გველი იყო, აქ – მებაღე თხა. რაღაც საერთოა, ვგრძნობ, უფრო სწორად, დარწმუნებული ვარ, რაღაც, რაც სქესობრივ ურთიერთობას უკავშირდება, ტანით ვგრძნობ ამ კავშირს. უბრალოდ, ვიცი, რომ ცხვირწინაა, მაგრამ ხელიდან მისხლტება, ვერ ვახერხებ, ჩავეჭიდო... მადა დავკარგე, ძილი გამიკრთა, სიზმრებსაც კი ვეღარ ვხედავ, გაჭედილი ვარ, გაჭედილი...

მართა: ეგ შენი ლიზა როზენშტეინი ცრუპენტელა ისტერიკიანია.

ზიგმუნდი: ცრუპენტელა?! ისტერიკიანი ნამდვილად არის, მაგრამ რატომ ცრუპენტელა? ქალი იტანჯება! ვერაფრით ვეხმარები და მთელ ამ გაფლანგულ დროს მისი ქმარი გუ-

ლუხვად მინაზღაურებს და რადგან მკურნალობაში წინსვლა არა გვაქვს, თავს დამნაშავედ ვგრძნობ...
(მართას სიცილი წასკდება)

ზიგმუნდი: ეს შენთვის სასაცილოა?!
მართა: დიახ... *(ციინის)* ანუ არა... ანუ... დიახ.
ზიგმუნდი: ჩემი დანაშაულის განცდა ასე გახალისებს? თუ წამლის ზემოქმედების ქვეშ ხარ...
მართა: *(ციინის)* შენი დანაშაულის განცდის გამო არ ვიცინი, ზიგი... მე უბრალოდ... უნდა გესმოდეს, რომ მთელი ეგ ლეგენდა მებაღეზე მონაჩმახია...
ზიგმუნდი: რაო?

მეთორმეტე სურათი: ქსანტიფე და სოკრატე

ქსანტიფე: გაბღენძილი კუდაბზიკა! აი, ვინ ხარ შენ, გაბღენძილი!
სოკრატე: რას გაძლევს ეგ ლანძღვა, მაინც ვერ გამომცვლის. განაჩენი განაჩენია.
ქსანტიფე: კრიტონმა და ფიდონმა შემომთავაზეს, გავაქცევთო. ფული აქვთ, დარაჯებს მოისყიდიან.
სოკრატე: ვინ თქვა, რომ გაქცევას ვაპირებ?
ქსანტიფე: უნდა გაიქცე, ჩვენთვის.
სოკრატე: ვინც გარბის, დანაშაულს აღიარებს, მე კი უდანაშაულო ვარ! არ გამირყვნია ახალგაზრდობა, არ დამიგმია ღმერთები და არა ვარ მოღალატე! მე არ მითხოვია შეწყალება გახრწნილი და რეგვენი მსაჯულებისათვის, რადგან ფაქტი, რომ სასამართლო შეწყალებას გთავაზობს, იმას მოწმობს, რომ იქ სამართალი არაა.
ქსანტიფე: სამართალი – სულელური სიტყვა კაცებისა, რომ-

ლებსაც თავი ჭკვიანად მოაქვთ. არ არსებობს სამართალი. არსებობს ცოცხალი ან მკვდარი ადამიანი!
სოკრატე: სიკვდილი მე არ მაშინებს. მირჩევნია გავეცალო ამ წამხდარ სამყაროს და გავთავისუფლდე ყველა ბრიყვისაგან, ვინც თავს მსაჯულს უწოდებს. ვინ იცის, იქნებ იმქვეყნად ნამდვილ გმირებს შევხვდე: აგამემნონს, მხედართმთავარს, რომელიც ბერძენთა ჯარს წინამძღოლობდა ტროას ომში, გმირ ოდისევსს, პრომეთეს, რომელმაც ღმერთების თავნებობის წინააღმდეგ წასვლა გაბედა... ჭეშმარიტ ბრძენებს, რომელთაც საკუთარი თავებისთვის არ უღალატიათ ფულის ან სიცოცხლის გამო.
ქსანტიფე: დიახაც უღალატეს, დიახაც უღალატეს! თეატრში ვნახე! აგამემნონმა თავისი ქალიშვილი შესწირა მსხვერპლად ღმერთებს, წინ რომ არ აღდგომოდნენ მის გალაშქრებას ტროაზე, ოდისევსმა სამუდამოდ მიატოვა ცოლი და შენც გვღალატობ მე და ჩვენს შვილებს, მარტოებს გვყრი აქ. ნაცვლად იმისა, რომ აღზარდო შენი შვილები და ასწავლო „სამართლის პრინციპები“, შენ რომ დაწერე, გირჩევნია წარსულის აჩრდილებს შეხვდე, ხოლო შენი ოჯახი მათხოვრის ხვედრისთვის გაიმეტო.
სოკრატე: *(მოთმინებას კარგავს)* არაფერი გესმის? სხვაგვარად არ შემეძლო!
ქსანტიფე: რა თქმა უნდა, შეგეძლო. ყველას შეუძლია სასჯელი აირჩიოს. შენ საწამლავი აირჩიე, თუმცა შეგეძლო გადასახლება აგერჩია.
სოკრატე: რა უნდა ვაკეთო გადასახლებაში?!
ქსანტიფე: ჩვენთან ერთად იქნებოდი. ზღვის პირას ვიცხოვრებდით, დილით სანაპიროზე გახვიდოდი ლამპროკლესთან ერთად სათევზაოდ, შესანიშნავი მებადურია. დაისს ნახავდი ხოლმე, ვარსკვლავებს შეაცქერდებოდი, სოფრონიკუსს

კითხვას ასწავლიდი, მანქსინუსთან ერთად იცინებდი, სასაცილო და თან ჭკვიანი ბავშვია. გუშინ მეკითხებოდა, მას შემდეგ, რაც საწამლავის ჭიქას შესვამენ, შეიძლება თუ არა უკვდავების წყალი დალიონო... იქ, შენი მოწაფეების გარეშე, იქნებ ცოტა დადუმებულიყავი კიდეც და აღარავინ გაგეჯავრებინა. ოჯახად ცხოვრებას მოვახერხებდით.

სოკრატე: ქსანტიფე, მე არ ვარ ზღვის და ვარსკვლავების კაცი, მე ქალაქის და სიტყვის კაცი ვარ, ვალდებული ვარ, ბაზარში წავიდე და ხალხს ველაპარაკო, სტიმული მივცე ფიქრის, ძიების. „ცხოვრება ძიების გარეშე არ ღირს.“ ფილოსოფიის გარეშე ჩემი ცხოვრება ცხოვრება არაა.

ქსანტიფე: დიახ, ფილოსოფიის... ზუსტად ვიცი, რა ფილოსოფიასაც შვრები იქ, კარს უკან, ალკიბიადესთან ერთად.

სოკრატე: რას ნიშნავს „კარს უკან შვრები“?

ქსანტიფე: დიახ. შვრებოდი. უკნიდანაც და წინიდანაც, თავად დავინახე... პირველივე ღამეს ვნახე შენი ფილოსოფია.

სოკრატე: *(ბრაზმორეული)* საცოდავი თაგუნასავით ხვრელიდან იჭყიტებოდი?

ქსანტიფე: არ ვიჭყიტებოდი. კარს მიღმიდან გისმენდი, სწავლა მწყუროდა, მაგრამ ის ვისწავლე, რომ სიბრძნე მხოლოდ საბაბია შენი მრუშობის!

სოკრატე: შენ ვინ ხარ, რომ ჩირქს სცხებ ჩემსა და სიბრძნის მოყვარულთა შორის ურთიერთობას? შენ, რომელიც მთელ დღეს რვაფეხებთან აგდიხარ?... შეგიძლია მეძახო გაბღენძილი კუდაბზიკა, რომელიც მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს, შეგიძლია მამუნათო, რომ ბავშვებს უპატრონოდ ვყრი, მაგრამ ტალახში ამოსვარო ჩემი საუბრები ჩემს მეგობრებთან?! ერთხელ მაინც აზრი თუ დაგიტანებია ფიქრისთვის?

ქსანტიფე: ვოცნებობდი, რომ აზროვნებას მასწავლიდი, რომ ბუნების საიდუმლოებებს გამიზიარებდი, მასწავლიდი, რომ

გორ გვეჩურჩულება აფროდიტე ყვავილების ნექტრიდან, მინდოდა პოეტი ვყოფილიყავი, ნაცვლად ამისა, რვაფეხების გამყიდველად ვიქეცი. მამას არ უნდოდა, რომ შენ გამოგყოლოდი. ჯერ სულ ბავშვი ხარ, კიდევ ბევრი ითხოვს შენს ხელსო. ცხადია იცოდა, რასაც შენზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ მე ჩერჩეტს ფილოსოფოსი მინდოდა. მეგონა, ბაზარში რომ წავიდოდი, გზას დამითმობდნენ, ამის ნაცვლად ცხვირზე ხელს იჭერენ თევზის სიმყრალის გამო, აბუჩად მიგდებენ და ზურგსუკან დაცინვით რქებს მადგამენ. შენ გგონია, რამეს წარმოადგენ, რადგან ლამაზი სიტყვები იცი? შენი სხეული ვნებითაა აღსავსე, ისე როგორც ყველა ადამიანის, ჩემი თვალით ვნახე. ვნახე, როგორ მისჩერებოდი ახალგაზრდა ალკიბიადეს სიყვარულის ცრემლჩამდგარი ელვარე თვალებით, როგორ ეფერებოდი, შეხებას ევედრებოდი, ტუჩებს სწრაფ-სწრაფად უკოცნიდი... ახალგაზრდა ვიყავი, ლამაზი, დილით ვიბანავე, განვიწმინდე, ჰერასთან ვილოცე, ბედნიერება, ლხინი და ოჯახური მყუდროება რომ მოეცა ჩემთვის. საწოლზე გელოდი მღელვარებით შეპყრობილი, შენ კი მომადექი, როგორც ძროხას, უკნიდან, ყველაფერი შემანთხიე და მერე? არაფერი. არაფერი. არაფერი...

სოკრატე: დაწყნარდი. არ არსებობს ეჭვიანობაზე უარესი თვისება.

ქსანტიფე: შენს შურს რა ვუყოთ ნორჩი ხორცის მიმართ, რომელმაც მოხუცებულობისაგან უნდა გიხსნას? სიცოცხლე გაგვიმწარე.

სოკრატე: გაგიმწარეთ? საერთოდ იცი, სიცოცხლის გამწარება რა არის? საერთოდ იცი, რას ნიშნავს გამწარება?

ქსანტიფე: გამწარება ისაა, როდესაც ტკბილსა და საამურს სიმწარეს ურევენ.

სოკრატე: მაგრამ თუ შენ ამბობ, რომ პირველივე ღამიდან ცუ-

დად იყო ყველაფერი, მაშ, ზუსტად რომ ვთქვათ, რა გაგიმწარეთ?

ქსანტიფე: რატომ მითხოვე? რისთვის? რომ შენთვის რვაფეხები დამეჭირა? რომ გამეჩინა ბავშვები, რომლებზეც არაფერი იცი? შენი მეგობრები რომ გეცინებინა და ჩემზე ტყუილები გელაპარაკა? ავზნიან ქალად და ალქაჯად გამოგყავდი, ყველგან გაისმის: ქსანტიფეს უფრთხილდი; ახლოს არ გაეკარო; დაგგესლავს, როგორც ქსანტიფე; საწყალი, მაგის ცოლი ქსანტიფესავით ავია... და მე ვყლაპავ ყველა ამ წყენას და შეურაცხყოფას, ჩუმად ვარ და საქვეყნოდ არ ვაცხადებ, როგორ ექცევა დიდი ფილოსოფოსი ცოლს.

სოკრატე: ჩემს უკანასკნელ წუთებში კაპასი დედაკაცის თვითსიბრალული უნდა ვისმინო? კმარა, ქალო! სირცხვილი არ გაქვს?

ქსანტიფე: მე არ მაქვს სირცხვილი?.. შენ გული არ გაქვს...

მეცამეტე სურათი: ჯენი და მარქსი

(კარლი პალტოს იძრობს და ქალს ახურავს, ყუთზე ჩამოსვამს და თავს მუხლებზე ადებს. რამდენიმე ხანს ასე სხედან. კარლი განადგურებულია. სიჩუმეა. რაღაც დროის შემდეგ კაცი ჩუმად აქვითინდება)

ჯენი: კარლ? *(სიჩუმე)* ტირი? *(სიჩუმე)*

კარლი: შენ მე გძულვარ...

ჯენი: არ არის მართალი.

კარლი: შენ ეს თქვი, ჯენი და მართალი ხარ... მე მკვლელი ვარ...

ჯენი: არ მიგულისხმია... მე მართლა გულქვა ბურჟუა ვარ, სცენებს ვაწყობ რაღაც სულელური ბოკალის გამო... შენისთანა

გენიოსი ყასბის ვალებისთვის თავს არ უნდა იწუხებდეს... კანკალებ... გცივა?

კარლი: *(თითქოს უძრაობიდან გამოერკვევა)* მორჩა, ჯენი. დასრულდა.

ჯენი: *(დაბნეული)* რა დასრულდა?

კარლი: ყველაფერი! გადავწყვიტე! კმარა, ბარონესა, მე უნივერსიტეტში ვბრუნდები!

ჯენი: რა სისულელეა, იქ რა უნდა ასწავლო?

ჯენი: ფილოსოფია: სოკრატე, პლატონი, არისტოტელე...

ჯენი: მაგრამ შენ ეს გძულს. შენს სტატიებს როდისღა დაწერ? კარლი: მორჩა, ჯენი, აზრი არ აქვს ბრძოლის გაგრძელებას; რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ, მაგრამ ცვლილება ყოვნდება, ხალხს ეშინია, პოლიცია მათ სდევნის, მათ კი ოჯახები ჰყავთ სარჩენი. და მეც მყავს ოჯახი სარჩენი. ეგოისტი ვიყავი, მხოლოდ ჩემს თავზე ვფიქრობდი და თქვენ საფრთხეში გაგდებდით. ის რა კაცია, ექიმი რომ ვერ გამოუძახია თავისი ქალიშვილებისათვის უფულობის გამო?

ჯენი: რევოლუციონერი...

კარლი: უკვე სიძულვილით ვივსები ამ რევოლუციის მიმართ, ჯენი... ნაცვლად სტატიების წერისა, რომელთაც მაინც არავინ კითხულობს, თქვენზე ვიზრუნებ. როგორც საჭიროა, ისე. და თუ უნივერსიტეტში არ მიმიღებენ, ყველანი ამერიკაში წავალთ. გემზე ცეცხლფარეშად მოვეწყობი.

ჯენი: *(იცინის)* წარმოგიდგინე ცეცხლფარეშად გემზე...

კარლი: გვექნება იქ მყუდრო სახლი, ხორცი, ყველი, კვერცხი და კარლ მარქსის ქალიშვილები დაძონძილები აღარ ივლიან... დღეიდან თქვენზე ვზრუნავ, ხოლო ისტორიას სხვებს ვუტოვებ.

ჯენი: ვერ მიატოვებ ამ ყველაფერს

კარლი: მივატოვებ! გათავდა, აღარ არის დემონსტრაციები, კო-

მიტეტები, მგზნებარე კრებები, საიდანაც არაფერი გამოდის, მორჩა, საკმარისია... *(იღებს სტატიას და ხევს)*

ჯენი: *(სტატიას გამოსტაცებს და ცდილობს, ნაკუწები შეაერთოს)* კმარა! კარლ! ამის უფლება არ გაქვს, არ უნდა დავნებდეთ, უკან არ უნდა დავიხიოთ წამიერი სასოწარკვეთის გამო... უკვე იმდენი დავკარგეთ... ორი შვილი შევწირეთ რევოლუციას.

მეთოთხმეტე სურათი: ზიგმუნდი და მართა

ზიგმუნდი: ცხადია, მებაღის ამბავი ზღაპარია, ამას ჩემს თავსაც ვეუბნებოდი, მაგრამ ვამტკიცო, რომ ეს საბრალო ქალი ტყუის?

მართა: შენ თქვი, რომ მას თვეში ერთხელ უტევს ისტერიკა...

ზიგმუნდი: საათივით.

მართა: და ხუთ დღეს გრძელდება.

ზიგმუნდი: არა, ეს არ მითქვამს, თუმცა... კი...

მართა: და თუ შემთხვევით ეს მენსტრუაციის მომდევნო დღეებია?

ზიგმუნდი: შესაძლებელია... ანუ... ნამდვილად შესაძლებელია. ქმარმა რაღაც მანიშნა, თქვა, რომ ქალი იმ დროს ახლოს არ მიკარებსო... მანამდე მას თვიური აქვს, ასე რომ, თანაცხოვრებას ამცირებენ... მაგრამ, ძვირფასო, რა არის, მაშ, შენი დიაგნოზი?

მართა: შენ თქვი, რომ მებაღეს არასოდეს უცდია ქალს თავს დასხმოდა, მე კი გეტყვი, რომ ქალს სწორედ ეს თავდასხმა სწადია.

ზიგმუნდი: რას ნიშნავს სწადია?

მართა: ანუ... ერთგვარი ფანტაზია აქვს ასეთი.

ზიგმუნდი: რატომ უნდა უნდოდეს, რომ ვიღაც მებაღემ მასზე იძალადოს?

მართა: რადგან... ჩვენ, ქალებს, ფანტაზიები გვაქვს... მეც ხანდახან...

ზიგმუნდი: შენ?

მართა: *(გამბედავი აღტკინებით)* ზიგი, შეგიძლია, ლამპა ჩააქრო *(ფროიდი ლამპას დაუწევს)*, ახლა კი მისმინე; რატომ გიყვები, იმიტომ რომ პირველად და უკანასკნელად ვლაპარაკობ ამ თემაზე...

ზიგმუნდი: გისმენ.

მართა: დამპირდი, რომ არასოდეს მთხოვ ამის გამეორებას.

ზიგმუნდი: გპირდები.

მართა: და ასევე არ მომთხოვ კიდევ და კიდევ დეტალებს, ეჭვქვეშ არ დააყენებ ფაქტებს და არ ჩამეძიები, როგორც პაციენტებთან იქცევი.

ზიგმუნდი: მაგრამ მართა, შენი დაკითხვის არავითარი განზრახვა არ მაქვს. შენ არაფერი გაწუხებს, ყველაზე ჯანმრთელი ქალი ხარ, ვისაც ცხოვრებაში შევხვედრივარ... მოწესრიგებული, საქმიანი და მომჭირნე, თან მხიარული, არასოდეს ამბობს უარს მოვალეობების შესრულებაზე. შენ აპპელ...

მართა: მისმინე, ზიგი! ჩემთვის ადვილი არაა ამაზე საუბარი, მაგრამ უბრალოდ ვალდებული ვარ... კარგი... მაშ... ეს იმ დროიდან დაიწყო, როდესაც ოთხი თუ ხუთი წლის ვიყავი. დედასთან და მინასთან ერთად ტყეში წავედი ყვავილების დასაკრეფად. ნაწვიმარზე ტყე შემოდგომის სურნელით გაჯერებულიყო, ისეთი მშვენიერი და დიდრონი სოკოები ამოსულიყვნენ, მათი დაკრეფა მომინდა... დედა და მინა ყვავილებს კრეფდნენ, მე კი სოკოებისკენ წავედი. უცებ მათ გადავაწყდი: ულაყს და ფაშატს. ერთი მეორეზე გადამხობილიყო. ულაყი აღიმართა და ფაშატს მოშორდა... და მე დავინახე... პირველი შემთხვევა იყო, როცა დავინახე... საინტერესო იყო და თან შემზარავი... მერე დავივიწყე ეს ყოველივე... სანამ...

ზიგმუნდი: შენ ეს თავიდან მოიშორე, მართა.

მართა: თავიდან მოვიშორე?...

ზიგმუნდი: შენ იგი მეხსიერების ბნელ უბანში გადააჩოჩე.

მართა: მისმინე, ზიგი, ხელს ნუ მიშლი, გეთაყვა... დავიწყებას მივეცი ეს სანახაობა, ვიდრე ქალურმა სისხლმა არ დამიარა ძარღვებში და მასთან ერთად შეგრძნებებმა, რომელთაც აქ მოაღწიეს *(ძუძუებზე მიუთითებს)* და აქ... *(მორიდებით მიუთითებს სასქესო ორგანოზე)* და ის ხსოვნაც დამიბრუნდა.

ზიგმუნდი: როგორც ხდება ხშირად ქალწულებთან, ელდა რომ ეცემათ სექსუალურ სანახაობას რომ გადააწყდებიან.

მართა: თუმცა შიში არ მიგრძვნია, ზიგი.

ზიგმუნდი: *(ძალზე გაკვირვებული)* არა?!

მართა: პირიქით, ყოველთვის, როცა ის ცხენი გამახსენდებოდა, რაღაცნაირი საამური სითბო მეღვრებოდა. და გარკვეული ხნის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ იმ დროს, როცა ცხენი მაგონდება, ხელს იქ, ქვემოთ ვიდებ... ვმასტურბირებ... სითბო მთელ ტანში მივლის, ყველა კუნჭულს სწვდება, სანამ მღელვარების პიკს არ მიაღწევს... მერე კი ტკბილ, ტკბილ ძილში ვიძირები...

ზიგმუნდი: ესე იგი, შენ...

მართა: ზიგი! შენ დამპირდი.

ზიგმუნდი: შშშ... გისმენ, გისმენ.

მართა: დროთა განმავლობაში ეს სურათი შეიცვალა და ბოლოს ჩემი თავი... ჩემი თავი ცხენზე ვპოვე... რაღაც საშინელება გავაკეთე და ახლა ინტერნატის დირექტორთან უნდა შემიყვანონ, იმიტომ რომ ცუდი გოგო ვიყავი, ტრუსებს არ ვიცვამდი და ვიცოდი, რომ სასჯელს ვიმსახურებდი, რადგან ცუდი, ძალიან ცუდი გოგო ვიყავი. ტყიდან გამოვარდნილი ცხენი ქუჩებში დაჰქროდა, ხოლო მე ცხენზე ვიყავი ამხედრებული, პატარა, უტრუსიკო გოგო. და აი, ცხენი დიდ ნაცრისფერ შენობასთან ჩერდება, მე ცხენიდან ჩამოვდივარ, კარს ვაღებ და გრძელ, გრძელ დერეფანში მივაბიჯებ. ვიცი, რომ სასჯელი მეკუთვნის, რადგან კარგი გოგონა არ ვარ, გაფუჭებული ბავშვი ვარ, და მაშინ ვიღაც შემაგდებს დირექტორის კაბინეტში. იგი მაგიდას უზის და ღვინოს სვამს... მიხმობს, მივუახლოვდე და იქვე დავდგე. ვუახლოვდები, ის ჭიქა ღვინოს მომართმევს და მიბრძანებს, დავლიო. ვსვამ. სასმელი ცოტა მწარეა, ტუჩებს ვიწმენდ და უეცრად იგი თავის გაჩაჩხულ მუხლებზე დამისვამს, ვლოცულობ, ეს არ გააკეთოს, მაგრამ... ხელს მიყოფს კაბის ქვეშ და ამბობს: „რა არის ეს, პაწაწა ქალწული... უტრუსიკოა?“ და მაშინ... თვალის დახამხამებაში თავის სარცხვენელზე შემომიჯენს... და ტაკუნებზე მიტყაპუნებს. მისი სიტყვები თანდათან სიმღერას ემსგავსებოდა: „ეს პაწაწა ქალწული... უტრუსიკო, უსირცხვილო, უსირცხვილო, უსირცხვილო... / ეს პაწაწა ქალწული, უტრუსიკო, უსირცხვილო, უსირცხვილო, უსირცხვილო / ეს პაწაწა ქალწული, უტრუსიკო, უსირცხვილო / პაწაწა უსირცხვილო უსირცხვილო უსირცხვილო... და მაშინ, იმწუთას ვგრძნობ ტკ... ტკ.. ტკ...

ზიგმუნდი: ტკივილს?

მართა: ტკბობას... არაამქვეყნიურ ნეტარებას... მას აქეთ, ყოველთვის, როცა ცოლის მოვალეობას ვასრულებ, მერე შენ შენს სიზმრებიან ძილქუშში იძირები, ხოლო მე თვალს რული არ მეკარება, უბრალოდ...

ზიგმუნდი: შემოაჯდები ცხენს და დირექტორის კაბინეტისკენ მიაგელვებ...

მართა: ზუსტად, ზიგი. არც რამის გაკეთება მჭირდება, მხოლოდ წარმოვიდგენ... ისეთ რამეებს, რაც არასოდეს მომხდარა, ინტერნატის დირექტორს ჩემთან სქესობრივი აქტი არ ჰქონია, ინტერნატში ხომ საერთოდ არ ვყოფილვარ... იცი, მე ამას ჩემს ფუჭ წარმოდგენებს ვეძახი.

ზიგმუნდი: შენს როგორ წარმოდგენებს?

მართა: ჩემს ფუჭ წარმოდგენებს: ჩემი, ლიზა როზენშტეინის და სხვა პაციენტების...

ზიგმუნდი: მაგრამ მართა, ეს შეუძლებელია, თუ ეს მართალია. მაშ, ამტკიცებ, რომ ჩემი პაციენტი მატყუებს?

მართა: ის არ გატყუებს, ზიგი, ის, უბრალოდ, ჩემსავით წარმოისახავს.

ზიგმუნდი: *(აღფრთოვანებით)* მაშ, შენ ამბობ, რომ ლიზა როზენშტეინს კი არ ეჩვენება, რომ მებაღეს მასზე თავდასხმა სწადია, იგი უბრალოდ წარმოიდგენს, რომ მებაღე მას ენერგიულად ხმარობს და ქალი ამით ნეტარებას განიცდის. მაგრამ მერე სინდისი ქენჯნის და აფიქრებინებს, რომ ქმარს ღალატობს...

მართა: მასზე 30 წლით უფროსს, მებაღე ბიჭი კი ახალგაზრდა და ღონიერია...

ზიგმუნდი: ისეთი, როგორსაც ქალი ისურვებდა თავის ლოგინში...

მართა: ზუსტადაც, ზიგი. ლიზა როზენშტეინს ქმარი უყვარს...

ზიგი: მაგრამ ქმრის ფიზიკური სხეული არცთუ მიმზიდველად გამოიყურება, და ამიტომ მებაღესთან თავისი ფუჭი წარმოდგენებით ახდენს დანაკლისის კომპენსაციას, და რადგან კარგად აღზრდილი და განათლებული ქალია, თავს დამნაშავედ გრძნობს, სჯის საკუთარ თავს აუტანელი შაკიკით და საზარდულის მიდამოებში დაბუჟებით... სწორედ ამას ვფიქრობდი მთელი ამ ხნის განმავლობაში! ვიცოდი, ვგრძნობდი და ახლა ვიპოვე ის ნაკლული ნაწილი *(საწერ დაფას მიუჯდება და წერას იწყებს)* „ფუჭი წარმოდგენები ფიზიკურად საგრძნობ ტკივილებად იქცევა... *(აქ ჩერდება, რომ წამით დაფიქრდეს)* ერთი წუთით: ის, ფაქტობრივად... ჯავრს მებაღეებზე იყრის, თავისი წარმოდგენებით სვრის მათ და ბინძურ კაცებად გამოჰყავს...

მართა: სწორია, ზიგი, ეგ დაჟინება მებაღის გაგდებისა, სხვა

არაფერია, თუ არა „ჯავრისყრა“, როგორც ამწუთას თქვი. „ჯავრისყრა“, ეს კარგად ჟღერს. დაიმახსოვრე ეს სიტყვა, maine liebe…

ზიგი: „ჯავრისყრა“ ტყუპისცალია „თავიდან მოშორების“.

მართა: მე მივუჩენ მას ადგილს, როდესაც შენს ახალ წიგნზე დაიწყებ მუშაობას...

ზიგი: *(ხმამაღლა ფიქრს განაგრძობს)* მაშ, იმისათვის, რომ ავადმყოფი განვკურნო, თავის ფუჭ წარმოდგენებს უნდა დავაპირისპირო, უნდა ვაღიარებინო ისინი და ავუხსნა, რომ დანაშაულის განცდაა მისი ტკივილების წყარო, და რომ მას, ფაქტობრივად, დაუკმაყოფილებელი ლტოლვა სტანჯავს. იმის გამო, რომ ვერ ახერხებს სრული ორგაზმის მიღწევას ქმართან *(აქ აზრი გაუელვებს თავში)*, რომელიც... ვერ აკმაყოფილებს ქალს... მართა?!

მართა: რაო, ბაჭია?

ზიგმუნდი: შენ, ფაქტობრივად, მღალატობ!

მეთხუთმეტე სურათი: ჯენი და მარქსი

კარლი: რა აზრი აქვს მთელ ამ რევოლუციას, თუ შენ აღარ გიყვარვარ.

ჯენი: მე ეს არ მითქვამს.

კარლი: შენ თქვი, რომ გძულვარ და მართალიც ხარ, მეც მძულს ჩემი თავი...

ჯენი: სისულელეა, კარლ, რომ მძულხარ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ მიყვარხარ...

კარლი: მართლა?

ჯენი: ცხადია, სულელო *(კოცნის)*. მოდი, წავიდეთ, საშინელი სიცივეა, ეს ღამე გოგონებთან ერთად ეკლესიაში გავათიოთ,

ხვალ ენგელსს მივწეროთ, რაღაც ზომებს მიიღებს, მივწეროთ ასევე „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“ – გაუხარდება.

კარლი: და შენი მრისხანებაც დავურთოთ წერილს.

ჯენი: მრისხანება?

კარლი: არასოდეს მინახიხარ ასე გაცეცხლებული, რაოდენი ენერგია მოდიოდა შენგან, რა ძალა! და ეს ყოველივე სიცივის, შიმშილისა და ამ დამპალი სახლის პატრონისაგან ნაგემები დამცირების გამო. ამ ტანჯვაშია, აქაა ჩვენი ცეცხლი, ჯენი... ამისკენ უნდა მოვმართოთ ერთმანეთი ქარხნებიდან მომავლებმა.

ჯენი: ზუსტად! უნდა მოვრჩეთ მათთან მაღალფარდოვანი სიტყვებით საუბარს სამართლიანობასა და თანასწორობაზე, წამდაუწუმ უნდა ვახსენებდეთ, რომ მაშინ, როცა ისინი სიცივისაგან ითოშებიან და გროშებს ითვლიან, ადამიანები, რომელთაც ცხოვრებაში აგური აგურზე არ დაუდიათ, ბუხართან მოკალათებულან, ნარჩენებს კატებს უყრიან და აბუჩად იგდებენ ყველას, ვინც დილის ხუთ საათზე დგება და სამუშაოდ მიდის ამ ლონდონურ სუსხში...

კარლი: სწორია, ჯენი, ხაზი უნდა გაესვას ამ სხვაობებს, უნდა ვუამბოთ მათ ბურჟუათა ფუტურო და უდარდელ ყოფაზე...

ჯენი: ზიზღი უნდა აღვძრათ მათში ამ ადამიანების მიმართ და სიამაყე ვაგრძნობინოთ იმის გამო, რასაც ისინი წარმოადგენენ...

კარლი: მე კი, მაგალითად, უნდა გამოვდგე... ხვალვე წავალ რკინიგზაში, რომ მოხელის ვაკანსიაზე ჩემი კანდიდატურა წარვუდგინო.

ჯენი: ეგ რაღა მოიგონე ახლა...

კარლი: ჰო, განცხადება ვნახე გაზეთში.

ჯენი: მაგრამ მოხელედ ვერ ივარგებ, ბუზღუნა ხარ, საშინელი

კალიგრაფია გაქვს, მთელ მათ აღრიცხვებში ყველაფერს აურ-დაურევ. მე წავალ! მე ავდგები დილით ადრე, შენ გოგონები გააღვიძე და აჭამე, სანამ მუზეუმში წახვალ.

კარლი: არავითარ შემთხვევაში! რკინიგზაში სამუშაოდ არ გაგიშვებ.

ჯენი: რატომ?

კარლი: იმიტომ რომ შენი ჩემი მშვენიერი ბარონესა ხარ... *(კოცნის)*

მეთექვსმეტე სურათი: მართა და ზიგმუნდი

მართა: გღალატობ?

ზიგმუნდი: და მე სიამოვნებასაც კი ვიღებ ამით... ღვთის გულისათვის, მართა!

მართა: ჩემო ბაჭია, რა სისულელეა, ეს ხომ არასოდეს ყოფილა...

ზიგმუნდი: და რამდენ ხანს... გრძელდებოდა შენი ეს ფუჭი წარმოდგენები?..

მართა: ეს ჩვენი ნიშნობის პერიოდში დაიწყო, ოთხი წელი დიდი დროა, ზიგი, მაშინ ამ წარმოსახვებით ვიკვებებოდი, თან თავს ვეფიცებოდი, რომ გათხოვებისთანავე შევწყვეტდი და მართლაც შევძელი მათი დავიწყება მოკლე ხნით, მაგრამ მერე თავბრუსხვევები დამეწყო, დავინახე, რომ ეს ქიმერები ქრებოდნენ, რამდენჯერაც თავს უფლება მივეცი, წარმომედგინა და ამით დავმტკბარიყავი... ახლა ისე მიხარია, რომ გითხარი... რადგან მუდმივად ვგრძნობდი, რომ...

ზიგმუნდი: მატყუებდი?

მართა: არ გატყუებდი, თუმცა... რა მნიშვნელობა აქვს, ჩემო ბაჭია... დამპირდი, რომ ამაზე აღარ ვილაპარაკებდით... მორჩა, გულზე მომეშვა. ახლა კი, როცა საიდუმლოებები აღარ გვაქვს, მოდი ჩემთან, ლოგინში... შენი აპპელშტრუდელი გელის...

(აღსავსე ჟინით, წადილითა და სიმამაცით, კოკაინმა და აღსარებამ რომ მოჰგვარა, მართა ცდილობს, კაცი მიიზიდოს, საწოლის შუაში წვება, მაგრამ ვერაფერს ახერხებენ) შენი ნოტიო, ნაღებიანი, ცხელი აპპელშტრუდელი ვარ... (გულმოდგინედ ცდილობს აღაგზნოს, მაგრამ ამაოდ – ზიგის მის მიმართ ვნება ისე გაჰქრობია, თითქოს არც ყოფილიყოს) ზიგი!

ზიგმუნდი: ახლა არა, მართა... პოზებიც, წარმოსახვებიც... ეს ჯერ უნდა მოვინელო...

მეჩვიდმეტე სურათი: სოკრატე და ქსანტიფე

სოკრატე: მართალი ხარ. უსამართლოდ მოგექეცით, შენც მიგაგდე და ჩვენი შვილებიც ღვთის ანაბარა დავყარე, მაგრამ მართლა არ შემეძლო სხვაგვარად. ამქვეყნად მისთვის მოვედი, რომ ბორა ბუზივით ვიცხოვრო. გინახავს ოდესმე ბორა ბუზი? კანს ეკრობა, ჩხვლეტს, კბენს და არავის მოსვენებას არ აძლევს. მეც ეგრე ვარ: ვეკითხები, კვლავ ვუბრუნებ კითხვას, თავდაყირა ვაყენებ ნებისმიერ მტკიცებას, მთქმელს წინ სარკეს ვუდგამ, სინამდვილეში უკეთ რომ ჩაიხედოს. მე მათ სტიმულს ვაძლევ, ეძიონ სიკეთე, სიმართლე და სამართლიანობა, ისე რომ არ შეუშინდნენ ძლიერთა ამა ქვეყნისათა, რომლებიც ემუქრებიან ვაჭრებს ბაზარში, კიდევ მეტი ქონება რომ გამოსძალონ, რომლებიც საზარბაზნე ხორცად გზავნიან ადამიანებს ომში თავიანთი პატივმოყვარეობის გამო, რომლებიც ბოროტად იყენებენ მათ, ვინც ვერ აზროვნებს, რადგან მათ მშობლებს მასწავლებლების დასაქირავებელი ფული არ ჰქონდათ.

ქსანტიფე: პოლიტიკაში რატომ არ წახვედი? ხომ გთხოვეს? შეგეძლო, ყველაფერი შეგეცვალა.

სოკრატე: არ შემეძლო. მოდი, საიდუმლოს გაგანდობ: ბავშვობიდან ჩამჩურჩულებს ხმა და მმართავს, რა გავაკეთო, რას ავარიდო თავი და ყოველთვის, როცა ჩემი გაპოლიტიკანება ან გაჯარისკაცება მოინდომეს, ხმა მამუნათებდა, ძალაუფლებით ტკბობას მაშორებდა და მეუბნებოდა: „სოკრატე, ბატონკაცობა მოგნდომებია? კანონები გინდა გამოსცე? არ ხარ შენ ძალის და ძალმომრეობის კაცი, შენ მბრძანებლობა არ შეგიძლია, ამისთვის არ მოვლენილხარ ქვეყანას, წადი, სოკრატე, ხალხში გადი...“

ქსანტიფე: *(ბავშვივით მოჯადოებული)* მაშ, ესაა შენი წარმოსახვა?

სოკრატე: *(გახალისებული)* კარს მიღმიდან ამაზეც მოისმინე?

ქსანტიფე: ყოველთვის, როცა შემთხვევა მომეცემოდა, გისმენდი...

სოკრატე: დიახ, ესაა ჩემი წარმოსახვა და ამგვარად, მაგზავნის იგი ყოველდღე ბაზარში, სიბრძნის ძალა რომ აღვძრა ყოველ ადამიანში... უსასყიდლოდ. ნუ ბრაზობ მასზე, ვინც მხოლოდ თავის მისიას ასრულებს.

ქსანტიფე: და მე რა მეშველება? მეც მინდა სწავლა... ჩემში რატომ არ გააღვიძე სიბრძნის ძალა?

სოკრატე: შენ ქალი ხარ.

ქსანტიფე: მერე რა? უფლება არ მაქვს აზროვნების, შემეცნების? მხოლოდ სხეული განსაზღვრავს სულის ბედისწერას?

სოკრატე: სწავლა გინდა?

ქსანტიფე: დიახ...

სოკრატე: რისი სწავლა გინდა?

ქსანტიფე: რატომ უყვარს მავანს ერთი ვიღაც და არა მეორე?

სოკრატე: სიყვარული რაღაა, ქსანტიფე?

ქსანტიფე: სიყვარული ისაა, მე რომ გისმენ, როგორ იცინი კარს მიღმა კრიტონთან ერთად და ვტირი...

სოკრატე: რატომ ტირი?

ქსანტიფე: ეჭვიანობის გამო.

სოკრატე: ეჭვიანობა რაღაა?

ქსანტიფე: გინდა შენი იყოს, ამ დროს შენი არაა და ამის გამო ბრაზობ.

სოკრატე: ლამაზად თქვი... თუ ასეა, სიყვარული ბრაზია?

ქსანტიფე: არა... სიყვარული რაღაც მშვენიერი და კარგია... ნაზი, როგორც პეპელა...

სოკრატე: მაშ, თუ ეჭვიანობა ბრაზია, ხოლო სიყვარული არაა ბრაზი... მაშ, სიყვარული არ ყოფილა ეჭვიანობა, ხომ?

ქსანტიფე: მართალია.

სოკრატე: აბა, რა არის სიყვარული? მეორედ სცადე...

ქსანტიფე: სიყვარული ისაა, მე რომ ბაღში გაფურჩქნილი ყვავილის ფოთოლს ნება-ნება, ნაზად ვეფერები, სიყვარული ისაა, ლამფროკლესი რომ იცინის და მეც მასთან ერთად ვიცინი... სიყვარული ისაა, შენ რომ გძინავს და მე ჩუმად რომ გიმზერ...

სოკრატე: კარგად თქვი, ქსანტიფე, ჭეშმარიტებას უახლოვდები. არის სიყვარულის წამები, რომელშიც არაა ბრაზი თუ ეჭვი, და რა აქვს საერთო ყველა ამ წამს?

ქსანტიფე: ის რომ... ტანში სიამეს მგვრიან...

სოკრატე: ტანში სად... ?

ქსანტიფე: *(ხელს გულზე იდებს)* აქ...

სოკრატე: გულში... ?

ქსანტიფე: დიახ, გულში.

სოკრატე: და გული რას შვრება?

ქსანტიფე: ფეთქავს?

სოკრატე: ფეთქავს... და მისი ფეთქვა გვაცოცხლებს, არა?

ქსანტიფე: დიახ.

სოკრატე: და ვინ უბრძანებს მას, იფეთქოს?

ქსანტიფე: *(ფიქრობს)* თავისით.... ის თავისით ფეთქავს.

სოკრატე: სწორია. და შეიძლება ვთხოვოთ, იფეთქოს თუ არა?

ქსანტიფე: *(ყოყმანობს)* არა... შეუძლებელია.

სოკრატე: სწორია. შეუძლებელია. გული თავისი სურვილით ფეთქავს ან არ ფეთქავს. იქნებ ახლა შეძლო გაიგო, მავანს რატომ უყვარს ერთი ვიღაც და არა მეორე.

ქსანტიფე: რადგან მის გულს ასე სწადია?

სოკრატე: დიახ... შეუძლებელია, გულს რამე უბრძანო.

ქსანტიფე: დასანანია...

სოკრატე: დიახ... დასანანია.

(ჩუმდებიან)

(კარზე კაკუნია. ქსანტიფე კარს ეკვრის)

ქსანტიფე: არა...

სოკრატე: კი... დადგა დრო... უნდა წახვიდე. მეგობრები მოვიდნენ, ჩემთან ერთად ჭიქა შხამი რომ შესვან...

ქსანტიფე: მე მინდა, დავრჩე...

სოკრატე: შეუძლებელია. დაუშვებელია, ემოციური ქალის ქვითინმა წამის სიწმინდე შებღალოს.

ქსანტიფე: და არაფერს მეტყვი?

სოკრატე: სათქმელი აღარაფერია. მე სიკვდილს მივაშურებ, შენ – სიცოცხლეს. ამ ორიდან რომელია უკეთესი ხვედრი, მხოლოდ უფალს მოეხსენება.

(ქსანტიფე აქვითინდება, მართა და ჯენი მასთან მოდიან, ეხვევიან, აცილებენ ციხის საკნიდან. შემოდის მუსიკა და იწყება მოძრაობის ნაწილი)

მსახიობი, რომელიც მართას განასახიერებს:

მართა ფროიდმა ზიგმუნდს ექვსი შვილი გაუჩინა. მთელი თავისი სიცოცხლე ერთგულად უვლიდა ქმარს. ასწორებდა მის წიგნებს, ამხნევებდა მას და ეთაყვანებოდა მის სამკურნალო მეთოდს, თვალს ხუჭავდა საკუთარ დასა და ქმარს შორის რომანზე. მან სიცოცხლე შესწირა ქმრისთვის ისეთი გარემოს შექმნას, რამაც ზიგმუნდს შეაძლებინა, საქმისა და საფიქრალისთვის მიეძღვნა ცხოვრება. ზიგმუნდ ფროიდზე დაწერილ უკანასკნელ ბიოგრაფიაში ერთი თავი მართას მიეძღვნა.

მსახიობი, რომელიც ჯენის განასახიერებს:

ჯენი მარქსმა არისტოკრატიული ოჯახი დატოვა, კარლ მარქსის კვალს რომ გაჰყოლოდა. მან კარლს ექვსი შვილი გაუჩინა, აქედან სამი დაეღუპათ. აქტიურად მონაწილეობდა ქმრის საზოგადოებრივ ბრძოლებში, მასთან ერთად დადიოდა ქარხნებში და რევოლუციური იდეების ჩამოყალიბების საქმეში ქმრისა და ენგელსის პარტნიორი იყო. ჯენი გარდაიცვალა ტუბერკულოზით, კარლ მარქსის აღსრულებამდე ცოტა ხნით ადრე. მისი სახელი დავიწყებას მიეცა.

მსახიობი, რომელიც ქსანტიფეს განასახიერებს:

კაცი არ დაინტერესებულა ქსანტიფეთი სოკრატეს სიკვდილის შემდეგ. ალბათ შვილებზე გადამკვდარ რკინის დედაკაცად ჩამოყალიბდა. მისი სახელი ავი ცოლის სინონიმად იქცა; მხოლოდ ათენის ერთი პატარა ქუჩა ატარებს ქსანტიფეს სახელს და ოდესღაც მის არსებობას გვახსენებს.

დასასრული

საიდუმლოებები

მუსიკალური დრამა ორ მოქმედებად

ადარ გალრონი

(ფილმ „საიდუმლოებების“ მიხედვით, რომლის სცენარიც ავტორმა დაწერა ფილმის რეჟისორთან, ავი ნეშერთან ერთად)

2017 წლის 24 ოქტომბრის ვერსია

მოქმედი პირები:

ნაომი ჰეს – 19 წლის მშვენიერი გოგონა, ულტრაორთოდოქსი, ძალზე ჭკვიანი, მაგრამ შეზღუდული ემოციური სამყაროთი

მიშელ – 21 წლის გოგონა, ულტრაორთოდოქსი, რომელმაც ცხოვრება უმეტესად ევროპაში გაატარა. მეამბოხე და ზემგრძნობიარე

მსაჯული ჰეს – 50-ს გადაცილებული, ნაომის მამა, ღრმა სულიერებით აღსავსე განათლებული ადამიანი

იანკი მეიზლიშ – 26 წლის – მოხეტიალე მუსიკოსი ცფათიდან, კოლორიტული, იუმორითა და ნიჭიერებით სავსე

მიხაელ ნოიგერშელ – 23 წლის – ულტრაორთოდოქსი, ძალზე გონიერი ყმაწვილი, ნაომიზე დანიშნული

შაინე – 23 წლის, ულტრაორთოდოქსი პუტკუნა და სასაცილო გოგონა, რომელიც უიმედოდ ეძებს სასიძოს.

მირი კოჰენ – 26 წლის ქალიშვილი, რელიგიურ ცხოვრებას შემდგარი, ბობოქარი წარსულით

რაბინი ქალი

დვორა ჰალბერშტადტ – 40-ს გადაცილებული ქალბატონი, ქალთა სემინარიის (მიდრაშის) „ცნობა და ცოდნა“ დირექტორი, აქტიური ფემინისტი რელიგიურ წრეებში, იდეალისტი, თუმცა მუდმივად უხდება შეჯახება გენდერულ უთანასწორობასთან.

სემინარიის ქალთა ქორო:

სემინარიის 4 ქალიშვილი –

აბიგაილ (ყველაზე ჭკვიან გოგონად მიიჩნეოდა ნაომის გამოჩენამდე)

ბრახა – დვორას თანაშემწე, მარჯვენა ხელი

ბილჰა

ხავა

ქორწილი (პირველი ნაწილი) –

პატარძალი

ოფიციანტი ქალი – კაფე

იგივე ქალიშვილები განასახიერებენ სხვადასხვა პერსონაჟს კაფეს სცენიდან (ოფიციანტი, კლიენტები...)

დრო: 1996. ცფათი, ისრაელი

პირველი მოქმედება

გახსნის სცენა – (ქორწილი – 1-ლი ნაწილი)

მოქმედი პირები:

ბრახა, ხავა, აბიგაელ, პატარძალი, შაინე, მირი

წამყვანი: *(ჩანაწერი)*

იცოდე, რომ ქალი იწოდება დედრად
სიტყვა დედიდან მომდინარე
ამიტომაც ქალი თავისი ბუნებით მუდამ ელის იმის განცდას, რომ ის მნიშვნელოვანია, კარგია და წარმატებული. და ამიტომ მთელი გულით გაითავისე, როგორ აამო მას, მადლიერებით აღივსო მის მიმართ, ისე რომ იგრძნოს, რომ ცნობ და აღიარებ მის სიკეთეს:

კარგად გამოიყურები, დიდება უფალს,

[მარჯვნიდან პატარძალი შემოდის, ნელი ნაბიჯებით მარცხნივ მიემართება]

მიხარია შენი ნახვა...
შენი სიახლოვე მსიამოვნებს...
სახლი მშვენივრად გამოიყურება...
კერძი გემრიელი გამოგივიდა.

მხოლოდ მაშინ წარმოჩნდება ქალის თვითღირებულება...

ქალს ბუნებრივად გულთან მიაქვს ყველაფერი და მუდმივად შიშობს, არ დაკარგოს ხიბლი

და კარგი გემოვნება ქმართან მიმართებით.

და, სხვათა შორის, ქალმა უნდა გარეცხოს, დააუთოოს, საჭმელი მოამზადოს, გათალოს, დაასუფთაოს, დაალაგოს, მიართვას,

და იზრუნოს იმაზე, რომ სახლში ათასობით რამ იქნება სათანადოდ მოსავლელი

და რომ ყველაფერი ისე მოეწყობა, რომ, როდესაც მშიერი იქნები, საჭმელი მზად იქნება...

და, როგორც ცნობილია, ღმერთმა უფრო მძიმე და მტკივნეული წყევლით დაწყევლა ევა, ვიდრე მისი ქმარი, რადგან პირველი შეცდა და ისიც შეაცდინა.

და როცა შეეცდები ღვთიური წყევლის შემსუბუქებას, მოწყალე ღმერთიც გაგიადვილებს ყოფას, და ნუ გგონია, რომ მძიმეა ეგ დავალება.

მართლა გროშებად შეიძლება იყიდო ქალის გული.

პირველი სურათი (სემინარიის გარეთ)

მოქმედი პირები:

ნაომი, მსაჯული ჰეს, დვორი, შაინე.

[ნაომი ჰეს, 18 წლის, მარჯვნიდან შემოდის, მამამისი – კეთილშობილი გარეგნობის კაცი, მარჯვნიდან შემოდის, ნაომის შემდეგ]. გოგონას ჩემოდანი უჭირავს, მამას – გემარა. ნაომი ღრმად ჩაისუნთქავს და ირგვლივ კმაყოფილებით მიმოიხედავს. მამა მას მისჩერებია.

ნაომი: კარგია აქ, არა, მამა?... აბა, რას იტყვი?

ჰეს: პირველად გხედავ გაღიმებულს დედის სიკვდილის შემდეგ.

ნაომი: მამა... მადლობა. ვიცი, ეს შენთვის ადვილი არ არის.

ჰეს: ვაღიარებ, ბოლო წუთამდე იმედი მქონდა, რომ გადაიფიქრებდი.

ნაომი: ასე მიცნობ?

ჰეს: არა, მაგრამ –

ნაომი: მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი. აქ მინდა ვისწავლო. შენ მე დამპირდი

ჰეს: კარგი, მე ჩემს სიტყვას არ გადავდივარ

ნაომი: *(შიშით)* და... მიხაელს ელაპარაკე ქორწილის გადადებაზე, ხომ?

ჰეს: ჯერ არ მილაპარაკია. *(ნაომის ამაზე რეაქცია აქვს)* დაველაპარაკები, მაგრამ მანამდე კითხვა მაქვს

ნაომი: რა? *(სიჩუმე ჩამოვარდება. ნაომი დაძაბულია)* რა კითხვა?

ჰეს: ღმერთო დაგვიფარე, ხომ არ ყოყმანობ, რა ვქნა?

ნაომი: ღმერთმა დამიფაროს. მიხაელი ყველაზე... ყველაზე ღირსეული საქმროა, ვისაც კი ვისურვებდი. მე, უბრალოდ, ხელის შეწყობა მინდა, რომ ვისწავლო მასავით, შენსავით – 24 საათი დღე-ღამეში... ასე ძნელია ამის გაგება?!

ჰეს: *(წვერს ეფერება)* მაშინაც, როცა პატარა იყავი, გეგონა, გაიზრდებოდი და წვერი გექნებოდა... ნიკაპს ეფერებოდი ხოლმე, დაფიქრებული...

ნაომი: კარგი, მაშინ პატარა ვიყავი! *(სერიოზულად)* მამიკო, მენდე.

ჰეს: *(ოხრავს)* ჩემი პატარა გოგო შინიდან მიდის.

ნაომი: მამა, მე სასწავლებლად მივდივარ. ზაფხულში შინ დავბრუნდები. მიხაელს მივთხოვდები. სულ ეგ არის. რატომ –

(სიტყვა გაუწყდება, როდესაც მათ რაბინი ქალი, დვორა (40-ს გადაცილებული) მიუახლოვდება)

დვორი: მოგესალმებით, პატივცემულო მსაჯულო. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. *(ნაომის ხელს უწვდის)* შენ ალბათ ნაომი ხარ.

ნაომი: დიახ. თქვენ... *(ძალიან ღელავს)* თქვენ რაბი დვორა ბრძანდებით? *[ორივე ხელს ართმევს] (რაბანითი თბილად უღიმის)*

ჰეს: მადლობას გიხდით, რომ დათანხმდით ნაომის მიღებაზე, თანაც ასე ხანმოკლე საცდელი პერიოდით, შუა წელიწადში

დვორი: „წინაპრების საშვი“ აქვს *(ნაომის)* თუმცა დიდი მასალის ამოქაჩვა მოგიხდება...

ჰეს: აჰ! ნაომის არაფრის ამოქაჩვა არ დასჭირდება. ეჭვიც არ მეპარება, რომ არაფრით ჩამოუვარდება თქვენს საუკეთესო მოწაფეებს...

ნაომი: მამა!

დვორი: დარწმუნებული არ ვარ – *(ცნობისმოყვარეობით)*... აქ რამდენიმე ბრწყინვალე მოსწავლე გვყავს –

ნაომი: *(დარცხვენით)* კარგით... მე წავალ... სწავლას შევუდგები...

(ნაომი განზე გადის, ხის კუნძზე ჩამოჯდება, შლის გემარას წიგნს და სწავლობს)

დვორი: *(გაოცებული)* გემარა სად ისწავლა? *(რიტორიკულად)* ბეთ იაკობში ხომ არა?

ჰეს: მე ვასწავლე. *[დარცხვენით]*

დვორი: მეორედ მოსვლაა. პატივცემული მსაჯული, იეშივას თავკაცი ქალიშვილს გემარას ასწავლის?

ჰეს: ცხონებული რაბი ჰირშკოვიჩის უფროსი ქალიშვილი ბნეი ბრაკს ტოვებს და ცფათში გოგონათა მიდრაშს აფუძნებს?

დვორი: ვხედავ, საშინაო დავალება მოგიმზადებიათ...

ჰეს: მამაშენი ჩემი მასწავლებელი და მოძღვარი იყო პონევეჟში.

დვორი: აჰ... *(ცოტა შიშნეულად არკვევს)* მგონი, ბრძანდებოდით მის დაკრძალვაზე, არა?

ჰეს: მე მათ რიგებში არ ვყოფილვარ, ვინც გემუქრებოდა, როცა მამის საფლავზე კადიშის წაკითხვა ითხოვე, თუ ამას გულისხმობ.

დვორი: „გემუქრებოდაო“? ორი დღე გავატარე საავადმყოფოში – მუქარა ნეკნებს არ გიმტვრევს.

ჰეს: ბოლოს ხომ მაინც წაიკითხე კადიში?

დვორი: რასაკვირველია. მხოლოდ იმის გამო, რომ ქალი ვარ, ჩემ ნაცვლად ვინმე თალმიდ-ხახამს უნდა წაეკითხა ობლის კადიში?!

ჰეს: კარგად მესმის შენი გულისტკივილი – ვაჟი არც მე მყავს.

დვორი: *(საუბრის თემას ცვლის)* ნაომი უფროსია?

ჰეს: ერთადერთი მყავს.

ᲓᲕᲝᲠᲘ: ამის გამო ასწავლეთ, ხომ?

ᲰᲔᲡ: არა, არა. ეს მისი სურვილი იყო... ჯერ კიდევ ბავშვობაში.

ᲓᲕᲝᲠᲘ: არ არის მარტივი, არა?

ᲰᲔᲡ: ბოდიში?

ᲓᲕᲝᲠᲘ: არ არის მარტივი ასეთი გოგონას აღზრდა საზოგადოებაში, სადაც ქალიშვილს ნიჭიერება ნაკლად ეთვლება.

ᲰᲔᲡ: *(ღიმილით)* მამაშენის სიფიცხე გამოგყოლია.

ᲓᲕᲝᲠᲘ: სხვათა შორის, ეს ფრაზა დედაჩემისაა. *(მცირე პაუზა)* პატივცემულო მსაჯულო, ჩემი სკოლა რატომ აირჩიეთ?

ᲰᲔᲡ: ნაომიმ აირჩია. ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, ქალბატონო დვოირე, ნაომი არც ერთ მიდრაშს ახლოსაც არ გაეკარებოდა.

ᲓᲕᲝᲠᲘ: *(თავშეკავებით)* მაშ, რატომღა მოიყვანეთ?

(ნაომი თავს მაღლა სწევს და საუბარს ყურს უგდებს)

ᲰᲔᲡ: დავმორჩილდი. *(ოხრავს)* დედის შვიდის აქეთ – თითქმის არ ლაპარაკობს, არ ჭამს. ექიმებს რჩევა ვკითხე, მაგრამ წამლების გაგონებაც არ უნდა. მაშინ ვკითხე – რა გიშველის-მეთქი? პასუხი იგივე იყო, უკვე მრავალჯერ ნათქვამი: მიდრაშში ვისწავლიო.

ᲓᲕᲝᲠᲘ: დიდი შვება და ნუგეშია სწავლაში. ჩვენ კი შესანიშნავი სასწავლო პროგრამა გვაქვს.

ᲰᲔᲡ: ჩემთვის სწავლა იმდენად მნიშვნელოვანი არაა... მე მინდა, რომ ნაომის გულის გაღებაში დაეხმარო. ასწავლე, რა არის ქალობა, „სიბრძნე ქალისა, სახლის აღმაშენებლისა“.

ᲓᲕᲝᲠᲘ: პატივცემულო მსაჯულო, თქვენი მშვენიერი ქალიშვილი აქ მხოლოდ იმისთვის მომიყვანეთ, რომ სასიძო მოვუძებნო?

ᲰᲔᲡ: ღმერთმა დამიფაროს! სასიძო, მადლობა ღმერთს, უკვე გვყავს, თუმცა ნაომი დაბნეულია, სწავლა ითხოვა – მიიღო.

მხოლოდ იმაზე იზრუნეთ, რომ გზას არ აცდეს. ზაფხულში შინ უნდა დაბრუნდეს, უნდა იქორწინოს.

ᲓᲕᲝᲠᲘ: დიახ, აქ ყველა ქალიშვილი ასე იქცევა. *(პაუზა)*

ᲰᲔᲡ: ნაომი – *(ᲰᲔᲡᲘ ᲧᲝᲧᲛᲐᲜᲝᲑᲡ)*

ᲓᲕᲝᲠᲘ: ბატონო?

ᲰᲔᲡ: *(სხვა სიტყვებით განაგრძობს)* მხოლოდ ეს მყავს ქვეყნად.

ᲓᲕᲝᲠᲘ: ჯავრი არ გქონდეთ. თვალის ჩინივით გავუფრთხილდები.

ᲰᲔᲡ: უღრმესი მადლობა!

ᲓᲕᲝᲠᲘ: *(პულსაცია)* პატივცემულო მსაჯულო, მეც მაქვს მცირე თხოვნა, თუ ნებას დამრთავთ.

ᲰᲔᲡ: ბრძანე.

ᲓᲕᲝᲠᲘ: ეს მიდრაში, სტაჟის მიხედვით, უკვე იმსახურებს რელიგიური საბჭოს მხარდაჭერას – მაგრამ, ფაქტობრივად, საზღვარგარეთიდან მიღებული შემოწირულობებით სულდგმულობს – რაც მაიძულებს, ნაკლებად შესაფერისი ქალიშვილებიც მივიღო.

ᲰᲔᲡ: რაც გერგებათ, გერგებათ. დაველაპარაკები, ვისაც საჭიროა.

ᲓᲕᲝᲠᲘ: დიდი მადლობა. ინებებთ მიდრაშის დათვალიერებას?

ᲰᲔᲡ: სხვა დროს იყოს. ბნეი ბრაკში უნდა დავბრუნდე.

ᲓᲕᲝᲠᲘ: კეთილი მგზავრობა.

ᲰᲔᲡ: ნაომი...

(ᲰᲔᲡᲘ ᲔᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲔᲑᲐ ᲜᲐᲝᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲘᲡ. ᲘᲛᲐᲕᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲡᲘᲦᲠᲛᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲡ ᲨᲐᲘᲜᲔ, 22 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲣᲢᲙᲣᲜᲐ ᲓᲐ ᲔᲨᲮᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ)

ᲓᲕᲝᲠᲘ: *(ᲨᲔᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲔᲫᲐᲮᲘᲡ)* შაინე! მოდი ერთი წუთით! *(შაინე მოდის)* მიდრაშში ახალი მოსწავლე მოვიდა.

ᲨᲐᲘᲜᲔ: ოჰ, მართლა? ახლა?!

დვორი: ასეა. შეგიძლია, მისი ნივთები ოთახში აიტანო? *(ნაომის)* ნაომი! მოდი.

შაინე: რომელ ოთახში?

რაბანითი: *(ნაომის)* შაინე გაგაცილებს *(შაინეს)* შენთან არის თავისუფალი საწოლი, არა?

შაინე: *(მაშინვე)* არა. ანუ არის, მაგრამ ზედ მატრასი არაა. შემიძლია მოვუტანო. მოვუტანო? მოვუტან.

რაბანითი: მადლობა. *[მიდის. შედგება]* როცა მიშელს ნახავ, უთხარი, რომ ჯერ კიდევ ველოდები.

შაინე: აჰ, სად?

რაბანითი: თავად მომძებნოს. *(დვორი მიდის. უხერხული წამი)*

შაინე: ...კარგი. *(გაბედულად დასწვდება ჩემოდანს და პარკს)* წამოდი. ესეც შენია?

ნაომი: კი. შეიძლება ჯერ ბეთ მიდრაშში წავიდეთ?

შაინე: რა, ამ ყველაფრით? კარგი, წავიდეთ – ცოტა ვარჯიში არ გვაწყენს *(მიმართულებას იცვლის, ენთუზიაზმით)* ოჰ! საღამოს ცფათი ხომ არ დაგათვალიერებინოთ? ფანტასტიკურია ღამით...

ნაომი: ცფათს შესანიშნავად ვიცნობ. როცა პატარა ვიყავი, დედას ხშირად ამოვყავდი ხოლმე აქეთ – ასთმის გამო *(დასძენს)* ღმერთმა აცხონოს.

შაინე: ასთმა აცხონოს ღმერთმა?

ნაომი: რა??... დედაჩემი.

შაინე: აჰ! უი! მაპატიე, მაპატიე! რა, დედა არ გყავს? ღმერთო მომკალი! ანუ... დიდი ხნის ამბავია თუ რა?

ნაომი: სამი თვეა.

შაინე: აჰ! ახალი ყოფილა... არა უშავს – ანუ უშავს... მარა *(ნაომი უკვე წავიდა)* მოკეტე შაინე. *(გადის)*

2. მეორე სურათი – (ქალიშვილების ოთახი მიდრაშში / ერთი საათის შემდეგ)

პერონაჟები:

მიშელ, მირი, შაინე, ნაომი –

(ოთახი მიდრაშში. ერთ-ერთ საწოლზე მოკალათებულია მირი – 26 წლის, რელიგიური ცხოვრების გზაზე შემდგარი, მეტისმეტად მოკრძალებულად ჩაცმული, ყურსასმენებითა და რვეულით. კონცენტრირებული ჩანს. მოულოდნელად შემოდის მიშელი, (18 წლის), ევროპულ სტილში გამოწყობილი, მსუბუქი ფრანგული აქცენტით. ტელეფონზე საუბრობს ზანტად, ფრანგულ-ებრაულად).

მირი: *[თავზე ყურსასმენებით, ყურადღება არ მიუქცევია, როგორ შემოვიდა მიშელი]* „ჩემი მხსნელი ანგელოზი ყველა ბოროტისაგან... ჩემი მხსნელი ანგელოზი...“ *[მიშელი სიგარეტის კოლოფს ესვრის და სიმღერას გააწყვეტინებს]*

მიშელ: ზო დე ფღე პაპა *(ფრანგულად)*... მამიკო, არ არის მართალი, რაც ქალბატონმა რაბინმა გიამბოთ... მე დიახაც ვიცი, რადგან ეს-ესაა მისგან გამოვედი, და ზუსტად მივხვდი, თუ რა უდევს თავში... დამიჯერე, მამიკო, მუსიკოსი დავპატიჟე, ესაა და ეს... რაო?! მამაკაცი *(ჰო)*, მარა დასაკრავად დავპატიჟე, და არა... კაი, ცხადია ეგრევე მაგას ფიქრობ ჩემზე...!

(ნერვიულად თიშავს ტელეფონს. სიგარეტს უკიდებს და მოსაწევად ფანჯრის რაფაზე ჯდება. მირი, რომელიც აქამდე თავის თავში იყო ჩაძირული, კვამლის სუნზე მკვეთრად მიაბიჯებს მიშელისკენ)

მირი: რა ხდება? – ოთახში რატო? *(არ პასუხობს)* მიშელ... გვთხოვეს, ოთახში არ მოვწიოთ.

მიშელ: *(ცინიკურად) [საწოლზე ჯდება]* რას მიზამენ? მიდრაშიდან გამაგდებენ?

მირი: ღმერთმა დაგვიფაროს!

მიშელ: უკვე გამაგდეს.

მირი: რა?

მიშელ: გამრიცხეს.

მირი: ტყუილია! ხუმრობ... შენ აღარ ხუმრობ. რა მოხდა? მიშელ... *(ფანჯრის რაფასთან მიდის, მის გვერდით რომ ჩამოჯდეს. წამით მდუმარედ სხედან. მირი მოსაწევს იღებს)*

მიშელ: რაბანითი ადგა და... *(ცრემლებს უძალიანდება)* მიდრაშიდან გამაპანღურა.

მირი: რატო?!

მიშელ: არ ვიცი. ამბობს, რო მუსიკოსის ამბავმა მოთმინების ფიალა აუვსო.

მირი: შენ რა, მუსიკოსთან გქონდა საქმე??

მიშელ: ღმერთმა დამიფაროს! ყველა ეგრევე მაგას რატო ფიქრობთ ჩემზე? უბრალოდ, ჩვენს გასამხიარულებლად მოვიყვანე.

მირი: აჰ, მადლობა ღმერთს.

მიშელ: რა მადლობა ღმერთს?! გეუბნები, რაბანითმა გამომაგდო-მეთქი!

მირი: იქნებ იმიტომ, რომ გემარას გაკვეთილის დავალება არ მოგიმზადებია...

მიშელ: იმიტო რო ვძულვარ. რა უნდა ჩემგან? დღემდე სტატუს კვო მშვენივრად მუშაობდა. მამაჩემმა ფული შესწირა და აღარ მერჩოდა.

მირი: იმედი მაქვს, მეც არ მომისვრის აქედან. არც მე ჩამიბარებია გემარას დავალება...

(საუბარს წყვეტენ და სიგარეტს აქრობენ, ამ დროს შაინე და ნაომი ოთახში შედიან. შაინე მატრასს მოათრევს)

შაინე: აჰ!.. რაბანითი მაგარი მაჭანკალიც არი, რო იცოდე. აბა, თუ ეძებ...

ნაომი: მე არა.

შაინე: ტყუილად ნუ გამორიცხავ. *(მატრასს დებს)* – ესეც ასე! ესეც ჩვენი პაწაწა ოთახი. *(მიუთითებს)* – ეს მირია – წმინდანი, კისრამდე შეკრული ღილებით... ზღვარგადასული დროსტარებისა და თავაშვებულობის წლებს ჩქმალავს.

მირი: შაინე!

შაინე: შენივე სიტყვებია. ეს კი მიშელია *(ჰაერს ყნოსავს)* – რომელიც ოთახში არასოდეს ეწევა, არა, მიშელ?

ნაომი: *(შემცბარი)* ეწევა?? რას, სიგარეტს?

მიშელ: *(ცინიკურად)* არა... თევზებს ვაბოლებ. *(დემონსტრაციულად ისვრის ნამწვს)*

შაინე: *(ცდილობს, დაამშვიდოს)* აჰ! ხოლო მე შაინე ვარ! შეგიძლია შაინე შაურმე დამიძახო – იმიტომ კი არა, რომ ეგეთი პუტკუნა ვარ, თუმცა არ მაწყენდა, დამეკლო... რამდენიმე... ვაი!

[საწოლისაკენ მიმავალი მიშელ ნაომის ჩემოდანს წამოედება და წაბარბაცდება]

ნაომი: *(წამოიმართება)* ფრთხილად! მანდ წმინდა წიგნებია...

მიშელ: ااااჰ! მე კი კინაღამ კისერი მოვიტეხე.

ნაომი: უპირველეს ყოვლისა, დაიცავ სული შენიო, ნათქვამია. *(ჩემოდანს ხსნის და წიგნების ამოლაგებას იწყებს)*

მიშელ: *(შაინეს, ჩუმად)* ეს ვინ არის?

ნაომი: *(გაიგონა)* მე ნაომი ვარ.

შაინე: ოჰ! რა შტერი ვარ – ეს ნაომია... ნაომი რა გვარი?

ნაომი: ჰეს.

შაილე: ეს ნაომი ჰესია... საიდან?

ნაომი: ბნეი ბრაკიდან.

შაინე: სწორედაც. და ჩვენი თანაოთახელი იქნება.

მირი: რა? უიქენდზე?

შაინე: არა... მიდრაშში მიიღეს. *(ნაომის)* ერთი წუთით, ნაომი „ჰეს“ – არა? მსაჯულ ჰესთან, ბნეი ბრაკში იეშივის „ნეცახ ისრაელ“ დირექტორთან ხომ არაფერი გაკავშირებს?

ნაომი: მამაჩემია.

მიშელ: ah voila!!! *(მირის)* ახლა ყველაფერი ცხადი ხდება, გესმის?

ნაომი: რა უნდა ესმოდეს?

შაინე: რომ შენ, მსაჯულ ჰესის გენიოსი ქალიშვილი, რომელიც დანიშნულია –

მირი: რა შუაშია ახლა ნიშნობა?

შაინე: ოოჰ – არ გესმით – მისი დანიშნული – მიხაელ ნოიგერშელ – ჩვენი უბნელი ფეთახ თიკვაში! წარჩინებული სემინარისტი! მას აქეთ, რაც ხმა გავარდა, დაინიშნაო, მთელი გასათხოვარი გოგოები გულმოკლულები დადიან, არა? გაგიმართლა, ბედი გქონია! ბედნიერებას გისურვებ. შენი წყალი გადმომსხმოდეს. გადმოგვსხმოდეს... რა თქმა უნდა – საცოლე მეგობრები თუ ჰყავს, არ დაგავიწყდეს, რომ მინიმუმ სამი გაუთხოვარი დაქალი გყავს! *(მირის და მიშელს)* არა? *(რეაქცია არაა)* ე! რა დაგემართათ?

(არავითარი რეაქცია, დაძაბული ატმოსფეროა. მიშელი დგება და თავის უჯრას საწოლზე აპირქვავებს)

მირი: რაბანითმა მიშელი მიდრაშიდან გარიცხა.

შაინე: რა?! არااااა... მართლა? რა, *[მიშელს უახლოვდება]* მუსიკოსის გამო?

მიშელ: გეყოფათ, მუსიკოსი, მუსიკოსი! ვერ ხვდებით, რომ ეს საბაბია?! უბრალოდ, ადგილი უნდოდა ერთი მფარველიანისთვის.

ნაომი: მე არაფერ შუაში ვარ...

მიშელ: აჰ, არა? რაბანითი ახალი წლიდან ჩაგვჩიჩინებს, რო ერთი ოჯახი ვართ, რო შეუძლებელია კიდე ვინმე დავიმატოთ... *(შაინე და მირი თავს უკრავენ)* მაშ, ეს როგორ გვიერთდება ასე უცაბედად?! მარტივი მათემატიკაა: ერთი შედის, მეორე გადის.

ნაომი: მამაჩემი ცხოვრებაში არ დათანხმდებოდა, რომ სხვა მოსწავლის ხარჯზე შევსულიყავი მიდრაშში.

მიშელ: მამაშენს არ ვიცნობ, მარა დვორი შეუდარებელი პოლიტიკოსია – და თუ „მსაჯულს“ სწადია, რომ მისმა ქალიშვილმა აქ ისწავლოს და ეს მიდრაშის ავტორიტეტისათვის კარგია... გზაც გამოინახება.

მირი: კმარა, ეს ცილისწამებაა, რაბანითი ეგეთი არ არის.

შაინე: მართლაც, იქნებ გაუგებრობა იყო?

მიშელ: ახლა გაგების პრობლემაც მაქვს?! უკვე ელაპარაკა ჩემს მშობლებს, საფრანგეთისკენ ბილეთზე იზრუნონ!

მირი: მერე მამაშენთან კონტრაქტი?

მიშელ: კაპუტ. ფული, რომელიც დიზაინის შესწავლისთვის ჰქონდათ გადადებული, ახლა ქორწილზე და მზითევზე წავა.

შაინე: ქორწილზე?

მიშელ: დიახ. დედაჩემი უკვე აფრიალებს ყველა მდიდარი მორცხვი ფრანგის სიას, ვისაც ჩემი ხელი სურს.

შაინე: *(მეოცნებე ხმით)* „მდიდარი მორცხვი ფრანგები“... ვაუ... მე გამომიგზავნე ეგენი...

მიშელ: სასაცილო არაა, შაინე.

შაინე: სულაც არ მეცინება!

(დუმილი. მიშელ ნერვიულად ყრის საგნებს ჩემოდანში. ნაომი, რომელიც დაძაბული იყო, თუმცა სიწყნარეს ინარჩუნებდა, დგება და გადის)

შაინე: ოო! მგონი, მართლა ეწყინა

მიშელ: გაუვლის.

მესამე სურათი – (მიდრაში)

მოქმედი პირები:

ბრახა, დვორი, ნაომი, იანკი.

(მიდრაშის შუქი. ბიბლიოთეკის გარემო. ოთახის კუთხეში ქალიშვილი მეცადინეობს განმარტოებით. კიდევ ერთი გოგონა – ბილჰა – ჩურჩულით ეთათბირება დვორის. შემოდის ნაომი, რაბანითს შეამჩნევს და მიუახლოვდება)

ბილჰა: *(კითხულობს)* „რაბი მეირმა თქვა: არ უნდა შეგაშინოს ავსიტყვაობამ – ხოლო მოძღვარნი აცხადებდნენ, გეშინოდეთ ავსიტყავობისო.“

ნაომი: ბოდიში... რაბანით – *(რაბანით თავს მაღლა სწევს)* უნდა დაგელაპარაკოთ.

რაბანით: *(ანიშნებს, მოიცადეო და ბრახას უბრუნდება)* აბა, რა პრობლემაა?

ბილჰა: ჭორების გავრცელება სახელის შელახვის მიზნით განეკუთვნება თუ არა სისხლის სამართალს?

რაბანით: კარგია. კიდევ დაძებნე წყაროები, რაც მსჯელობის განვითარებაში დაგეხმარება *(ათავისუფლებს ბილჰას, რომელიც ბიბლიოთეკისაკენ მიემართება)* ოთახს რამე პრობლემა აქვს?

ნაომი: არა, მაგრამ... არ ვიცოდი, თუ ჩემი აქ მიღების გამო სხვა მოსწავლე უნდა გაგერიცხათ.

რაბანით: ეს არ არის მართალი ... ეს შენ საერთოდ არ გეხება.

ნაომი: რამდენადაც გავიგე, მეხება.

რაბანით: არა. მიშელი თავიდანვე არ შეეფერებოდა მიდრაშს, არც ერთი ვალდებულება არ შეუსრულებია, ხოლო დღეს ისეთი რამ მოხდა, რომ ამის მოთმენა უკვე აღარ შემეძლო.

ნაომი: სწორედ იმ დღეს, როცა მე მოვედი? ეს ძალზე უხერხულ მდგომარეობაში მაყენებს.

რაბანით: ის წავა და ყველაფერი დაწყნარდება.

ნაომი: არ შემიძლია... ეს მთელს ჩემს სწავლას „დანაშაულით მოპოვებულ მადლად“ აქცევს...

რაბანით: რატომ? ხომ გეუბნები, რომ ეს შენ გამო არ ხდება.

ნაომი: მამაჩემმა იცის, რომ დღეს მოსწავლეს რიცხავთ?

რაბანით: არ არის საჭირო, მამა ჩარიო ყოველ-

ნაომი: მე მას უნდა მოვეთათბირო. ჰალახას წესითაც ასეა მართებული –

(მიდრაშის ზღურბლთან ჩნდება იანკი შეფუთული კლარნეტით. მისი იქ ყოფნა ცეცხლზე ნავთს ასხამს.)

იანკი: *(ცივი ხმით)* ვინმემ იცის, სად შემიძლია ვიპოვო მიშელის ნახვა?

დვორი: *(დგება)* უკაცრავად?!

იანკი: მიშელი.

დვორი: *(ხვდება ვინც არის)* მაიზლიშ, ხომ?

იანკი: დიახ, იანკი. იანკი მაიზლიშ – მუსიკოსი გახლავართ.

დვორი: გასაგებია. *(ანიშნებს, მომიახლოვდიო – ნაომის და ბილჰას ესმით)* მიშელს ვერ ნახავთ.

იანკი: კი მაგრამ, შეხვედრა დამითქვა.

დვორი: მან დაგითქვათ?!

იანკი: დიახ, ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

დვორი: გადახდაზე მე ვიზრუნებ.

იანკი: კეთილი... ძაალიან კარგი. იმედი მაქვს, ისიამოვნეთ დღევანდელი დღით – ვერ მივხვდი, შუაში რატომ გამაწყვეტინეთ.

დვორი: იმიტომ გაგაწყვეტინეთ, რომ მთელი ეს ზეიმი ჩემგან ფარულად დაიგეგმა გემარას გაკვეთილის ხარჯზე. იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ მამაკაცი ბრძანდებით.

იანკი: *(კომპლიმენტად იღებს)* აჰ... დიდი მადლობა.

დვორი: მიშელი როგორ დაგიკავშირდათ?

იანკი: ხუთშაბათს საღამოს მნახა, ფარების მოედანზე ვუკრავდი.

დვორი: *(ნაომისკენ მიბრუნებული გამოსცრის)* ჩემი გაკვეთილის ხარჯზე...

იანკი: მკითხა, თავისუფალი თუ ვიყავი, ანუ... დროს თუ გამოვნახავდი წარმოდგენისთვის.

დვორი: დიახ, დიახ, და მერე?

იანკი: მერე თავისუფალი ვიყავი. მე ჯერ კიდევ თავისუფალი ვარ *(ბილჰას უმზერს, ორივე იცინის)*

დვორი: ბილჰა! *(ყურადღებით)* მაშ, ერთმანეთს მოედანზე შეხვდით და აქაც მან დაგითქვათ შეხვედრა, წარმოდგენის შემდეგ?

იანკი: დიახ. არა! უი, უი! ჩვენ ერთმანეთს არ შევხვედრივართ. დარეკა – ტელეფონის ნომერი მანქანაზე მიწერია.

დვორი: თქვით, რომ იქ იყოო.

იანკი: დიახ, მაგრამ მე ის არ მინახავს.

დვორი: აქ ნურავის დაეძებთ, გეთაყვა. მე თქვენს ჰონორარს დედათქვენს გადავცემ, მიკვეში.

იანკი: აჰ! ძალიან კარგი *[გასვლას აპირებს, მაგრამ შეწუხებული შემობრუნდება]*... იმედი მაქვს, საქმე არ გავუფუჭე მას ან ვინმეს.

დვორი: უთქვენოდაც გაფუჭებული აქვს საქმე.

იანკი: ღმერთო დიდებულო... *(თავს უხერხულად გრძნობს)* არა,

მართლა – მეტისმეტად მკაცრად ნუ მოექცევით. წარღვნის თაობაშიც – გამჩენმა ნუგეში ცა ადამიანებს. „ნუგეშ ყო, რამეთუ ქმნა ადამიანი“. ჩემი ბარ-მიცვას საკითხავი იყო.

დვორი: ნუგეშზე სწორედ რომ არ არის მანდ საუბარი.

იანკი: აჰ, არა? *(იანკი დარცხვენილია)*

დვორი: არა. ბილჰა – იქნებ თვალი აუხილო...

ბილჰა: *[ბილჰა წინ მოდის შემცბარი]* ეე.... აქ საუბარია... ეე...

ნაომი: *(თავს ვერ იკავებს)* სინანულზეა საუბარი – არა ნუგეშზე.

ბილჰა: *(იბუზება, პასუხი ცხვირწინ ააცალეს)* სწორია – სინანულია!

ნაომი: *(შეუჩერებლად)* როგორც მეფეთა I-ში, მე-15 თავის მე-11 მუხლშია, როდესაც ღმერთი ეუბნება სამუელ წინასწარმეტყველს: „ვნანობ, საული რომ გავამეფე“. ამრიგად, უფალმა ინანა, საული რომ გაამეფა, და აქაც, წარღვნის თაობაში, ნანობს უფალი, საერთოდ, ადამიანი რომ შექმნა! შესაბამისად, სპობს კიდეც ყველას, გარდა ნოესი და მისი ოჯახისა, რადგან „ბოროტისაკენაა მიდრეკილი კაცის გული სიყრმიდანვე.“

(ყველა გაოგნებულია ნაომის სიტყვებით. რაბანითი შთაბეჭდილების ქვეშაა. ბილჰას ცოტა სიძულვილითაც შესცქერის)

იანკი: ააჰ... ყველაფერი ნათელია, დალოცვის ნაცვლად წყევლა გამომივიდა. იმის ნიშანია, რომ აქედან უნდა მოვუსვა.

დვორი: დედას მოკითხვა. *(იანკი გადის. რაბანითი ნაომის უბრუნდება, იმედგაცრუებულ ბრახას თვალს არიდებს)* იმედი მაქვს, ახლა მიხვდი, ვინ არის მიშელი. დამიჯერე, მას სწავლა არ უნდა.

ნაომი: მამაჩემი ამბობს, რომ ნებისმიერი ადამიანის ფუნდამენტური ლტოლვა სწავლაა. ოღონდ შესაფერი გასაღები უნდა მოუძებნო.

რაბანით: აჰ! ესე იგი, მე ვერ მივაგენი გასაღებს?

ნაომი: არა... ღმერთმა დამიფაროს, ეგ არ მიგულისხმია –

რაბანით: უბედნიერესი ვიქნები, თუ მოახერხებ და აზრს შემაცვლევინებ.

ნაომი: რა? როგორ?

რაბანით: მიშელს დაუმეგობრდი. მე კი ვეტყვი, რომ ბოლო შანსი აქვს, აქ ყოფნა დაიმსახუროს.

ნაომი: არ ვარ ჩვეული კოლექტიურ ურთიერთობებს...

რაბანით: მით უმეტეს *(ნაომის)*

(ბრახას) ბრახა, ყველას აუწყე, რომ კოლექტივის სადისკუსიო პრობლემა თვის თავამდე არის „სიყრმიდან ბოროტისაკენაა მიპყრობილი ადამიანის გულისთქმა.“

4. მეოთხე სურათი –
(მიდრაში / ორი კვირის შემდეგ – შუადღე)

მოქმედი პირები:

ნაომი, მიშელ, შაინე, მირი, დვორი, ბრახა, ბილჰა, აბიგაილ, ხავა.

მიდრაშის ქალიშვილები: *(მღერიან)*

„ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროსა მიმართ წყალთასა, ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!“

ნაომი წიგნებშია ჩაფლული. განმარტოებით ზის, მაგიდის ბოლოში. ქალიშვილები მიშელის თხრობის ფონზე შემოდიან...

მიშელ: გრძნობდა, რომ ატყუებდა, რელიგიური ვარო, მხოლოდ იმისთვის რომ... ხვდებით? მაშინ გოგომ ჰკითხა, იცი ათი მცნებაო. „რა თქმა უნდა, – უპასუხა ბიჭმა, – გადასარევი ფილმია!!“

შაინე: ოო, ნაომი, რატომ არასოდეს სადილობ ჩვენთან ერთად?

ნაომი: *(თავის აუღებლად)* ვერ ვასწრებ.

შაინე: აჰ... რამე ხომ არ მოგიტანო?

ნაომი: გმადლობ, არ მშია.

შაინე: რა მაგარია!

მიშელ: შაინე – ჯერ კიდე ვერ მიმხვდარხარ, რო ნაომი ჩვეულებრივი მოკვდავი არ არი? მას სულიწმიდა ასაზრდოებს...

ბრახა: *(შემოდის)* გოგოებო, რაბანითმა შემოგითვალათ, დღეს ბოროტი საწყისის თემა უნდა ამოწუროთ და თქვენი ნაა-ზრევი წარმოადგინოთო.

(გოგონები წყვილდებიან, გარდა მიშელისა, რომელსაც სწავლა სულ არ ეხალისება)

ნაომი: აბა, მიშელ... მოდიხარ?

მიშელ: კმარა! უკვე ორი კვირაა ვტკეპნით თეორიებს ბოროტ საწყისზე – მაინც აზრზე არ ვარ.

ნაომი: *(თავდაჭერილი)* სწორედ ისეთი რამ ვიპოვე, რომ მგონია, შენ დაგაინტერესებს... არამეულთან როგორ ხარ?

მიშელ: იდიში უკეთ მეხერხება...

ნაომი: აჰ, იდიშზე საუბრობ?

მიშელ: არა!..

ნაომი: კარგი, მე გითარგმნი. *(წიგნს აძლევს)* ბერეშით რაბა, მე-9 თავი, მე-9 მუხლი. გინდა წაგიკითხო? *(მიშელი შესცქერის. ნაომი აგალობებს)* შესაქმის პირველი ხუთი დღის ყოველი დღის ბოლოს ნათქვამია: „და ნახა ღმერთმა, რომ კარგია“, ხოლო მეექვსე დღის ბოლოს, ადამის შექმნის შემდეგ, ნათქვამია: „და აჰა, ძალიან კარგია.“

მიშელ: *(აწყვეტინებს)* მითხარი... შენ და ეგ მიხაელი დიდი ხანია, დანიშნულები ხართ?

ნაომი: სამი თვეა. *(წიგნს უბრუნდება გალობით)* „და აჰა, ძალიან კარგია“ თითქოს კრებითი შეფასებაა ყველა წინამორბედი ნათქვამისა – „და ნახა ღმერთმა, რომ კარგია“. აკი „ძალიან კარგია“ უფრო მაღალი შეფასებაა, ვიდრე „კარგია“, არა?

მიშელ: არ ვიცი, მე მარტო „დამაკმაყოფილებელს“ ან „არადამაკმაყოფილებელს“ ვიცნობ... *(იცინის)*

ნაომი: აბა, ლოგიკურად იფიქრე – „კარგი“ „ძალიან კარგის“ საპირისპიროდ.

მიშელ: დავუშვათ... კონტაქტს ინარჩუნებთ?

ნაომი: რა??

მიშელ: დიდხანს აპირებთ, დანიშნულები იყოთ...

ნაომი: ცხადია, კონტაქტს ვინარჩუნებთ!

მიშელ: გამიგია, რომ არიან რაბინები, რომლებიც წესებს აიოლებენ, განსაკუთრებით, თუ ნიშნობა ხანგრძლივია. ზაფხულამდე არ თხოვდები, არა?

ნაომი: ეს რა შუაშია?

მიშელ: იცი, ამტკიცებენ, რომ მამაკაცისათვის კონტაქტის შენარჩუნება ნამდვილი ტანჯვაა, ფიზიკური!

ნაომი: მოდი, მიდრაშს დავუბრუნდეთ, კარგი?

ბრახა: *(დაძაბულობას გრძნობს)* რამე პრობლემაა?

მიშელ: *(ბრახას)* ყველაფერი რიგზეა აქ...

(შემოდის მირი, ჩვეულებისამებრ, მოჭარბებული სისადავით მოსილი, ირგვლივ მიმოიხედავს. მხოლოდ მიშელი ამჩნევს მას)

მიშელ: მირი! მოდი, დღეს ჩვენთან ერთად იმეცადინე *(ნაომის)* შენთვის მნიშვნელობა არ აქ, თუ შემოგვიერთდება, არა?

(ნაომი იწურება, ირგვლივ მოავლებს მზერას. ყველა წყვილადაა. თავს იკავებს, მერე თანხმდება. მირი უახლოვდება, აღელვებულია)

მირი: მართლა? დიდებულია – იქნებ ბოლოს და ბოლოს რამე შევიდეს ჩემს თავში. *(ჯდება)*

ნაომი: ჩვენ „ბერეშით რაბაზე“ ვართ *(წიგნს გადაუშლის)* – საკითხი: რატომ შექმნა ღმერთმა ადამიანი ბოროტ საწყისთან ერთად?

მირი: *(მიშელს)* ვაუ... აი, მესმის პრობლემა...

ნაომი: სწორედაც. ამრიგად, ყველა ქმნილების შესახებ დაბადებაში წერია: „და ნახა ღმერთმა, რომ კარგია“, ხოლო ადამიანის შექმნის შემდეგ წერია: „და აჰა, ძალიან კარგია.“ კომენტატორები ამას უკავშირებენ –

მიშელ: რა ხმა იყო?

ნაომი: რა?

მირი: ბოდიში, ჩემი მუცელია... *(მუცელს)* შშშშშ...

მიშელ: რა, არ გისადილია?

მირი: არა, მარა ამას არა უშავს.

მიშელ: მეტისმეტი მოგდის! ამდენ ტაბლეტებს რო ყლაპავ – რამე უნდა შეჭამო.

ნაომი: ჩვენ შუა მეცადინეობაში ვართ-

მიშელ: *(წაუყრუებს)* ფსსსს – შაინე! გაქ რამე სასუსნავი? მირის კუჭი უხმება.

შაინე: რა თქმა უნდა! *(ჩანთას ხსნის)* ვაშლი? ვაფლი? ბურბუშელა? ხრაშუნები? ნიგოზი?

მირი: *(დასტურს ელოდება ნაომისაგან, რომელიც კვლავ წიგნს ჩაჰკირკიტებს)* ვაშლი.

(შაინე ვაშლს ესვრის. მიშელი იჭერს)

ნაომი: მოთმინება არ გყოფნით *(მირი თავს უქნევს)* მაშ, რაბი აბაჰუ, ფაქტობრივად, ამბობს *(მირი ვაშლს კბეჩს)* ამენ.

მირი: ფუჰ! *(იფურთხება)* – „მამაო ჩვენო, მეუფეო სამყაროსი... შემქმნელო... მიწის ნაყოფისა“ *(ვაშლის ნაჭერს პირში იბრუნებს)*

ნაომი: ხის.

მირი: „ხის“, ცხადია. გმადლობ. რადგან ახალი ვარ რელიგიაში, ჯერ კიდე ბევრი იაღლიშები მაქ- შენ შემისწორე – ყველას ვთხოვე, შეცდომაზე მიმითითეთ-მეთქი – არ მეწყინება... გეფიცები!

ნაომი: ფიცი იკრძალება – ამის გამო ამბობენ „თუ ღმერთი ინებებსო“.

მირი: აჰ... ვაუ!... არ ვიცოდი, გმადლობ! *(ჩანთიდან რვეულსა და კალამს იღებს)* ჩავიწერე. ყველაფერს რვეულში ვიწერ, და მერე ძილის წინ ვიმეორებ. ეს დვორის იდეაა – არა! ამ რაბანითმა, უბრალოდ, მიხსნა. ის რომ არა, ყოვლადმძლემ იცის, ახლა სად ვიქნებოდი –

ნაომი: „ყოვლადძლიერმა.“

მირი: ყოვლადძლიერმა! აჰ, რა თქმა უნდა... ჩავიწერ, უხ... ეს უკვე მიწერია! კიდე ჩავიწერ. ეს მნიშვნელოვანია *(წერს)*

ნაომი: ან „უფალმა“...

მიშელ: *(ნაომის)* იქნებ დაოკდე?! ჩვენთან ერთად უნდა სწავლობდე, და არა –

მირი: ეს კარგია! მიშელ... მართლა. მიყვარს, როცა მისწორებენ. ასე ყველაზე კარგად ვსწავლობ.

ნაომი: გავაგრძელოთ? მგონია, რომ ეს ყველაზე რელევანტური ეპიზოდია – რაბი შმუელ ბარ ნახმანი ამბობს: „და ნახა ღმერთმა, რომ კარგია“ – ეს კეთილი საწყისია, ხოლო „და აჰა, ძალიან კარგია“ – ბოროტი საწყისია.

მიშელ: *(წამოენთება)* რაო?? ცდუნება „ძალიან კარგია“? ამას ამბობ? ცდუნებაა?

ნაომი: *(ხვდება სიტუაციას და დამშვიდებას ცდილობს)* მოდი, ვნახოთ, რას ამბობს იგი *(ბუტბუტებს)* „გარნა ბოროტი საწყისია ძალიან კა –

მიშელ: *(დაძაბული)* „კარგი“ არ არის ბოროტ საწყისში, არ არის!

მირი: მიშელ, მოიცადე – მიეცი საშუალება, აგვიხსნას.

მიშელ: რა უნდა აგვიხსნას? შენ აუხსენი! რატომ მოექეცი სარწმუნოებაზე? უკვე დაგავიწყდა შენი ორმოცდაცხრა უწმიდურება? თუ ბოროტი საწყისი ეგეთი კარგია, რატო შეუდექი მონანიების კაბალურ გზას?

მირი: მიშელ, მოკეტე!

შაინე: რა ხდება?

მიშელ: *(ნახევრად კანკალებს)* ნაომი ამბობს, რო ბოროტი საწყისი ძალიან კარგია.

შაინე: რაო?!

მიშელ *(ხმამაღლა, ყველას გასაგონად)* რაბანით, ჰესი ამტკიცებს, რომ ბოროტი საწყისი ძალიან კარგია.

(ნაომი თავს მაღლა სწევს, მხოლოდ ახლა ამჩნევს აურზაურს)

ნაომი: ეს ჩემი მტკიცება როდია – *(აწყვეტინებენ)*

ქალიშვილები: რაზე ლაპარაკობს?! ეს რა სისულელეებია? ეგეთი რაღაც როგორ უნდა თქვა? – ბოროტი საწყისი ძალიან კარგია? – ეგ ღვთის გმობაა! – როგორც ჩანს, არ ესმის, წიგნში რა წერია...

ნაომი: *(წიგნიდან თავს წამოსწევს)* ეს მიდრაშში წერია! თუ ადამიანის ბოროტი საწყისი არ იქორწინებდა, არ გააჩენდა ბავშვებს, არ ააშენებდა სახლს...

მიშელ: არ მოიპარავდა! არ მოკლავდა! არ გააუპატიურებდა!... საერთოდ გესმის, რას ნიშნავს საწყისი?

ნაომი: უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე თავი რომ შეგეწუხებინა და წიგნი გადაგეშალა, ნაცვლად იმისა, რომ ათასი მიზეზი მოგეძებნა –

მიშელ: შენი მოსმენაც არ მინდა, უკუდო ამპარტავანი! ვითომ რატომაო, განა რა გააკეთე უკანასკნელ ორ კვირაში?? უთხარი ვინმეს „დილა მშვიდობისა?“ „ღამე მშვიდობისა?“ ჩამძვრალხარ მაგ წიგნებში ჭიასავით... ჯერ ზრდილობა და მერე სწავლა... მას აქეთ, რაც მოხვედი, აქ არავის ეპიტნავები – უთხარით ერთი!

(საერთო თანხმობა საგრძნობია, თუმცა ყველა დუმს. ნაომი გაოგნებულია)

მიშელ: აბა, უთხარით მაგას. ბრახა, უთხარი, რა გაგიკეთა რაბანითთან, როგორ დაგამცირა! რისი გეშინიათ? *(დამცინავად)* რა, რაბანითთან გაიქცევა? მირის ისე ელაპარაკება, როგორც ნაგავს, ხოლო საბრალო შაინემ... პოეზიის საღამო მოაწყო შენ პატივსაცემად, და ვინ არ მოვიდა?

შაინე: მიშელ, დამავიწყდა, რომ ნაომის გლოვის წელიწადი ჰქონდა.

მიშელ: რას ბოდიშობ? მაგის ადგილას მეც გლოვაში ვიქნებოდი! *(ნაომის) (ნაომის უნდა, სწავლას მიუბრუნდეს. წიგნს შლის – მიშელ ხელს ურტყამს, რომ დაახურინოს, წიგნი იატაკზე ეცემა, შემოდის დვორი – მიშელი გარეთ გარბის)*

ნაომი: ვწუხვარ... რაბანით, მაგრამ არ შემიძლია მიშელის მეწყვილე ვიყო. მირჩევნია, მარტომ ვისწავლო, თუ შეიძლება.

დვორი: არა. შეგიძლია მიზეზი ამიხსნა?

ნაომი: დროს ვფლანგავ უსაგნო კამათებში მათთან, ვინც ამ წიგნებს ისე ეპყრობა, თითქოს... არასაჭირო რამ იყოს.

რაბანით: მაშ, მიშელი არ არის შენი შესაფერი ამხანაგი?

ნაომი: *(დარცხვენით)* ღმერთმა დამიფაროს... უბრალოდ... იმდენი მოვინდომე, აქ რომ მოვსულიყავი... რაც გულით მინდა, სწავლაა და მეტი არაფერი, მე კი ვერ ვასწრებ!

დვორი: სად გეჩქარება?

ნაომი: მე... *(მიდის, რომ ჩანთიდან ფურცელი ამოიღოს)*

დვორი: *(მომართული)* ეს შენთან როგორ მოხვდა?

ნაომი: ვიღაცას დარჩა დედაჩემის შვიდზე.

დვორი: ეს საიდუმლო მასალაა, შენს ხელში არ უნდა მოხვედრილიყო... გოგონებო – მეცადინეობა დასრულდა. *(ქალიშვილები გადიან)*

ნაომი: რაბანით! დვორი!

დვორი: *(დაბალი ხმით)* ვწუხვარ, ნაომი – ეს პროექტი შენთვის შეუფერებელია.

ნაომი: რატომ?... ყველა კრიტერიუმს ვაკმაყოფილებ. ვიცი არამეული, ვიცნობ მიშნას და ჰალახას, ხუთ წელზე მეტია ვსწავლობ გემარას –

დვორი: წარმოდგენა არ გაქვს, რას გულისხმობს ეს პროექტი.

ნაომი: მე ის ვიცი, რომ ეს პროექტი შესაძლებლობას მომცემს, ერთ დღესაც მნიშვნელოვანი თანამდებობა დავიკავო, თქვენსავით.

დვორი: არა, არა! მსგავსი რამ არასოდეს განხორციელებულა და სულ მცირე, შვიდწლიანი გამოცდილება სჭირდება

ნაომი: რისი გამოცდილება?

დვორი: *(ხმას დაუწევს)* რაბინობის.

ნაომი: ქალებსაც? ნამდვილი რაბინები უნდა იყვნენ – მამაკაცებივით?

დვორი: დიახ.

ნაომი: ქალები, რომლებიც ჰალახას შეიმუშავებენ?

დვორი: ღვთის წყალობით.

ნაომი: მთელი ცხოვრება იმაზე ვფიქრობდი, რომ ეს შეუძლებელია, რომ მე ქალი ვარ – მაგრამ თუ თქვენ შესაფერ ქალიშვილებს ეძებთ...

დვორი: ნაომი, ეს საშენო არ არის. მამაშენიც არასოდეს მოგცემს ამაზე დასტურს.

ნაომი: რაწამს შესაფერისად მიიჩნევთ, შევძლებ მის დარწმუნებას – გთხოვთ...

დვორი: ნებისმიერ შემთხვევაში – გადავწყვიტეთ, პროექტში მხოლოდ გათხოვილი ქალები მივიღოთ.

ნაომი: მაგრამ... თქვენ თვითონ... თქვენ განქორწინებული ხართ, არა?... უკაცრავად. მე ზაფხულში ვთხოვდები.

დვორი: გილოცავ. დღე დანიშნული გაქვთ?

ნაომი: ჯერ არა, მაგრამ –

დვორი: მოდი, ქორწილის შემდეგ ვილაპარაკოთ.

ნაომი: არა! ეს მანამდე უნდა მოხდეს *(დვორი წარბს წევს)* იმ წამიდან, რაც ვიქორწინებ, ყველაფერი აზრს დაკარგავს.

რაბანით: პირიქით. გათხოვდები, ღვთის წყალობით, შვილებს გააჩენ და მერე შეძლებ, უკან მოიტოვო ოჯახური ვალდებულებები და განვითარდე.

ნაომი: და თუ დაფეხმძიმებას ვერ შევძლებ? დედაჩემს ჩემს დაბადებამდე რვაჯერ მოეშალა მუცელი. *(დვორის ოდნავ მოძრაობს)* გარდა ნაყოფიერებაზე მკურნალობისა და მამაჩემის მომსახურებისა, ცხოვრებაში ვეღარაფერი გააკეთა.

დვორი: ესე იგი, გეშინია, შენც მასავით არ დაგემართოს?

ნაომი: მე დედაჩემივით არ ვიქნები. ვალდებული ვარ, ეს პროექტი თან წავიღო, როგორც მზითევი, როგორც ფაქტი.

დვორი: ნაომი, არ კმარა, თალმიდათ ხახამი იყო. რაბინი – მით უმეტეს, ქალი რაბინი. ეს თანამდებობა ითხოვს ლიდერობას, სოციალურ სინდისს.

ნაომი: *(შემკრთალი)* ფიქრობთ, რომ შეუფერებელი ვარ?

დვორი: იმასაც თუ გაითვალისწინებ, რაც დღეს მიშელთან მოხდა...

ნაომი: ეს ჩემი დანაშაული არ ყოფილა! მან... *(აღარ აგრძელებს, რომ არ დაასმინოს)*

დვორი: ეს მხოლოდ მიშელთან არ ხდება, ნაომი. დავალება იტვირთე, დაახლოებით ორ კვირაში კი დანებდი...

ნაომი: შემიძლია გამოვასწორო, გთხოვთ, მომეცით შესაძლებლობა, ვცადო.

დვორი: ვერაფერს დაგპირდები.

5. მეხუთე სურათი – (ქალიშვილების ოთახი მიდრაშში / იმავე საღამოს)

მოქმედი პირები:

მიშელ, შაინე, მირი, ნაომი, იანკი.

(შაინე პაემანზე წასასვლელად ემზადება. მიშელი ყველვან იქექება და სიგარეტს ეძებს)

მიშელ: ახლა დვორი ნაღდად დამიფრენს... უფ! არ ვიცი, რა უკეთესია – ჩემი ფსიქოპათი მამიკო თუ ამოუცნობ მფრინავ ობიექტთან დაწყვილება.

შაინე: ამოუცნობი მფრინავი ობიექტი, და ეს შენც იცი. გზასაც გამონახავ, როგორ შეეწყო!... როგორ გამოვიყურები?

მიშელ: როგორ უნდა შევეწყო?

შაინე: ვიკითხე, როგორ გამოვიყურები-მეთქი.

მიშელ: პაემანზე მიდიხარ თუ პანაშვიდზე? მოდი აქ. *(ღილს უხსნის)*

შაინე: არ მინდა, ვულგარული ვჩანდე!

მიშელ: მოკრძალება ქორწილის მერე. *(შემოდის მირი პირსახოცით)* მამაკაცების გულებს უფრო გარეგნობა იზიდავს. თვალი სვამს და თვალი ჭამსო, არა, მირი?

მირი: *(იცვამს)* სამწუხაროდ, მეც მხოლოდ გარეგნობით ვმსჯელობ.

მიშელ: რატო? აკი ბევრი მეგობარი მყავდაო...

მირი: კი, მაგრამ ის, რაც სიყვარული მეგონა, უბრალოდ სისაძაგლე და საზიზღრობა იყო... დღეს კი, ბოლოს და ბოლოს, რაბი ელიაკიმმა „ისრაელის სპეტაკ და კდემამოსილ ასულად“ მაქცია.

მიშელ: რაო, მივაღწიეთ სრულყოფილებას?!

შაინე: შშშშ... რაბანითი მოკლავს, თუ გაიგებს, რას სჩადიოდა...

მირი: ეგ არაფერი – ეს უკვე უკან მოვიტოვე. *(ჩაისუნთქავს)* მადლობა ღმერთს ჩემი სული დავიბრუნე... *(მიშელი და შაინე ერთმანეთს ეხუტებიან)*

მიშელ: ფრთხილად შაინე – მირი პაემნების ბაზარს უერთდება.

შაინე: ოი, არა!

მირი: არა, არა, ჯერჯერობით არ ვაპირებ.

მიშელ: რატო?

მირი: 12 წლის ასაკს აქეთ ახლაღა ვგრძნობ თავს ქალწულად, მე! უბანში არავინ დარჩა, ჩემ ფეხებს შორის რო არ გაეტარებინა... მე, რომელიც ნებისმიერ არსებასთან ვწვებოდი ერთი პორციისთვის.

შაინე: ერთი პორცია ფალაფელისთვის?! *(მიშელი და მირი იცინიან)*

მიშელ: *(განწმენდის თემას უბრუნდება)* მოიცა, მოიცა, მთელი შენი აღვირახსნილობები, ყველაფერი, რაც გიკეთებია – ყველაფერი წაიშალა?

მირი: სუფთა ფურცელია! ასე თქვა... მეშინია, დავსვარო. ჯერაც მშურს თქვენი, თქვენი ქმარი რო პირველი იქნება.

შაინე: რა პირველი?! იცი, რამდენთან დავდიოდი? ეგ მორდი 39-ეა.

მირი: პირველი, ვისთანაც დაწვებით, იე, უხმარო!

შაინე: იო, ეგაა, *(სარკეს აწვება)* ოპ! იცი, რა მიყვარს ჩემში? *(უყურებს)* ხასიათი, სხვა არაფერი.

მიშელ: *(სარკეს უკეტავს)* მაგასთან გასული კვირიდან დადიხარ?

შაინე: რას ნიშნავს „მაგასთან“. რა, სასჯელს ვიხდი? „მაგასაც“ თავისი კითხვარი აქ! – „რამდენი ბავშვი გინდა? დედაშენი მსუქანია? გინდა, ცფათში იცხოვრო?..“

მირი: სერიოზულად? ეგენი გკითხა?! დედაშენი მსუქანიაო??

შაინე: კი. იეშივას ბიჭების გენეტიკური ანალიზია... შეეძლო, უბრალოდ შემოეხედა ჩემთვის – მარა არა! მარტო თავის კითხვებს ჩაკირკიტებდა!... პაემანს „ნეკნის ძებნის ოპერაციას“ ეძახდა – მართლა საყვარელი ვინმე იყო, მარა არა...

მირი: რა არა?

შაინე: მას აქეთ აღარ დაურეკავს.

(ნაომი შემოდის. დაძაბული)

ნაომი: *(ეტყობა, რომ თავს ძალას ატანს)* საღამო მშვიდობისა...

შაინე და მირი: საღამო მშვიდობის!

შაინე: ნაომი, მიხაელს არ უნდა შეხვედროდი?

ნაომი: *(დარცხვენით)* რა? აჰ, დიახ... არ გამოვიდა.

შაინე: საწყალო... ალბათ, კვდები, ისე გენატრება *(რეაქცია არაა)* – თუ არა. სევდა ყველას კი არ ეძალება. აი, მე მართლა განვიცდი. ის უკვე მენატრება – თუმცა არც კი ვიცი, ვინ არის.

მირი: შაინე... თხუთმეტი აკლია

შაინე: რა?! უი! არ გამექცეს ეგ მორდი.

მირი: ჰე, უხმარო, მოდი, რა...

(გადიან – რჩებიან ნაომი და მიშელი, რომელიც შხაპის მისაღებად ემზადება. წუთით ადრე, სანამ მიშელი გავა)

ნაომი: მიშელ, ვიფიქრე... თუ გინდა... შეიძლება ორივემ ვისწავლოთ მიდრაში, უფრო წყნარ ადგილას. *(სიჩუმე ჩამოვარდება)* მე... მესმის, ცოტა არ იყოს, ცივად მოვიქეცი.

მიშელ: ეს მობოდიშება ხო არაა? კეთილი და პატიოსანი, შენ ჩემი არაფერი გმართებს.

ნაომი: ჩემი თავის მმართებს. მინდა.

მიშელ: სამწუხაროდ, ეს არ გამოვა. მოდი, ერთ რამეზე შევთანხმდეთ, გვერდით მოგიჯდები და ენას კბილს დავაჭერ. იოლი არც ეს იქნება, მარა ასე ყველა კმაყოფილი დარჩება.

(მიშელი ლაპარაკობს, როდესაც გოგონების ოთახის ნახევრად ღია კარში იანკი გამოჩნდება, ტანსაცმლის გარედან თეთრი ხალათი მოუცვამს, ხელში კი პარკი უჭირავს)

იანკი: ფშშშშ... 7 მემი[1]

მიშელ: 7 რა?

იანკი: მემები. ეგეთი ჰობი შემოვიღე იეშივაში – მემების თვლა.

ნაომი: (მანებს გამოკვეთს) მისმინეთ – ეს მეტად შთამბეჭდავია, მაგრამ შეიძლება გავიგოთ, მაინც რას დაეძებთ?

იანკი: მშვენიერია, ექვსი მოკლე წინადადებაში! მოპირდაპირე აფთიაქიდან ვარ.

მიშელ: რა, მუსიკოსი აღარ ხარ?

იანკი: ორივე... პური ჩვენი არსობისაო, ხომ გაგიგია... მოიცა, შენ მიშელი ხარ, არა?!

(მიშელი ფანჯრის რაფიდან ჩამოდის)

მიშელ: Oui *(ფრანგულად – „დიახ“).*შენ გამო მიდრაშიდან კინაღამ გამაპანღურეს. ფული მიიღე?

იანკი: კი, საჩუქარიც... გაიხარე.

ნაომი: *(საუბარში ეჭრება)* პრინციპში, მამაკაცებს ზოგადად ეკრძალებათ ჩვენს ოთახებში უნებართვოდ შემოსვლა. ასე რომ...

იანკი: უპს *(ნაბიჯს უკან დგამს)* უბრალოდ, ვიღაც, სახელად მირიამ კოჰენ, მოვიდა ჩვენთან, გვთხოვა აბები, რომელიც გათავებული გვეგონა – სასწრაფოდ მესაჭიროებაო. წავიდა თუ არა, წამალი რეზერვში აღმოვაჩინე – ამიტომ შემოვირბინე, მივუტან-მეთქი.

მიშელ: თერთმეტი მემი. მადლობა! მირი ჩვენთან არის ოთახში, დატოვე აბები და გადავცემთ.

იანკი: ფრთხილად – ამან შეჯდომა იცის...

მიშელ: რა იცისო?

იანკი: მემებმაც და აბებმაც... ამიტომ რეცეპტი სჭირდება...

ნაომი: მაშ, ნუ დატოვებთ, გეთაყვა!

მიშელ: რატო? უთქვამს, სასწრაფოდ მესაჭიროებაო! დატოვე. *(რვეულს იღებს და რაღაცას ჯღაბნის)* მაქსიმუმ ხვალ დილას მოვა რეცეპტით.

იანკი: დავტოვებდი, მარა პრობლემა ისაა, რო აფთიაქარი... ცოტა არ იყოს, პედანტია.

ნაომი: ასი პროცენტით მართალია, არ დატოვოთ.

მიშელ: *(ვამოსცრის)* ესეც ცოტათი პედანტი გვყავს... *(ფურცელს აწვდის იანკის)* აიღე... მინდობილობაა მისი ხელმოწერით.

იანკი: რა... რა ხელმოწერა? *(ფურცელს უკან აჩეჩებს)*

მიშელ: ახლა შენც პედანტობა დაიწყე?..

იანკი: ააჰ... კარგი, მიშელ, შენ გაბარებ ამ აბებს და ჩემი ხელფასის უწყისს... მე... უნდა დავბრუნდე *(ფეხს არ იცვლის, მიშელს შესცქერის)*

მიშელ: მემებისთვის მადლობა... ეს სიღრმეს შეჰმატებს აქაურ სწავლას.

იანკი: გაიხარე... მე ვთქვი, რო... *(უკუსვლით გადის და რაღაცას ეჯახება. მიშელი იცინის – იანკის დასცინის ან მასთან ერთად იცინის)*

ნაომი: რა ხდება?

მიშელ: ამას მეგობრობა ჰქვია. მირი ძლიერმოქმედ აბებზე ზის – რადგან ნარკოტიკებს შეეშვა

[1] მემ – ებრაული ასო „მ“-ს სახელწოდება

ნაომი: აბებზე არ ვლაპარაკობ... ვერ ხვდები, რას შვრები?

მიშელ: რა გინდა ჩემგან?

ნაომი: ნახე, როგორ გიყურებდა!... და შენ რას უშვრებოდი?

მიშელ: *(წამში სერიოზულ გამომეტყველებას იღებს)* რას ვუშვრებოდი?

ნაომი: აზრი არ აქვს...

მიშელ: არა, არა, თქვი, რას ვუშვრებოდი?

ნაომი: არ ვიცი... რაღაც იყო შენში... რაღაც მაცდური... იქნებ, უბრალოდ, ვაჭარბებ.

მიშელ: სულაც არა. ამის გამო გამომაპანღურეს ბეთ იაკობიდან ლიონში.

ნაომი: რის გამო?

მიშელ: შენ რაც თქვი. ოღონდ კიდე უარესი. დირექტორმა ჩემ მშობლებს უთხრა, რომ ლილითი ვარ.

ნაომი: რატომ?!

მიშელ: იცი – არის რაღაც, რაც მინდა, რომ ერთად ვისწავლოთ...

ნაომი: სიამოვნებით.

მიშელ: მაგრამ ეს გემარა არაა.

ნაომი: *(ცოტა შიშით)* რაც გინდა.

მიშელ: მინდა ვიცოდე, როგორ განიწმინდებიან.

ნაომი: განწმენდაში რას გულისხმობ? კაბალისტურ განწმენდას?!

მიშელ: არა, ქიმწმენდას. რა თქმა უნდა, სულიერ განწმენდას – მარხვისა და ლოცვების მთელი რიტუალებით, როგორც მირიმ გააკეთა.

ნაომი: მიშელ, ვწუხვარ, ამის არაფერი გამეგება. ეს კაბალისტების საქმეა – ცფათი სავსეა...

მიშელ: ყველა მამაკაცია – არ მაწყობს.

ნაომი: დვორის სთხოვე.

მიშელ: ვცადე, მარა მას არ ვენდობი.

ნაომი: წარმოდგენაც არ მაქვს, როგორ უნდა გავიგო.

მიშელ: არის წმინდა ჰა-არის წიგნები – შენთვის პრობლემა არაა, რამდენიმე მათგანი რომ გადაშალო და ნახო, რა არის გასაკეთებელი..

ნაომი: წმინდა ჰა-არიზეა საუბარი, ჰარი პოტერზე კი არა.

მიშელ: ოპა! იუმორის გრძნობა!

ნაომი: მიშელ, პრაქტიკული კაბალა სიკვდილთან თამაშია. დიდი რაბინები დახოცილან საიდუმლო წიგნებში კირკიტის გამო.

მიშელ: და თუ გეტყვი, რომ ჩემი სულია საფრთხეში? და კიდევ იმ მამაკაცების, ვინც შესაძლოა ჩემგან მოჯადოვდნენ?

(ნაომი შესცქერის, თუმცა ვერ ბედავს, ჰკითხოს)

მიშელ: ჩვენთან, სკოლაში, საფრანგეთში ერთი ახალგაზრდა რაბინი იყო, რაბი ვულფი, სიმპათიური, სხვა რაბინებივით მჟავე სიფათით კი არა. ერთადერთი მოძღვარი იყო, რომელსაც ვეწყობოდი... რომელიც მართლა მამჩნევდა.

ნაომი: ვალდებული არ ხარ, მომიყვე.

მიშელ: ერთ დღესაც გაკვეთილის შემდეგ დამტოვა: „მიშელ, რა ვუყოთ შენს მოკლე ქვედაბოლოებს? კონცენტრირებაში ხელს მიშლის“. შოკში ჩავვარდი. ჩემი ყველა ქვედაბოლო მუხლს ქვემოთაა-მეთქი, ვუთხარი. იგი დაიხარა, რომ შეემოწმებინა, ქვედაბოლო ფეხზე მოჭიმა, მუხლზე მისი ხელი ვიგრძენი. ამის შემდეგ, მუდმივად მტოვებდა ხოლმე გაკვეთილის შემდეგ რაიმე მიზეზით – სახელო, საყელო... მუდმივად სინჯავდა ხელებით.

ნაომი: გარყვნილი!

მიშელ: არა. მე... მე მინდოდა! მე მინდოდა, რომ შემხებოდა – თუმცა ვიცოდი, რომ აკრძალული იყო! ერთხელ მითხრა, რომ ზედატანი მეტისმეტად მოტმასნილი მქონდა, მისი ხელები

ჩემ მკერდს შეეხო... ჩემ სახესთან მის სუნთქვას ვგრძნობდი, ერთბაშად მომედო ალი...

ნაომი: და...

მიშელ: კარი გაიღო. ვერ მოვასწარი მენახა, ვინ იყო, ზურგით ვიდექი. მეორე დღეს სკოლიდან გამრიცხეს.

ნაომი: ის უნდა გაეგდოთ – შენ კი არა.

მიშელ: არა, მე ვუბიძგე, ეს რომ გაეკეთებინა.

ნაომი: მიშელ, ის უფროსი კაცია... რაბინი! შენმა მშობლებმა რა თქვეს?

მიშელ: *(ამრეზით)* დედაჩემმა ძალით წამათრია კლინიკაში ქალწულობის შესამოწმებლად. მამაჩემმა მას აქეთ ამიკრძალა, ჩემ უმცროს დას შევხებოდი!

ნაომი: მაგრამ ეს შენი ბრალი არაა!

მიშელ: ამას რატომ ამბობ?

ნაომი: იმიტომ რომ არაა შენი ბრალი! შენს მშობლებს კი უნდა დაეცავი...

მიშელ: არა! არა... *(ცოტა ორჭოფობს)* ეს ჩემი ცოდვაა.

ნაომი: არაფერიც.

მიშელ: დიახაც...

ნაომი: მიშელ –

მიშელ: *(მისკენ შებრუნდება – წყობიდან გამოსული შეუტევს)* კმარა!! ეს. ჩემი. ცოდვაა. გაიგე?
ჩემი... ცოდვაა... !! ეს ჩემი ცოდვაა.

ნაომი: რა ცოდვა? განა რა ჩაიდინე, მიშელ? არც არაფერი! ეგ მაგან, მაგან გამოგიყენა – შეურაცხყოფა მოგაყენა. შენი ღირსება შელახა. და ახლა ის ალბათ სხვა გოგონებს ეხება!

(მიშელ სულ მოიშლება. ნაომი წამით იბნევა, მერე კი მიშელს ჩაეხუტება, სანამ არ დაწყნარდება. შემდეგ ყოველივე კარგი დობილების დამახასიათებელ ინტიმურ გარემოში გრძელდება)

მიშელ: მართლა... გგონია, რო მე ნორმალური ვარ?

ნაომი: ყველას გვაქვს ბნელი მხარეები. *(მიშელის გაფართოებული თვალები)* მეც კი.

მიშელ: *(იღიმის)* მერე რას უშვრები შენს ბნელ მხარეებს?

ნაომი: „ბოროტი მხოლოდ სიბრძნისგან დაცლილ გონებაზე მძლავრობს.“

მიშელ: ივრითზე თუ შეიძლება?

ნაომი: გამოსავალი განათლებაა.

მიშელ: ამაში მე არ ვვარგივარ!

ნაომი: არ გიცდია. გულით არ მოგინდომებია. ცოდნის სიღრმეებში უნდა ჩაიძირო, თავდავიწყებით... ჩემთან ერთად ისწავლე – ეს დაგეხმარება.

მიშელ: ორ კვირას გაძლევ...

ნაომი: ორი კვირა საკმარისი არაა – თვე მაინც.

მიშელ: გინდა, ერთი თვე ჩემთან ერთად ისწავლო? შენ თვითონ არ ხარ ნორმალური!

6. მეექვსე სურათი – (ბეთ მიდრაშის გარეთ – სარეცხი / სამი კვირის თავზე)

მოქმედი პირები:

ნაომი, მიშელ, დვორი, ბრახა, ბილჰა, აბიგაილ, ხავა.

(გოგონები სარეცხს ფენენ და მღერიან. მიშელი შემოდის წიგნით ხელში)

მიდრაშის ქალიშვილები *(მღერიან)*:

დაიფარა ჩვენი წინაპრები,
და დაგვიფარა ჩვენც.
ვერავინ შეძლო ჩვენი მოშთობა,
მისით ვსულდგმულობთ ჩვენ.

უფალი გვიხსნის ბოროტისაგან,
ხელთ არ ჩაგვაგდებს მტრისას.
უფალი გვიხსნის ბოროტისაგან,
ხელთ არ ჩაგვაგდებს მტრისას...

ნაომი: მარხვის ტრაქტატი ნახე?
მიშელ: კი – სხვა რამეც ვნახე!
ნაომი: რა ნახე?

მიშელ: „ნახა და სული განუტევა“ – რაბინი, რომელიც მოკვდა, რადგან საიდუმლო მოძღვრებას ეწაფებოდა.
ნაომი: ბენ აზაი.
მიშელ: შენთვის რაბი შიმონ ბენ აზაი.
ნაომი: აქ, ცფათშია დაკრძალული, სემისა და ყევერის მღვიმეში.
მიშელ: სემი და ყევერი – ეგ ბეთ მიდრაში თუ რაღაც არაა?
ნაომი: ეგეცაა. ამბობენ, რომ სემმა, ნოეს ვაჟმა და ყევერმა, მისმა შვილიშვილმა ააგეს.
მიშელ: ვინ, ყვერმა??
ნაომი: რაო? ყევერი! ნოეს შვილიშვილი იყო...!!

(სიცილით იფხრიწებიან)

მიშელ: ოჰ, ნონი ... სიცილით მომკალი...
ნაომი: რა დამიძახე?
მიშელ: ნაომის ნაცვლად ნონი გამომივიდა – ცუდია?

(დვორი უახლოვდებათ, ხელში კონვერტი უჭირავს)

დვორი: რა სიბეჯითეა, მიშელ – ყველგან წიგნებით დადიხარ... რას სწავლობთ?
ნაომი: *(ისე რომ წიგნს არც დახედავს)* აა, მარხვის ტრაქტატია, 22-ე თავი, მე-2 მუხლი: „უფლება არ აქვს მავანს, მარხვით შეიზღუდოს თავი, თუ ეს გახდომის საჭიროებითაა ნაკარნახევი.“
დვორი: ეს რას ნიშნავს, მიშელ?
მიშელ: აა... ეს ნიშნავს, რომ... ეს, ფაქტობრივად, ასახავს დაძაბულობას ურთიერთთავდებობასა და პირად პასუხისმგებლობას შორის.
დვორი: მშვენიერია. არამეულთან როგორ ხარ?
მიშელ: *(არამეულად)* ა-ლიბა დე-ნაომი – ტავ *(ნაომის მეთოდით კარგად მიდის)*

დვორი: *(შთაბეჭდილების ქვეშაა)* ყოჩაღ, ნაომი, *(მიშელ ღიზიანდება)* არის საშიშროება, რომ მეამბოხე სული შენში თალმიდათ ხახამად იქცეს... *(მიშელს)* იმედი მაქვს, ემადლიერები.

მიშელ: *(წყენას ვერ ფარავს)* რა თქმა უნდა! ყველაფერი ნაომის დამსახურებითაა! *(დვორი ყურადღებას არ აქცევს მის წყენას)*

დვორი: *(ნაომის)* განაცხადის ფორმები მოგიტანე, შეგიძლია დაელაპარაკო მამაშენს ფესახის არდადეგებზე.

ნაომი: რა?! პროექტისაა?

დვორი: დიახ. აღტაცებული ვარ შენი მუშაობით მიშელთან, ასე რომ, გადავწყვიტე, შენ წარგადგინო. ცხადია, ეს შეპიროებებულია მამაშენის დასტურითა და მიხაელის თანხმობით. სხვათა შორის, გეძებდა ამ კვირას – ელაპარაკეთ ერთმანეთს?

ნაომი: *(დარცხვენით)* აა... ჯერ არა... დავურეკავ.

დვორი: დაურეკე, ეს აუცილებელია. მამაშენის დასტურის შემდეგ კი საგამოცდო მასალა გამოგეგზავნება. პირველი ეტაპია.

ნაომი: გმადლობთ. *(კონვერტს ჩამოართმევს. ხოლო დვორი გზას განაგრძობს)*

მიშელ: ეს რას ნიშნავდა?

ნაომი: რა?

მიშელ: „აღტაცებული ვარ შენი მუშაობით მიშელთან“?! რა... გარიგების საგანი ვყოფილვარ?

ნაომი: რატომ? ეს უბრალოდ... რაღაც პროექტია, რომელშიც დვორიმ მონაწილეობის მიღება შემომთავაზა.

მიშელ: თვალებში შემომხედე და მითხარი, რომ ჩემთან ერთად იმიტომ არ სწავლობ, რომ დვორის პროექტში მოხვდე!

ნაომი: ეგ რა შუაშია!

მიშელ: დიდი ცრუპენტელა ხარ *(მიდის)*

ნაომი: მიშელ!.. *(აჩერებს)*

მიშელ: გამომიყენე! თავს გაბითურებულად ვგრძნობ...

ნაომი: რატომ? მიშელ – ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გესწავლა.

მიშელ: ეს ის არაა, რისი სწავლაც მინდოდა, და შენ ეს იცი! ყელამდე ვარ შენი სიკეთით! წადი, შენი დონის სამეგობრო მოძებნე, ჩემს თავს თავად მივხედავ.

ნაომი: *(დრო სჭირდება მისაახლოებლად)* მოიცადე!... ეს მართლაც პროექტიდან დაიწყო, მაგრამ... მე სხვა სამეგობრო არ მსურს. არასოდეს მყოლია საამხანაგო – არც ნამდვილი დობილი... მე... მართლა მსიამოვნებს შენთან ერთად სწავლა. გთხოვ, დარჩი ჩემს ამხანაგად!

მიშელ: *(გული, ცოტა არ იყოს, მოულბება. კონვერტს იღებს)* ეს რა პროექტია? *(ნაომი არ უპასუხებს, უხერხულობას გრძნობს, მიშელი რომ კონვერტს ხსნის)* ქალები რაბინობისათვის?!

ნაომი: გსმენია ამის შესახებ?

მიშელ: რა თქმა უნდა! ეს მისი საიდუმლო პროექტია – ყველას მოუკრავს ყური ამის შესახებ! რა, რაბინობას აპირებ? აბა, თქვენ იცით.

ნაომი: ჯერ ოცნების სფეროს განეკუთვნება. ხომ გაიგე რაბანითისაგან – ჯერ მიხაელის თანხმობა მჭირდება და...

მიშელ: რატომ იშორებ თავიდან მუდმივად თითიდან გამოწოვილი საბაბებით? *(ნაომი უყურებს)* სხვათა შორის, ტელეფონის აპარატი ზუსტად ჩემი ფანჯრის ქვეშაა... არ გიყვარს?

ნაომი: ამაზე არაა საუბარი. მიხაელი ძალიან სერიოზული ბიჭია, ძალიან ჭკვიანი...

მიშელ: როცა იძაბები, წარბი გითამაშებს?

ნაომი: დაძაბული არ ვარ.

მიშელ: კარგი. მაშ, მართლა გიყვარს?

ნაომი: რა თქმა უნდა, მაგრამ... არა მგონია, რომ პროექტს დათანხმდეს. *(ამოიოხრებს)*

მიშელ: გინდა, დაგეხმარო?

ნაომი: როგორ?

მიშელ: ერთი წამით მოიცა, დაჯექი. *(ნაომი ჯდება)* როგორც თქვენი სტილისტი, რაბანით ჰეს, გეტყვით, რომ ცოტა წითელი პომადა არ გავნებდათ. *(მიშელი წითელ პომადას მოიმარჯვებს, ნაომი შემკრთალი უკან იხევს)* არ ისვრის! მაგარი რამეა! ნახავ. ასე მიხაელი უარს ვეღარ გეტყვის! *(ნაომის ტელეფონს აძლევს)* აბა ჰე, დაურეკე და ახლავე შეხვედრა დაუნიშნე *(ნაომი თავს აქნევს).*

7. მეშვიდე სურათი – „ორმაგი პაემანი“ (კაფეტერია / რამდენიმე დღის შემდეგ)

მოქმედი პირები:

ნაომი, მიხაელი, ოფიციანტი, მიშელ, იანკი.

(მიხაელი მარტო ზის მაგიდასთან, მასთან მიმტანი მიდის)

მიმტანი: საღამო მშვიდობისა. შეუკვეთავთ?

მიხაელი: გმადლობთ. ველოდები.

მიმტანი: *(ესმის ვითარება)* აჰ.

(ნაომი შემოდის. მიხაელი მიმტანის გამომეტყველებით ხვდება, რომ ნაომი მოვიდა. მიმტანი მიდის, ხელი რომ არ შეუშალოს)

ნაომი: მაპატიე დაგვიანებისთვის.

მიხაელი: არ დაგიგვიანია, ადრე მოხვედი. „მარდები ესწრაფვიან მცნებათა შესრულებას.“

ნაომი: *(იღიმის და ცდილობს გულთბილი იყოს)* მადლობა ღმერთს... შენ როგორ ხარ?

მიხაელ: დიდება უფალს. რა ხანია არ მინახიხარ. მამა... *(მიაშტერდება)* რა გაქვს ტუჩებზე?

ნაომი: ცუდია? შენს პატივსაცემად წავისვი. *(პომადას იშორებს)*

მიხაელ: არ მითქვამს, ცუდია-მეთქი.

ნაომი: აჰ, მაპატიე. *(წყვეტს პომადის მოშორებას)*

მიხაელ: უფლება გაქვს, ლამაზი იყო.

ნაომი: გმადლობ. რა გინდოდა გეთქვა მამაჩემზე?

მიხაელ: მოკითხვას გითვლის. *(უხერხული სიჩუმე ჩამოვარდება. მაგიდისაკენ მიუთითებს, დასაჯდომად მიემართებიან. მიხაელი ნაომის სკამს გამოუწევს, ნაომი ჯდება)* მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს ჩემთან შესახვედრად დრო გამონახე.

ნაომი: შევხვდებოდით, აბა რა.

მიხაელ: შიშმაც კი შემიპყრო *(ნაომის შეათვალიერებს)*, ხომ არ გამძიმებ ჩემი საზოგადოებით-მეთქი

ნაომი: ღმერთმა დამიფაროს. უბრალოდ... სწავლა ძალიან ინტენსიურია, როგორც იეშივაში.

მიხაელ: *(ცოტა არ იყოს, დამცინავი გამომეტყველების დაფარვა უჭირს)* აბა, მოვისმინოთ... *(ნაომი შესცქერის)* რას ვსწავლობთ?

ნაომი: *(მიხაელი სკამს გამოსწევს და დაჯდება)* უამრავ რამეს. *(ფრთხილად)* ახლა სწორედ რაბანითის გაკვეთილიდან მოვდივარ – „ნუ დაივიწყებ დედის შეგონებას“ – ქალის ადგილი ჰალახას სამყაროში – „დაბადებიდან“ დღემდე.

მიხაელი: *(ცინიკურად)* აჰ, ეს ნუ...

ნაომი: დამცინი?

მიხაელი: ღმერთმა დამიფაროს... ეს, უბრალოდ, რთული და პრობლემური თემაა.

ნაომი: რატომ? კარი ღიაა.

მიხაელი: გარკვეულ ზღვრამდე. შეუძლებელია იგნორირება ჩვენი დროის დიდი რაბინებისა, რომლებიც მამაკაცებისა და ქალებისათვის განსხვავებულ მოვალეობებს ადგენენ... რამე დავლიოთ? *(დგება, რომ ოფიციანტი მოძებნოს)*

ნაომი: კი. დღეს ქალები ყველგან არიან ჩართულნი წამყვან პოზიციებზე... *(მის რეაქციას ამოწმებს)* ახლა მუშავდება პროექტი, რომელიც ქალებს რაბინის კვალიფიკაციას მიანიჭებს, სწორედ ისე, როგორც მამაკაცებს.

მიხაელ: *(ქირქილით)* მსმენია ეს ანეგდოტი – ეს არ მოხდება.

ნაომი: ეს უკვე ხდება.

მიხაელი: 10 წელია გაიძახიან, ხდებაო – ეს არ მოხდება *(მაგიდაზე დააბრახუნებს)*

ნაომი: *(გაბედულად)* მაშ, სასამართლოს მიმართავენ – როგორც თავის დროზე მოიქცნენ ახლანდელი რაბანითები.

მიხაელი: *(ფეთქდება)* ქალის რაბინობა ადამიანის მოგონილია, ხოლო მამაკაცი რაბინები და მსაჯულები ღვთისგან არიან ხელდასხმულნი! ამას არ დაუშვებენ!

მიმტანი: *(შემოდის)* რას ინებებთ?

მიხაელი: ორი ყავა, თუ შეიძლება. *(მიმტანი გადის)* მაგ პროექტში მონაწილეობა ხომ არ გიფიქრია?

ნაომი: დავუშვათ ვიფიქრე, ერთი მიზეზი მაინც თქვი, რატომ არის დაუშვებელი. ოღონდ ნუ იტყვი, რომ „დედათა ბუნება იწრო არს“...

მიხაელი: ამას მე კი არ ვამბობ, შაბათის ტრაქტატში წერია. მამამაც კი „მსაჯულებზე“ ქადაგების დროს თქვა, რომ ქალი არ გამოდგება სამოწმოდ, რადგან, როგორც წესი, მათ „მსუბუქი აზროვნება“ აქვთ – ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ სულელები ხართ, ღმერთმა დამიფაროს, საქმე ისაა, რომ თქვენთან გრძნობა უპირატესობს გონებაზე.

ნაომი: მამაჩემი მსგავს რამეს არ იტყოდა! როგორც ჩანს, სწორად ვერ გაგიგია.

მიხაელი: მამა და მე შესანიშნავად ვუგებთ ერთმანეთს *(შემოდის მიმტანი ყავით. მიხაელი აკურთხებს და დალევს)*

ნაომი: ამენ. *(ხვდება, რომ საქმე ისე არ მიდის, როგორც უნდოდა – თემას ცვლის)* კარგი, ახლა რატომ ვლაპარაკობთ ამაზე? ნაცვლად იმისა, რომ ქორწილზე ვისაუბროთ... *(კონვერტს იღებს)* ნახე...

მიხაელი: ეს რა არის?

ნაომი: ჩვენი მოსაწვევების დიზაინები. ერთი დობილი მყავს, მხატვარია. მოგწონს?

მიხაელი: მშვენიერია. ხომ არ აჯობებს, ჯერ დღე დავნიშნოთ?

ნაომი: რა თქმა უნდა, დავნიშნოთ. შენ როდის გინდა?

მიხაელი: ეს საკითხი ნაკლებად მესმის. დედაჩემს დაელაპარაკე, რასაც გადაწყვეტთ, მეც იმას დავთანხმდები.

ნაომი: კარგი, დაველაპარაკები. დღიური ხომ არ გაქვს თან? *(ნაომი ჩანთიდან დღიურს იღებს)*

მიხაელი: *(დღიურს ართმევს, შეფიქრიანებული)* მამამ იცის, რომ აქ ეგეთებს გასწავლიან? ისრაელის დოგმების უარყოფას...

ნაომი: *(თავდაჭერილი რეაქცია)* „მამას“ როდის აქეთ ეძახი?

მიხაელი: თვითონ მითხრა, რომ გაუხარდებოდა, თუ მამას დავუძახებდი. *(პაუზა)* მაგრამ შემიძლია თავი შევიკავო, თუ შენ გეხამუშება.

ნაომი: თანაც ძალიან.

მიხაელი: *(ღიმილით)* კაარგი. აი შენ შესანიშნავი მაგალითი, გრძნობა როგორ ჯაბნის გონებას. *(ნაომი ვერ პასუხობს – ალეწილია, მაგრამ თავს თოკავს. მიხაელი დღიურს ფურცლავს)* ჩვენ ვამბობთ, 9 აბის მერე, არა?

მიშელ: *(შემოდის, თვალებს აცეცებს, ნაომის ხედავს)* ... ნაომი!

მიხაელი: შენ გეძახიან.

ნაომი: რა? *(ფიქრებშია წასული)*

მიშელ: ნაომი.

ნაომი: *(მიხაელს)* ეს ჩემი თანამიდრაშელია –

მიხაელი: მხატვარი?

ნაომი: დიახ, ესაა, ფესახის ზეიმზე რომ მოდის, რადგან მთელი მისი ოჯახი საზღვარგარეთაა.

(მიშელი მათ უახლოვდება. ნაომი დგება, რომ შეეგებოს)

ნაომი: *(მიშელის ჩასახუტებლად გარბის)* მიშელ?! აქ რას აკეთებ, გაგიჟდი?!

მიშელ: რა, წავიდე? *(ხედავს გათხაპნილ პომადას)*, ეე, ჩემს პომადას რა მოუვიდა?

ნაომი: *(მიშელი ტუჩებთან ლაქებს აშორებს, რაღაც ინტიმურია ამაში)* არ უნდა წამესვა.

მიშელ: *(მიხაელს ათვალიერებს, უახლოვდება)* მაშ, შენ ხარ იეშივას გენიოსი? დამსახურებული. *(მიხაელი კითხვის გამომხატველი მზერით უყურებს ნაომის)*

ნაომი: *(უხერხულად)* მიდრაშში არიან გოგონები, რომლებიც ფეთახ თიკვადან გიცნობენ, ჩანს, შორს გაგივარდა სახელი.

(კაფეში შემოდის იანკი, მათ შეამჩნევს)

იანკი: ო... მიშელ!

მიშელ: სად იყავი?

იანკი: ყველა მემი დავთვალე „მეფეთა პირველში“, იანკი მეიზლიშ...

მიხაელი: მიხაელ ნოიგერშელ. *(ნაომი შოკშია. მისჩერებია მიშელს, რომელიც თვალებით უდასტურებს, რომ ეს პაემანია. ნაომი თავს იკავებს, რომ არ გაეცინოს. მიმტანი მოდის)*

მიმტანი: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ერთად ხართ? სკამები დავამატოთ? *(იანკი და მიშელ თითქმის ერთდროულად უპასუხებენ)*

იანკი: არა! ჩვენ ცოტაც და – მიშელი: შეიძლება... თუ ხელს არ შეგიშლით, რა თქმა უნდა...

მიხაელი: *(მისჩერებია ნაომის, რომელიც თვალს ვერ უსწორებს. ზრდილობისათვის ტყუის)* არა, არ შეგვიშლით, პირიქით.

(იანკის სკამი მოაქვს მიშელისათვის)

მიშელ: *(იანკის მისამართით)* მერსი.

ნაომი: *(მიშელს ჩუმად)* ეგ მაწანწალა მუსიკოსი აქ მოათრიე?! საცოდავი, სულ გადარევ...

მიშელ: არაფერიც... ამით ბედნიერია. *(ორივე იცინის)*

მიმტანი: *(შემოდის)* რა გსურთ შეუკვეთოთ?

მიშელ: ღვინო?

იანკი: მილქშეიკი.

მიშელ: ღვინო და მილქშეიკი.

მიხაელი: *(გოგონები სხდებიან, თავს ძლივს თოკავენ. – იანკის)* მე მგონი გიცნობთ... სად სწავლობდით?

იანკი: ხან სად, ხან სად...

მიშელ: შეიძლება ღონისძიებაზე ნახე. იანკი კლარნეტის მეტად მოთხოვნადი დამკვრელია.

მიხაელი: *(ცდილობს, ცინიზმი დაფაროს)* აჰ... მუსიკოსი... მშვენიერია...

იანკი: მანამდე იეშივაში ვსწავლობდი აქ, ცფათში.

მიხაელი: ჰააჰ, სწავლა ვერ წავიდა და მაშინ მიჰყავი ხელი *(ასრულებს ინსტრუმენტზე დამკვრელის მოძრაობებს)*...?

იანკი: სიცარიელე შეივსო. შენ რას შვრები? სწავლობ?

მიხაელი: რასაკვირველია. ნაომის მამის იეშივაში, ბნეი-ბრაკში. მანამდე „ისრაელის გვირგვინში“ ვსწავლობდი – ძირძველი იერუსალიმელი ვარ.

იანკი: აა... *(სუბტექსტი – „ახლა ყველაფერი ნათელია“)* იერუსალიმელი პლოხცი.

მიხაელი: ბოდიში? იერუსალიმელი რა? ვერ მიგიხვდით...

იანკი: პლოხცი, რა...

მიხაელი: ეგ რას ნიშნავს?.. მუსიკოსების ტერმინია?

(მიშელი მაგიდის ქვეშ ფეხს წაკრავს ნაომის. ნაომი თავს მაღლა სწევს. უკვე შეუძლებელია თავის მოთოკვა. მიმტანს მოაქვს მილქშეიკი მიშელისთვის და ღვინო – იანკისთვის. სასმელებს ცვლიან)

მიშელ: გაუმარჯოს... ნაომის და მიხაელს! „კურთხეულ ხარ, უფალო, ქვეყნიერების მეუფეო, ვაზის ნაყოფის შემქმნელო“.

ყველანი: ამენ. *(მიშელ მოსვამს და ნაომის შესთავაზებს)*

მიხაელი: ეგ არ სვამს.

(მიშელ მაინც უწვდის ჭიქას ნაომის, ნაომიმ უნდა გადაწყვიტოს)

ნაომი: არა, გმადლობ.

(პაუზა. იანკი უცებ განმუხტავს მდგომარეობას)

იანკი: *(მთელი ხმით აცემინებს)* პლოხც! მაპატიეთ. ისეთი უგერგილო ვარ... როცა წვეულებაზე მიწვევენ, წინასწარ ათპროცენტიან ფასდაკლებას ვუკეთებ ზარალის დასაფარად...

ნაომი: უკაცრავად, ერთი წამით... *(ნაომი დგება და ფაცხაფუცხით გადის, ცდილობს, სიცილი შეიკავოს)*

მიშელ: მეც უკაცრავად... *(მისდევს ნაომის. მამაკაცები მარტონი რჩებიან)*

მიხაელი: *(პირს იწმენდს)* იცოცხლე! მოახერხე მათი გაქცევა. *(მამაკაცები ერთმანეთს მისჩერებიან. არაფერი აქვთ ერთმანეთისთვის სათქმელი)*

ფოკუსში ტუალეტია. გოგონები სიცილისაგან ლამის გორავენ

მიშელ: *(როცა დაწყნარებას ახერხებს)* ოი, სად იყავი აქამდე? ბედია, რო ქორწილი გადადე.

ნაომი: *(წამით წყვეტს სიცილს)* რატომ?

მიშელ: სხვანაირად ვერ შევხვდებოდით ერთმანეთს!

(გოგონები ისევ იცინიან. ფოკუსი მაგიდას უბრუნდება. იანკი თავისთვის ზუზუნებს. მიხაელი ჩხირიდან ხმაურიანად წრუპავს)

მიხაელი: *(დგებიან, გასვლას აპირებენ. ქალების კისკისი ესმით)* ოღონდაც შახრითის ლოცვამდე არ ჩავრჩეთ აქ...

იანკი: ამასობაში ანგარიშს მოვითხოვ.

მიხაელი: ნახევარ-ნახევარი იყოს.

იანკი: მე გეპატიჟებით. იქნებ, როგორც მუსიკოსი, თვალში არ მოგდივარ, მარა მადლობა ღმერთს, სარჩო არი... *(დგება, რომ მიმტანს ხელი დაუქნიოს)* ბოდიში... ბოდიში!

მიმტანი: *(მის უკან)* აქ ვარ.

იანკი: აა, უი... ანგარიში, თუ შეიძლება.

მიხაელი: შენი დუქანი –

იანკი: აფთიაქი.

მიხაელი: აფთიაქი არა – შენი დუქანი, შარვლის... ღიაა.

იანკი: უი, აჰ – მადლობა *(ჯდება)*

(ნაომი და მიშელი ბრუნდებიან, ერთიმეორეს ვერ უყურებენ. იანკი უხერხულადაა. ხელსახოცს იფარებს და შარვალს იკრავს)

მიხაელი: ბოლო ავტობუსი თერთმეტის ოცდასამ წუთზე გადის, ამიტომ ანგარიში მოვითხოვეთ.

იანკი: მე ვიხდი.

მიხაელი: ნახევარ-ნახევარი.

იანკი: მე ვიხდი.

(მიშელ იდაყვს უბიძგებს ნაომის, რომელიც ვერ ახერხებს თავის შეკავებას, სიცილისგან ტანი უცახცახებს)

მიხაელი: ასეთი სასაცილო რა არის?

ნაომი: *(ჯერ კიდევ ებრძვის თავს)* ვწუხვარ, უბრალოდ, ეე...

მიშელ: ჩემი ბრალია – ანეგდოტი მოვუყევი.

მიხაელი: ჩვენც მოვისმენთ...

მიშელ: წყვილი პირველად ხვდება ერთმანეთს...

იანკი: ააჰ... ეს ვიცი... *(ქირქილებს)*

მიშელ: გზად ხვდებიან ბიჭის ამხანაგს იეშივიდან. ამხანაგი გოგოს მისჩერებია, ბიჭს შერცხვება და იტყვის: „გაიცანი, ჩემი დეიდაშვილია“, მაშინ ამხანაგი უპასუხებს: „ვიცნობ, გასულ კვირას ეგ ჩემი დეიდაშვილი იყო.“ *(ყველა იცინის მიხაელის გარდა)*

იანკი: რვა!

მიხაელი: *(გაკვირვებული)* რა რვა?

მიშელ და ნაომი სიცილისაგან ბჟირდებიან. იანკი ცდილობს მიხაელს აუხსნას „მემების“ შესახებ, მაგრამ მასაც ეცინება. მიხაელი ნაომის შესცქერის განცვიფრებული, გოგონა ასეთი მას არასოდეს უნახავს. მიმტანი ანგარიშს მაგიდაზე დებს.

მიხაელი: ნაომი! შენ გლოვის წელიწადი გაქვს...! იფიქრე დედაშენზე.

ნაომი წამში დასერიოზულდება. ამ დროს იანკიც დგება საფულის ამოსაღებად. თან ნარჩენებიან სუფრას გაათრევს და ყველაფერი საბრალო მიხაელს დაეყრება. ნაომი თავს ვეღარ აკონტროლებს, ისევ სიცილი აუტყდება, თან ცდილობს, საქმროს დაეხმაროს. მიხაელი თავიდან იშორებს მას, დგება და მიდის. ნაომი უკან მისდევს.

მე-8 სურათი (განსაბანელი[1] / იმავე ღამეს)

მოქმედი პირები:

მიშელ, ნაომი, ბრახა, ხავა, ბილჰა, აბიგაილ.

მიდრაშის გოგონები *(მონაცვლეობით ამბობენ)*

ა. დიდების საგალობლები:
სიღრმეებიდან გიხმე, უფალო.
ბ. უფალო, ისმინე ხმა ჩემი:
ყური უგდე ვედრებას ჩემსა.
გ. გამაძლიერე ცოდვის წინაშე.
დ. მიტევებაც ხომ შენითაა მოშიშისათვის.
ე. შენ დაგენდო სული ჩემი, უფალო,
შენი სიტყვა გავიხადე კანონად.

(ნაომი შემოდის, ჯდება, ანთებს სანთელს, დებს პირსახოცს. ფსალმუნებს ბუტბუტებს. ისეა ლოცვაში ჩანთქმული, რომ მიშელის შემოსვლას ვერ ამჩნევს)

მიშელ: ნონი?! *(ნაომი შეკრთება)* ნონი, რას აკეთებ?
ნაომი: ჰე! *(შიშისგან შეხტება)* შემაშინე, გიჟო...
მიშელ: მე ვარ გიჟი? ღამის 2 საათია!

[1] განსაბანელი – ებრაულად „მიკვე“ – ტრადიციული სარიტუალო აუზი ქალებისათვის იუდეველებში

ნაომი: მიშელ, მარტო უნდა ვიყო, კარგი?
მიშელ: განსაბანელში რას აკეთებ? რა- გადაწყვიტეთ, ქორწილი დააჩქაროთ?
ნაომი: *(ირონიული სიცილით)* სულაც არა. მიშელ, გთხოვ, მარტო დამტოვე.
მიშელ: თუ არ თხოვდები, განსაბანელში რა გინდა? ეს მხოლოდ გათხოვილი ქალებისთვის არაა? *(პასუხი არაა)*
მარტო ის მითხარი, აქ რატო მოხვედი და მივდივარ.
ნაომი: ერთხელ დედამ მითხრა, რომ განსაბანელში ჩასვლა უბედურების ჟამს... ლოცვების შესმენას ეხმარება.
მიშელ: და შენ უბედურების ჟამი გიდგას? *(პასუხი არაა)* რა დაემართა მიხაელს, მას აქეთ, რაც რესტორნიდან გახვედით?
ნაომი: არაფერი. მე... მე მინდა განსაბანელში ჩავიდე.
მიშელ: წავიდე?
ნაომი: კი... *(მიშელ გასასვლელად შებრუნდება)*

(ნაომი იხდის ხალათს და წყალში ჩადის, თავს ასწევს და ხედავს, მიშელიც იხდის)

ნაომი: *(განსაბანელიდან)* რას შვრები?
მიშელ: უბედურებები მეც მაქვს... და არც ერთხელ არ გავბანილვარ. *(მიშელი წყალში ჩადის)* რამე პრობლემაა?
ნაომი: ააჰ... *(უნდა, მაგრამ ძალიან ეშინია)* რა, ერთად?.. კარგი.

მიშელი წყალშია. ნაომი გულმკერდზე ხელებს გადააჯვარედინებს და ანიშნებს, ჩემსავით გააკეთეო. მიშელი ჰბაძავს.

ნაომი: იყავნ ნება შენი, უფალო, ღმერთო მამათა ჩვენთა *(მიშელი იმეორებს)*, და როგორც განსაბანელის წყალი განწმენდს ჩვენს სხეულს *(მიშელი იმეორებს)*, ეგრეთ მაშორე ყოველგვარი ავი

ზრახვანი *(მიშელი იმეორებს)*, ამოშანთე ყველა სიბილწე და ცოდვა ჩემი სულიდან *(მიშელი იმეორებს)*, კურთხეულ ხარ უფალო ჩვენო, მეუფეო ქვეყნიერებისაო *(მიშელი იმეორებს)*, რომელმან წმიდა გვყო თავისი მცნებებით და გვიბრძანა ჩვენ, რათა განვიბანეთ *(მიშელი იმეორებს)*.

(ნაომი მის წინ იწვდის ხელებს, მიშელიც, ორივე სამჯერ ჩაყურყუმალავდება; ამოდიან, ქოშინებენ, ერთმანეთს შესცქერიან)

მიშელ: გცივა?

ნაომი: არა.

მიშელ: სულ კანკალებ.

ნაომი: არ მცივა.

მიშელ: *(პაუზა)* მერე? მერე რა მოხდა, მას შემდეგ, რაც რესტორნიდან გახვედით? *(სიჩუმე)*

ნაომი: უკან გავედევნე. გაჩერებამდე მივდიე, მასთან ერთად ველოდი ტრანსპორტს, არაფერი გვითქვამს ერთიმეორისთვის, გარდა დამშვიდობებისა, უცხოებივით. ვიცოდი, რომ ნაწყენი იყო ჩემზე, მინდოდა მომებოდიშებინა, მაგრამ ვერ გამეგო, როგორ.

მიშელ: ნონი, ხდება ეგეთები, ხვალ დილით ყველაფერი სხვაგვარად გამოჩნდება.

ნაომი: იმედი მაქვს... უბრალოდ... ამ საღამოს ვიგრძენი, როგორ ჩარაზულა ჩემი გული... ეს მაშინებს.

მიშელ: გულები იხურებიან და იხსნებიან. ასეა. კუნთია, კუნთი *[ხელით აჩვენებს გულის დახურვა-გახსნას]*.

ნაომი: ჩემთან, როცა იხურება, იხურება და მორჩა. ასე დამემართა დედაჩემთანაც, როდესაც მოინდომა, რომ მამა ჩემს მეცადინეობას შეშვებოდა. მაშინაც კი, როცა ავად გახდა, ვერ შევძელი გული გამეხსნა. მინდოდა, წარმოვიდგენდი ჩემს

თავს, როგორ ვეკიდებოდი კისერზე, როგორც ბავშვობაში და უბრალოდ, ვერ ვახერხებდი...

მიშელ: ეს სხვა რამეა. დარწმუნებული ვარ, იპოვი გზას მიხაელთან ერთად.

ნაომი: *(აკაკუნებს)* რატომ შემიძლია, შენთან ვილაპარაკო თავისუფლად, ვიგრძნო, ვიცინო, მასთან კი...

მიშელ: ჰეი, ამისთვისაა მეგობრობა *(ნაომი საწყლად გამოიყურება, მიშელი თმაზე ეფერება)*, მოიცა, გინდა, ეს ამბავი დალაგდეს? *(ნაომი თავს უქნევს, ლაპარაკს ვერ ახერხებს)*, მაშ, დალაგდება. შენი ისეთი საყვარელი ხარ, ნონი! გადასარევი, ჰოპ! აი, წარბი გითამაშებს... ხანდახან ისეთი შეგრძნება მაქვს, რო მთელი ცხოვრებაა გიცნობ. მიხაელი რო ვიყო, ახლა გაკოცებდი.

(ნაომი გაოცებული მისჩერებია. დიდხანს აშტერდებიან ერთმანეთს. სუნთქვა უხშირდებათ. ერთმანეთს უახლოვდებიან და კოცნიან. შორიდან კლარნეტის ხმა ისმის. ვნებისაგან თავბრუ ესხმით. ბინდდება).

გოგონები *(მღერიან)*:

ღმერთო ჩემო,
სული, რომელიც მომმადლე,
წმინდა სულია,
ღმერთო ჩემო,
სული, რომელიც მომმადლე,
სულიწმიდაა.

(სიმღერა შემდეგ მოქმედებასაც გასდევს ფონად)

9. მეცხრე სურათი –
(მიდრაშს გარეთ / მეორე დღეს დილით)

მოქმედი პირები:

შაინე, მირი, ნაომი, ბრახა, ბილჰა, აბიგაილ, ხავა.

გოგონები *(მღერიან)*: *[გრძელდება განსაბანელის სცენა]*

შენ შექმენ
შენ შვი
შენ შთამბერე
შენ იცავ ჩემში...

შენ შექმენ
შენ შვი
შენ შთამბერე
შენ იცავ ჩემში...

შაინე: *(შემოდიან შაინე და მის შემდეგ მირი, საქმიანი ფაცაფუცითა და ჩანთით/ჩემოდნებით) (მირის)* ... და მაშინ იქნება კითხვა: „რა არის ახალი?“ – და მეც მოვყვები, თუ რა ვისწავლე, სად ვიმოგზაურე, რით გამოვიჩინე თავი... რომც ვუთხრა, ინგლისის დედოფლად ამირჩიეს-მეთქი, ისევ შემეკითხებიან: „ჰო, მაგრამ ახალი რა არის?“... იმიტომ რომ ამ კითხვას მხოლოდ ერთი სწორი პასუხი აქვს: „ვიღაც მყავს“. მე კი არავინ მყავს.

მირი: ის მორდი სადღაა?

შაინე: მორდი? მორდი ვიღას ახსოვს? მას შემდეგ იყვნენ: მოიშე, პინხას, შეია, შმულიკ, ირყამ...

მირი: ირყამ?!

შაინე: დიახ, შაბათ საღამოს შევხვდით ერთმანეთს. *(ჩანთას დებს)* კარგი ბიჭია – თუმცა არ... *(სიტყვას ეძებს)* ااარ...

მირი: არ გავარდა?

შაინე: მას აქეთ არ დაურეკავს. ოჰ, მირი *(შემოდიან მოსწავლეები ჩემოდნებითა და ჩანთებით, დგანან და ლოცულობენ)* ჩემთან ხომ არ მოხვალ ფესახზე?

მირი: ფოკუსი ნარკუშაზე გადმოდის, ჰა?

შაინე: რაში მაინტერესებს, ნარკუშა ხარ თუ რა? შენ ჩემზე 4 წლით უფროსი ხარ – და გათხოვილი არ ხარ! დეიდები ნოკაუტში აღმოჩნდებიან!

მირი: მართალი ვთქვა, მიშელთან დავთქვი, რომ ფესახს ერთად აღვნიშნავდით, მარა ბოლოს ნაომთან შეთანხმებულა.

შაინე: მშვენიერი! მაშ, შენ ჩემთან მოდიხარ.

მირი: მარა... დედაჩემს შევპირდი.

შაინე: მართლა? იო!

გოგონები: შშშშშ... *(ლოცვას განაგრძობენ)*

შაინე: ყოჩაღ! რა სიმამაცეა.

მირი: კი, უკვე ორი წელია, არ მინახავს... თუმცა თავს ახლა უფრო ძლიერად ვგრძნობ – და, მართალია, ქაშერს არ იცავს და, როგორც წესი, არც ფესახის სუფრას აწყობს, ერთჯერადებს ჩავიტან... იქაურობას გავწმენდ, ყველაფერს დავალაგებ...

გოგონები: შშშშშ... *(ლოცვას განაგრძობენ)*

(ნაომი შემოდის, შეწუხებული და მოუწესრიგებელი ჩანს, გოგონებს შორის მიმოდის, მიშელს ეძებს)

ნაომი: *(ჩურჩულებს)* სად არის მიშელი? *(შაინე მხრებს იჩეჩს, ნაომი მირის მიმართავს)* მირი! მიშელი ხომ არ გინახავს? *(მირი მისკენ ბრუნდება)* არსად არის. *(მირი ანიშნებს, რომ შუა ლოცვაში ლაპარაკი არ შეუძლია)* მითხარი მხოლოდ, ნახე თუ არა ამ დილას.

მირი: *(აჩერებს ნაომის)*... ფესახზე შენთან არ მოსულა?

ნაომი: იყო, მაგრამ გაქრა...

ნაომი: *(ხმამაღლა)* მაპატიეთ, გოგოებო, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დგას, ვინმეს ხომ არ გინახავთ მიშელი? ის, უბრალოდ, გაუჩინარდა!

ბრახა: *(ლოცვას ამთავრებს)* მე დავინახე. ჩემოდნით გამოდიოდა – ვიფიქრე, შენც წახვედი.

ნაომი: ჩემოდნით?! საით წავიდა?

ბრახა: უკანა ჭიშკრისაკენ...

ნაომი: როდის?

ბრახა: დაახლოებით ორი საათის წინ. *(გოგონები ლოცვას ამთავრებენ, ჩანთებს იღებენ და გადიან)*

შაინე: *(გარეთ მიმავალი)* ნაომი, ყველაფერი რიგზეა? *(ნაომი თავს უქნევს, თუმცა განადგურებული ჩანს)*

გადასვლა: ჩნდება მიშელი ჩემოდნით – ცხადია, რომ ეს ნაომის წარმოსახვაა – დანარჩენი გოგონები ყველანი ფანჯრებში ჩნდებიან მიშელივით. მის სიტყვებს იმეორებენ. რაღაც ეტაპზე კედელი შეირხევა და წიგნები გადმოცვივდება. ნაომი წიგნებს მივარდება, ზოგიერთის დაჭერას ახერხებს, ფეხი დაუცურდება.

ნაომი: მიშეელლლლ!!

პირველი მოქმედების დასასრული

მეორე მოქმედება

10. მეათე სურათი
(მიდრაშს გარეთ / ორი კვირის თავზე)

მოქმედი პირები:

მიშელ, ნაომი, მირი, შაინე, ხავა, ბილჰა, ბრახა, აბიგაილ

მიშელი, აბიგაილი, ხავა და ბილჰა მოდიან ჩემოდნებით.

მიშელ: ეს დეიდები! შეიგნონ რა! მას აქეთ არ მენახა, რაც ისრაელში ჩამოვიდნენ – წლებია! – ბავშვების გროვა მომაყარეს, თითქოს... ოპა! მოვიდა აგერ მოხალისე საფრანგეთიდანო! *(იცინის)*

ბილჰა: მაშ, საბოლოოდ საერთოდ არ ყოფილხარ ფესახზე ნაომისთან?

მიშელ: როგორ? განძრევის საშუალება არ მომცეს, სუნთქვის!

აბიგაილ: ნაომი ძაან ღელავდა შენზე, როცა არდადეგებზე მივდიოდით – ფიქრობდა, რომ რაღაც შეგემთხვა.

მიშელ: შემემთხვა! დეიდამ გაიგო, რო უკვე ნახევარი წელია ისრაელში ვარ და მის სანახავად კი არ მივდიოდი! *(ისევ იცინიან)*

მათკენ მირი მიემართება. მარტოდმარტო, უჩანთოდ, ნამცხვრების სინით ხელში

მირი: კეთილი იყოს თქვენი დაბრუნება! აბა, ვის უნდა ჩემი ხელით გამომცხვარი წმინდა ფუმფულები?

ყველა ერთხმად: მოიტა... / შენ გამოაცხვე?! / მარტო ერთი, უნდა გავხდე.

მიშელ: მირი! რა, მთელი ფესახი აქ გაატარე?

მირი: უმეტესად...

აბიგაილ: დედაშენთან არ ყოფილხარ?

მირი: ვიყავი. ის არ იყო.

მიშელ: ხომ დათქვით?

მირი: კი... სახლი დავუწკრიალე – დარწმუნებული ვიყავი, რომ ფესახის საღამოს მოვიდოდა. შუაღამემდე ველოდი... და მაშინ გადავწყვიტე, მარტოს გამეწყო სადღესასწაულო ტრაპეზი.

ბილჰა: რა სიმტკიცეა სულისა.

მირი: მოიცა. ოთხი ჭიქა ოთხ ბოთლამდე ავიყვანე. მეოთხე ბოთლზე დავლიე ყველა ტაბლეტი, რაც იმ კაბალისტთან ვიზიტის შემდეგ არ მიმელო, ნახევარი ფლაკონი...

(ყველა ჩუმადაა, არ რეაგირებენ)

მირი: ვიცი, რომ თორა ამას კრძალავს, მარა... ჩემს ძალებს აღემატებოდა *(ისევ სთავაზობს ნამცხვარს)*

მიშელ: აბების შემდეგ რა მოხდა?

მირი: დავლივლივებდი... სანამ ის არ მოვიდა ვიღაც კაცთან ერთად, რომელიც არაბულად ლაპარაკობდა – ორივე მთვრალი იყო. დედაჩემი განუწყვეტლივ იცინოდა. ჩემზე კი სწორედ იმ კაცმა იზრუნა – სასწრაფო გამოიძახა. ჩამესმოდა, დედაჩემი როგორ ეუბნებოდა სასწრაფოს მძღოლს: თავის მოკვლა მართლა რომ ნდომოდა, მთელ ფლაკონს დალევდაო. *(იცინის)* მართალი იყო. მარა სიკვდილი არ მინდოდა – მინდოდა მხოლოდ... არ ვიცი, რა მინდოდა! საბედნიეროდ, დვორიმ გამომიყვანა საავადმყოფოდან – ეს რაბანითი ჩემი მხსნელი ანგელოზია. გინდა? *(მიშელს ნამცხვრებიან სინს უწვდის)*

მიშელ: მირი, ძალიან ვწუხვარ. შენთან ერთად უნდა დავრჩენილიყავი ფესახზე...

მირი: სიბრალული არ მჭირდება, კარგი? *(შეამჩნევს, რომ ზემოთ ნაომია და იქიდან დაჰყურებს მათ)* ნაომი!

გოგონები: ჰეი ნაომი!

მირი: მოდი რა! *(სინს უწვდის)* ნამცხვარი არ გინდა?

ნაომი: არა, გმადლობ. *(მზერას მიშელისკენ გააპარებს, მერე შებრუნდება და დაჯდება)*

მირი: *(გრძნობს დაძაბულობას)* ერთი წუთით, მიშელ – ფესახზე ნაომისთან არ იყავი?

მიშელ: საბოლოოდ არა... აჰ... ნათესავებთან მომიხდა გამგზავრება, რეხოვოთში. *(ნაომის რეაქცია შესამჩნევია. მიშელი ისე ლაპარაკობს, რომ ნაომის ყურს მისწვდეს)* ნაწყენები იყვნენ, აქამდე რომ არ ვინახულე.

(მოულოდნელად გამოჩნდებიან შაინე და ბრახა)

ბრახა: გოგოებო!

შაინე: *(ბრახას)* მე ვიტყვი! *(ყველას)* ორი ახალი ამბავი მაქვს: კარგი და ცუდი. ცუდი ისაა, რომ დღეს აღარ დავინიშნები, რადგან შანსი არაა, ერთ დღეს ორი ლხინი გაიმართოს, რასაც, ფაქტობრივად, კარგ ამბამდე მივყავართ... *[ბრახას ცენტრისკენ მიათრევს]* ბრახა დაინიშნა! *[გოგონები ბრახას გარშემო გროვდებიან]*

გოგონები: გილოცავ, რა მშვენიერია...

მირი: დვორის უთხარი?

ბრახა: ვერ მოვასწარი –

გოგონები: *(მღერიან) [ბრახას გარშემო წრეს შეკრავენ]*

„რარიგ ვცეკვავთ და ვროკავთ, ოი, ოი, ოი...
პატარძლისა წინაშე“
„რარიგ ვცეკვავთ და ვროკავთ
პატარძლისა წინაშე“
[თან მარცხნივ გადიან]
„რარიგ ვცეკვავთ და ვროკავთ, ოი, ოი, ოი...
პატარძლისა წინაშე
მშვენიერ და სათნო ქალწულისა წინაშე“.

(მირი შიგნით ექაჩება მიშელს, მაგრამ მიშელი ნამცხვარს იღებს და ნაომისკენ მიემართება. ნამცხვარს უწვდის)

მიშელ: ნონი... ვწუხვარ, რომ ბოლოს ვერ მოვახერხე მოსვლა.
ნაომი: გაიქეცი.
მიშელ: არა, მე –
ნაომი: მიშელ, შენ გაიქეცი! იმის გამო, რაც მოხდა.
მიშელ: ნაომი, არაფერი მომხდარა. კარგი?
ნაომი: რა?
მიშელ: ასეთი რამეები ხდება ხოლმე, ეს არაფერს ნიშნავს. მართლა არაფერია.
ნაომი: მართლა არაფერია? *(გარედან გოგონების სიცილი ისმის)*
მიშელ: დიახ! მოდი, მოვეშვათ ამას – გთხოვ! *(სიჩუმე)*
მირი: *(მარცხნიდან შემოდის)* მიშ, შენ არ მოდიხარ?
მიშელ: ერთი წამით! *[მირი გადის]*
ნაომი: წადი, მე ისედაც გლოვის წელი მაქვს...
მიშელ: კმარა, ნონი – რატომ ასერიოზულებ?
ნაომი: მინდა გავიგო, შენთვის ეს ყოველდღიური მოვლენაა?
მიშელ: არა!

ნაომი: მაშ, რა იყო? *(რეაქცია არაა)* რას ნიშნავს „მართლა არაფერია?! რამდენჯერ გიქნია ასე?
მიშელ: გაგიჟდი? ცხოვრებაში მსგავსი არაფერი მქონია! ასე რატომ მელაპარაკები?
ნაომი: იმიტომ რომ ასეთი რამ ვერასოდეს წარმომედგინა... ორი კვირაა, სხვაზე ველარაფერზე ვფიქრობ – აქედან ქურდივით გაიქეცი – მილიონჯერ დაგირეკე და არც ერთხელ მიპასუხე – აბა, როგორ გინდა, რომ დაგელაპარაკო? *(სიჩუმე ჩამოვარდება. მიშელი შეწუხებულია)* შენთვის ეს თამაში იყო?
მიშელ: არა! არა... *(ყელში ბურთი აქვს გაჩხერილი)* მეც განადგურებული ვარ, მაგრამ... ნონი, ძალიან ვწუხვარ, რომ ამაში ჩაგითრიე.
ნაომი: შენ მე არ ჩაგითრევივარ! მანდ ბევრად ადრე ვიყავი. როგორ გგონია, რისთვის წავედი განსაბანელში საყურყუმალაოდ?
მიშელ: მიხაელის გამო, არა?
ნაომი: შენ გამო! *(სუნთქვა ისმის)* მინდოდა, მიხაელის მიმართაც იგივე მეგრძნო, რასაც შენ მიმართ განვიცდი, მაგრამ... ჩემი გული უარზეა, ტვინის ინსტრუქციები მიიღოს.
მიშელ: ცხოვრებაში ასეთი მშვენიერი რამ ჩემთვის ჯერ არ უთქვამთ... თუნდაც გაუაზრებლად წამომცდარი.
ნაომი: წარმოდგენა არ მქონდა, რომ ამგვარი განცდა შესაძლებელი იყო.
მიშელ: ვერც მე წარმოვიდგენდი. მაგრამ ჩვენთვის ეს დაუშვებელია.
ნაომი: ვიცი... და მე ამ ზაფხულს მიხაელს უნდა მივთხოვდე.
მიშელ: დიახ... შენს პროექტში უნდა ჩაერთო.
ნაომი: მე მგონი... შესწორება უნდა შევიტანოთ.
მიშელ: შესწორება?
ნაომი: სხვა გამოსავალი არაა. ვერავითარ სწავლაში, ვერც ერთ

წიგნში ვერ იპოვი, მხოლოდ საიდუმლო წიგნებში შეიძლება ნახო. იქ გეძლევა შესაძლებლობა, საგნები შეცვალო. თუ შენ არ გინდა, მე ამას გავიგებ და უბრალოდ, ავდგები და ჩემს თავს შევცვლი.

მიშელ: რატო, შტერი ხარ? ორივემ ვცოდეთ... რა თქმა უნდა, მე მინდა. *(გულისცემა)* ხომ არ უპოვე უკვე შესწორება იმას... რაც ჩვენ შორის მოხდა?

ნაომი: ჯერ არა, მაგრამ კიდევ ბევრი წიგნია წასაკითხი მიდრაშ-ში, წმინდა ჰა-არი კი ამბობს...

მიშელ: რომ ყოველ ცოდვას ახლავს გამოსწორების გზა.

ნაომი: სწორედ.

შემდეგი სცენის პარალელურად

გოგონები: *(მღერიან)*

ვინ იპოვის გამრჯე დედაკაცს? მარგალიტზე ძვირია მისი ფასი.
მისი ქმრის გული მასზე იქნება დანდობილი და შემოსავალი არ მოაკლდება.
დგებიან მისი ვაჟები და ლოცავენ მას, ხოლო ქმარი აქებს მას.
მრავალმა ასულმა გამოიჩინა მხნეობა, მაგრამ შენ გადაამეტე ყველას.
მაცთუნებელია სიკოხტავე და სილამაზე ამაოებაა, უფლის მოშიში დედაკაცია საქებარი.
მიაგეთ მას მისი შრომის საზღაური და მისმა საქმეებმა იგი კარიბ-ჭეებთან განადიდონ.

11. მეთერთმეტე სურათი
(მიდრაში – შაბათის შემოსვლა)

მოქმედი პირები:

ბრახა, ხავა, აბიგაილ, ბილჰა, დვორი, შაინე, მირი, მიშელ, ნაომი.

გოგონები: *(მღერას განაგრძობენ, ანთებენ სანთლებს, ლოცულობენ)* შაბათ შალომ.

დვორი: გოგონებო! შაბათ შალომ *(გოგონები უპასუხებენ)* ოთხი შევიდა ფარდესსა შინა – გახსოვთ ეს მიდრაში? ოთხი დიდი ისრაელიანის შესახებ, რომლებიც საიდუმლოებას ეწაფე-ბოდნენ.

ხავა: ...ერთი მოკვდა, ორი გაგიჟდა, მესამე ერეტიკოსი შეიქნა.

დვორი: ...და მხოლოდ რაბი აკიბა...

ყველა გოგონა: მშვიდობით შევიდა და მშვიდობით გამოვიდა.

დვორი: ერთობლივი ძალებით. ბრახა, მომიტანე წიგნები, გეთა-ყვა. *(ბრახას წიგნები მოაქვს)*

დვორი: ამ კვირას მიდრაშში კაბალისტურ მეტამორფოზის წიგ-ნებს წავაწყდი. ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ეს წიგნები არ შედის თქვენს სასწავლო პროგრამაში. წიგნები მონიშნულია *(მკითხველებისაგან)*: „რძლის მიმართ ლტოლვასთან გამკლა-ვება“, „ქალებთან ურთიერთობის გამოსწორება“ *(გოგონები ქირქილებენ)* ეს არ არის სასაცილო. ყველა ვართ მოწმე, წე-ლიწად-ნახევრის წინ როგორ მოკვდა პრემიერ-მინისტრი პრაქტიკული კაბალის გამო.

შაინე: ვინ, რაბინი? რა, ის არ მოკლეს?

დვორი: დიახ, შაინე, ის მოკლეს. მას აქეთ, რაც 100-მა რაბინმა გამოუტანა მას სასიკვდილო განაჩენი და თავს სიკვდილის წყევლა დაათიეს. პრაქტიკული კაბალა მძლავრი იარაღია, რომელიც არასათანადო ხელში შეიძლება გამანადგურებელ იარაღად იქცეს. *(გოგონების რეაქცია)* ვინც ფიქრობს, რომ შეუძლია ამას მიჰყოს ხელი, მისი ადგილი აქ არ არის... ვინმეს ხომ არ სურს, აღიაროს? *(დუმილი)* კარგი, ვიცი, არის ერთი მოწაფე, რომელსაც კაბალისტური მეტამორფოზების ინტერესი აქვს. წლის დასაწყისში უკვე გვქონდა ამაზე საუბარი, არა, მიშელ?

(დვორი გამჭოლ მზერას მიმართავს მიშელისაკენ. გოგონებიც მისჩერებიან, როდესაც მოულოდნელად ნაომი დგება)

ნაომი: რაბანით დვორი, მე ვარ პასუხისმგებელი ამ წიგნებზე.

(კლასი და დვორი გაოგნებულები არიან)

დვორი: ნაომი...?

ნაომი: არ მეგონა, თუ ამ წიგნების გამოყენება, აქ რომ აწყვია, რაიმე დარღვევას უკავშირდებოდა.

დვორი: გამოყენება?! წაკითხვა პრობლემა არაა, თუ ამას გულისხმობ.

ნაომი: ეს საკითხავი წიგნები არაა, ეს ინსტრუქციების და მითითებების წიგნებია, ადამიანს საკუთარი თავის სრულყოფაში რომ დაეხმაროს...

დვორი: ნაომი, შენ გონიერი გოგო ხარ! სამედიცინო ლიტერატურას თუ წაიკითხავ, განა ექიმი გამოხვალ? ან კანონებს თუ წაიკითხავ, მოსამართლე გახდები? გოგონებო, ვის გახსოვთ ხაზალის კრიტერიუმები საიდუმლო წიგნების შესწავლის დაწყების შესახებ? *(ყველა ხელს იწევს)*

აბიგაილ: 40 წლის, ცოლიანი, მინიმუმ ორი შვილით.

ნაომი: ქალების შესახებ არაფერი წერია.

რაბანითი: მე 50 წლის ასაკში დავიწყე ზოჰარის სწავლა ჯგუფში – სწავლა! და არ მაქვს ამბიცია ვიფიქრო, რომ შემიძლია პრაქტიკულ კაბალას მივყო ხელი.

ნაომი: *(განაწყენებული)* მე არ მივდევ... მარტოოდენ ვცადე „მეტამორფოზის“ სქემა შემედგინა.

რაბანით: „მეტამორფოზის“ სქემა შეგედგინა?! – შენს თავს წმინდა ჰა-არისთან აიგივებ?

(გოგონები ქირქილებენ)

რაბანით: ჩემს მიდრაშში ჩვენ პრაქტიკულად ვახორციელებთ თავის სრულყოფას: ლოცვებით, სწავლით, განბანით, ვედრებით, ურთიერთპატივისცემით... და არა მისტიკის გზით; ფუნდამენტურად და არა ფორმალურად.

ნაომი: მე ვერ ვხედავ აქ წინააღმდეგობას.

დვორი: გოგონებო, თავისუფლები ხართ შაბათის ტრაპეზისათვის – ნაომი! *(ნაომი შედგება)* მომიცადე, გეთაყვა.

(ბრახა წიგნებს იღებს. გოგონები აქეთ-იქით იფანტებიან. ნაომი რჩება დვორისთან)

რაბანით: მიშელია ამ საქმეში გარეული, ხომ? მან გთხოვა „მეტამორფოზის“ შესრულება? მეც მთხოვა. მიშელი ცრუპენტელაა, მაცთური. იცი, მამამისმა აქ რატომ გამოგზავნა?

ნაომი: დიახ.

რაბანით: მთელ საფრანგეთში არც ერთი რელიგიური დაწესებუ-

ლება არ იყო თანახმა მის მიღებაზე მას შემდეგ, რაც მასთან დაკავშირებით მოხდა.

ნაომი: იმიტომ რომ იარლიყი მიაწებეს! თქვენც გამოიქეცით ბნეი-ბრაკიდან, რადგან „შეშლილი ქვრივის“ იარლიყი მოგაკერეს.

დვორი: არა... მე არ გამოვქცეულვარ. თავაწეული გამოვედი და დიდი ფასი გადავიხადე, შენისთანა ყმაწვილქალთა თაობებისთვის კარი რომ გამეღო.

ნაომი: ...მაპატიეთ.

რაბანით: ნაომი, რა მოხდა? ფესახის არდადეგებიდან გამარჯვებული დაბრუნდი განცხადებაზე მამაშენის ხელმოწერით. გითხარი, როგორ ვამაყობ შენით, და უცებ ეს? გინდა, ყველაფერი წყალს გაატანო? *(ნაომი უარის ნიშნად თავს აქნევს)* თავს ისე ნუ გვაჩვენებ, თითქოს საზღვრებს ვერ ხედავდე.

ნაომი: ვწუხვარ.

დვორი: განზრახული მქონდა, შენთვის მეცნობებინა, რომ შენი საგამოცდო ნაშრომი შესანიშნავია და რომ შენ ირიცხები პროექტში.

ნაომი: მართლა? გმადლობთ.

დვორი: ნაომი, წლებია ველოდები შენისთანა მოწაფეს, მაგრამ თუ ამ „მეტამორფოზებს“ გააგრძელებ... შენზე უარს ვიტყვი.

ნაომი: აღარ გავაგრძელებ.

დვორი: მშვენიერია – მიშელს მე მივხედავ.

ნაომი: არა! გთხოვთ... ეს ჩემი პასუხისმგებლობაა. მე... მე დაველაპარაკები.

(შემოდის მირი)

მირი: დვორი, გოგონები კითხულობენ, კიდუშისათვის დაგელოდონ თუ არა.

რაბანით: კი, ახლავე მოვდივარ *(გადის)*.

მირი: *(ელოდება, რომ დვორი გავიდეს, და ნაომისთან მიირბენს)* ვერ წარმოიდგენ – შენ ახლა ზეციდან მომევლინე. „მეტამორფოზა“ უნდა გამიკეთო! იმ „მეტამორფოზას“, რაბი ელიაკიმისა, ყავლი გაუვიდა – მას აქეთ, რაც ხაიფაში ვიყავი – მე... მე ეს ხარვეზი უნდა გამოვასწორო!

ნაომი: მირი, მე არ ვარ „მეტამორფოზების ოსტატი“.

(შემოდიან მიშელი და შაინე. მიშელი ნაომისთან ჩასახუტებლად გარბის)

მიშელ: ჩემო გენიოსო! ვერაფერი გიპასუხა! ნახე?

მირი: საერთოდ! შენც იმ გზის გამკვალავი ქალებივით ხარ, რაბანითის თქმით, სამყაროს რო ცვლიან...

შაინე: *(შემოდის)* მიშელმა თქვა, რო „მეტამორფოზა“ მოუგონე ისეთ რამეს, რომელსაც არ გააჩნია მეტამორფოზა! აქამდე მსგავსი არაფერი ყოფილა! დიდება უფლას, შენი გაცნობის ღირსი რომ გაგვხადა.

ნაომი: მისმინეთ – მე არ...

მიშელ: დიახაც ხარ! შენ, უბრალოდ, მაგაზე ჭკვიანი ხარ!

შაინე: ნაომი. მე მაგას საკმარისი შანსი მივეცი. 44 პაემანი მომიწყო – და არაფერი. არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. მინდა „მეტამორფოზა“ გამიკეთო...

მირი: ერთი წუთით! ჯერ მე ვთხოვე. ნაომი, გთხოვ – ხომ იცი, არ გთხოვდი, ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი რომ არ იყოს...

შაინე: ჩემთვისაც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია!

მიშელ: მიეცით მაგას სფეისი...

შაინე: არა! *(ევედრება)* იცით, ფესახზე არც ერთ დეიდას არ უკითხავს „ახალი რა არის?“ თითქოს... რაც უფრო მძულს

დეიდების „ახალი რა არის?“ – მით უფრო მძაბავს ის, რომ არ მეკითხებიან... *(ყელში ბურთი აქვს გაჩხერილი)* აღარავის სჯერა, რომ ისეთი ქვაბი ვარ, რომელსაც სახურავი აქვს... მე თავადაც აღარ მჯერა! ნაომი, გთხოვ...

ნაომი: *(უხერხულად)* საერთოდ არ მგონია, რომ ამის გაკეთება შემიძლია.

მირი: შემოგვხედე – ყველას გვწამს შენი, მილიონი პროცენტით.

შაინე: შენი შიში მხოლოდ იმას ამტკიცებს, რო ნაღდი ხარ. ეს რაბი ნახმანივითაა.

მირი: იქნებ დამლოცო?

ნაომი: კმარა, შეწყვიტეთ! ხომ გაიგეთ, რაბანითმა რა თქვა... არ არსებობს მეტამორფოზები! მე არ ვარ უფლებამოსილი. ეს საშიშია. ამას არ ვაკეთებ. და თუ არ გინდათ, უარეს შარში გამხვიოთ, შაბათის სუფრაზე წადით. *(მიშელი მათ თვალით ანიშნებს, შაინე და მირი გადიან)*

(ნაომი იქაურობას შორდება. მიშელი უკან მისდევს)

მიშელ: *(ჩურჩულებს)* რა მოხდა?... უნდა მიეჩვიო, რომ მიმდევრები გყავს...

ნაომი: მისმინე, მიშელ...

მიშელ: ახლა ხომ აღარ გამირბიხარ...

ნაომი: მიშელ –

მიშელ: შენს „მეტამორფოზაზე“ რა ხდება? როგორ გახდები რაბინი? როგორ იქორწინებ მიხაელზე?... ნონი...

ნაომი: მიშელ! შეგიძლია ერთი წამით მომისმინო?!

მიშელ: რა?

ნაომი: *(ჩუმად და ინტენსიურად)* რა თქმა უნდა, მოვახდენთ მეტამორფოზას. მაგრამ მარტო შენ და მე.

მიშელ: აჰ, კარგი.

ნაომი: დავაჩქარებთ. ხვალ, შაბათის წაბრძანებასთან ერთად. ძველ სასაფლაოზე. და თუ იკითხავენ...

მიშელ: ყველაფერს უარვყოფთ.

ნაომი: სწორედ. *(მიშელ სასადილო ოთახის მიმართულებით ბრუნდება)* სად მიდიხარ?

მიშელ: საჭმელად.

ნაომი: ამ წამიდან ჩვენ მარხვას ვიცავთ.

12. „მეტამორფოზა“
(სასაფლაო ცფათში – იმავე ღამეს)

მოქმედი პირები:

ბრახა, ბილჰა, აბიგაილ, ხავა, ნაომი, მიშელ, მირი, დვორი.

(ძლიერი ქარი უბერავს და უსტვენს. შემოდიან მიშელ და ნაომი, მიშელი იხრება, ცდილობს კოცონი დაანთოს)

ნაომი: ... ტომარა სადაა?

მიშელ: საშინელებაა! ამ მარხვამაც სული ამომხადა.

ნაომი: მეც – მაგრამ ეს კარგია. *(თან ცდილობს, ფიჩხს ცეცხლი შეუნთოს)* ჰა-არი ამბობს, რომ მხოლოდ თვითგვემით შეიძლება გატეხო შენში შიგნით ის რაღაცა, რასაც ადამიანი ცოდვამდე მიჰყავს.

მიშელ: იმედი ვიქონიოთ... *(კოცონის მიმართ)* დარწმუნებული ხარ, რომ აქ ცეცხლის დანთება ნებადართულია?

ნაომი: ცეცხლი გვჭირდება. ნაცრისთვის და ასევე-

მიშელ: შშშშ ! *(ხმაური ისმის)* გაიგონე?

ნაომი: რა?

მიშელ: შშშ... *(ყურს უგდებს, იძახის)* ჰეი? *(რეაქცია არაა)*... რა საშიშია, თანაც სასაფლაოზე.

ნაომი: მე არაფერი გამიგია. *(ცეცხლზე)* აჰა! დავიწყოთ...

მიშელ: რა... რას ვაკეთებთ?

ნაომი: აღსარებით ვიწყებთ. ვიფიქრე, თითოეულმა ჩვენგანმა

რამდენიმე წამი უნდა აიღოს – რათა დაფიქრდეს, რა სურს გამოასწოროს და შეცვალოს.

მიშელ თავს უქნევს. განმარტოვდებიან – თითოეული საკუთარ თავში იკეტება. ფონზე მიდრაშის ქალიშვილები არიან.

ნაომი: ახლა გაიმეორე ჩემ შემდეგ: *(თითქმის ყვირიან)* „მზად ვარ შეივიმოსო ამ ჯვალოთი“ *(მიშელი იმეორებს)* „რათა გამოვასწორო, რაც შევცოდე ზეციერ წმინდანთა წინაშე“ *(მიშელი იმეორებს)* „იყავნ ნება შენი, უფალო, ღმერთო მამათა ჩვენთა“ *(მიშელი იმეორებს)* „დაე, იყოს ყოველივე შენი ნებით, რაც აამებს შენს თვალს“ *(მიშელი იმეორებს)* „ამ ჯვალოს ჩაცმით მოვიჯარე სათნო ზრახვანი“ *(მიშელი იმეორებს)* „და ვინანიებ... *(მიშელი იმეორებს. აქედან მოყოლებული ნაომის ლაპარაკი უძნელდება)* უდიდესი სინანულით *(ქოშინი)* და მთელი გულით“ *(ქოშინი)* „აღარასოდეს შევცოდავ... *(ქოშინი)* უკუნითი უკუნისამდე“ *[ქოროს ქალიშვილები მიდი-მოდიან. ობიექტივში ნაომია, რომელიც მიწაზე ეცემა]*

მიშელ: *[ნაომის მივარდება]* ნონი! ნონი, რა მოხდა? კარგად ხარ?

ნაომი: *(ჩურჩულით)* მიშელ... *(აღიარებს)* მე არ ვინანიებ იმას, რაც ვქენით...

მიშელ: მე ხომ არ გავაგრძელო? შემიძლია შენ ნაცვლად განვაგრძო.

ნაომი: არა! საერთოდ არ მინდა გაგრძელება... არ შემიძლება, მოვინანიო ჩემი სიყვარული...

მიშელ: რა?

ნაომი: უცებ აღმოვაჩინე, თუ რატომ ვერ მოვუძებნე გამოსწორების ფორმულა იმას, რაც გავაკეთეთ!

მიშელ: ნაომი, კმარა!

ნაომი: *(გაბრწყინებული თვალებით)* როგორ შეიძლება იმის გამოსწორება, რაც აკრძალული არაა?

მიშელ: გეყოფა, გთხოვ.

ნაომი: შევამოწმე მიშნაშიც, გემარაშიც, შულხან არუხშიც. არსად წერია.

მიშელ: მაგრამ- ... ეს როგორ შეიძლება?! ალოგიკურია...

ნაომი: ფაქტია! ჰალახა კრძალავს მამაკაცთან დაწოლას, გარკვევით წერია, მამაკაცთანო, და არა ქალთან, რადგან მამაკაცთან დაწოლით ხდება, როგორც ნათქვამია, „თესლის გაცუდება“, ხოლო ქალებს თესლი არ აქვთ, ამდენად, არც რამე ცუდდება და აკრძალვაც არ გვაქვს!

მიშელ: მაშ... ცუდი არაფერი გაგვიკეთებია... ჩშშშ! ახლაც არაფერი მოგესმა?

ნაომი: რა მოგივიდა, იქ არავინაა... დაფიქრდი... ის, რაც ჩვენ შეგვემთხვა, იქნებ... იქნებ ეგაა „მეტამორფოზა“ *(მიშელი არ რეაგირებს)* ჩემი სიყვარული შენდამი – ბევრად უფრო ახლოსაა ღმერთთან, ვიდრე ოდესმე ვყოფილვარ *(მიშელი კოცნის ნაომის, რომელიც კოცნითვე პასუხობს)*

ქალიშვილები: *(მღერიან)*

სწყურიხარ ჩემს სულს,
გელტვის ჩემი უწყლოდ დამაშვრალი ხორცი
უდაბნო ქვეყანაში

ნაომი და მიშელი გადიან. მირის დვორი შემოჰყავს. ცეცხლს დასჩერებია, წიგნს მაღლა სწევს მკაცრი გამომეტყველებით.

13. მეცამეტე სურათი – (მიდრაში – დილით, მეორე დღეს)

მოქმედი პირები:

შაინე, მირი, მიხაელი, მსაჯული ჰეს, დვორი, ნაომი.

ქალიშვილები: *(მღერიან)*

სწყურიხარ ჩემს სულს,
გელტვის ჩემი უწყლოდ დამაშვრალი ხორცი
უდაბნო ქვეყანაში
სწყურიხარ ჩემს სულს...

დვორი: შაინე, მოდი ერთი წუთით – უთხარი ნაომის, გეთაყვა, რომ მალე მამამისი მოვა მის წასაყვანად *(რაბანითი გაბრუნდება, ხოლო შაინე ადგილზე რჩება – ჩანს, რომ ცოტაც და, ატირდება)*

შაინე: რაბანით –

დვორი: შენ კიდევ აქ ხარ?

შაინე: არ არის რაიმე გზა, რომ მიდრაშში დარჩნენ?

დვორი: არა.

შაინე: რატომ? ყოველთვის ამბობთ, რომ ერთი ოჯახივით ვართ – ოჯახიდან არ აძევებენ.

დვორი: მართალი ხარ, მაგრამ ამჯერად ოჯახში ისეთი რამ ხდება, რაც მთელ ოჯახს ემუქრება.

შაინე: რა? განა რა ჩაიდინეს?

დვორი: შაინე! შენ ნუ ეჩრები. წინასწარ გაფრთხილებ.

შაინე: მარტო მე კი არა ვარ! *(მირის მზერა)*

დვორი: ერთია, რა გვინდა და მეორეა, რას ვაკეთებთ. ჩემდა სამწუხაროდ, იმის გამო, რაც მათ ჩაიდინეს, უკვე შემდეგ წელს სამი მოწვევა გამიუქმეს.

შაინე: რა? ეგ როგორ?

დვორი: *(ამოიოხრებს)* არ ვიცი, მაგრამ აქ ჭორები ხანძარივით ვრცელდება, ჯერ კიდევ წუხანდელიდან. ხვალ მთელი ცფათი უკვე სავსე იქნება პასკვილებით, რომლებიც მომიწოდებენ, მიდრაში დავხურო.

(ჰესი და მიხაელი შემოდიან. შაინე იცნობს, მიხაელი უხერხულადაა)

შაინე: იო... ნოიგერშელ!

დვორი: მოგესალმებით, პატივცემულო მსაჯულო, თქვენ მიხაელი ბრძანდებით?... მე დვორი ვარ.

ჰეს: *[მარჯვნიდან შემოდის]* სად არის ნაომი?

დვორი: სწორედ ახლა გავგზავნე მის დასაძახებლად *[შაინეს თვალით ანიშნებს]*

შაინე: აჰ, ახლავე! შემიძლია დავუძახო. დავუძახო?... ახლავე დავუძახებ... *[შაინე მარცხნივ გადის]*

დვორი: ვწუხვარ, პატივცემულო მსაჯულო. *[ცენტრს უახლოვდება]* იმედი მაქვს, გესმით, რომ სხვა გამოსავალი არ მაქვს, ნაომი მიდრაშს უნდა მოვაშორო.

ჰეს: *(ხელს გამაღიზიანებლად აიქნევს)* ჩვენ სიხარულით დავაბრუნებთ გოგონას შინ.

რაბანითი: პირადად გავაფრთხილე რამდენიმე დღის წინ, რომ საიდუმლო სწავლებას არ გაკარებოდა.

ჰეს: ქ-ნო დვორი, ჩვენს სალაპარაკო არაფერი გვაქვს. თქვენ გამო ნაომი გახვეულია დავიდარაბაში, რომელზეც უკვე თორის მთელ სამყაროში მითქმა-მოთქმაა.

დვორი: ნაომი არაფერში გახვეული არაა – ნაომიმ თვითონ მოიტანა ეს „მეტამორფოზა“, *(მიხაელი დამცინავად იღიმის)* რაც აქაურ სასწავლო პროგრამაში არ შედის.

ჰეს: ჩემს ლიტვურ სახლში მას ეს სისულელეები არ უსწავლია.

რაბანით: თქვენს ლიტვურ სახლში შეიარაღდა ნაომი, რათა ყოველივე ის გამოეძია, რაც აინტერესებდა.

ჰეს: ანუ მისთვის ცოდნა არ უნდა მიმეცა?

რაბანით: არა, ღმერთმა დამიფაროს. ნაომის ფეხი დაუცდა და მე არ შემიძლია, მიდრაშში დავტოვო. მაგრამ რაც შეეხება პროექტს – რომელიც უფრო შორეული პერსპექტივისაა – შევეცდები, ადგილი შევუნახო – ორივემ ვიცით, რაოდენ მნიშვნელოვანია ეს მისი მომავლისათვის.

ჰეს: ვერ ვხვდები... რაზე... რა პროექტზე მელაპარაკებით?

რაბანით: აჰ... *(ხვდება, რომ მსაჯული საქმის კურსში არაა)*

მიხაელი: *(უცებ მიხვდება)* ქალთა პროექტი რაბინობისათვის? მითხრა ამის თაობაზე...

რაბანით: რასაკვირველია, გეტყოდათ... თქვენ მიეცით კურთხევა, განა ხელი არ მოაწერეთ დოკუმენტებს?

ჰეს: *(ცივი სიჩუმით)* კურთხევა მივეცი? რა დოკუმენტებზე მოვაწერე ხელი?!

(ნაომი კარის ზღურბლზე დგას, ისე რომ მიხაელს ვერ ხედავს)

ნაომი: *(მარცხნიდან შემოიჭრება. დარცხვენილი)* ხელი მე მოვაწერე.

დვორი: რა ქენი?

ჰეს: ტყუილით? ქურდულად? *(დვორის მიმართავს)* მე თქვენ გარკვევით გთხოვეთ, გოგონას კრიზისიდან გამოსვლაში დახმარებოდით! ნაცვლად ამისა კი, იყენებთ მას, რომ თქვენი ძირგამომთხრელი პროექტი განავითაროთ.

ნაომი: *[მამისკენ მიდის და ხელს უჭერს]* არა, მამა – მე ვთხოვე –

ჰეს: *(ხელს აიქნევს, ნუღარ გააგრძელებო)* ნაომილე... პატიებას გთხოვ.

ნაომი: რა? მამიკო, რა ხდება? რატომ?

ჰეს: შენი ტკივილი დავინახე – ტკივილი, რომელსაც საზღვრები არ აქვს. არ შევასრულე ჩემი ვალი მამისა. ზღვარი მე უნდა დამედო.

ნაომი: და ასეც მოიქეცი, მამა. მართლაც...

ჰეს: არა, ნაომილე *(ნაომი დაძაბულია)* მე ვგულისხმობ იმას, რაც დედაშენმა მართლა ანდერძივით დამიტოვა. *(ნელა და გამიზნულად)* კურთხევათა ტრაქტატი: მეჩვიდმეტე ფურცელი: „რა ხვდება წილად ქალებს იმქვეყნად"...?

ნაომი: *(არ შეუძლია მოსმენა)* კმარა, მამა –

ჰეს: *(წყნარად)* „ვაჟიშვილების სინაგოგაში ტარებით, ხოლო ქმრების მიდრაშში გაგზავნით..."

ნაომი: კმარა!... *(უჩვეულოდ ფეთქდება)* შენ გგონია, რომ დედამ სასუფეველი შენი სწავლის წყალობით დაიმკვიდრა? ჩემი სწავლით კი რა მიიღო? კიბო?!

მიხაელი: *(ყვირის)* ნაომი! *(სიჩუმე)*

ჰეს: *(ხელს აღმართავს მიხაელის შესაჩერებლად)* ნივთები მზად გაქვს? აქ ჩვენ აღარაფერი გვესაქმება.

ნაომი: მე სწავლის გაგრძელება მინდა *(ნაომი მისჩერებია დვორის, რომელსაც მისი დახმარება არ შეუძლია)*

ჰესი: შინ ვილაპარაკებთ. მოდი.

ნაომი: *(რაბანითს მისჩერებია)* რისთვის?

ჰეს: ყოველივე შენს სასიკეთოდაა. მოდი. *(ნაომი არ ინძრევა).*

მიხაელი: *(უახლოვდება)* დედაჩემმა სამსახური გიშოვა – დამხმარის პოზიციაზე საბავშვო ბაღში, რომელიც იერუსალიმში იმ ქუჩაზეა, სადაც ჩვენ ვიცხოვრებთ.

ნაომი: *(რისხვით ივსება, თუმცა თავდაჭერილია)* რაო? მიხაელ, იცი, რომ ძალიან დიდ პატივს გცემ... და დედაშენსაც – მაგრამ მე არ შემიძლია, მთელი დღე ჩვილებს საფენები ვუცვალო, გავგიჟდები... *(მიმართავს იმ იმედით, რომ დაიცავს)* მამა...

ჰეს: *(მაგრამ ამჯერად თავს შორის იჭერს)* ნაომი, ეს ყველაფერი დროებითია, ეს დროებითია.

ნაომი: დროებითი? როდემდე... ? სანამ თავად არ გავაჩენ? იქნებ ეს, საერთოდაც, მოსამზადებელი კურსებია ჩემთვის?

მიხაელი: მითხარი, ნაომი, შენ თუ გესმის, საერთოდ, რა გაგვიკეთე? მე ჯანდაბას... მაგრამ მამას, რომელმაც ყველაფერი მოგცა – ყველაფერი!

ნაომი: სწორია. და რაც მამაჩემმა მომცა, მისი უკან წაღება შეუძლებელია! მას შემდეგ, რაც შეცნობის ხის ნაყოფი ვჭამე, შეუძლებელია, არცოდნა მომთხოვო.

მიხაელი: მაგრამ შენ ყველაფერი არ იცი, ნაომი... ეჭვი გეპარება, რომ შენთვის კარგი გვინდა?

ნაომი: *(აფეთქდება)* თუ გგონია, რომ მთელი დღე საფენების ცვლა სასიკეთოდ წამადგება, მაშ, არ ღირს ჩვენი დაქორწინება!

დუმილი. ჰესი წვერს ეფერება, ჩაფიქრებული და დანაღვლიანებულია. ანაზდად ნაომის მიმართავს წყნარად.

ჰესი: *(ნაომის)* სიტყვა უკან წაიღე! თუ სიტყვას უკან არ წაიღებ, *(ხანგრძლივი პაუზა)* შინ აღარ მოხვიდე. *(დუმილი, ჰესი გადის)*

მიხაელი: მინდა განმარტოებით დაველაპარაკო ნაომის.

დვორი: კი ბატონო. *[დვორი გადის].*

14. მეთოთხმეტე სურათი – (მიდრაში)

მოქმედი პირები:

მიხაელი, ნაომი.

(ნაომი და მიხაელი ჯერ კიდევ მდუმარედ სხედან იმავე პოზაში – ბოლოს მიხაელი დაარღვევს დუმილს)

მიხაელი: *(ტკივილით)* ნაომი, არ ვიცი რა გემართება – მაგრამ მესმის, რომ დიდ გავლენას განიცდი ამ ქალისაგან, რომელიც თავს რაბანითს უწოდებს. იცი, რა გადაიტანა მისმა ქმარმა მასთან ერთად? ამ ქალმა საკუთარი ხელით დაანგრია სახლი, რათა კადიში ეთქვა *(ნაომი დუმს. მიხაელი უყვავებს)* გირჩევ, მოკრიბო ნივთები და შინ დავბრუნდეთ. საკმარისად მენაღვლები, რომ წყენა დავივიწყო, რომ გაპატიო.

ნაომი: მე გენაღვლები?

მიხაელი: ნაომი, შენი პირველი ნახვისთანავე მივხვდი, რომ ერთადერთი იყავი ჩემთვის – ის, ვისაც ვეძებდი...

ნაომი: 12 წლის ვიყავი, როცა მნახე – შენი სათაყვანო რაბინის ქალიშვილი. ესე იგი, მიხაელ, შენ რაბინი იქნები, ხოლო მე – ბაღის ძიძა?!

მიხაელი: ეს დროებითია. ნაომი, ვერ გააუქმებ ქორწინებას მას შემდეგ, რაც თითქმის წელიწადს მაცდევინე...

ნაომი: „არა ხამს ქალის იძულებით გათხოვება“ – კანონი ესაა. ვიდრე არ შევუღლებულვართ, არავის შეუძლია მაიძულოს.

მიხაელი: მამაშენის სიკვდილი გინდა?

ნაომი: მამაჩემისთვის მხოლოდ კარგი მინდა, რასაკვირველია, მაგრამ არც ის მინდა, რომ 41 წლის ასაკში მოვკვდე დეპრესიისა და ავადმყოფობისაგან...

მიხაელი: გაიგონე, მამაშენმა რა თქვა?

ნაომი: დიახ, გავიგონე!

მიხაელი: აბა, რას იზამ? საით წახვალ? იცი, ჭორები დადის, რომ შენ...

ნაომი: *(დაძაბული)* რა? რომ მე რა?

მიხაელი: *(ხმადაბლა)* რომ დედის სიკვდილის შემდეგ საღი გონების დაბრუნება გიჭირს, რომ ამის გამო მოახდინე „მეტამორფოზა“.

ნაომი: იქნებ მართლებიც არიან... *(გაბედულად)* მაშ, შეგიძლია ღმერთს მადლობა უთხრა, რომ შეშლილისაგან გიხსნა.

მიხაელი: არ მითქვამს, რომ მეც ასე ვფიქრობ, ღმერთმა დამიფაროს...

ნაომი: ჩემთვის უკვე გასაგებია, შენ რას ფიქრობ.

მიხაელი: ცდები, ნაომი, კვლავ ცდები. სამწუხაროდ, ჩემი არ გესმის. ვერ ხვდები, რომ ყველაფერს კარგავ? ყველაფერს!! *(მის სახეს ხელებში მოიქცევს, ნაომი თავიდან მოიშორებს)* გიღირს ეგ ამ ყველაფრად?

15. მეთხუთმეტე სურათი – (ქალიშვილების ოთახი მიდრაშში)

მოქმედი პირები:

მირი, მიშელ, შაინე, იანკი.

(მიშელი ბარგს ალაგებს, აფორიაქებულია)

მირი: ვიცი, გაჯავრებული ხარ, მარა ვალდებული ვიყავი, რა-ბანითისთვის მეთქვა.

მიშელ: *(გამოსცრის)* უმადური მძორი ხარ, აი, რა ხარ შენ...

მირი: ღვთის ნებით, დადგება დღე და მიხვდები, რომ უფალმა სწორედ თქვენს გადასარჩენად გამომგზავნა, და არა პირი-ქით.

მიშელ: ხო? საინტერესოა, რო ღმერთს ეს ტატუებიანი ჩამშვები ნარკუშა დაუნიშნავს თავის სპიკერად!

მირი: შეუცნობელია გზანი უფლისანი.

მიშელ: მე ჯანდაბას, ჩემზე გაბრაზებული იყავი *(მირისკენ მიდის)*, აი, ნაომიმ რა დაგიშავა? ცხოვრება დაუნგრიე, აზრზე ხარ?

მირი: მუდამ ყველა დამნაშავეა შენ გარდა, არა? იმას რა ვუყოთ, რაც თქვენ ჩაიდინეთ? მადლობა თქვი, რომ ეს არავისთვის მითქვამს... ერთხელ შენც იტყვი აღსარებას...

შაინე: გეყოფათ!! ისედაც მძიმე დრო გვიდგას!

მირი: მეზიზღები! *(გადის)*

შაინე: უფ!! რა გულსატკენია, სწორედ მაშინ ხდება ჩემთან რა-ღაც კარგი, როცა ყველა მწარე ნაღველს შეუპყრია და ვერა-ვის დაელაპარაკები!

მიშელ: რა მოხდა? *(შაინე იღიმის)* ნუ, რა?...

შაინე: ირყამმა დარეკა... მეორე შეხვედრა უნდა... პირველად ხდება – მეორე შეხვედრა! ეს არ ნიშნავს, რო ვიქორწინებთ ან რამე... მარა... არ გეჩვენება, რო ეს კარგი ნიშანია?

მიშელ: რა თქმა უნდა! შაინე, ღვთის ნებით, საგანგებოდ შენს ქორწილზე ჩამოვდივარ საფრანგეთიდან.

(ერთმანეთს ეხუტებიან. შაინე ტირის. კარზე კაკუნია – შემოდის იანკი, ქოშინებს)

იანკი: ბედზე დაგიჭირე!... სინაგოგაში შევიტყვე, რაც მოხდა, რო შენ და ნაომი მიდრაშიდან გამოგაპანღურეს და უკან, საფრანგეთში გაგაფრინეს.

მიშელ: *(იანკი იღიმის)* ჯერ არ გავუფრენივარ, ტაქსი გზაშია.

იანკი: ნუ, ბედზე გამოვიქეცი, სანამ „ვადიდოთ გამჩენი“ დაი-წყებოდა... ადამიანურად გამომშვიდობება რო მომესწრო.

მიშელი იღიმის.

შაინე: *(ღიმილით იყურება აქეთ-იქით)* რატო მაქვს იმის განცდა, რო ხელს გიშლით?

იანკი: იმიტომ რომ მეექვსე გრძნობა გაქვს.

შაინე: დიდი მადლობა!... აჰ... ბაი... მე აქ აღარ ვარ...

(შაინე გადის, ისინი მარტო რჩებიან. იანკი უხერხულადაა, სი-ტყვებს ეძებს)

იანკი: ისიც მინდოდა მეთქვა, რომ ყოჩაღ – დარწმუნებული ვარ,

ეს ზეცისკენ იყო მიმართული. და არა- როგორც ეს ხალხი სულელობს, თითქოს კერპს ემსახურებოდით.

მიშელ: მადლობა. საყვარლობაა შენგან ამის მოსმენა.

იაკი: არაფრის... მერჩია გეთქვა: „შთამბეჭდავია“, „კაცურია“ ან „დაუვიწყარია“, თუმცა „საყვარლობაც“ წავა... აჰ, ჩემი დისკი მოგიტანე – *(მიშელს აწვდის დისკსა და წერილს)* ცფათის გასახსენებლად და ცოტა მეც რო გამიხსენო.

მიშელ: მადლობა – შენ მართლა, მართლა საყვარელი ხარ.

იანკი: და?...

მიშელ: *(ხუმრობით)* შთამბეჭდავი და კაცური... აჰ... საკმაოდ კაცური.

იანკი: კაარგი... *(აძლევს დისკსა და წერილს)* მანდ უსტორიცაა.

მიშელ: უსტორი?

იანკი: წერილია, რომელიც არ უნდა წაიკითხო, სანამ თვითმფრინავში არ ახვალ.

მიშელ: რატო? რა არის მასში?

იანკი: ბომბი. უბრალოდ. რაღაც... თხოვნა. არა – შეთავაზება. *(ჩაისუნთქავს)*

მიშელ: შეთავაზება? *(სურს, იანკის უკან დაუბრუნოს)* იანკი... არ მინდა გაწყენინო –

იანკი: ჩშშშშ... აღარ გააგრძელო. თვითმფრინავში წაიკითხე. დრო გექნება, იფიქრე *(ეტყობა, რომ წასვლა უჭირს)* მე... ალბათ ბევრი არაფერი მესმის სიყვარულის... მარა მუსიკა ნაღდად ვიცი – მელოდიებიდან მივხვდი, რო ზოგჯერ სწორედ არასწორია სწორი... კარგ გზას გისურვებ *(იანკი გადის)*

(საწოლთან მდგარი მიშელი წერილს ხსნის და კითხულობს)

16. მეთექვსმეტე სურათი – (ქალიშვილების ოთახი მიდრაშში)

მოქმედი პირები:

მიშელ, ნაომი.

ჩემოდანი დგას, გამზადებულია. მიშელი შესასვლელში ხედავს ნაომის, ულიმის, მის დანახვისთანავე მალავს წერილს.

მიშელ: ნონი! უკვე მეშინოდა, რომ ვეღარ შეგხვდებოდი. *(ნაომი დუმს. ერთმანეთს უახლოვდებიან, ეხებიან/ეხუტებიან)*

ნაომი: *(წყნარად)* მიხაელს აღარ მივყვები.

მიშელ: რა? რა თქვი? ქორწილი გააუქმე?! *(ნაომი თავს უქნევს)* რატომ? ჩემ გამო ხო არა?

ნაომი: რა შუაშია – მე ის არ მიყვარს. როგორც ჩანს, არც არასდროს მყვარებია. როცა დავინიშნეთ, არ ვიცოდი, რას ნიშნავდა, გიყვარდეს... *(მიშელი ირხევა)* შენ გძაბავს ეს?

მიშელ: არა *(მთლად დამაჯერებელი ვერაა)* და პროექტზე რა ხდება? თუ გათხოვილი არ ხარ –

ნაომი: პროექტი აღარ არსებობს... უცნაურია – სრულიად განადგურებული უნდა ვიყო, მაგრამ ვერაფერს ვგრძნობ. ერთგვარ შვებასაც კი, რაღაც უცაბედს... თითქოს გულს ლოდი მომეხსნაო. ვფიქრობდი, *(ღიმილით)* რამდენ ხანში შეძლებდი დაბრუნებას?

მიშელ: დაბრუნებას? არ ვიცი... რისთვის?

ნაომი: რადგან მამაჩემმა მიხაელზე გააკეთა არჩევანი... ამწუთას სახლი არ გამაჩნია.

მიშელ: რა?

ნაომი: *(გულგრილად)* ვიფიქრე, პატარა ბინა მეპოვა აქ, ცფათში... კერძო გაკვეთილების შეთავაზება შემიძლია – და თუ დაბრუნდებოდი, ერთად ვიცხოვრებდით. ეს არაფერს ნიშნავს-

მიშელ: რა თქმა უნდა!

ნაომი: ერთმანეთის მდგმურები ვიქნებოდით *(დუმილი)*, წარმოიდგინე, რა მაგარი რამ იქნებოდა.

მიშელ *(ნაომის უახლოვდება, ხელს ჩაჰკიდებს)* ნონი – ეს არ გამოვა – ყველაფერს ინადგურებ!

ნაომი: პირიქით... ახლა ყველაფერი ღიაა. ჩემთვის ეს დიახაც რომ ზეციური ნიშანია იმისა, რომ სწორედ ესაა სწორი გზა.

მიშელ: როგორ?! ვერ ხედავ, რომ ყველაფერი ინგრევა!

ნაომი: მიშ, თითქოს... თითქოს ჩემი სულის სიღრმიდან გიხმე და შენც მოხვედი. ეს საუკეთესო საჩუქარია, რაც ცხოვრებაში მიმიღია. *(უახლოვდება)* მოდი, ვცადოთ. შეგვიძლია, ბიჭებთან გავიაროთ, შენ თუ გინდა. უბრალოდ, ერთად ვიცხოვრებთ, სანამ თითოეული ჩვენგანი იპოვის...

მიშელ: ასე როგორ ვიპოვით?

ნაომი: *(პულსაცია)* ნუ გეშინია. იდეალური იქნება...

მიშელ: *(თავს აქნევს უარის ნიშნად)* ვწუხვარ...

ნაომი: რის გამო? *(პაუზა)*... რატომ?! აბა, თქვი! მიშელ... აღარ გიყვარვარ?

მიშელ: რაზეა ლაპარაკი, მიყვარხარ... მაგრამ... *(ღრმად ჩაისუნთქავს, უნდა რაღაც თქვას, და ვერ ახერხებს)*

ნაომი: რა, მიშელ? რა მოხდა?.. *(დუმილი)* მითხარი – მანერვიულებ.

მიშელ: *(თითქოს ყელში გაჩხერილ სიტყვებს აფურთხებს)* მე უნდა გავთხოვდე...

(ნაომი შოკშია. სიტყვა ბაგეზე აშრება. რაღაცას ჩაეჭიდება, რომ არ დავარდეს) ოჯახი უნდა შევქმნა...

ნაომი: ახლა გათხოვება არ გჭირდება.

მიშელ: მჭირდება! ნონი, ვიცი, ერთ მშვენიერ დღეს შენ დიდი პიროვნება იქნები.

ნაომი: შეწყვიტე! რატომ აკეთებ ამას?

მიშელ: ორივესთვის, კარგი?

ნაომი: ჩემთვის არა... მივცეთ შანსი ერთმანეთს... თვე – ორი თვე...

მიშელ: *(თავს აქნევს)* არ შემიძლია... ამაზე ბევრი ვიფიქრე, ნონი... და მე... მე არ ვარ... არ ვარ ასეთი...

ნაომი: ასეთი „რა“?

მიშელ: მე უბრალოდ... მთელი ცხოვრება მინდოდა... ნორმალური სახლი... ნორმალური ოჯახი...

ნაომი: *(რისხვით)* და მე ნორმალური არა ვარ?! ჰა? ახლა შენ ამას ამბობ? რომ არანორმალური ვარ?!

მიშელ: არა! ეს არ მითქვამს. *(სიგნალის ხმა ისმის)* ეს ჩემი ტაქსია *(ნაომი მას აღარ უყურებს)* ნონი... მე მივდივარ. *(რეაქცია არაა. გადის)*

17. მეჩვიდმეტე სურათი – მიდრაში

მოქმედი პირები:

დვორი, ნაომი.

დვორი: *(შემოდის)* ორი თვის წინ უნდა გამეშვა. *(ნაომი გაკვირვებულ მზერას მიაპყრობს)* მიშელმა ყველაფერი მიამბო.

ნაომი: *(არ იჯერებს)* მიშელი გაემგზავრა.

დვორი: დიახ. ახლა შევხვდი, ტაქსისკენ მიდიოდა... ნუ გაჯავრდები – მთხოვა, დაგხმარებოდი.

ნაომი: არ მჭირდება დახმარება, გმადლობთ.

დვორი: ნაომი, ძალიან ვწუხვარ. ამაში მე ჩემს პირად მარცხს ვხედავ.

ნაომი: ეს ის არ გახლავთ, რისი თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა.

დვორი: ნუ აბაიბურებ! რაში ამას პროსტიტუციას უთანაბრებს. *(პაუზა)* მიხაელს უთხარი, რატომ გააუქმე ქორწილი?

ნაომი: ეს მიშელის გამო არ მიქნია!

დვორი: არა? მაგრამ „მეტამორფოზამ“ კი ქნა... *(ნაომი დუმს, თითქოს აღიარებს)*... კარგია, რომ წავიდა. ეს დასრულდა. უფლება არ უნდა მისცე ამ მოვლენას, შენი ვინაობა და რაობა განსაზღვროს.

ნაომი: *(დაბნეული და გათიშულია)* უკვე აღარ ვიცი, ვინ ვარ... როცა იმ ცხოვრების სურათებს ვხედავ, რომელიც ჩემი უნდა ყოფილიყო – იქ ჩემს თავს უკვე ვეღარ ვხედავ.

დვორი: ზოგჯერ საკმარისია, მხოლოდ შემდეგი ნაბიჯი დაინახო.

ნაომი: *(ხმადაბლა)* არ ვიცი, რა არის შემდეგი ნაბიჯი.

დვორი: *(ნაომის მზერა)* უპირველეს ყოვლისა, ჩემს სახლში იცხოვრებ, სანამ ყველაფერი დალაგდება.

ნაომი: გმადლობთ.

დვორი: დრო დასჭირდება – არ ვიცი რამდენი – მაგრამ მოვნახავ შენთვის შესაფერ საქმეს, რომ წინსვლა შეძლო.

ნაომი: როგორ?

დვორი: *(ნელა და საქმიანად)* ხვალ დაურეკე მიხაელს... შეხვდი. ქორწინების ახალი თარიღი დანიშნეთ.

ნაომი: *(შემკრთალი)* არ შემიძლია, მას მივთხოვდე!

დვორი: რა თქმა უნდა შეგიძლია. ის შენ აირჩიე.

ნაომი: ის სხვა ნაომიმ აირჩია. მინდოდა, მიხაელი ვყოფილიყავი. მას კი მამაჩემის ვაჟიშვილობა სწადდა, ხოლო მამაჩემს ვაჟი უნდოდა! ეს გარიგება იყო.

დვორი: ზოგჯერ ცხოვრება არცთუ ურიგო გარიგებაა.

ნაომი: თქვენ მთხოვთ, ვიცხოვრო ტყუილში... ტკივილში... სირცხვილში...

დვორი: ნაომი, მე შენს მხარეს ვარ... მე შემიძლია დაგეხმარო – მაგრამ იმ პირობით, რომ იქორწინებ.

ნაომი: რატომ??

დვორი: რადგან ურნაში ვერ ჩავუძახებ ჩემი შრომის ათობით წელს. ვერ გავრისკავ და ვერ ვათქმევინებ – აჰა, ნახეთ ვინ არიან ეს ქალები, რომლებიც საზოგადოების მისიონერობას ესწრაფვიან – ქალები, რომლებიც ოჯახს არ ჰქმნიან, არ თხოვდებიან, განსხვავებული ორიენტაციის ქალები... მყისიერად გამოიტანენ ყველაფერს სააშკარაოზე *(ნაომი დუმს)*

ნაომი: არ მენაღვლება! მე თქვენზე არ ვარ დამოკიდებული!

დვორი: ნაომი, შენ ახლა აფორიაქებული ხარ. ერთი ორი დღე მოვიცადოთ, იფიქრე ამ ყველაფერზე.

ნაომი: რაზე ვიფიქრო? უკან დასაბრუნებელი გზა არ მაქვს. ერთხელ მითხარით, რომ თქვენნაირი ვარ, მაგრამ ეს არაა მართალი – მე მშიშარა არ ვარ!

დვორი: შენ ზუსტად ჩემნაირი ხარ, ზუსტად. ნეტავ ვინმეს გამოეწოდებინა ხელი ჩემთვის, როცა შენს ასაკში ვიყავი. სამწუხაროა, რომ რთული გზით მოგიწევს სწავლა და გაზრდა – კედელს თავით არ ამტვრევენ.

ნაომი: კედელი უკვე დამსხვრეულია.

18. დასასრული სურათი
(ქორწილი – მეორე ნაწილი)

მოქმედი პირები:

ნაომი, მიშელ, მსაჯული ჰესი, იანკი, მიხაელი, მირი, შაინე, დვორი, ბრახა, ბილჰა, აბიგაილ, ხავა.

შემოდის პატარძალი ნაომი, ჩაჭიდებული ქამარს, რომელიც ბილიკივით მიუძღვება წინ. შუამდე მიდის, შედგება, შემობრუნდება, თითქოს მიშელის იქ ყოფნა იგრძნო. მიშელი მარჯვნიდან შემოდის, უახლოვდება. ერთმანეთს მისჩერებიან.

მიშელ: მაპატიებ?

ნაომი: არა...

ნაომი თავს იბრუნებს. მიშელი უბრუნდება იანკის, რომელიც მას ელის. მიხაელი მარცხნიდან შემოდის, თავის პატარძალს ეგებება, მიუახლოვდება და ცრემლიან სახეს დაბურული ვუალით დაუფარავს. ნაომი, სახედაფარული, მაყურებლისაკენ შებრუნდება.

შემოდიან დანარჩენები – ჰესი, დვორი, მიდრაშის ქალიშვილები. ყველანი დგანან და წყვილს მისჩერებიან. ნაომის ქამარი ხელიდან გაუსხლტება და იატაკზე დავარდება. მიხაელი ხელს ჩასჭიდებს.

დასასრული

სინანულის დღეები

ნანა აზულაი ჰასფარი

მოქმედი პირები:

მალქა – უფროსი და, დიასახლისი, პროფილაქტიკის პატრონზე გათხოვილი, ორი შვილის დედა, 45 წლის

ეველინ – მეორე და, ორთოდოქსი მორწმუნე, რელიგიური პარტიის „შასის“ აქტივისტზე გათხოვილი, რვა ქალიშვილის დედა, 40 წლის

ფანი – მესამე და, განქორწინებული, ბიზნესვუმენი, 37 წლის

ამირა – მეოთხე და, კინოხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტი, 25 წლის

სიუჟეტი ვითარდება დაბა ნეთივოთში, სახლში, სადაც ოთხივე და გაიზარდა, ორმოცდარვა საათის განმავლობაში ქიფურის წინა დღეს და ქიფურის დღეს.

დეკორაცია

მოკრძალებული კორპუსის ბინა, უბრალო სამზარეულო ლამინატის კარადებით, მაგიდითა და ორი სკამით.

სცენის წინა პლანზე: ძველმოდური და გაცვეთილი სასტუმრო ოთახი – დივანი და ორი სავარძელი, ბუფეტი ზედ ქალიშვილების ქორწილის სურათებით, ხელნაკეთი საგნები და ფანის გრანდიოზული ფოტო ფურიმზე „ღამის დედოფლის“ საკარნავალო სამოსელში. ტელევიზორი და ვიდეოკამერა.

რამდენიმე საფეხურს სასტუმრო ოთახიდან გავყავართ საძინებელში, რომელშიც დგას ფართო საწოლი, ხოლო მის გვერდით – კომოდი. კომოდზე რამდენიმე თაფლის სანთელია, კედელზე კი ბაბა სალის[1] სურათი ჰკიდია.

სცენის თავზე დგას დიდი პროექტორის ეკრანი, რომელზეც ვხედავთ ყველაფერს, რასაც ამირა იღებს.

[1] ბაბა სალი – ცნობილი მარროკოელი სეფარდი რაბინი და კაბალისტი. ნეთივოთში მდებარე მისი საფლავი წმინდა ადგილად მიიჩნევა.

პირველი მოქმედება

ამირა საწოლზეა ოთახში, აცვია მოკლე ტოპი და ტრუსი, ეწევა. მის მოპირდაპირედ ვიდეო კამერა დგას. ამირა კამერას ელაპარაკება.

ამირა:

ინტერიერი. დღე. დედას სახლი ნეთივოთში. ამირა, კინოხელოვნების სტუდენტი, დაახლოებით ოცდახუთი წლის, საწოლზეა მოკალათებული, აცვია ტრუსი და მოკლე ზედა, სიგარეტს სიგარეტზე ეწევა, ახლო კადრიდან – ნამწვებით სავსე საფერფლე. გოგონა კამერას ელაპარაკება, ეუბნება: „ამ დილას დედაჩემი გაქრა, თითქოს მიწამ ჩაყლაპა. ჩემს სამ დას შევატყობინე, და ახლა ისინი აქეთ მოდიან. დედას თხოვნა მაქვს შესასრულებელი – ნეტა თუ შევძლებ შესრულებას.“ „ნეტა თუ შევძლებ“ – ჩერჩეტი. „ამირა უმცროსი დაა... მე ვარ უმცროსი და, და მე ერთადერთი ვარ, რომელიც დანარჩენებს აკავშირებს. კავშირი სუსტია, თუმცა რაღაც მაინც არის“ – ჯანდაბა! კიდევ ერთხელ...

ინტერიერი. დღე. ნაშუადღევი. კორპუსის ბინა ისრაელის სამხრეთში. ტრუსი, მუცელი, კამერა, ეწევა და ა.შ., მოუთმენლად ელოდება დებს. მან ისინი სასწრაფოდ გამოიძახა მშობლიურ სახლში, რათა გაუჩინარებული დედა ეპოვათ – წუთი-წუთზე უნდა გამოჩნდნენ. სახლი ცარიელია.

ამირა საათზე იყურება. დავალება აქვს და იმედოვნებს თავს გაართმევს. ტელეფონი დუმს – მოახერხებს კი? კარზე კაკუნია. კარზე კაკუნია. ჯანდაბა! – ტელეფონი დუმს – კარზე კაკუნია.

(ეველინი კარზე აკაკუნებს, ამირას კაკუნი ესმის და განაგრძობს კამერაში ლაპარაკს) კარზე კაკუნია – მას არ ესმის.

(ეველინი კვლავ აკაკუნებს და წარუმატებლად ცდილობს შესვლას სამზარეულოს დაკეტილი კარიდან) ისევ კაკუნია.

ამირა: *(ეველინს უყვირის)* – ერთი წამით!!! ...

ეველინ: *(გარედან)* ამირა? ამირა, გააღე! ამირა!!!

ამირა: მისი და, ეველინი, მოვიდა. იგი იღებს კამერას და კარის გასაღებად მიდის. *(ამირა კამერას იღებს და მიდის, რომ ეველინს კარი გაუღოს)*

ეველინი სულმთლად გაოფლილი შემოდის. აცვია მუქი გრძელსახელოებიანი კაბა, ნეილონის წინდები, ახურავს ჩალმა შასის[1] სტილში. არაქათგამოცლილი სკამზე დაეხეთქება.

ამირა: *(კამერას)* ეს ეველინია, ორმოცი წლის, რელიგიური. ეველინ, თქვი რამე კამერაში.

ეველინ: მორჩი!

ამირა: *(წყვეტს გადაღებას)* როგორ ხარ? *(კოცნის)*

ეველინ: დიდება უფალს, არა მიჭირს. რა სიცხეა. ჩართე ვენტილატორი და ყველაფერი წვრილად მომიყევი.

ამირა: ვენტილატორს რთავს და ეველინისაკენ მიმართავს. ეველინ ფეხებს განზე შლის, კაბას ოდნავ აიკეცავს, რომ გრილი ჰაერი მოხვდეს.

ამირა: ბნეი ბრაკიდან ავტობუსით ჩამოხვედი? *(მისთვის ჭიქა ცივი წყალი მიაქვს)*

[1] შასი – გავლენიანი რელიგიური პოლიტიკური პარტია ისრაელში

ეველინ: არა, ჩემი ქმრის ვერტმფრენმა მომაბრძანა.

ამირა: ფანისთან ერთად რატომ არ მოხვედი?

ეველინ: რა, ფანი აქაა?

ამირა: დედამისიცაა.

ეველინ: კარგია, რომ გაახსენდა მაინც. დაე, ყოველივე მისი სიტყვისამებრ იყოს...*(წყალს აკურთხებს და დალევს. მერე ჩანთიდან მოსასხამს იღებს)* გამომართვი.

ამირა: ეს რა არის?

ეველინ: მხრებზე მოსასხამია, მაგრამ ბევრი რამისთვის გამოდგება, აი, ნახე... *(ამირას უკანალს დაუფარავს)*, შენთვის რა მნიშვნელობა აქვს... ასე არ გცივა?

ამირა: შენ ეგრე არ გცხელა?

ეველინ: *(დგება და რაღაცის ძებნას იწყებს სამზარეულოში, მერე კი სასტუმრო ოთახში, კარადებს აღებს, სუფრების ქვეშ, ჯამ-ჭურჭელში იჭყიტება)* აბა, გისმენ, ილაპარაკე.

ამირა: რას ეძებ?

ეველინ: არ ვიცი, რაიმე ნიშანს, ბარათს ალბათ...

ამირა: ვისგან? დედამ წერა არ იცის.

ეველინ: იქნებ მეზობლებს სთხოვა.

ამირა: მაშ, ბარათი დაგვიწერა და დაგვიმალა? გამოსაჩენ ადგილას დამიტოვბდა, მაცივარზე –

ეველინ: არ იცი, სად არის?

ამირა: ვიცი და არ გეუბნები? გგონია, მე მსიამოვნებს მთელი ეს სულელური გაუჩინარება?

ეველინ: კარგი, დილით ადექი, და რა მოხდა –

ამირა: მესამასედ – ამ დილით ტელეფონმა დარეკა, გამაღვიძა –

ეველინ: რომელ საათზე?

ამირა: არ მახსოვს – ორზე, სამის ნახევარზე

ეველინ: ეგ შუადღეა, დილა კი არა.

ამირა: მე შუადღემდე მძინავს – პრობლემა გაქვს? ტელეფონი – ამირა ოხანა ხართ? სვისა საუბრობს. – ვინ სვისა? – სვისა მერიიდან. – გამიკვირდა. „გამარჯობა, – ვუთხარი, – როგორ ბრძანდებით?“ უცებ მეკითხება: „აბა, როგორ ჩავიბარო გასაღები?...“ – „რა?! რა გასაღები?“ – ვერ მივხვდი, რა უნდოდა. მოკლედ, საათი დამჭირდა, სანამ გავიგებდი – დედა მასთან ყოფილა და სახლი მერიას დაუბრუნა.

ეველინ: და შენც უაპელაციოდ მიიღე.

ამირა: იქ მივედი, შენ რა გეგონა? ვნახე მისი ხელმოწერა. მეტი რაღა გინდა?

ეველინ: დარწმუნებული ხარ, რო მისი ხელმოწერა იყო?

ამირა: კი, საყოველთაო დაზღვევის საბუთებზე ხელი მე მოვაწერინე – კარგი ერთი...

ეველინ: ჰკითხე მაგ მერიის თანამშრომელს, საით წავიდა?

ამირა: არა.

ეველინ: რატო?

ამირა: იმიტომ რომ შემრცხვა მეთქვა, რომ არ ვიცოდი, ჩემი მოხუცი დედა სად გაქრა.

ეველინ: ახლა მაგის დროა? სირცხვილის? კარგი. რომელია მერიის ტელეფონი? მე დაველაპარაკები. *(ყურმილს იღებს)*

ამირა: *(ყურმილს ართმევს)* დაწყნარდი.

ეველინ: *(ფეთქდება)* რა დავწყნარდე, დედაჩემია!

ამირა: იმ კაცმა არ იცის დედა სად წავიდა.

ეველინ: შენ საიდან იცი?

ამირა: რომ სცოდნოდა, მეტყოდა. გეყოფა, ეველინ. *(ხელიდან ყურმილს ართმევს)* მოდი, ფანის და მალქას დაველოდოთ და ერთად მოვიფიქროთ, რა გავაკეთოთ. *(სიჩუმე)* ყავა გინდა?

ეველინ: არა, გულზიდვები მაქვს.

ამირა: კიდე ორსულად ხარ?

ეველინ: გინდაც ვიყო, გაანძრევ ერთ ადგილს, მოხვალ ჩემს

სანახავად საავადმყოფოში, მოსალოცად, ერთი ყვავილის მოსატანად? არა. მაშ, რა მნიშვნელობა აქვს შენთვის?

ამირა: რომელ თვეში ხარ?

ეველინ: მესამეში.

ამირა: გიჟი ხარ, აი, რა ხარ.

ეველინ: გიჟი დედაშენია.

ამირა: შენი შაქარი რას შვრება?

ეველინ: შენ შენს საქმეს მიხედე, კარგი?

ამირა: უნდა ჭამო, არა?

ეველინ: არა.

ამირა: ჩაი მაინც არ გინდა?

ეველინ: ერთი ის მინდა, რომ ჩაიცვა.

ამირა თავის ოთახში გადის ჩასაცმელად და თან საუბარს აგრძელებს ეველინთან, რომელიც ისევ უჯრებში იქექება.

ეველინ: სახლში რას ჩაკეტილხარ?

ამირა: არ მესმის.

ეველინ: გეკითხები, სახლში რას ჩაკეტილხარ-მეთქი.

ამირა: დედამ მიმაჩვია. ქურდბაცაცების რომ ეშინოდა აქ, უბანში. ერთი კვირის წინ მეზობლის ქალთან შევიდნენ, ოქროს ძეწკვი, რეიბანის სათვალე და საყოველთაო დაზღვევის ცხრაასი შეკელი მოპარეს. მე მგონია, სვისას ბავშვები არიან.

ეველინ: აქ ყველა სვისაა, რომელი სვისა, მერიაში როა?

ამირა: არა. სვისა, აი, ცენტრში ფოტოატელიე რომ ჰქონდა.

ელვინ: ფურიმზე რომ გადაიღო ფანი ღამის დედოფლად?

ამირა: ზუსტად. მოკლედ, სვისას შვილები – ერთ წუთს ერთი ძმა რომ ციხეში შედის, მეორე წუთს მეორე ძმა რელიგიაში მიდის. ერთი ციხეს უბრუნდება, მეორე – ღვთისმოსაობას, ის ციხიდან გამოდის, ის სემინარიაში მიდის...

ეველინ: მიდი, მიდი, ნუ დამიწყე ისევ!

ამირა ჯინსის შორტით შემოდის.

ამირა: ასე ნორმალურია?

ეველინ: კი, კდემამოსილების მწვერვალია. აბა, ეს ორნი სად არიან? გვიანია –

ამირა: გზაში არიან. მალქამ თქვა, საჭმლის საყიდლად გავჩერდებიო, ფანი კი წუთი წუთზე უნდა მოვიდეს. შენ კარგად ხარ, ეველინ?

ეველინ: ცოტას დავისვენებ. კარგი, იმედი მაქვს, დედაც მალე დაბრუნდება, ღვთის წყალობით. ხვალ ქიფურის დღეა, გართობის დრო არ არის.

ეველინი ჩანთას ხსნის და იღებს ნაკრებს, რომელსაც გაშლის და პატარა დანას გამოაძვრენს.

ამირა: ეგ რა არის, ვის დაჭრას აპირებ?

ეველინ: საკუთარი თავის. ორსულობის შაქრის ტესტია.

ამირა: აჰ, მოიტა გაგჭრა.

ეველინ: რას ამბობ!

ამირა: ოფიცერი ვიყავი სამედიცინო დანაყოფში, მოიტა, გაგიჭრა. *(ეველინი შიშით აძლევს დანას. ამირა ჩხვლეტს)*

ეველინ: ვაი..! – ცოტათი მაინც დამინდე.

ამირა: მორჩა, ახლა აქ ცოტა სისხლს დავაწვეთებთ და დავეღოდებით.

ეველინ: სწორია.

ამირა: – თუ ეს ხაზს გადასცდა, ძალიან ცუდია. *(ნაკრები და ჩანთა საძინებელში გააქვს)*

სამზარეულოში შემოდის ფანი. აცვია ძვირფასი და გამომწვევი ტანსაცმელი – ტანზე მომდგარი ზედა, რომელიც მკერდი გამოჰ-კვეთია, სექსუალური ქვედაბოლო და ძალზე მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. მძიმე მაკიაჟი უსვია და ჩალისფრად შეღებილი თმა აქვს. უნდო და ორჭოფული ნაბიჯით შემოდის. ზღურბლზე დგას და სახლს ათვალიერებს.

ამირა: გამარჯობა, დაო.

ფანი: გაუმარჯოს. ჰა, დაბრუნდა?

ამირა: ერთი წამით *(კამერას იღებს)* ეს ჩემი დაა, ფანი, ბიზნესლედი და მარტოხელა მგელი უძრავი ქონების ასპარეზზე, თავისუფალი და მოუთოკავი, ოცდათვრამეტი წლის *(ფანი უსწორებს – ჩვიდმეტის)*. შემოდი. *(ფანი არ შემოდის)*. შემოდი რა, ისინი აქ არ არიან. *(ფანი შემოდის. ეტყობა, რომ წლებია შინ არ ყოფილა)* წყალი გინდა?

ფანი: რაიმე ნატურალური წვენი არ გაქვს?

ამირა: ნატურალური წვენი? კი, ფორთოხლის ხე მეზრდება ოთახში, რამდენი მოგიწყვიტო?

ფანი: გააჯვი! *(სასტუმრო ოთახში გადი-გამოდის)* ღმერთო ჩემო, ქვის ხანა.

ფანი მარტო რჩება ვენტილატორის წინ. სამოსს იძრობს და შავ მოკლე ბოდეში რჩება. ცალ ფეხსაცმელს იხდის და იატაკზე დებს, ყოყმანობს, ისევ ჩაყოფს ფეხს ფეხსაცმელში. ოთახში ეველინი შემოდის და ფანის სტრიპტიზის შემხედვარე შოკში ვარდება.

ეველინ: რა გაქვთ ტანსაცმლის საწინააღმდეგო? ცოტაოდენი მოკრძალება მაინც გამოიჩინეთ! თუ მოკრძალება არა, ოდნავი ღირსება იქნებ შეგენარჩუნებინათ. რა ხდება – მე რა, ქიმერა ვარ? არ შეგიძლიათ, ცოტა ანგარიში გამიწიოთ?

ფანი: ჩემი ჩაცმა შენ პირადად შეურაცხგყოფს?

ეველინ: დიახ, პირადად.

ფანი: მოსალმება ამიტომ დაგავიწყდა?

ეველინ: რა, შენ მომესალმე?

ფანი: დავიწყეთ... კარგი, მე მაპატიე, ბოდიშს ვიხდი. არ ვიცოდი, აქ თუ იყავი... მე მცხელა.

(ქვედაბოლოს ისევ იცვამს, მაგრამ ზევით კვლავ მხოლოდ ბოდე აცვია)

თანაც აქ კაცები არ არიან. მოიცა, შენი ქმარი აქაა? *(ყინულს ფრთხილად ტეხს)* გამარჯობა, ეველინ, როგორ ხარ? *(კოცნის)*

ეველინ: მადლობა ღმერთს, კარგად. ეს ზაფხული არასოდეს გათავდება.

ფანი: ცხელა აქ, არა? კონდიციონერი არაა.

კარი იღება და შემოდის მალქა სანოვაგით სავსე პარკებით. მალქა, ჩამრგვალებული, ასაკზე უფროსად გამოიყურება, მოუვლელია და უბრალოდ აცვია – სტრეიჯი და დაღილული ყვავილებიანი ბლუზა. თმა – ნახევრად შეღებილი. პარკებს მაგიდაზე აწყობს და ვენტილტორის წინ დგება. მის უკან მდგარ ფანის ვერ ამჩნევს.

ფანი: გამარჯობა, მალქა.

მალქა: *(გაოცებული)* მადლობა ღმერთს, რო დედა გაქრა – ვეღირსეთ შენი სიფათის ნახვას. აქ რას აკეთებ?

ფანი: სახლი უნდა ავკეცო და გავიტანო. *(მოდის ამირა კამერით)* როგორ ხარ, მალქა? მოგენატრე?

მალქა: ღამეები არ მეძინა. შენ?

ფანი: likewise.

მალქა: რა თქვი?

ფანი: მეც ასევე-მეთქი. დავიდი და ბავშვები როგორ არიან?

მალქა: *(ამირას)* დავიდმა დარეკა? მორჩი გადაღებას.

ამირა: არა. დავიდს არ დაურეკავს.

ეველინ: *(პარკებში იქექება)* სულ ესაა?

მალქა: არ არის საკმარისი? – ის ვიყიდე, რაც იყო.

ეველინ: ოთხნი ვართ – ოთხასი კაცის საჭმელი მოიტანე.

მალქა: ქალიშვილი რომ გყავს მუცელში?

ეველინ: რატო ქალიშვილი?

მალქა: რატო?.. ვითომ ისწავლა შენმა ქმარმა ბიჭების კეთება? *(ქირქილებს)* ეტყობა, რომ გოგოა.

ეველინ: ექოსკოპია ხარ?

მალქა: რად მინდა ექოსკოპია? – დედის სიფათი მეტყველებს ამაზე. დაჯღანული ხარ. მოიცა... ორსულობის დასაწყისში გულისრევები გქონდა?

ეველინ: ყოველთვის მაქვს გულისრევები ორსულობის დასაწყისში...

მალქა: მეც მანდა ვარ, გოგომ იცის გულისრევა.

ამირა: რატომ არ მითხარი, რომ ორსულადაა? აღარ დავურეკავდი.

მალქა: მე მაგის ცხოვრებაში აღარ ვერევი. თავი უნდა მოიკლას. რაც უნდა, ის უქნია.

ეველინ: კარგი, მიხარია, რომ კარგ გუნებაზე ხართ, თუმცა ეს ამბავი არ მომწონს. რას ჰქვია, დედა გაქრა, რას ჰქვია, ბინას მერიას უბრუნებს? უნდა ვიპოვოთ, პოლიციას უნდა შევატყობინოთ, მოვიკითხოთ მის მეგობრებში, მეზობლებთან, ახლობლებთან... პირველი – თქვენთვის არაფერი უთქვამს, არაფერი უნიშნებია?

ფანი: მე მეკითხები?

ეველინ: მალქა...

მალქა: ჩემთვის არაფერი უთქვამს.

ამირა: რო ნდომოდა, გვცოდნოდა, გვეტყოდა, მაგრამ მას ეს არ

უნდოდა – სურდა, რომ მერიის თანამშრომლისთვის ეთქვა. ჩემი აზრით, ეს ნორმალურია.

ფანი: მე ნაღდად არ ვაპირებ მის მოძებნას. *(სიჩუმე)* დროს ვკარგავთ, მოდი, დავიწყოთ.

ეველინ: რა დავიწყოთ? თქვენ ნორმალურები ხართ? ნორმალური გგონიათ, დედამ თავისი ბავშვები ასე მიატოვოს?

ამირა: ბავშვები? რამდენი წლის ხარ, ეველინ?

ეველინ: ის გაუჩინარდა! იქნებ რამე დაემართა, იქნებ წაიქცა, ბარძაყის ძვალი მოიტეხა და ახლა რომელიღაც სოროში წევს – ვთქვათ, სისულელე ჩაიდინა, მერე? *(ყურმილს იღებს და ნომერს კრეფს)*

მალქა: მართალია.

ამირა: რას შვრები, სად რეკავ?

ეველინ: პოლიციაში. ალო? გამარჯობა. შეიძლება ინსპექტორ სვისას დაველაპარაკო, იანივ სვისა, ო, გამარჯობა, როგორ ხარ? მე ეველინი ვარ, ყოფილი მეზობელი, საადა ოხანას ქალიშვილი. ღვთის მადლით, არა, არაა კარგად, დედაჩემი... როგორ გითხრა, გაქრა.

ამირა: *(ყურმილში ყვირის)* არ გამქრალა, იანივ, სადღაც გაემგზავრა.

ეველინ: *(ყურმილში)* ეს ამირაა. ყური არ უგდო, სისულელეებს როშავს. დედა მართლა გაუჩინარდა. არა, ჯერ 48 საათი არ გასულა, მაგრამ ის არასოდეს... ყოველთვის ამბობს, სად მიდის... დილიდან. არა, არავითარი კვალი არ დაუტოვებია.

ამირა: მილიონი ხელმოწერილი ბლანკი კვალი არ არის?

ეველინ: *(ამირას)* მოკეტე *(ყურმილში)* დედამ ჩვენი სახლი მერიას დაუბრუნა.

ამირა: *(ყურმილს გამოსტაცებს)* ალო? იანივ, ამირა ვარ, როგორაა საქმეები? ცოტა ისტერიულია... დილიდან. არა, არა მგონია, ცოტა ხანში დარეკავს, რა თქმა უნდა. შეგატყობინებ.

ფანი: *(ამირას ტელეფონს ართმევს)* ალო, იანივ, გამარჯობა, ფანი ვარ, შენი ძმის, შალომის ახლო მეგობარი, როგორ ხარ? მითხარი, რამდენადაც მესმის, 48 საათს იცდით, სანამ ძებნას დაიწყებთ – ხომ არ შეგეძლო, ეგ დრო 24 საათამდე შეგემცირებინა? ხვალ ქიფურის დღეა, ასაკოვანი ქალია – არ არის სასიამოვნო – შენი მადლობელი ვარ. აჰ, მართლა? მაგრამ მაშინ ბავშვი იყავი. ახლა გავწითლდი. კარგი, როდესმე შევხვდებით, მადლობა. *(ყურმილს დებს. ეველინს)* ახლა დაწყნარდი?

ეველინ: გრცხვენოდეთ, ის დედათქვენია.

ამირა: ერთადერთი ის გთხოვე, ყავისთვის რძე მოიტანე-მეთქი, ქათმები რიღასთვის იყიდე?

მალქა: აქ მოვამზადებ ვახშამს და თან წავიღებ. ხვალ ვერ მოვასწრებ და როცა დედა მოვა, სადღესასწაულო სუფრაც დახვდება. *(პარკები სამზარეულოში გააქვთ)*

ფანი: მისმინე ეველინ, მსგავს შემთხვევებში მეთოდურად უნდა იმოქმედო. ტელევიზორს უყურებ?

ეველინ: არა.

ფანი: სამწუხაროა. რადგან ტელევიზორში, როდესაც ვინმე... დაკარგულის... პოვნა უნდათ, ჯერ მეზობლებს გამოკითხავენ. და შენ მოდიხარ აქ, თითქოს ფეხებზე გკიდია, ათასნაირ კითხვას სვამ... მორჩა, პირველ ყოვლისა, მეზობელი მარსელი უნდა გამოვკითხოთ.

ეველინ: მარსელი? ის კარგა ხანია ბეერ-შევას ვილებში გადავიდა, თავის ბიჭებთან ერთად ცხოვრობს.

ფანი: რა დიდებულია... მაშ, სულიკა...

ეველინ: სულიკა? სულიკა მოკვდა.

ფანი: მოკვდა? როდის?

ეველინ: ხუთი წლის წინ.

ფანი: აბა, ახლა ვინ დარჩა მეზობლებიდან?

ეველინ: მარჯვნივ რუსები, მარცხნივ ეთიოპიელები.

ფანი: ააჰ... მაშ, როგორც ჩანს, არავინაა, რომ გამოვკითხოთ. პირველი ეტაპი დასრულებულია, პოლიციას შევატყობინეთ – სახლი უნდა გავამზადოთ, დავცალოთ, დავასუფთავოთ, იმედი მაქვს შეთეთრება არ იქნება საჭირო, სანამ მერიას ჩავაბარებთ. მიდი, ეველინ, დრო არ იცდის – ერთი წუთით, ყუთებია საჭირო, ყუთები არ გვაქვს.

ამირა: გვაქვს. კარტონები მოვამზადე, ამასობაში რაღაცები გამოალაგე. ეველინ, გვეხმარები?

ეველინ: მე არაფერი მაქვს შესაფუთი. მე დედაჩემის მოსაძებნად მოვედი და არა გადასაბარგებლად.

ფანი: როგორც იტყვი.

(საძინებელში გადის, აღებს კარადებს და ტანსაცმელს გამოყრის. ამირა და მალქა სამზარეულოში პარკებს ცლიან)

მალქა: და თუ დედას მართლა რამე შეემთხვა, ის ახალგაზრდა აღარაა.

ამირა: იცის, რასაც აკეთებს.

მალქა: დედას ვიცნობ – ეგეთ რამეებს არ შვრება.

ამირა: ოდესმე ხუთი წუთი თუ დამჯდარხარ მასთან სალაპარაკოდ? – სალაპარაკოდ და არა იმიტომ, რომ შენს ქმარსა და უბედურებებზე ყურები გამოუჭედო. დედა ის აღარ იყო, როგორსაც იცნობდით...

მალქა: კარგი, წადი, ფანის დაეხმარე, სხვანაირად ვერ დავამთავრებთ.

ამირა: სად გეჩქარება? სად გაგვექცევა აქაურობა?

მალქა: რა გგონია – დავიდი მარტო გაატარებს ქიფურს? შინ უნდა დავბრუნდე.

ფანი: *(საძინებლიდან)* ამირა, ყუთები სად არი?

მალქა თავის მიერ მოტანილ პროდუქტებს მაცივარსა და კარადებში ახარისხებს, თითქოს სახლში ცხოვრება გრძელდება. გაზქურაზე ქვაბს დგამს და ხახვს კეპავს. სამზარეულოში მარმარილოს დახლზე მაგნიტოფონი დგას. ჩანთიდან კასეტას ამოიღებს, მაგნიტოფონში ჩადებს და ჩართავს – ანდრეა ბოჩელის საოპერო არიას. კმაყოფილი განაგრძობს ხახვისა და ქათმის კეპვას.

ფანი სასტუმრო ოთახში კარადიდან გამოღებული ტანსაცმლის გროვით მოდის.

ფანი: *(ძველ კაბას უჩვენებს)* გინდა ეს შენი გოგოებისთვის?

ეველინ: არა.

ფანი: კარგი... მაშ, ურნაში ჩავუძახებთ.

ამირა: რაშია საქმე, ვისია ეგ ყველაფერი?

ფანი: ჩვენი. სადღაც ოცი წელი მაინც ინახავდა კარადაში. აი, ეს ჩემი კაბაა. მანამდე მალქასი იყო, მერე ეველინის, ბოლოს ჩემთან მოვიდა –

ამირა: შეხედე ამ გადასარევ შარვალს –

ფანი: ძაან გადასარევია... ეგ ჩემი საზიზღარი გაბარდინის შარვალია –

ამირა: საზიზღარი? ეს განძია, ფანი, სამოცდაათიანების შარვალია.

ფანი: მოაშორე აქედან *(ამირა თავის ჯინსებს იძრობს და შარვალს იცვამს)*

ამირა: *(ხელში ბლუზა უჭირავს)* ესეც შენია?

ფანი: მალქასია. შენ დიდი მოგივა.

ამირა: მომეცი (იცვამს). დაგლიჯა. ამას ვინახავ –

ფანი: მართალი გითხრა, გეგონება ფილმ „ბრიოლინიდან“ გამოხვედი *(მხიარულად მისჩერებია)*, სხვათა შორის, შენი ფილმი რას შვრება?

ამირა: მაგარია. ასწორებს. უკვე რამდენიმე იდეა მაქვს, წინ

მივიწევ, ნელა, მარა მივიწევ. შეხე, ნაღდად არაფერი გინდა?

ფანი: არა. ვერ ვიტან ძველმანებს.

ეველინ: ფილმი რაზეა?

ამირა: მაქსიმუმ დემოკრატიაზე იქნება, სიტყვის თავისუფლება და რამე.

ფანი: და მინიმუმ?

ამირა: რა?

ფანი: მინიმუმ, უფრო სპეციფიკურად?

ამირა: აჰ... ეს კაიფის მშვენიერებაზეა, ფერად-ფერადი ისეთი... თუმცა ბავშვზე, რომელიც არ დაბადებულა, არ საუბრობენ.

ეველინ: ვა, მართალია, ხო იცი. *(პაუზა)* სწავლას რატომ დაანებე თავი? მთლად კარგად ვერ გავიგე.

ამირა: არ დამინებებია, მე... ახლა, ფაქტიურად, რაღაც ეტაპზე ვარ სწავლის... ჩემი სცენარი უნდა დავწერო. იდეა და რამდენიმე დრაფტი მაქვს. თელ-ავივში არ შემიძლია კონცენტრირება, ამიტომ აქ ჩამოვედი. ეველინ, ეს შენს გოგოებს დახატავს.

ფანი: მაშ, ნეთივოთში ჩამოხვედი, კაიფზე რო სცენარი დაწერო?

ამირა: კი... აზრი არ აქვს. თქვენ მაინც ვერ გაიგებთ.

ფანი: try me, საყვარელო.

ამირა: თელ-ავივში ხმაურია... გარედან კი არა, მანქანების და რაღაც ეგეთი, შიგნით მაქვს ხმაური, კონცენტრირებული არ ვარ, სულ მეშინია...

ფანი: რისი, პატარა?

ამირა: არ ვიცი, მისმინე: ეს შემოქმედებითი პროცესია კინოხელოვნებაში... როგორ უნდა აგიხსნა – ვერ გაიგებ.

ფანი: სწორია, აბა, საიდან უნდა გავიგო – გამოგაპანღურეს.

ამირა: არა, რას ამბობ! *(პაუზა)* კიდევ მაქვს ერთი შანსი. მომავალ კვირამდე კარგი სცენარი უნდა მივუტანო.

ფანი: მერე მიუტანე. რას ნიშნავს კარგი სცენარი?

დუმილი.

ფანი: შეხედე, რა მინიკაბაში დავდიოდი, მეგონა, დაწვავდა... ეველინ, არ გინდა ეს შენი გოგოებისთვის?

ეველინ: გეყოფა! არ გინდა შენი გოგოებისთვის, არ გინდა შენი გოგოებისთვის!..

ამირა: რას ყვირი?

ეველინ: ჩემი გოგოები ტანისამოსს იცვამენ და არა ნაგავს.

ფანი: უკაცრავად, უკაცრავად... არ ვიცოდი.

ეველინ: ჩემთან რომ მოდიოდე, გეცოდინებოდა.

ფანი: ოდესმე დაგიპატიჟებივარ?

ეველინ: შენ ჩემი და ხარ – ჩემი კარი მუდამ ღიაა.

ფანი: აი, ბოლო დროს, შემოსვლა რომ ვცადე, დაკეტილი დამხვდა.

ეველინ: მე არ დამიკეტავს, ძვირფასო.

ფანი: მართალია, მაგრამ არც გაგიღია, როცა შუაღამეს გევედრებოდი, ღამის გასათევი არსად მაქვს-მეთქი... ჩემმა დაიკომ დაამტკიცა, რომ მამა ჩვენი აბრაამი მასთან შედარებით სტუმართმოყვარეობაში ფრაერი იყო *(ეველინ დგება და გადის. ფანი სიგარეტს უკიდებს)*

ამირა: შენ არ გაინტერესებს, სად წავიდა?

ფანი: ვინ?

ამირა: დედა.

ფანი: დედა! *(ცინიკურად)* „დედა, ოჰ, დედა, ჩამეხუტე მაგრად და ნურასდროს დავცილდებით ერთურთს“, – იცი ეს სიმღერა?

ამირა: მამამ მართლა გაგაგდო ქუჩაში 16 წლისა?

ფანი: დიახ. არ დამეჯერება?

ამირა: დედას არაფერი უქნია?

ფანი: უქნია, როგორ არ უქნია – კარი ჩაკეტა, სამჯერ გადარაზა და ყურებში ბამბა დაიცო. მამა ეველინს და მალქას ემუქრებოდა, რომ, თუ კარს გამიღებდნენ, დახოცავდა.

ამირა: მამა გცემდა?

ფანი: მამამ ცემა არ იცოდა – ერთს შემოგხედავდა და ადგილზე ქვავდებოდი.

ამირა: საშუალო კლასებში როცა ვიყავი, მასწავლებლები კიდევ გეთაყვანებოდნენ, ვერ გაეგოთ, სად გაუჩინარდი.

ფანი: არ გავუჩინარებულვარ. უბრალოდ, არც უცდიათ ჩემი მოძებნა. კორპუსის სარდაფებში ძაღლებთან ერთად, ავტობუსის სადგურებში, კიბეების ქვეშ ვცხოვრობდი... მერე დიდებულ სავანეში გადავედი – სინაგოგაში. აქვე, ჩვენი სახლის უკან, ქალთა განყოფილებიდან ღამღამობით ვუთვალთვალებდი სარკმლიდან ჩვენს სახლს. ეს სად დავდოთ –

ამირა: მერე?

ფანი: მერე მოვიდა მალქას დავიდი, თქვა: „მარბუნა, მისქინა, ჰაგდაგ ფელ რეხოვოთ... ფჩალ ქალბა“ *[საბრალო, საცოდავი, ასე აგდია ქუჩაში ძუკნა ძაღლივით?]* და შინ წამიყვანა. მალქა ბავშვებს უვლიდა, სადილებს ამზადებდა და სახლს ალაგებდა, ხოლო მეფე დავიდი ჩემთან იჯდა და ნარდს მეთამაშებოდა, სანამ ესეც არ დასრულდა. რისი სუნია? მეცნობა. ყავა გინდა?

ამირა: არა.

მაღალ ქუსლებზე აწოწილი ფანი სამზარეულოსაკენ წაყანყალდება და კარადებში რაღაცის ძებნას იწყებს. მალქა ტელეფონზე ლაპარაკობს.

ფანი: ყავა სად არის?

მალქა: გამარჯობა დავიდ, მალქა ვარ. რაღაცის თხოვნა მინდოდა, მაგრამ სახლში არ ხარ. კარგი, მობილურზე დავრეკავ... *(თიშავს და თავიდან კრეფს)*

ფანი: *(მაცივარში იქექება)* მალქა, სად არის აქ ყავა?

მალქა: *(ტელეფონს უსმენს)* დავიდ, გამარჯობა, მალქა ვარ. სახლში ვრეკავდი და არ იყავი, ეშმაკმა უწყის, სად დაბოდიალობ, მინდოდა, რაღაც მეთხოვა, გამოგეღო... კარგი, აზრი არ აქვს, სამსახურში დავრეკავ... *(თიშავს და ისევ კრეფს. უსმენს)* ალო, შუში, სალამი, როგორ ხარ?.. მალქა ვარ... ვერ მიცანი? ვინ გეგონე? მისი საყვარელი? *(ქირქილებს. ფანი ძებნას წყვეტს და მას მისჩერებია)* მისმინე... სად არის ბოსი? როდის დაბრუნდება? როდის გავიდა? ორი საათის წინ? რას ამბობ? კარგი, უთხარი, რომ მობილურზე დამირეკოს. არა, სახლში არ ვარ, დედაჩემთან ვარ ნეთივოთში. არა, ყველაფერი კარგადაა, გმადლობ, პატარა საქმე მაქვს აქ... არა უშავს. მოკლედ, არ დაგავიწყდეს, კარგი? *(თიშავს)*

ფანი: მითხარი, ვინაა. ვინც შენს ქმარს საფენებს უცვლის?

მალქა: არა, მარტო ის მინდოდა მეთხოვა, ხვალისთვის ქათამი გამოეღო საყინულიდან, ჩემს მისვლამდე რომ გამდნარიყო.

ფანი: მერე მდივანთან დაგეტოვებინა შეტყობინება და მორჩა. სამგან დარეკე და სათქმელი მაინც ვერ გადაეცი.

მალქა: მიყვარს, როცა თავად ვეუბნები.

ფანი: გიყვარს, ტვინს რო უტყნავ, აი, შენ რა გიყვარს. *(უჯრებს აღებს)*

მალქა: რას ეძებ?

ფანი: ამ სახლში ყავა არის?

მალქა: არის. ცხვირწინ გიდევს *(ფანი ვერ პოულობს)* დაჯექი, მე გაგიკეთებ. ხსნადი? შაქარი?

საქარინი: *(ფეხებს მეორე სკამზე აწყობს. მობილურს იღებს, ამოწმებს და მაგიდაზე დებს. ამის შემდეგ თვალს არ აშორებს. ჩანთიდან*

იღებს გაზეთს „გლობს“ და კითხულობს) ცოტა უნდა დავისვენო.

მალქა: *(პაუზა)* მითხარი, რატო არ იხდი მაგ ქუსლიანებს?

ფანი: ფეხებისთვის კარგი არ არის. *(გაზეთს უბრუნდება)*

საძინებელი ოთახი

ეველინი თვითონ იკეთებს ინსულინს. შემოდის ამირა.

ამირა: *(საძინებლიდან შემოიტანილ პატარა ჩემოდანს ხსნის)* კაცის ტანსაცმელია. ამას აქ რა უნდა? ვისია? მამასია?

ეველინ: კი.

ამირა: რაში სჭირდება მამას ტანსაცმელი?

ეველინ: უეჭველი ელოდა, რომ დაბრუნდებოდა. აჰ... ეს მისი ბერეტი იყო. უბერეტოდ წავიდა შუაღამეს, საცოდავი. *(ჩემოდანში აბრუნებს და კეტავს)* ბედი გაქვს, რომ მას შემდეგ დაიბადე, რაც მამამ დაგვტოვა.

ამირა: კი. იღბალი მქონია, უმამოდ რომ გავიზარდე.

ეველინ: ეს არ მითქვამს, თუმცა, როცა ის წავიდა, სიმშვიდემ დაისადგურა ბოლოს და ბოლოს. ღმერთმა მაპატიოს, ახლა დედის პატივისცემის ცნებას თუ ვარღვევ, მაგრამ დედა მას სიცოცხლეს უმწარებდა, უკმეხი და კაპასი ქალი სულ ეთავხედებოდა და წყევლა-კრულვით ავსებდა, განა რას უშავებდა, საწყალი – გამთენიას, ხუთ საათზე ფერმაში სამუშაოდ მიდიოდა და საღამოს ხუთზე ბრუნდებოდა. – რას შვრები, ჯერ თამბაქოს ყრი და მერე თავიდან ტენი?

ამირა: შენი საქმე არაა *(შეკეთებულ სიგარეტს უკიდებს)* – მისი სურათიც კი არასოდეს მინახავს.

ეველინ: ლამაზი კაცი იყო, სიმპათიური. შენ ჰგავხარ. ცოტათი *(ახველებს)* ჩააქრე სიგარეტი.

ამირა: ახლავე... *(განაგრძობს გაბოლებას)* ჩემს ქმარს რომ ჩემთვის ეღალატა, მას დედაჩემივით მეც გარეთ გავუძახებდი.

ეველინ: გაუძახებდა... აი, აიი... ეს ისწავლე ფემინიზმისგან? მერე სარჩო? ქალიშვილების პატრონობა? ითქვა, გოგოებში დადიოდაო. არსად არასოდეს წასულა და არავისთან გაუვლია, დარწმუნებული ვარ, და დედა რომ თავდაჭერილი ყოფილიყო, ძაღლივით მარტო არ დარჩებოდა.

ამირა: ის მარტო არ ყოფილა, მე ვიყავი მასთან.

ეველინ: კი, მაგრამ ქალს მამაკაცი სჭირდება. *(სასტუმრო ოთახში ბრუნდება)*

ფანი: *(შემოდის სასტუმრო ოთახში თეფშებითა და დანა-ჩანგლით)* ყური არ უგდო, ამირა, ქალს მამაკაცი არ ჭირდება.

ეველინ: შენ ამბობ მაგას? ნეტა რას იზამდი კაცების გარეშე?

ფანი: *(თითებს აცეკვებს და მღერის)* „ლა სი პო, პო, პო, ლა პეტიტე მარიონეტე...“ მარა კაცთან ერთად უფრო ასწორებს, იმაზეცაა დამოკიდებული, თუ...

ამირა: ფანი, მორჩი!

ფანი: კარგი, მოდი, ვჭამოთ, მშიერი ვარ... ამირა! რა სხვანაირი სიგარეტი გაქვს! ჩაგვირთე რამე მუსიკა, რომ გავმხიარულდეთ *(სუფრას შლიან, ხოლო მალქას საჭმელი მოაქვს, ამირა ჯო ამარის ფირფიტას დებს. მალქა საჭმელს ანაწილებს, ეველინი და ფანი პურს ტეხენ და ჭამენ. ამირა არ ჭამს.)*

ეველინ: თუ პოლიციაში იცდიან, არ ნიშნავს, რომ ჩვენ გულხელი უნდა დავიკრიფოთ. შეგვიძლია საავადმყოფოში დავრეკოთ, იქნებ ინსულტი დაემართა?

ფანი: სწორია – ტვინში სისხლი ჩაექცა და გზად საავადმყოფოსაკენ წამით მერიასთან შეჩერდა და დაუბრუნა სახლი, რომელშიც 45 წელი ცხოვრობდა. მალქა გაიხარე, დედასავით ამზადებ.

მალქა: აბა, კარგია თუ ცუდი?

ფანი: ეს... ავთენტურია.

ეველინ: ეშ ნუ ვა ჰადა ოთენტიკ?

ფანი: ორიგინალია. ეს... – მალქას უბრუნდება: ძირები უნდა შეიღებო.

მალქა: რა ძირები?

ფანი: აი – *(თმაზე მიუთითებს)* ზებრა გადასასვლელს ჰგავხარ: თეთრი, შავი, თეთრი, შავი...

მალქა: ჰო. დრო არ მქონდა.

ფანი: რატო, რა გაქვს საკეთებელი?

მალქა: *(დადუმებული დგება მათლაფითა და კოვზით ხელში. კრიჭაშეკრულია. ყველა მას მისჩერებია.)* საქმე მაკლია? ყოველთვისაა რაღაც საკეთებელი.

ფანი: *(არ ეშვება)* რა გაქვს საკეთებელი – ვთქვათ, ადექი დილით, დავიდს ჩაი მოუმზადე, ვთქვათ, გარეცხე ორი ჭიქა და საწოლები დაალაგე; ვთქვათ, სახლი გამოგავე, იატაკი მორეცხე, თუმცა აღარავინაა, ვინც დაგისვრიდა, მაქსიმუმ ჩვენ შეიძლება მოვიდეთ საღამოს თერთმეტისთვის, გაზზე ქვაბს დგამ შუადღის პირველზე, ესაა და ეს. რას აკეთებ საღამოს ხუთ საათამდე, როცა დავიდი ნახევარი საათით მოდის, სანამ ფოლკლორულ ცეკვებზე წავა? გძინავს? სალსეტას უყურებ? ამბოხებულებს? დგახარ და მეზობლებთან ლაყბობ? მოლში მიდიხარ? რას აკეთებ? მოლში მიდიხარ? *(ცხარე სადილის გამო სპაზმი ემართება და ახველებს)*

მალქა: კიდევ გაქვს რამე ჩემთვის სათქმელი, ფანი?

ფანი: *(დგება და სამზარეულოში გადის)* დიახ: შენი კერძი უგემურია დედას გაკეთებული საჭმელივით, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი, რაც ცხარეა, გემრიელი არაა. რამე ტკბილი გვაქვს?

მალქა: ქვაბშია.

(ფანი ქვაბთან იხრება და ყნოსავს.)

ფანი: *(სამზარეულოდან)* ღმერთო მომკალი... სპერზელი!

ამირა: ეგ რაღაა?

ეველინ: სპერზელი.

ამირა: სპერზელი?!

მალქა: სპერზელი, სპერზელი.

ამირა: სპერზელი რა არის?

ეველინ: არ გაუმხილო.

ფანი: *(დიდხანს ყნოსავს)* მალქა, არ მჯერა, რა საყვარელი ხარ! *(ამირას)* არ იცი, რა არის? კომშის მურაბაა ქიფურის დღისთვის, ალბათ ოცი წელია, ამის სუნი არა მცემია. სპერზელი! შენ მე გამანადგურე, მალქა – *(ფანი ქვაბით გამოდის სასტუმრო ოთახში, ჯო ამარის სიმღერას აჰყვება, ოღონდ სიტყვებს ცვლის)* „შემოსძახეთ სიმღერა, მოქალაქენო / მართალია ამირას სამართალი / მალქამ მოამზადა კომში / სპრეზელის მურაბა გააკეთა ქიფურის დღისათვის“ *(ამირა და ეველინ უერთდებიან და უფროსი დის გარშემო ცეკვავენ)*

მალქა: შენ არა თქვი, რომ რომ ხელიდან არაფერი გამომდის გარდა განავალისა?

ფანი: რაც ვთქვი, ვთქვი, მარა სპერზელი სპერზელია. *(ფანი ამირას მურაბას გაასინჯებს, ამირა კი კედელზე ჩამოკიდებული მალქას საქორწილო სურათისკენ შებრუნდება)* ფრთხილად, ცხელია. ქიფურის დღის სუნი ასდის.

ამირა: ყოჩაღ, დავიდ, კარგად მიგყავს საქმე, შენი ცოლი სპერზელობს.

ფანი: შეხე, რა სანიმუშო წყვილია, რამხელა სიყვარული აქვთ თვალებში. მალქა მას მისჩერებია... ის ფოტოგრაფს უყურებს – ამირა, გადაიღე ეს გვრიტები *(ამირა იღებს. ფანი მალქას მიმართავს, ვითომ სატელევიზიო ინტერვიუს ართმევს)* მალქა, იტყოდი, რომ ეს ყველაზე ბედნიერი დღე იყო შენს ცხოვრებაში?

მალქა: რატომაც არა?

ფანი: რატომაც არა – გზად გიმნაზიისკენ, ყვავილივით ლამაზი – მოდის პროფილაქტიკის ხელოსანი დავიდი და წყვეტს ჩვენს ყვავილს. ცოტა ხანში გიმნაზიას დაამთავრებდა და ატესტატს აიღებდა, მაგრამ არა – სკოლის მერხიდან სპერზელისკენ – როგორც რომანებშია, არა, მალქა?

მალქა: რა უნდა მექნა ატესტატით – ბავშვების გაზრდას ატესტატი რად უნდა?

ფანი: მართალია. დედამისმაც ეს უთხრა მალქას და დაარწმუნა. მითხარი, კლასში არავინ გიყვარდა?

მალქა: არა.

ფანი: იმას რა ერქვა?

ეველინ: კიკუშა.

ამირა: რა?

ეველინ: კიკუშა. კინოვარსკვლავი. გიჟდებოდა მალქაზე. მაგრამ დედამ თქვა, ეგ სერიოზული არააო.

ფანი: მართლა არ იყო სერიოზული – უკვე ჩვიდმეტი წლის გახლდათ და ცოცხალი თავით არ ქორწინდებოდა!

მალქა: კარგი, გეყოფათ.

ფანი: შენ გათხოვდი, მალქა. აბა, როგორ მიდიოდა გათხოვილი ქალის ცხოვრება?

მალქა: მაგრად – უამრავს ვმოგზაურობდით, დროს ვატარებდით, თითქმის ყოველ საღამოს გავდიოდით გასართობად.

ფანი: მერე გაჩნდნენ ბავშვები და გართობაც შეწყდა.

მალქა: სამაგიეროდ, სახლში ვიყავით მხიარულად.

ფანი: ტელევიზორთან.

მალქა: ტელევიზორთან.

ფანი: ისხედით და ხმას არ იღებდით.

მალქა: მე ჩუმად ვიყავი. დავიდი ცეკვავდა.

ფანი: დავიდი ფოლკლორულ ცეკვებს ცეკვავდა. მოცეკვავე იყო. ოცდახუთი წელი დივანზე ალოდინებდა მალქას. დიდებული ფილმია, არა, ამირა? ნაღდი სერიალია.

ამირა: ჰოლივუდია. ეგაა შენი ცხოვრება, მალქა, უკეთესს ვერ ინატრებ.

მალქა: ახლა რა უჭირს. მას აქეთ, რაც საკაბელო დაგვიყენეს, არ მენაღვლება, წავიდეს და იცეკვოს რამდენიც უნდა.

ფანი: *(წყვეტს გადაღებას)* ჰეფი-ენდიცაა – დღეს უკვე პროფილაქტიკის პატრონია და მაყუთიც გაქვთ *(თითებით შესაბამის ჟესტს აკეთებს)*, არა?

მალქა: მართალია. თვალი არ გვეცეს *[აკაკუნებს]*

ფანი: დამხმარეს არ იყვან, რომ დაგისუფთავოს, მერე შენ რაღა გააკეთო, არა?

ეველინ: მალქა, მე ჩაი გამიკეთე.

ფანი: მიდი, ჩაი გაუკეთე, მალქა, სწყურია! რა ბუნებრიობაა – გამიკეთე, გაუკეთე... მორჩი გადაღებას, პერსონაჟი ნერვებს მიშლის.

მალქა: რატომ, რას აკეთებ მთელი დღე? პედიკიურს, მანიკიურს, თმას იღებავ. რა გრანდიოზული პროექტები გაწუხებს, როცა დილით დგები – დიორის ბიუსტჰალტერზე გადავყარო ფული თუ გოტიეს საცვლებზე? სად გავფლანგო ჩემი ფული – მედინას მოედანზე თუ დიზაინერების მაღაზიებში?

ფანი: სადაც იმწუთას მომინდება, საყვარელო, ეს ჩემი ფულია. ჩემი. აი, ამ ათივე თითით გაკეთებული. მანიკიურის ლაქით გალაქული!!

მალქა: თითებით თუ ფუჩუთი, ბოზო!

ამირა და ეველინ: მალქა!!

მალქა: *(კივის)* თავი დამანებეთ. მოსვლის წამიდან გადაკიდებულია – რას აკეთებ, რას აკეთებ – რა შენი საქმეა, რას ვაკეთებ?

ფანი: ჰო, ეგეთი ვარ – ბოზი, რომელსაც აინტერესებს ისიც, ვინც მისით არ ინტერესდება. ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში ალბათ ხუთჯერ თუ მინახავხარ და ათჯერ თუ მილაპარაკია შენთან ტელეფონზე, ისიც ჩემი ინიციატივით და ისიც, სანამ ქმარს გავეყრებოდი. მას აქეთ, რაც განვქორწინდი, ხუთი წლის წინ, არც კი გიკითხავს, სად ვცხოვრობ, თითქოს ჩემი მული ყოფილიყავი და არა ჩემი და. აბა, მე რატომღა ვინტერესდები შენით? *(ამირას)* რატო მექავება მთელი ტანი მას აქეთ, რაც დედას გაქრობა და სახლის დაცლის ამბავი მაცნობე? რას ვაკეთებ აქ, ამ სოროში ამ მძიმე დედაკაცებთან ერთად ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან დღეს? რა მაქვს თქვენთან საერთო? *(ჩუმად)* ოცი წელი გავიდა და თქვენს თვალში კიდე ბოზი ვარ, ხო? მე კი არა, თქვენ ხართ ბოზები. ყველანი! ისინიც, ვინც თქვენ გაგაკეთათ. მანქანის ხელოსნის ბოზი და პარტიული აქტივისტის ბოზი. *(სახლიდან გადის)*

მალქა: *(მიაძახებს)* ახლა ხომ გესმის, რატომ არავის უნდა შენი სიფათის დანახვა?

ეველინ: რატომაა დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი დღე მის ცხოვრებაში? დედა რომ დაიკარგა?

მალქა: რა ქმარი ჰყავდა! ადგა და გაეყარა, ახლა კი მე მითხრის ნერვებს.

ეველინ: ეგ იმან გამოაგდო. შვილებს ვერ უჩენდა. თავიდან მოიშორა და სამართლიანადაც.

ამირა: რა?

მალქა: მამამ რატომ დაიფრინა სახლიდან? იმიტომ რომ ღამღამობით დაძვრებოდა.

ამირა: რას ნიშნავს, დაძვრებოდა – რა, ყველას უწვებოდა?

მალქა: ქუჩა-ქუჩა დაწანწალებდა ბიჭებთან ერთად, როგორიც დღესაა, ისე ჩაცმული – მინიკაბით, ჭიპგადმოგდებული და მაღალ ქუსლებზე შემხტარი. შუაღამემდე. შენი და ჩვენი მატრასიაო, მეუბნებოდნენ.

ეველინ: და მამას როგორ უყვარდა... ყველაზე უმცროსი იყო, სანამ შენ გაჩნდებოდი. როგორ ანებივრებდა...

მალქა: და ყველაზე ლამაზი ჩვენ შორის.

ეველინ: შენ უფრო ლამაზი იყავი.

მალქა: მერე რა ხეირი? მისთვის ყიდულობდა ახალ კაბებს და ბაფთებს.

ეველინ: არ მინდოდა, მეთქვა, წუთის წინ ამირას შესტიროდა, რა უბედური იყო მუდამ გამონაცვალ კაბებში – ჯერ შენ რომ იხმარდი, მერე მე და ბოლოს მას რომ აცმევდნენ.

მალქა: „ჩემო პრინცესა! მოდი, მამა გენაცვალოს, მოდი, ნახე, რა გიყიდე...“ შოკოლადები, კანფეტები... ეხუტებოდა, კოცნიდა, ღამითაც კი ვერ შორდებოდა... დიახაც, ეგრე ნუ მიყურებ...

ეველინ: იმათ საწოლში ეძინა.

ამირა: რაო? და დედა?

მალქა: თავიდან კარგად ექცეოდა, მერე უყვიროდა და ბოლოს ურტყამდა კიდეც. ვერაფერმა უშველა. გახსოვს, როგორ წიოდა და კიოდა, თითქოს კლავენო. გახსოვს მამა: „ვერ ხედავ, ბავშვი ვერ იძინებს?“ – და თავიანთ საწოლში მიაბრძანებდა, 14-15 წლის გოგოს. თავს ისე ევლებოდა, როგორც სპარსულ კატას.

ეველინ: ნებიერა. კევის პატარა ნაგლეჯისთვის მთელი კვირა მონად დამიყენებდა ხოლმე.

მალქა: ეგ კი არა, ქუჩიდან შინ შევიყვანე, ვაჭამე, ჭერი მივეცი – მან კი... დავიდთან არ გააბა?

ეველინ: *(შოკშია)* გაგიჟდი, მალქა?

მალქა: კინაღამ მოვკალი იმის გამო, რაც გააკეთა.

ამირა: შეშლილი ხარ, არ მჯერა შენი. *(ტელეფონთან მიდის)*

მალქა: შეეშვი. თქვენ კიდე არ იცით, ფანი ვინაა.

(ტელეფონი რეკავს, ამირა მაშინვე უპასუხებს – დაძაბულები არიან)

ამირა: ალო... *(დებს)* იანივია, პოლიციელი. *(ტელეფონში)* ااჰ... ااჰ... ბეერ შევაში. რაზე იცინოდნენ? რომელ ავტობუსზე? – გავიგე. მაშ, შემატყობინე. მადლობა. *(თიშავს)* შტერები ვართ. იანივი პირველ რიგში ტაქსების სადგურზე გავიდა აქ, ნეთივოთში. მისი სიძე მუშაობს იქ დისპეჩერად –

მალქა: ამრამი, ამრამ სვისა.

ამირა: კი, ეგაა. მოკლედ, დედას ტაქსი აუყვანია ბეერ შევას ცენტრალური სადგურისკენ. მთელი გზა მაროკოულად ლაზღანდარობდნენ და იცინოდნენო.

ეველინ: ვერ დაინახა, რომელ ავტობუსში ავიდა?

ამირა: ვერა. ახლა რას ვშვრებით?

ეველინ: ჯერ მერიის თანამშრომელს დავურეკე, დედაზე რომ გამომეკითხა, უცნაური ხომ არაფერი შეამჩნია... იმანაც თქვა, სულ იცინოდაო.

მალქა: ხედავ, სანერვიულო არაფერია.

ეველინ: კი – დედა მოცინარი როდის გინახავს?

მალქა: *(პაუზა)* ეველინ, კმარა შემოგევლე, რისთვის...

ეველინ: ვღელავ მასზე, დედაჩემია *(ტირის)*

ამირა: ფანის ვურეკავ.

მალქა: ერთი წამით – მაშ, ამის გამო ჩააბარა ბინა.

ეველინ: რა?

მალქა: ამის გამო ჩააბარა ბინა. მარტო ცხოვრება არ უნდა. ვინ ჰყავს აქ. ყველა მოკვდა ან ბეერ შევაში გადაბარგდა – რა ქნას აქ მარტომ.

ეველინ: აბა, სად იცხოვრებს?

მალქა: ჩვენთან. ჩვენთან უნდა ცხოვრება. ჩემთან წავიდა. სადაა ტელეფონი? *(რეკავს, არ პასუხობენ)*, მიპასუხე, დავიდ, მიპასუხე, რა. ნეტა სად აგდია

ამირა: მობილურზე დაურეკე

მალქა: ვრეკავ, გათიშული აქვს. არ პასუხობს. ტელეფონი გამორთო. კიდე გათიშა ტელეფონი მაგ ნაძირალამ, კიდე თიშავს.. ახლა დედა ჩემოდნებით კართანაა, ის კი ვისთან ერთად დაწანწალებს, მოვკლავ მაგ უბედურს

ამირა: დაწყნარდი, კიბინიმატ.

მალქა: რა დავწყნარდე, მღალატობს, არ გესმის, მღალატობს

ამირა: ვინ გღალატობს – დავიდი?

მალქა: სად არის ახლა? არც სამსახურშია, არც სახლში – ყოველ ხუთ წუთში ვრეკავ, მას აქეთ, რაც სახლიდან წამოვედი –

ეველინ: ვისთან გღალატობს? –

მალქა: ფოლკლორზე ერთი ნაქმარევი ჰყავს. შინ დაბრუნებულს, როდესაც ის ქალი მანქანიდან ჩამოსვამს, ფანჯრიდან ვუჭვრიტინებ ხოლმე – ერთმანეთს მხოლოდ ნახვამდისო, ეუბნებიან, მე რომ რამე არ ვიფიქრო,

ეველინ: მერე –

მალქა: მაგრამ მე ვერ გამაცურებს. მაგისი წიგნაკიდან იმ ქალის ტელეფონები ამოვწერე და როცა დავიდი უჩინარდება, მაგ ქალს ვურეკავ. როგორც წესი, არც სახლშია ხოლმე და არც სამსახურში.

ეველინ: ყოველთვის?

მალქა: თითქმის ყოველთვის. ამ დილას ქალის სამსახურში ვრეკავ – იქ არაა. სად არი? – წასულა. ვრეკავ მასთან სახლში პირველ საათზე, სად არი? – ხაიფაში წასულა, რა ესაქმება ხაიფაში? სწორედ მაშინ, როდესაც მე ნეთივოთში ვარ და დავიდმა იცის, რომ ვერ დავბრუნდები, რადგან დედაჩემი

გაქრა, ხოლო ახლა დედა კართან დგას, დავიდის მობილური გათიშულია.

ამირა: ყველამ გითხრა, რომ დედამ ტაქსი აიყვანა ბეერ შევასკენ – დავიდის ქალი როგორღა ჩავიდა ხაიფაში?

მალქა: რას გულისხმობ? – სადაა ლოგიკა!

ეველინ: *(ამირას)* ზუსტად ისაა, რასაც დედა უშვრებოდა მამას. კისერზე აჯდა, სანამ იმას სული არ შეეხუთა და გაიქცა

მალქა: *(ამირას. ახლა უკვე ისაა კონფლიქტის ეპიცენტრში)* მართლა. მამა სუნთქვის საშუალებას არ აძლევდა დედას. სულ სახლში, სულ სახლში უნდა ყოფილიყო. დედას თავისი სახელის „სიმხას“ წერა ვასწავლე. მივიდა მამასთან და სიცილით ეუბნება: „ახლა მეც შემიძლია ჩეკებზე ხელის მოწერა.“ მამას უცებ თვალები აემღვრა, ჩეკების წიგნაკი ჯიბიდან ამოიღო, გადახია და უთხრა: „როცა საფლავში ვიწვები, მაშინ შეძლებ ჩეკებზე ხელის მოწერას.“

ეველინ: მართლა? *(ამირა მათ გაჩუმებას ცდილობს და როცა ამას ვერ ახერხებს, რადიოს რთავს ჩხუბის ხმის გადასაფარად)* „იე აბუ ალ ბნათ“ – უთხრა მამას – „იე აბუ ალ ბნათ“ – დამცირება დაუპირა, – ახლა მეც შემიძლია ჩეკებზე ხელისმოწერა“. ეს უთხრა მამას, მეც ვიყავი ოთახში, მარტო შენ არ ყოფილხარ.

მალქა: გრცხვენოდეს *(ამირას მიუბრუნდება)*. დედა სულს არ დაინანებდა მისთვის.

ეველინ: შენთვის არ დაინანებდა, საყვარელო, და არა ჩემთვის. ჩემთან მშობელთა კრებებზე არც კი მოდიოდა – *(დედას ჰბაძავს)* „ააჰ.. ვაა.. რათ მოვიდეთ, ჰეველინ? ეგ შენი ატესტატი ტუალეტის ქაღალდადაც არ გამოდგება, რათ მოვიდეთ?“

... ჰეველინს მეძახდა! სული ამოიღო და მომცაო... მე ამომართვა სული. ინტერნატში მომისროლა, ბნეი-ბრაკში.

მალქა: *(ამირას)* რა? – თავად უნდოდა იქ წასვლა!

ეველინ: რაო? – მე მინდოდა ორთოდოქსობა? მე მსახიობობა მინდოდა.

მალქა: აბა, სახლში რატო არ დაბრუნდი –

ამირა: კმარა!

ეველინ: სახლში? რისთვის დავბრუნებულიყავი?

მალქა: ვინმემ დაგავალა, რელიგიური დარჩიო?

ამირა: მოკეტეთ, აქ სკანდალის გასამართად მოხვედით?

ეველინ: სახლში რისთვის დავბრუნებულიყავი? ვუყვარდი, პატივს მცემდნენ, სიხარულით მეგებებოდნენ? რა სითბოს და სიყვარულს მაბერტყავდნენ! რა სიმყუდროვეს მიქმნიდნენ! როგორ ვიშლებოდი და ვიფურჩქნებოდი! არავითარი ჰეველინ. მოკვდა ჰეველინ – უცებ ყველაზე ბეჯითი შევიქენი ლოცვებში, უცებ ყველაზე ავტორიტეტული გავხდი ჩემს წრეში.

მალქა: მაშ, რაღა გინდა დედასაგან?

ეველინ: რომ იბრძოლოს ჩემთვის! – ღმერთმა დაგიფაროს, დედა, განა არ იცნობ შენს გოგონას? ვერ ხედავ, რომ ნაგავი არ ვარ? რატომ უნდა მოიშორო სახლიდან, რატომ? მამაც, ფანიც, მეც... ღმერთმა ჯანმრთელად ამყოფოს ეგ დედა, ჯანმრთელად ამყოფოს...

რადიოში სიმღერა სრულდება და ისმის ადგილობრივი რადიოსადგურის წამყვანის ხმა

წამყვანი: „ეს იყო ივდით რავიცის სიმღერა „მაპატიე“. მე გახლავართ რონენ სვისა სამხრეთის რადიოდან. როგორც ამბობენ, ის აქ, ჩვენთან, სამხრეთში დაბადებულა, სწავლობდა ბეერ შევას პირველ საშუალო სკოლაში. ყოჩაღ, ივდით, მშვენიერი სიმღერაა ქიფურის დღის წინ, და თუ უკვე ქიფურის დღის განწყობით ვართ, შანსი გვაქვს, მცნე-

ბა აღვასრულოთ და დავეხმაროთ ოხანას ოჯახს ნეთი-ვოთიდან ინფორმაციით ან შეტყობინებით მათ დედაზე, რომელიც გაუჩინარდა, ხოლო დები – ოთხი მშვენიერი ქალ-ბატონი – სხედან ახლა და ასაკოვან დედაზე ჯავრობენ.. დედა რამდენი წლისაა?

ფანი: სამოცდაათამდე

წამყვანი: დაკარგული მოხუცის ქალიშვილი ფანი ოხანა, რომე-ლიც საგანგებოდ ჩამოვიდა თელ-ავივიდან დედის მოსა-ძებნად, და მისი ოჯახი ქიფურის დამდეგს საგონებელშია ჩავარდნილი... ფანი, გთხოვთ, აღგვიწერეთ დედა, და თუ რომელიმე თქვენგანმა სადმე თვალი მოჰკრა ან რამე შეი-ტყო მასზე, გვაცნობეთ

ფანი: საღამო მშვიდობისა. დედაჩვენი, როგორც გითხარით, სამოცდაათიოდე წლისაა. ლამაზი ქალია, დაახლოებით ას სამოცდახუთი სანტიმეტრის სიმაღლის, თმა შავი აქვს, თვალები დიდრონი, თაფლისფერი, ცოტა ელამი, წამწამები ასეთი გრძელი, კანი გლუვი...

წამყვანი: აქვს რაიმე საცნობი ნიშანი, რაიმე სპეციფიკური?

ფანი: იცით, დედაჩემი, ზოგადად, განსაკუთრებული ქალი იყო. დედა – რა უნდა თქვა მშობელ დედაზე... ჩვენ ის ძალიან გვიყვარს და თუ შემთხვევით გვისმენს, იცოდეს, რომ ჩვენ ყველანი ველოდებით.

წამყვანი: რა ეცვა? სათვალე ეკეთა? საყურე?

ფანი: საქმე ისაა, რომ არ ვიცით. არა, რა სათვალე.

წამყვანი: მაშ ასე, ძვირფასო მსმენელებო, ქიფურის დღის მადლით, თითოეული შეეცადოს იფიქროს საკუთარ დედა-ზე, იქნებ მარტოა ამ დღესასწაულზე, და ეგებ გაიხსენოთ, ხომ არ გინახავთ – რა ჰქვია?

ფანი: საადა, საადა ოხანა.

წამყვანი: საადა ოხანა. შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ სამხრე-

თის რადიოში, ტელეფონზე: 07-6533666 *(უშვებს სიმღერას – „ბანი, ბანი, ხომ არ გინახავთ...“*

ამირა: ეგ სიმღერა ძუკნა ძაღლზეა!

თავზარდაცემულ დებს შუქი ეცემა

პირველი მოქმედების დასასრული

მეორე მოქმედება

შუაღამე გადასულია. ეველინს სძინავს, სასტუმრო ოთახში დივანზეა გაშხლართული. ამირა ყუთს ყუთზე ავსებს, ყუთები კი ბინას ავსებენ. მალქა მურაბის ქვაბთან დგას და ურევს. დროდადრო მობილურით დარეკვას ცდილობს. მახლობელი სინაგოგიდან გაისმის ხმა მლოცველებისა, რომელთაც გარიჟრაჟიდანვე ააჟღერეს ქიფურის დღის სინანულის ლოცვები. პერიოდულად, მალქას უშედეგო მცდელობების გამო, დაკავების ზუმერი გაიხმიანებს. მოულოდნელად აწკრიალდება ტელეფონი. ამირა მაშინვე უპასუხებს. მალქა სამზარეულოში იძაბება. სიტყვები არ გვესმის. ამირა თავს აქნევს და თიშავს.

ამირა: მალქა

მალქა: ვინ იყო, დავიდი?

ამირა: მისმინე – უნდა გავაღვიძოთ ეგ გიჟი და სახლში, ბნეი ბრაკში წავიყვანოთ. მაგის ქმარი იყო. ქიფური დასრულდება თუ არა, აბორტი უნდა გაიკეთოს შაქრის გამო.

მალქა: ეს ორსულობის შაქარია, რა აბორტზე ლაპარაკობ – ეგ ტვინს ნუ გვირევს.

ამირა: კი. პირველ ორსულობაზე ორსულობის შაქარი იყო, მეორეზეც, მესამეზეც... მეცხრეზე ეს უკვე სიცოცხლისათვის საშიში დიაბეტია.

მალქა: რა უბედურებაა... ასეთი რამ როგორ უნდა ვუთხრათ

ამირა: არაფრის თქმა გვჭირდება, თავადაც იცის. ექიმს წინასწარ გაუფრთხილებია, მას კი ხაიმისთვის არ უთქვამს. საერთოდ არ შეიძლებოდა მაგ შტერისთვის დაფეხმძიმება. ის დოყლაპია სემინარიელიც ხო არაფრის აზრზეა. ამან კი რვა ქალიშვილი მიუტოვა და ვითომ დედის მოსაძებნად წამოვიდა.

მალქა: აბა, რისთვის მოვიდა, აბორტს რომ გამოქცეოდა?

ამირა: კარგი, ახლა რა ვუყოთ? სადაა ფანი –

მალქა: ფანი სადაა? ბანის ეძებს, როგორც წესი. მოაჯდა მერსედესს და თელ-ავივში დააწვა. გზად რადიოში შეირბინა...

ამირა მძინარე ეველინთან მიდის

ამირა: ეველინ, ადექი, გაიღვიძე, სახლში მიდიხარ

ეველინ: რა?

ამირა: ადექი, რამე დალიე, მალქა გაგიყვანს ცენტრალურ სადგურში, პირველი ავტობუსი ხუთზე გადის.

მალქა მოდის და ჩაის ჭიქა მოაქვს

ეველინ: *(ნამძინარევი)* რა გინდა?

ამირა: შენმა ქმარმა დარეკა. მიდი ახლა. მორჩა შენი ზღაპრები. თავი ხელში აიყვანე და მოუსვი აქედან ბნეი ბრაკში, ექიმი გელოდება.

ეველინ: კარგი ერთი. არსადაც არ მივდივარ.

მალქა: მიდიხარ. ამას შენ უკვე აღარ წყვეტ.

ეველინ: მალქა, ღმერთი საჩუქარს გაძლევს, ურნაში როგორ უნდა მოისროლო.

ამირა: რას ლაპარაკობ – ღმერთმა სიცოცხლე გიბოძა, ვერც სიცოცხლეს გადააგდებ სანაგვეზე. აბარგდი.

მალქა: აკი სპირალი ჩავიდგიო? სპირალით როგორ დაორსულდი?!

ეველინ: ღმერთმა სამყარო შექმნა – სპირალს ვეღარ აჯობებდა?

მალქა: რისთვის გინდა ამდენი გოგო? რისთვის? როგორც მაროკოში, არც აქ გაქვს ფული მათ გამოსაკვებად, აღსაზრდელად, ჩასაცმელად, თან ეგ შაქარი, ახლა რომ დაგემართა, სიცოცხლეს ჯოჯოხეთად გიქცევს...

ეველინ: შენ ხო გქონდა ფული შენი შვილების აღსაზრდელად?

მალქა: მქონდა.

ეველინ: აბა, სადაა შენი აღზრდა, თუ ქიფურის დღეს ძაღლივით მარტო ეგდები, ისინი კი სინაიზე ირუჯებიან?

მალქა: პრიმიტივო... *(გაღიზიანებული სამზარეულოში გადის)*

ამირა ეველინთან ჯდება.

ამირა: ეველინ, მოდი, ლოგიკურად ვიფიქროთ... რამდენი ქალიშვილი გყავს

ეველინ: რვა ათასი.

ამირა: და გაქვს ძალა შენს ასაკში კიდე ერთი ბავშვისთვის?

ეველინ: გამაცინე. ჩვილს რა ძალა უნდა? ბავშვი თვითონ გაძლევს ძალას. როცა ხელში ჩვილი მიჭირავს, მინდება ხოლმე... არ ვიცი... გიჟივით ვიყვირო: „ღმერთო, ღმერთო, რა მშვენიერი გოგონა მომივლინე... მადლობა, უფალო!“

ამირა: ერთი წამით, ეველინ – გთხოვ, კიდევ გაიმეორე ეგრე *(კამერას მომართავს)* ჩემი ფილმისთვის მინდა.

ეველინ: „ღმერთო, ღმერთო, რა მშვენიერი გოგონა მომივლინე... მადლობა, უფალო!“

ამირა: შეგიძლია, რვავეს სახელი უყოყმანოდ თქვა?

ეველინ: რა თქმა უნდა. თეჰილა, შიფრა, იოხევედ *(რიგი ერევა)*, ხანალე... მოიცა, მოიცა...

შემოდის ფანი.

ეველინ: თეჰილა, შიფრა, იოხევედ, სარალე, ლეალე, რივკალე, ციფორა, ხანნა! მოდით, ჭამეთ! საჭმელი ცივდება!

ამირა: ჯანდაბა, ვარსკვლავი ხარ. მარა იდიშზე რატო იძახი?

ეველინ: შევეჩვიე აშქენაზების ინტერნეტიდან.

ამირა: ეველინ, გესმის, რა იქნება, თუ არ მოიშორებ?

ეველინ: მესმის. ჩემი ორსულობების კოშმარი ჩემი ცხოვრების კოშმარად იქცევა ბოლო წუთამდე...

ფანი: ეველინ, ეგ შენი სიცოცხლეა – არაფრად გიღირს?

ეველინ: ჯერ არაფერი ვიცი. ხვალ დილით გადავწყვეტ.

ფანი: კარგი, დაუძახე შენს უფროს დას, ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი.

ამირა: მალქა! მოდი აქ.

მალქა: *(შემოდის)* საყვარელო, რა მოხდა, რატომ დაბრუნდი – მოტორმა ხომ არ დაგისტუკა შუა გზაში?

ფანი: კი, შენი ხელოსანი ქმარი მოვიდა და შემიკეთა. კარგი, ბეერ შევაში ვიყავი, საავადმყოფოში, მთელი ღამე პოლიციელებთან ერთად მორგში ვიბოდიალე – არაფერია.

ეველინ: მადლობა ღმერთს.

ფანი: პოლიციაში ვიყავი აქაც და ბეერ შევაშიც, ტაქსის სადგურზეც გავედი და მძღოლებს გამოვკითხე.

ამირა: კი, გვითხრეს...

ფანი: სამხრეთის რადიოში წავედი და განცხადება გავაკეთე.

ამირა: ჰო, მოგისმინეთ.

ფანი: მერიაშიც ვიყავი, და ამაზე უნდა დაგელაპარაკოთ.

ეველინ: დილით რომ ვილაპარაკოთ? მეძინება.

ფანი: ერთი წამით. შანსი გვაქვს, ეს ბოსელი 80 ათას შეკელად ვიყიდოთ, დაახლოებით 20 ათას დოლარად, ანუ გროშებად. *(ჩანთიდან ქაღალდებს იღებს)* გინდათ, ერთად ვიყიდოთ?

ამირა: მე? მე ფალაფელის ფულიც არ გამაჩნია.

ფანი: ვიცი. თქვენ რას იტყვით?

ეველინ: არა, საყვარელო, ცოტა ხანში ჩემი უფროსი ქალიშვილი უნდა დავნიშნო, მარტო აშქენაზს უნდა მისთხოვდეს. აშქენაზი კიდე დიდი ფული ჯდება.

ფანი: გავიგე. ოკეი – მაშ, მარტო მე ვყიდულობ. შევთანხმდით?

მალქა: მაგისთვის მოხვედი აქ? დედაშენის სახლს რომ დაეპატრონო –

ფანი: სადაა დედაჩემი? აქ არის და ვერ ვხედავ

ეველინ: გრცხვენოდეს, სახლში ჯერ კიდევ დედას სუნი ტრიალებს და უკვე ჩააფრინდი მის სამკვიდროს შავი ყორანივით. შენ ხომ არ გაისტუმრე დედა იმქვეყნად?

ფანი: გირჩევნია, ვიღაც რუსმა იყიდოს?

მალქა: დიახ. რუსი ამ სახლს არ წაბილწავს. აქ რის გაკეთებას აპირებ? ნეტა რა დაგრჩენია აქ?

ამირა: თქვენი რა საქმეა, და შენ კიდევ, თუ გინდა ყიდვა, იყიდე – ამათ რას ეკითხები.

მალქა: უჩვენოდ ყიდვა არ შეუძლია. ქაღალდებზე უნდა ხელი მოვუწეროთ – სხვანაირად ვერ შეიძენს. მაგიტომ მოვიდა აქ და მოგველაქუცა, ჩვენზე ცოტა ფული რო გააკეთოს. ჩვენ აქ ვსხედვართ, ღელვისგან გული გვისკდება, ეს კი ბიზნესს ატრიალებს დედის ზურგსუკან. სულ არ შეცვლილხარ. არავითარ სახლს არ ყიდულობ, დედას ვიპოვით და ის თავის სახლში დაბრუნდება.

ფანი: როგორ იპოვით, უკანალები ჯდომით დაგბრტყელებიათ... და ქვარ საბაში მყოფი ქმრისთვის სადილს აქ რო ათუხთუხებ...

მალქა: არა, რადიოში წავალ სპექტაკლების დასადგმელად: „დედაჩემი განსაკუთრებული ქალია, გრძელი წამწამებით...“

ფანი: *(მკვახედ)* შენ რა პრობლემა გაქვს?

მალქა: მე რა პრობლემა მაქვს? – „დედას გლუვი კანი აქვს“ – შტერო, დედაშენს ბებერი, დაფოთლილი კანი აქვს, დანაოჭებული, და სათვალეს ატარებს – „სათვალე არ უკეთია“ – უკვე თხუთმეტი წელია სათვალითაა; აღარც შავი თმა აქვს – ჭაღარაა. მუდმივად თავსაფარი აქვს წაკრული. სიარული ძალიან უჭირს და ეს გვაღელვებს. გუშინის აქეთ ვერაფრით გამეგო, რისთვის მოხვედი, ახლა კი ყველაფერი ნათელია – შოუს აწყობ – გამომიხვედი საიმონ ტემპლერი, მორგი, ტაქსები, რადიოთი ძებნა, დეტექტივ-გამომძიებელი ხარ, რა. მოშორდი ჩვენი ცხოვრებიდან, ოცი წლის წინ ხო წახვედი, იქ დაეტიე, სადაც ხარ. ვინ გიცნობს, საერთოდ, ვის დაკარგვიხარ!!

(უცებ ფანი სილას გააწნავს)

ფანი: სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, ფანი ოხანა, თქვენი უმცროსი და.

ამირა: *(კივის)* გეყოფათ, გეყოფათ, მეტი აღარ შემიძლია, კმარა! *(თავის ოთახში გარბის და მაშინვე ბრუნდება)* მოუსვით აქედან. აქედან აახვიეთ, რისთვის მოხვედით? ვის რაში სჭირდებით – თქვენა ხართ დები, თქვენ? – წადით აქედან – *(ამირა ატირდება და თავის ოთახში შევარდება)*

მალქა: რა მოუვიდა –

ფანი ამირას მიჰყვება ოთახში. ამირა კედელსაა აკრული, ქოშინებს, სახეს იფარავს.

ამირა: გადი აქედან.

ფანი: ამირა! *(ცდილობს, მიუახლოვდეს)* რა დაგემართა?

ამირა: აქედან გადი-მეთქი.

ფანი: ამირა, რა მოხდა, შემოგევლე?

ამირა: წადი, არ მინდა ასეთს მიყუროთ.
ფანი: როგორ ასეთს?

(სახეს გამოაჩენს) ასეთს! ახლა მოგწონს? საკმარისად მოჯღანული გეჩვენება ჩემი სიფათი? ვაი, დედა! ვაიი!! აბები მიპოვე. აღარ მახსოვს, სად დავდე. ჩქარა, დედა!!

ფანი: აბები? რა აბები?
ამირა: აბები. იპოვე ჩქარა...
ფანი აბების ძებნას იწყებს. ამირა კივის.
ამირა: *(ცდილობს,სახის ნაწილი ქვემოთ დაქაჩოს და გაისწოროს)* დედა! ლოყა მაღლა ამდის, ნახევარი სახე ზევით ადის! *(ერთიანად ცახცახებს)* მიშველე. *(მალქა და ეველინი შეშინებულები დგანან ოთახის კართან)*
ფანი: *(ეხუტება)* რა ნახევარი? რაზე ლაპარაკობ, შემოგევლე? მე ვერაფერს ვხედავ.
ამირა: როგორ ვერ ხედავ. აი!.. ვაი, დედა!! ეს ადგილი სადღაც გამირბის.
ფანი: *(სარკესთან მიიყვანს და ჩაახედებს)* რაზე ლაპარაკობ? ნახე, ყველაფერი ადგილზეა. არაფერი იძვრის, ხედავ? *(სარკეში მალქას და ეველინს შეამჩნევს, შებრუნდება და ფეხსაცმელს გაუქანებს)* დაახვიეთ აქედან ორივემ.
ამირა: არა. აქ, ეს ნაწილი გამირბის. არა! *(სარკეს მოწყდება. საწოლზე დაემხობა)*
ფანი: *(უჯრებში ეძებს, ათასნაირ აბს პოულობს)* ამირა, შეეცადე გაიხსენო. ეს ოპტალგინია, ეს აკამოლი, რომლებს ეძებ? რა ფერია? სადაა ეგ აბები? *(შეამჩნევს ამირას ჩანთას, გადმოაპირქვავებს და იატაკზე დაფერთხავს. რაღაც-რაღაცებთან ერთად აბების ფირფიტაც ვარდება. ხელში იღებს და სახელს კითხულობს)* ქსანაქსი?! ქსანაქსს იღებ?!

ამირა: *(ხელიდან გამოსტაცებს, ერთ ტაბლეტს იღებს და ყლაპავს. ისევ წვება)* ხელი მომეცი, დედა. ხელი მომეცი. მალე კარგად ვიქნები. ყველაფერი კარგად იქნება. მარტო არ ვარ. დედა ჩემ გვერდითაა, მარტო არ ვარ.

ნანახით შეძრწუნებული მალქა და ეველინი სასტუმრო ოთახში ბრუნდებიან

ეველინ: იცოდი, ეგრე რო იყო?
მალქა: არა – მართალი გითხრა, იშვიათად ვნახულობ.
ეველინ: ნარკომანია?
მალქა: დედა მთელი თვე იყო მასთან და სიტყვა არ დასცდენია.
ეველინ: ...ფიქრობ, რომ დედა ამის გამო... *(პაუზა)* რა ვთქვა – ოღონდაც რამე გენეტიკური არ იყოს. გათხოვება გაჭირდება...
ოთახში ამირას ფანის მუხლებზე უდევს თავი
ფანი: როდის დაგეწყო?
ამირა: მალევე, როცა თელ-ავივში ჩავედი. ტვინი ამირია ამ ქალაქმა – ბინის ქირა, გადასახადები, დენი, ტელეფონი, სწავლა, ბიჭები, ბარები – სოდომი და გომორი. მეოთხე სართულზე ვქირაობდი. ღამით ლოგინში ვიწექი, რომ გარშემო ათასნაირი ხმაური დაიწყო და უეცრად, უეცრად ვხვდები, რომ მარტო ვარ. უკაცრიელ კუნძულზე. ვგრძნობ, რომ შიგნიდან ვიბრიცები ჯართივით... რომ ვიშლები... მერე ყველაფერი მაშინებდა, ყველაფერი ჩემს ძალებს აღემატებოდა. ადამიანს ვუყურებდი და უცებ თავი ეზრდებოდა... მერე საავადმყოფოს მიმღები იყო, შიში.. მას აქეთ პროზაკსა და ქსანაქსზე ვარ, როგორც ყველა. არ არის საჭირო ამაზე ამბის ატეხა.
ფანი: რატომ არ დამირეკე?

ამირა: ნიუ-იორკში იყავი მე მგონი.

ფანი: დედას რატომ არ დაუკავშირდი?

ამირა: დედას?

ფანი: მეგობარი ბიჭები ხომ გყავდა –

ამირა: ნეხვივით...

ფანი: მერე, რატომ მიატოვე?

ამირა: მე არ მიმიტოვებია, მათ მიმატოვეს. ერთმა თქვა, ზედმეტად ემოციური ხარო, მეორემ თქვა, რომ მე... როგორ თქვა, იმ ნაბიჭვარმა – საკმარისად „ენიგმატური“ არ ხარო, ხოლო ბოლომ, არასაკმარისად ხარ აწყობილიო, ვითომ ფაზლი ვარ...

ფანი: კი. ყვეე-ლა მეცნობა.

ამირა: ფანი, მალქა ამბობს, ყველასთან წვებაო, მართალია?

ფანი: დიახაც მართალია – მაგრამ არა ყველასთან ერთდროულად, წყვილ-წყვილად.

ამირა: რატომ წვები ყველასთან?

ფანი: რატომაც არა? საპონი კი არაა, რო დაილიოს.

ამირა: აკი ფემინისტი ვარო, ხომ მითხარი?

ფანი: ფემინისტი, ფაიზაღი ფემინისტი.

ამირა: მაშ, რატომ იყენებ შენს სექსუალობას?

ფანი: აბა, რა გამოვიყენო, შენი სექსუალობა? მიდი რა, აქედან, რას მეკრობი. დაიძინე *(წასასვლელად დგება)*

ამირა: ფანი... *(ფანი ჩერდება)* რატომ თქვი დილით, ეს დღე ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემს ცხოვრებაშიო? დედა რომ გაქრა შენი ცხოვრებიდან?

ფანი: *(იღიმის და უცებ გადაწყვეტს, უპასუხოს)* ნახე *(ჯიბიდან ორ მობილურ ტელეფონს იღებს)* ეს ჩემი ჩვეულებრივი ტელეფონია. უახლოეს ორ დღეს გამორთულს ვტოვებ. ეს კი... ამის ნომერი ქვეყანაზე მარტო ერთ ადამიანს მივეცი და როდესაც ამის ზარს გავიგებ – *(ერთი ტელეფონიდან მეორეზე რეკავს და ზარი გაისმის)*, ჩემი ცხოვრება სამუდამოდ შეიცვლება. მეტს ნუ მკითხავ. დავიძინოთ.

ფანი შუქს აქრობს და სასტუმრო ოთახში გადის. ეველინი ზის და ფსალმუნს ამბობს. ფანი დაღლილი ჩაეშვება სავარძელში (თუ რომელიღაც ყუთზე) და სიგარეტს უკიდებს. ოთახში სიჩუმეა. სინაგოგიდან ფონად ისმის სინანულის ლოცვების ხმები. თენდება.

ეველინ: გთხოვ, მაპატიო. *(ფანი შეაცქერდება)* მომიტევე იმ სიტყვებისთვის, რაც წეღან მალქამ და მე გითხარით.

ფანი: არა უშავს, შეჩვეული ვარ.

ეველინ: დღეს ქიფურის დღეა. ვფიქრობდი, აღსარება მეთქვა ჩემს თავთან, მოყვასის გატანისა და სიყვარულის ცნების დარღვევას ცოდვაც დავუმატე, თანაც საკუთარი დის მიმართ, ამიტომ მინდა, პატიება გთხოვო.

ფანი: იცი, ეველინ, მე შემიძლია მოგიტევო და თითქოს ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ შენ მართლა კი არ ითხოვ შენდობას, უბრალოდ გინდა, კიდევ ერთი მადლი დაგერიცხოს საიქიოს ანგარიშზე, რომ უფალმა წყალობის თვალით გადმოგხედოს, რომ უშფოთველად იძინო ქიფურის დღეს – სულ ესაა.

ეველინ: ეგ არ არის მართალი. მე ყოველთვის ვლოცულობ შენზე, რომ ღვთის გზას დაუბრუნდე.

ფანი: მაგრამ მე არ მინდა, ჩემთვის ილოცო, მინდა, რომ დარეკო და მომიკითხო, რომ მოგიყვე, რა გამიკეთა ჩემმა ნაბიჭვარმა ქმარმა; მინდა, მკითხო რატომ გავეყარეთ ერთმანეთს; მკითხო, რატომ მინდა ამ სახლის ყიდვა, რატომ მჭირდება შენი ხელმოწერა – ღვთის გზაზე შედგომა კი არ მინდა, მინდა, ისეთი მიმიღო, როგორიც ვარ.

ეველინ: ისე, როგორც შენ მიღებ?

ფანი: ალბათ მართალი ხარ. ორი სხვადასხვა სამყაროდან ვართ, ოღონდ ერთი მუცლიდან გამოვედით. *(დგება)* რა გთხოვეთ დღეს – ამ სახლის შენარჩუნება, არა? და თუ დედა დაბრუნდება, გააგრძელებს აქ ცხოვრებას ას ოც წლამდე. მაგრამ ყური არ მათხოვეთ, არც შენ და არც შენმა დამ. რაები მითხარით – თქვენზე ფულს ვაკეთებ, მზად ვარ, გიყიდოთ თქვენც და თქვენი სახლებიც –

ეველინ: რა გახსოვს კარგი ამ სახლისგან – მხოლოდ ცუდი მოგონებები გაქვს...

ფანი: მე სხვა სახლი არ მაქვს, სახლი მჭირდება. დავიღალე. მართალი გითხრა, დიდი ხანია, ამის გაკეთება მინდა, მაგრამ ის არ დამთანხმდებოდა. არასოდეს მაპატიებს. და კიდე ერთი რამ – ბებია მჭირდება ჩემი შვილისთვის. *(ეველინს გაოცებისაგან სიტყვა ბაგეზე აშრება)* ორსულად არ ვარ. აყვანას ვაპირებ.

ეველინ: დიდ მადლს შვრები. როდის მოგყავს პატარა გოგო?

ფანი: *(იღიმის)* იქნებ ბიჭია? ყოველ წამს შეიძლება გააჩინოს.

ეველინ: დედა ვინაა?

ფანი: დედა ვიეტნამშია, ვიეტნამელია. *(სურათს აჩვენებს)* ნახე, რა მუცელი აქვს.

ეველინ: მშვენიერია... რატომაც არა.

ფანი: ბავშვს გააჩენს თუ არა, შუამავალი დამიკავშირდება და მის წამოსაყვანად წავალ.

ეველინ: აბა, შენც დედა გახდები... *(სიჩუმე)* მომეცი ეგ ფურცლები, ხელს მოგიწერ...

ფანის ქაღალდები და კალამი მოაქვს და ეველინმა ის-ისაა, ხელი უნდა მოაწეროს, რომ უეცრად გაისმის ხმაური – კარის მოჯახუნება და ქოთქოთი, შემოდის მალქა, გაწიწმატებული, მთელ საჭმელს, რაც მოამზადა, სანაგვეში ჩაუძახებს.

ეველინ: რას შვრები? რას?..

მალქა: ახლა მობილურიც გამორთულია, ხოლო სახლის ტელეფონი – მუდმივად დაკავებული...

ეველინ: დილის ექვსი საათია, აცადე კაცს ძილი...

მალქა: მთელი ღამე მღალატობდა. მთელი ცხოვრება ვეღარ დაიძინებს. ეგრე დავიდ, ეგრე. მორჩა, ცოლი აღარ გყავს სახლში, მტერი გყავს!

ეველინ: მალქა, ყველაფერს იგონებ.

მალქა: ეველინ, მეზობელს დავურეკე, ვთხოვე, მასთან შესულიყო და ეთქვა, კატისთვის ეჭმია. მეზობელი მეუბნება, შენი ქმარი შინ არ არის, გასაღები კიდე ქოთანშიაო. გააღე კარი და შედი-მეთქი. მირეკავს და მეუბნება, ვერ ვაღებ, მეორე მხრიდან გასაღებია საკეტშიო. *(ამირა შემოდის სამზარეულოში და ჯდება)* ის ქალბატონიც ჯერ კიდე არ დაბრუნებულა სახლში. ჯერაც ხაიფაშია –

ამირა: შენ კიდე ხაიფაში ხარ? დილა მშვიდობისა, მალქა, ყავა გამიკეთე

მალქა: *(დგება ყავის გასაკეთებლად)* ხაიფა ჩემთანაა სახლში. იმ ქალთან ერთადაა სახლში, ჩვენს საწოლში. მოვკლავ, მე შენ გეუბნები... მორჩა... მოვკლავ... აღარ მინდა, ასე ვიყო, აღარ მინდა...

ამირა: კარგი. მიდით, დალიეთ თქვენი ყავა და დაახვიეთ აქედან. თქვენ-თქვენი პრობლემები თან წაიღეთ, მე აქ არ მჭირდება. თავი მომაბეზრეთ თქვენი ქმრებითა და ბავშვებით, და თქვენი ჩხუბებით. მიდით...

ეველინ: სწავლას აღარ აგრძელებ?

ამირა: არა, აქ ვრჩები.

ეველინ: რას ნიშნავს, აქ რჩები, დღეს ქიფურის დღეა.

ამირა: მერე –

ეველინ: მალქამ მთელი საჭმელი გადაყარა, საჭმელი არაფერია

ამირა: საჭმელი?! ალო! ეველინ, გაიღვიძე!! დღეს ქიფურია, ვმარხულობთ.

მალქა: ჩემთან მოდიხარ.

ეველინ: ვითომ რატომ? ჩემთან მოდის, გოგოებსაც ძალიან გაუხარდებათ.

ამირა: გაჩუმდით!!

ტელეფონი რეკავს. ამირა მიდის, რომ უპასუხოს.

ეველინ: არა! არ უპასუხო!

ამირა: იქნებ პოლიციაა?

ეველინ: თუ ხაიმია, მე აქ არ ვარ.

ფანი: ალო? ო... გამარჯობა, როგორ ხარ? არა, ჯერ არ დაბრუნებულა. არ ვიცით... მე არა მიჭირს, გმადლობ. დამპატიჟე და მოვალ. აქამდე ცეკვავდი? მესმის, არა უშავს. კი, აქ არის. ერთი წუთით *(მალქა ხელებით ანიშნებს, არაო)*, დავიდ, აქ არ ყოფილა, ეველინთან ერთად ბაბა სალისთან წასულა... რა თქმა უნდა, მალე მოვა.

გადავცემ. ღმერთი გფარავდეს. *(ამირას და ეველინს)* როცა ჩემი ძუკნა ბაბა სალისაგან დაბრუნდება, უთხარი, შენმა ქმარმა თქვა, ყურმილი მთელი ღამე გადადებული ყოფილა და სამწუხაროდ, ვერ შევამჩნიეო.

მალქა: კარგი. მაშ, მისდა სამწუხაროდ, მეც აქ ვრჩები. ვნახოთ ამას თუ შეამჩნევს *(ყველა მას მიაჩერდება)* ამირას მარტო ვერ დავტოვებ.

ეველინ: და დავიდი?

მალქა: მეძებოს *(მობილურის ფანარს რთავს)* წავედით, ეველინ, ცენტრალურ სადგურზე გაგიყვან –

ეველინ: მე ვრჩები.

ყველანი: ???

ეველინ: (*სცენას დგამს. გაითამაშებს, ვითომ გული მისდის, მძიმე მაროკოული აქცენტით ლაპარაკობს)* სუსტად ვარ! ამ დილას გული წამივიდა და ექიმმა თქვა, რომ ჩემი ავტობუსით მგზავრობა არ შეიძლება.

ამირა: ანუ ორივე რჩებით? ფანი, შენც დარჩი – რა გინდა თელ-ავივში?

ფანი: არა, მეყოფა. *(დგება)* საკმარისი საცვლებიც არ წამომიღია. კარგი, შევხვდებით ოდესმე შემდეგ ათასწლეულში *(გადის. დარჩენილები უხერხულად დუმან)*

მალქა: საცვლები რაში სჭირდება, ამ –

ეველინ: ყოჩაღ, მალქა, რა სიმამაცეა, ქიფურის დღე ვერაფერს აკლებს შენს ნებას. კარგი, მე ბაბა სალის საფლავზე მივდივარ, რაღაც მაქვს მისთვის სათქმელი. წამოდი, ამირა

ამირა: იქ რა დამკარგვია

ეველინ: წამოიღე კამერა და ვიდეო გადაუღე პრიმიტივებს

ამირა: უუუფ!! *(კამერას იღებს და გადის)*

მალქა: *(მიაძახებს)* ამირა, მობილური დაგრჩა

ამირა: *(გარედან)* მე მობილური არ მაქვს.

მალქა: მაშ, მოიცა, მეც თქვენთან ერთად მოვდივარ.

ტელეფონი რეკავს და რეკავს, რეკავს და რეკავს. ეველინ ბრუნდება და მოასწრებს, უპასუხოს.

ეველინ: ალო... დიახ. აჰ, უსმინე ჩემს დას რადიოში?
აბა, სად ხარ, დისპეჩერო?
რა შინაგან საქმეთა სამინისტრო – ბეერ შევაში?
აბა,
დარწმუნებული ხარ? პირადობა თუ პასპორტი?
მაგრამ როგორ...
აჰ, ნეთივოთში ცხოვრობ და ბეერ შევაში მუშაობ, მესმის.

მესმის....
არა, ჯილდო არაა. კატა კი არაა, ბატონო სვისა. გმადლობ, დღევანდელი დღის მადლი შეგეწიოს.

თიშავს. გაოცებული ჩანს. სინათლე ქრება.

მესამე მოქმედება

მარხვისწინა ტრაპეზის დასასრულია. სამივე დას თვალისმომჭრელი სადღესასწაულო კაბა აცვია. მალქა ჯერ კიდევ ჭამს, ეველინი სუფრას ალაგებს, ხოლო ამირა ვიდეოს იღებს.

მალქა: რას ვეტყოდი? გაუმარჯოს, კიკუშ, მე მალქა ოხანა ვარ, ის მალქა, შენ გვერდით რო იჯდა სკოლაში და ოცნებობდა, როგორ შეგიყვანდა საქორწილო გავალაკში. დღეს ის საერთოდ ვერ მიცნობდა... *(ეველინი თეფშს აცლის)* მოიცა, არ დამიმთავრებია.

ეველინ: გეყოფა ჭამა – დრო არ ითმენს. დედას ხალათს ნუ დაულაქავებ.

ამირა: კაი ერთი... არც ეგ ჰგავს თვრამეტი წლისას.

მალქა: მორჩი, გული ჩულქებში წამივიდა, როცა დავინახე. თითქმის არ შეცვლილა...

ეველინ: აბა, ამირა, გეყოფა ახლა ეგ ოცნებები.

ამირა: მოთმინება, ეველინ. ბოდიში მომიხდია დავიდთან, როგორც ხალხური ცეკვების ოსტატთან – მარა ამ კიკუშას, თავისი ულვაშებით, ცოლითა და ბავშვებით, ახლავე დავკბენდი. ჩუმად გადავუღე, შეგიძლია, ნახო, როცა დავიდი ცეკვაზე იქნება.

ეველინ: ჩაი ჯერ არ დაგილევიათ, კბილები არ გამოგიხეხიათ... სანთლებია დასანთები – მარხვა იწყება, არ გესმის – აიღე, შანდლებში ჩააწყვე.

კარი იღება და ფანი შემოიჭრება.

ეველინ: აჰ, ფანი?

ფანი: ჩემი მობილური აქ არის?

მალქა: მალე გაუვლია ათას წელს.

ამირა: როდის აღმოაჩინე, რომ თან არ გქონდა?

ფანი: თელ-ავივის შესასვლელში. მანქანა მოვატრიალე და დავბრუნდი.

ამირა: ეგეთი რამე როგორ უნდა დაგრჩეს?

ფანი: *(ჩერდება)* მთელი გზა მაგაზე ვფიქრობდი – როგორ უნდა დაგრჩეს ეგეთი რამე...

ეველინ: ახლა, შე საწყალო, ჩვენთან ჩარჩები, ველარსად წახვალ.

ფანი: კარგი, წავალ, წყალს გადავივლებ.

ეველინ: როდისღა ჭამ? დრო აღარ გრჩება.

ფანი: არა უშავს, მშიერი არ ვარ. აჰ! მეც მინდა კაფტანი *(საბაზანოში შედის)*

ეველინ: მოგიტან. რა მძიმე ორსულობა გქონია, ფანი – შვილობის ტკივილები... მალქა მიდი, ჭურჭელი გარეცხე. ამირა, შენ რას აკეთებ?

ამირა: ერთი წუთით, მინდა ვნახო, რა გადავიღე. კიდევ მაქვს რამდენიმე წუთი.

ეველინ: ღმერთი გიშველის.

(ამირა კამერას ტელევიზორს მიუერთებს. ეველინი სამზარეულოში შედის და შუქს აქრობს. მალქა მარხვისწინა ტრაპეზის უკანასკნელ თეფშებს რეცხავს)

ეველინ: მოდიხარ? *(შუქს აქრობს სამზარეულოში)* სასტუმრო ოთახში და ტუალეტში შუქი დავტოვე.

მალქა: რატომ ჩააქრე?

ეველინ: ვის უნდა შუქი ქიფურის დღეს?

მალქა: შენ. საჭმელი ელექტროქურაზე დაგიტოვე, თბილი რომ იყოს.

ეველინ: ის არ კმარა, რომ ქიფურის დღეს ვჭამ, თან თბილიც უნდა იყოს?

მალქა: მორჩი ფილოსოფოსობას, იცოდე, შეგამოწმებ.

ეველინ: კარგი. *(ხმამაღლა აცხადებს)* შაბათის საათს ვაყენებ.

მოულოდნელად სასტუმრო ოთახიდან დედის ხმა გაისმის.

ეველინ: რა ხდება?

მალქა: დედას ხმაა?

ეველინ: დედიკო!!

ფანი: დედა?! *(საბაზანოდან პირსახოცში გახვეული გამოენთება)* დედა დაბრუნდა –

სასტუმრო ოთახში შერბიან და ადგილზე შეშდებიან. ამირა კამერას დასტრიალებს, ეველინ, ფანი და მალქა მიაჩერდებიან ტელევიზორის ჩაბნელებულ ეკრანს, საიდანაც დედის მხოლოდ ხმა იღვრება.

ამირა: დედამ შეტყობინება დაგვიტოვა. თავისი თავი გადაუღია –

მალქა: მაგრამ გამოსახულება სად არის?

ამირა: კარგი, თავიდან დავაწყებინებ, ერთი წამით –

ფანი: ბნელა, იქნებ გაასწორო...

ამირა: ვერაფერს გაასწორებ, ლინზიდან ხუფი არ მოუხსნია. მარტო ხმაა, გამოსახულების გარეშე.

ფანი: კარგი, თავიდან დაიწყე –

ეველინ: სანთლებია დასანთები.

ამირა: სიჩუმე!

კასეტას უკან აბრუნებს და ხმას უწევს. დედის ხმა ახლა მკაფიოდ ისმის.

დედა: ამირა, აჰ, ჩემო ტკბილო გოგო, დედა გენაცვალოს, ბევრს, ბევრს მეკამათებოდი ამ თვეში, რო მეტისმეტად ვღელავ შენზე, სიგარეტების გამო, რომ მთელი დღე არაფერს აკეთებ, მარტო გძინავს მთელი დღე და ეწევი, მარა იცოდე, რო ძაან მიყვარხარ.

ვიცი, რო არ გიყვარს, როცა შენ კამერას ვეხები, მარა მე წერა არ ვიცი, ხოდა აქ ვიტყვი შენ კამერაში, და მერე შენ უთხარი შენ დებს – მალქას, ეველინს და ფანისაც. ფანის უთხარი, რო მოვიდეს, თუმცა მე... *(ტირის)* აჰ... ვა... აზრი არ აქ...

ამ დღეების მადლმა, ქიფურის და დიდი წმინდანის – ბაბა სალის მადლმა, პატიება მითხოვია, ასე რო ვაკეთებ, მარა მე მეტი აღარ შემილია, ამიტო მივდივარ ეხლა, არ მეძებოთ, ამირა. მე ვუთხარი მერიაში, რო მივდივარ და აღარ ვბრუნდები, მითხრეს, სახლი უნა ჩააბაროვო. ხოდა დაუბრუნეთ სახლი მერიას, ტანსაცმლები და ყველაფერი კი ღარიბებს მიეცი. თქვენ, ჩემო გოგოებო, მადლობა ღმერთს, ყველაფერი გაქთ, რაც საჭიროა. ახლა შენ გეტყვი, ამირა...

უცებ კამერა ქრება და დედის ხმა წყდება.

ამირა: რა არის? რა ხდება? *(play-ს აწვება, მაგრამ კამერა არ ირთვება)*. ამის კარგიც... რა მოუვიდა?

ეველინ: შაბათის საათი მაქვს მომართული. მორჩა. დღესასწაული დაიწყო

ამირა: არ მჯერა. ჩართე –

ეველინ: არა.

ამირა: ჩართე-მეთქი, გეუბნები.

ეველინ: არ ჩავრთავ.

ფანი: სიამოვნებით მიგახრჩობდი. ამირა, შენ ჩართე.

ეველინ: თუ ჩართავ, ავდგები და წავალ

მალქა: ახლა როგორ გავიგოთ?

ეველინ: გაიგებ, შაბათის საათი ჩაირთვება თუ არა ქიფურის მიწურულს, თუ ეგრე მიგდის სული. ჩემთვის ისიც კმარა, რაც მოვისმინე *(ოთახში ნერვული დაძაბულობაა)*

მალქა: უცებ სულ ერთი გახდა შენთვის

ეველინ: იმას ვენაღვლები? – ქიფურის დღის დამდეგს დგება და სამოგზაუროდ მიდის? არა. მაშ მეც არ მენაღვლება. სანთლებია დასანთები. *(სანთლებს ამზადებს დასანთებად – ცვილს ათბობს და ბუდეებზე აკრავს)* იმ წამიდან, რაც ამ კარიდან გავედი, ოჯახიდან ამომშალა – კარგი. „რატო არ მეპატიჟები გოგოებთან, შაბათი რო გავატარო? *(დედას ჰბაძავს)* ჰე ვაა. შაბათის ცეცხლი? რა გინა? შენი დები ტელევიზორს უყურებენ, შენ არა.“ *(პაუზა)* ფანი, დაანთებ?

ფანი: კი.

ეველინ: მაშ, მოდი, რაღას უცდი? *(თვალებზე ხელებს აიფარებს და ლოცულობს)* „კურთხეულ ხარ, უფალო ჩვენო, სამყაროს მეუფეო, რომელმაც წმინდა გვყავ ჩვენ შენი მცნებებით და გვიბრძანე, დაგვენთო ქიფურის დღის სანთელი“ *(ყველანი – ამენ. ეველინ – გილოცავთ. ყველანი – გილოცავთ)*... თითქოს ეგ ტელევიზორი ღვთის სიტყვას ამბობდეს. ეგ ღვთის მგმობელები ეგა.

მალქა: მშვენიერია, ახლა ჩვენ ვართ დამნაშავენი, დედამ რომ არ დაგპატიჟა. „კურთხეულ ხარ, უფალო ჩვენო, სამყაროს მეუფეო, რომელმაც წმინდა გვყავ ჩვენ შენი მცნებებით და გვიბრძანე, დაგვენთო შაბათის სანთელი“

ეველინ: *(უსწორებს)* „ქიფურის დღის სანთელი.“ *(ყველანი: ამენ. მალქა – გილოცავთ. ყველანი – გილოცავთ)*

მალქა: შენ არ გინდოდა ჩვენთან ერთად ყოფნა.

ეველინ: არა, არ მინდოდა. არ მინდოდა, ჩამოვმჯდარიყავი შაბათის ტრაპეზზე და ჩემ დედამთილზე მეჭორავა, არ მინდოდა, რომ ჩემ გოგოს ახალი კაბა ეჩვენებინა დეიდა მალქასთვის. არ მინდოდა, მოვსულიყავი და თქვენთან ერთად მემღერა ქიფურის დღეს „ღმერთო საშიშარო და დიდებულო...“ – ნაცვლად იმისა, რომ მისი ქვაბების სურნელს აქ მოვეყვანეთ ყველანი, ფანის სახლიდან აგდებს, შენ ჩვიდმეტი წლისას გათხოვებს, ხოლო მე ინტერნატში მაბარებს თოთხმეტი წლისას!! რატო? დედაა ეგ?

ფანი: ცოტა სიწყნარე, თუ შეიძლება! „კურთხეულ ხარ, უფალო ჩვენო, სამყაროს მეუფეო, რომელმაც წმინდა გვყავ ჩვენ შენი მცნებებით და გვიბრძანე, დაგვენთო ქიფურის დღის სანთელი“ *(ყველანი – ამენ. ფანი – გილოცავთ. ყველანი – გილოცავთ)*

მალქა: რა დაგკარგვია რელიგიურების პარტიაში. ყოველთვის უბერავდი. რელიგიაში გინდოდა გადავარდნა.

ეველინ: თავიდან დაიწყე? ახლა იმასაც მეტყვი, ვინ გითხრა, ამდენი ბავშვი გააკეთეო.

მალქა: მართლა, ვინ გითხრა, ამდენი გოგო გააკეთეო.

ამირა: „კურთხეულ ხარ, უფალო ჩვენო, სამყაროს მეუფეო, რომელმაც წმინდა გვყავ ჩვენ შენი მცნებებით და გვიბრძანე, დაგვენთო ქიფურის დღის სანთელი“ *(ყველანი – ამენ. ამირა არ ამბობს, გილოცავთო. ყველანი – გილოცავთ)*

ეველინ: ერთი რამ უტყუარია – ჩემ გოგოებს ჯინსები რომ ჩაეცვათ და შაბათს ეწანწალათ – ღმერთმა დაგვიფაროს – მაშინ დეიდაც ეყოლებოდათ და ბებიაც. ბებია ფეხს არ დაკრავდა და არ გადაიხვეწებოდა. წავიდა და წავიდა – დღესასწაულს გილოცავთ *(სახლი თითქმის მთლიანად ჩაბნელებულია, მხოლოდ რვა სანთელი ანათებს დედის ბრჭყვიალა ხალათებში გამოწყობილ დებს. ფონად გაისმის მლოცველების ხმა)*

მალქა: სინაგოგაში მოდიხართ?

ფანი: *(შეამჩნევს სავარძელში მოკალათებულ ამირას)* ცოტა ხანში.

(მალქა და ეველინი გადიან. ლოცვა ძლიერდება)

სინაგოგა ძალიან ახლოსაა, თითქმის სახლშია.

(პაუზა) ამირა, სადაა დედა?

ამირა: რაზე მელაპარაკები?

ფანი: შენ იცი, სადაცაა.

ამირა: რა?

ფანი: რა და ქვა, შენ იცი, დედა სადაა. გუშინდელიდან გაკვირდები – წარბიც არ შეგტოკებია.

ამირა: მართლა? და რატო არ გეუბნებით?

ფანი: ეგ შენ უნდა თქვა.

ამირა: გინდა, ფირის გაგრძელება ნახო? ახლავე ჩავრთავ ვიდეოს –

ფანი: მოეშვი. დედა ტიროდა, როცა ჩემზე ლაპარაკობდა, თუ მე მომეჩვენა?

ამირა: მართლა ტიროდა. და არა პირველად...

ფანი: მისი ხმა გავიგონე თუ არა, უცებ მეცა ხახვის, ნივრისა და ოფლიანი თავსაფრის სუნი, მომესმა მისი ლოცვების პუტუნი, საწოლში რომ მაწვენდა შუაღამეს...

ამირა: ასწორებს – დედის სუნი შემოგრჩენია. მე რაღა დამრჩა? – არც არაფერი. ბებიკო – მთელი ბავშვობა დახეულ ჯინსებში ვარ, ის კი ისევ თავსაფარწაკრულია. ივრითი ვერ ისწავლა, არ იცნობს ჩემს სამყაროს, არაფერი მაქვს მასთან სალაპარაკო. რატო ეწევი, რატო გძინავს გვიანობამდე,

რატო არ თხოვდები... გუშინდელს აქეთ სიმშვიდე მაინც მაქ.

ფანი: აბა, გწყინს, რომ დავრჩით?

ამირა: მეგონა, ჩემთვის წყნარად დავჯდებოდი და ჩემ სცენარზე ვიფიქრებდი.

ფანი: წყნარად ვიქნებით, წყნარად, თუ შენი დები არ მომიშლიან ნერვებს.

ამირა: შენც ნუ ედიდგულები და არც ეგენი გაგაღიზიანებენ.

ფანი: მაგას მე მეუბნები?

ამირა: რეალობას შეხედე, ფანი: პირიდან ერთი წინადადებაც არ ამოგივა, რომ არ დააყოლო, რამდენად დარხეული აქვთ, რა ლუზერები არიან და რაოდენ ფუჭია მათი ყოფა.

ფანი: მაგრამ ეგ სიმართლეა.

ამირა: სიღარიბეს რაც შეეხება, მართალი ხარ, და სწორედ ეგაა გამაღიზიანებელი. არ არის სასიამოვნო, თავს ლუზერად გრძნობდე. მე შენ მიყვარხარ, ჩემო დაო, მაგრამ ყოველთვის, როცა იმათ შეუტევ ხოლმე, მგონია, რომ მე მერჩი. ყელში ბურთი გამეჩხირება ხოლმე.

ფანი: შენ მათნაირი არ ხარ, ამირა, შენ სხვა მასალისგან ხარ.

ამირა: მართლა? აბა, რატომ არ გამომდის ერთი ნორმალური სცენარი მაინც? ჩემი ხელიდან ყველაფერი კომიკური და უშინაარსო გამოდის. იქნებ მართლები არიან ჩემი მასწავლებლები: „შენ სათქმელი არაფერი გაქვს, ამირა, შინ წადი."

ფანი: ეგრე გეუბნებოდნენ მასწავლებლები?

ამირა: კი.

ფანი: და თავად რას ფიქრობ?

ამირა: შენ რას ფიქრობ?

ფანი: მე მგონია, რომ გამოგივა ეგ პიესა, დრო სჭირდება. შეუძლებელია, ასეთ სახლში გაიზარდო და ვერაფერზე დაწერო.

ამირა: დიახ. ზოგჯერ ისეთ ლამაზ სიტყვებს აფრქვევ... დარწმუნებული ხარ, რომ ბოზი ხარ, დაიკო?

ფანი: ასპროცენტიანი.

ამირა: მარხულობ?

ფანი: ეგ რა საკითხავია. *(ხალათს იხდის და თავის ტანსაცმელს იცვამს)* ბოზები მუდამ მარხულობენ.

ამირა: ორი წლის წინ ჩემს მეგობართან ერთად თელ-ავივში დავრჩი და არ გვიმარხულია. ღამით მესიზმრა, დედა მოვიდა, ჩემი ენა რომ შეემოწმებინა, მე ვეწინააღმდეგებოდი, რადგან ვიცოდი, ვარდისფერი მექნებოდა და არა თეთრი. დედა მიყვიროდა: „გამოყავი! გამოყავი!" ავტირდი და გამეღვიძა. იმას მოვუყევი სიზმარი და დამცინა, მითხრა, ხიდან ჯერ კიდევ არ ჩამოსულხართო, და რო ერთადერთი ფრაერები დარჩით, ვინც ამ ქვეყანაში კიდე მარხულობსო.

ფანი: გააჯვას მაგანაც ჩემ ყოფილთან ერთად, იმ რუმინელთან, რომელიც გამოხატვის თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით, მარხვის შუადღეს, შიმშილით რომ კვდებოდი, თვალწინ კრევეტებს აგიშიშხინებდა და ღვინოს წრუპავდა. არ გინდა, წამოხვიდე? საშინლად მენატრება, საუკუნეა იქ არ ვყოფილვარ.

ამირა: დისკომფორტს ვგრძნობ. ჩემთვის ქიფურის დღე სასტუმრო ოთახში ჯდომა და ომზე გაზეთების კითხვაა ღამის ორ საათამდე. ბევრს ვფიქრობ, წყურვილისაგან ვკვდები და მძინავს მეორე დღეს შუადღემდე. მერე კიდევ სამი-ოთხი საათი თავის ტკივილი და აყროლებული პირი, მერე შოფარში ჩაბერავენ და მორჩა.

ფანი: მთელი ეს სიტყვით გამოსვლა იმისთვის იყო, რომ გეთქვა, არ მოვდივარო?

ამირა: კი.

ფანი: როგორ გამოვიყურები?

ამირა: ცოტა ნახმარი ხარ, ისე არა გიშავს.

ფანი: კარგი, დაო, აბა, ამ ნოტზე დაგტოვებ, ჩემთვის ქიფურის დღე ტროტუარზე სინაგოგიდან გამოპარულ ხურუშიანებთან შეხვედრაა. *(გადის)* რაც შეეხება იმას, რაც მითხარი, შევეცდები.

ამირა შეამჩნევს მაგიდაზე ფანის ტელეფონს, იღებს და გასძახებს: „ფანი!“.

მაგრამ ფანი უკვე წასულია. ამირა მაგიდიდან გაზეთების შეკვრას იღებს. ლოცვა ძლიერდება, ბნელდება.

მეოთხე მოქმედება

მოკლე სურათები

სურათი 1

სახლი ჩაბნელებულია. თაფლის სანთლების მქრქალი შუქი სიბნელეს ებრძვის. ამირა დივანზეა, ირგვლივ გაზეთებია მიმოფანტული. უნიტაზის ჩარეცხვის ხმაა, ეველინი გამოდის და საძინებლისაკენ მიემართება. ამირა თავს წამოსწევს –

ამირა: დაბრუნდით?

ეველინ: მე დავბრუნდი, ისინი კიდე იქ არიან.

ამირა: რომელი საათია?

ეველინ: გვიანია. თერთმეტია.

სურათი 2

ეველინს საძინებელში სძინავს. ამირა კვლავ დივანზეა სასტუმრო ოთახში, გაზეთებში ჩაფლული. კარი იღება და შემოდის ფანი.

ამირა: მალქა?

ფანი: ფანი ვარ.

ამირა: მალქა სად არის?

ფანი: მალქა? – რას ამბობ, არ მოსულა?

ამირა: რომელი საათია?

ფანი: ორის თხუთმეტი წუთია.

ამირა: კიდე დაგრჩა ტელეფონი.

ფანი: რა, სინაგოგაში ხომ არ წავიღებდი? *(პაუზა)* რეკავდა? *(ამირა უარის ნიშნად თავს აქნევს, მაგრამ უეცრად მობილური განსაკუთრებული მელოდიით ამღერდება და ორივე შეშდება. ფანი უყურებს ტელეფონს და არ იცის, რა მოიმოქმედოს. ამირას მიაჩერდება. ტელეფონი რეკვას განაგრძობს. საძინებლიდან ეველინი გამოდის)*

ეველინ: ეს რა ტელეფონია?

ამირა: ფანი! უპასუხე.

ფანი: რა? ქიფურია.

ამირა: რა ქიფური, უპასუხე.

ფანი შოკშია. ამირა ტელეფონს პასუხობს

ამირა: ალო? ის არის. ელაპარაკე *(ფანი არ რეაგირებს)* ალო? *(ფანი გარბის. ამირა ინგლისურად ლაპარაკობს)* იეს, ითს ჰერ სისთერ, იეს, ში იზ ნექსთ თუ მი. ნოუ, ში იზნთ სფიქინგ ეთ ზი იომ ქიფურ დეი. იომ ქიფურ ნაუ... ზე ვორ... ზი სოულ-ჯერზ. ნევა მაინდ. იეს... ენდ ჰაუ იზ ზი მაზერ? ჰაუ მაჩ? იეს, იეს, აი'ლ თელ ჰერ. ში'ლ გეთ ბექ თუ იუ ინ ე ვაილ. თენქ იუ. ბაი. ითს ე ბოი, ფანი! ბიჭი შეგეძინა. სამი კილო და ას ორმოცდაათი. ყველაფერი კარგადაა. ადვილი მშობიარობა გქონდა. *(ფანი სავარძელში ჯდება)* რა? – რა?

ეველინ: მშვიდობაში.

ამირა: ალბათ, გილოცავო, იგულისხმე.

ეველინ: მშვიდობაში-მეთქი. რომ მცოდნოდა, მეც ტელეფონით შევუკვეთავდი ბავშვებს.

ფანი: შენ საკმარისი ფული არ გაქვს.

ეველინ: რა, ეგ ფული ღირს?

ფანი: დიდი ფული. ამ ქვეყანაზე არ ხარ?

ეველინ: ესე იგი, ბავშვი უნდა მოგყიდოს? რა დედაა?

ფანი: დედა, რომელსაც ხუთი შვილი ჰყავს და ფული არა აქვს, რომ მეექვსე გამოკვებოს, მაშინ ამ მეექვსეს თმობს, იმისთვის, რომ ხუთი გაზარდოს.

ეველინ: კარგი იდეაა – ჩემს ქმარს ვეტყვი, დიდ ფულს გავაკეთებთ.

ამირა: კარგი, ჩამოსაყვანად როდის მიდიხარ? მეც წამიყვანე, ვკვდები, ისე მინდა აღმოსავლეთში.

ფანი: ცოტა მოიცადე. ჯერ ვნახოთ, ჯანმრთელი თუა.

ეველინ: თუ ჯანმრთელი არაა?

ფანი: მაშინ არ მომყავს. ღვთის ბოძებული კი არაა. შემიძლია ავირჩიო. რაში მჭირდება, ხეიბარი ან დაუნი ბავშვით ცხოვრება გავიმწარო. კიდე პრობლემა არ მინდა – მე ბავშვი მინდა. შენ რა გაწუხებს?

ეველინ: მართალი ხარ. მართალი. ვერაფერს იტყვი. პრობლემა რად გინდა...

ფანი: შენ რა გადარდებს-მეთქი.

ეველინ: ნერვებს მიშლი – პირობითი დედა ხარ. დედა იმ პირობით ხარ, თუ შენი შვილი არ შეგაწუხებს, ფისებს არ გიზამს კოსტუმზე, შენ მანქანაში არ არწყევს, ცრემლებით ზედას არ დაგისველებს – და თუ სიცხე ექნება და საქმიან შეხვედრაზე წასვლას ვერ შეძლებ, რა, უკან დააბრუნებ? ეს ხომ ბავშვია, ღმერთო ჩემო, ეს სამყაროა – ბავშვი გამოცვლის ქვითართან ერთად კი არ ჩნდება! რა უბედურებაა, ეგეც სახლებია, შენ რომ ყიდულობ და ყიდი?

ფანი: მომაშორე ეს თავიდან.

ამირა: თავი დაანებე, ღამეა.

ეველინ: მაგიტომ არ უნდოდა იმასთან ლაპარაკი ტელეფონზე – არ ეჩქარება, უნდა მოიცადოს, საქონელი გასინჯოს, იქნებ გაფუჭებულია, იქნებ ვადაგასულია. მშვიდობაში, დაო, მშვიდობაში.

მე-3 სურათი

ტუალეტში წყლის ხმაურია. კარი იღება და ეველინი გამოდის. სამზარეულოს კარი იღება და მალქა შემოდის. ისინი ერთმანეთს შესცქერიან. ამირა თავს სწევს.

ეველინ: დილა მშვიდობისა.

მალქა: შენი საქმე არაა. ჯერ არ გათენებულა.

ეველინ: აქამდე ლოცულობდით შენ და კიკუშა?

მალქა: წადი, დაიძინე.

ამირა: ან დაგვაძინეთ, ან ჭამა გვაცადეთ.

ეველინ: შშშ... იძინე, იძინე.

ამირა: მაშინ მორჩი წყლის ჩხრიალს ყოველ ხუთ წუთში. *(თავს ჩაღუნავს და მოიკუნტება. ეველინი გადის. მალქა სავარძელში ჯდება)* რაო?

მალქა: აქამდე ვლაპარაკობდით.

ამირა: მშვენიერია. მაშ, შეყვარებული ხარ, გინდა ქმარს გაეყარო, სახლი მიუგდო და კიკუშასთან ერთად ეილათში მოუსვა.

მალქა: რატომაც არა?

ამირა: კარგი. ხვალ მომიყევი. საინტერესოა, კიდევ რა მოხდება ამაღამ. *(იძინებს. მალქა შეამჩნევს, რომ ფანი მათ საუბარს ყურს უგდებდა. ორჭოფობს, ბოლოს გადაწყვეტს, არაფერი მოუყვეს)*

მე-4 სურათი

ეველინ ტუალეტუდან გამოდის, ისე რომ არ ჩარეცხავს. მისავათებულია და ნელა მიაბიჯებს კედელ-კედელ. ამირა იღვიძებს.

ამირა: *(ნამძინარევი, გაზეთს ქვემოდან)* ისევ შენ ხარ? თქვენთან, პარტიაში, ქიფურის დღეს უნიტაზს არ რეცხავენ?

ეველინ: შენი გაღვიძება არ მინდოდა.

ამირა: კი არ გითვლი, მარა ღამე ხუთჯერ მოფსი, ამ დილიდან კი – ბარე ათჯერ მაინც. რამე დალიე?

ეველინ: არა.

ამირა: მაშინ, როგორც ვხედები, სხეულში სითხე აღარ უნდა გქონდეს და სამშობიარო წყლებს ღვრი. *(ფანი წამოიმართება)*

ეველინ: მოკეტე. *(კედელზე რჩება მიყრდნობილი)*

ამირა: *(სახიდან გაზეთს მოიშორებს და ძილბურანში მყოფი წამოჯდება)* იო, თუ თავის ტკივილის წამალს დავლევ, მარხვას დავარღვევ?

ეველინ: რა თქმა უნდა. *(იატაკზე დაეშვება. ამირა ვერ შეამჩნევს)*

ამირა: რა მეწვრილმანეა ეს ღმერთი. რა იქნებოდა, ცოტა სიბრალული გამოეჩინა, ეს თავის ტკივილი მკლავს. რომელი საათია?

ფანი: კიდევ სამი საათი დარჩა.

ამირა: დაურეკე.

ფანი: არა. მერე.

ამირა: ტუალეტი თავისუფალია, ბოლოს და ბოლოს? გუშინდელიდან მეფსია, მარა სულ ეველინს აქვს დაკავებული. რამე ჭამა?

ფანი: არა მგონია. ურჩევნია მოკვდეს, ვიდრე მარხვა გატეხოს. *(ამირა გზად ეველინს გადააწყდება)*

ამირა: ეველინ, იატაკზე რა გინდა? ქიფურის დღეს საწოლში ძილი არ შეიძლება? *(გზას აგრძელებს, და მერე უცებ შემობრუნდება)* ეველინ, საწოლში დაწექი. ეველინ, რა მოგივიდა, კარგად ხარ? ფანი, მოდი ერთი წამით...

ფანი: რა დაემართა? ეველინ-

ამირა: მომეხმარე *(ეველინს სწევენ და სავარძელში გადაჰყავთ)* მაგისი ჩანთა მოიტანე – ჩქარა! მალქა გააღვიძე! ეველინ, გამოფხიზლდი, ეველინ, რამე მითხარი...

ფანი: *(ოთახში შევარდება, ჩანთას იპოვის)* მალქა? *(კივის)* მალქა!! აღარაა!!

ამირა: *(ფანი ჩანთას ამირას აჩეჩებს, რომელიც ამოაბრუნებს და დაფერთხავს)* მანგოს წვენი გამოიღე მაცივრიდან. შაქრის დონე უნდა ავუწიოთ. არაფერი უჭამია ამ შტერს.

ფანი: სასწრაფო გამოვიძახოთ? გავალ, სასწრაფოს მოვიყვან.

ეველინ: არა, არ მინდა სასწრაფო. კარგად ვარ.

ამირა: ფანი, ჩქარა! *(ფანი წვენს მალქას მიუტანს)* დაალევინე, ძალით! *(ამირა ეველინის ნაკრებს ხსნის და დანას იღებს)* დაეხმარე. ეს დებილი ინსულინს იღებს და არაფერს ჭამს, კუჭი ცარიელი აქვს. დაალევინე – პირი გააღებინე და ჩაასხი, ეველინ, ახლა გცემ, დალიე, დალიე, აქ რო არ ჩაგვაკვდე, დალიე!!! მთელი ღამე ფსამდა, როგორ ვერ მივხვდი... ხელი მომეცი.

(თითზე უჩხვლეტს და სისხლს პორტატული ლაბორატორიის დაფაზე აწვეთებს. წამით დაძაბული იცდის და აკვირდება)

ფანი: სასწრაფო გამოვიძახოთ?

ეველინ: არა!!

ამირა: ახლავე, რამდენიმე წუთი უნდა. მიდი, საჭმელი მოუმზადე დიდი თეფშით. მალქა სად გაქრა-

ეველინ: არა, არა, არ შევჭამ.

ამირა: შენ ვინ გეკითხება?! მალქა სადაა *(ეველინის ჩანთაში ნაპოვნ შოკოლადის ფილას ამტვრევს)* გააღე პირი.

ფანი: მალქა სინაგოგაშია. ლოცულობს.

ამირა: შენი ნათქვამი სერიოზულად მიიღო და გუშინდელიდან არ წყვეტს ლოცვას. გააღე პირი!! ძალით გააღებინე!

ფანი: სიამოვნებით *(უჩქმეტს ეველინს, რომელიც აკივლდება. ამირა შოკოლადის ნატეხს ენაზე დაადებს და პირს დაუკეტავს, ეველინი ეწინააღმდეგება)*, ნაკურთხი შოკოლადია, ნუ გეშინია. სცივა ამას. *(ამირა შალს აფარებს ეველინს და ზურგთან მუთაქას უსწორებს)* ანალიზი როგორია –

ამირა: *(ნაკრებს ამოწმებს)* ზღვარზეა. ჭამის შემდეგ გავსინჯოთ *(ეველინს თავი ჩამოუვარდება)* ეველინ, არ დაიძინო, მელაპარაკე. *(სახეში მსუბუქად უტყაპუნებს)*. აბა, რა გქვია?

ეველინ: ბრიჯიტ ბარდო. *(ფანი მოდის საჭმლით სავსე მათლაფით)* ეს რა არის? არა, რას ამბობთ, არ ვჭამ.

ამირა: ფანი, აჭამე.

ეველინ: გთხოვთ, ნუ მაიძულებთ, კიდე სამი საათია...

ამირა: მიყურე, ეველინ – ან შეჭამ, ან სასწრაფოს გამოვიძახებ და ვენებიდან გაჭმევენ –

ეველინ: ეს ხომ ღვთის გამოცდაა.

ამირა: რა გამოცდა?

ეველინ: თქვენ არ გესმით, ეს გამოცდაა. ღმერთი მცდის. განზრახ მაძლევს გოგონებს, რომ გამომცადოს; ღმერთი განგებ მასნეულებს დიაბეტით; განზრახ მაძლევს საშუალებას, გადავწყვიტო ქიფურის დღეს, იმ დღეს, როცა დედა გაუჩინარდა, მერე რა, თუ ძნელია – ის მცდის. არ მაქვს ჩავარდნის უფლება, უფლის მსჯავრის დღეა.

ამირა: ბიჭი მაინც არის?

ეველინ: და თუ ბიჭია, მერე?

ფანი: მერე, რვა ქალიშვილის შემდეგ ალბათ ღირს მთელი ეს შენი სიგიჟე.

ეველინ: და ჩემი ქალიშვილები არაფრად ღირან? არ მტკიოდა, როცა მათ ვაჩენდი, თითოეულს ძუძუს არ ვაწოვებდი, საფენებს არ ვუცვლიდი, არ ვზრდიდი? ფემინისტებო! გეტყვიან, ბიჭია – მეფე მესია იბადება, გეტყვიან გოგოა – აბორტია საჭირო. სირცხვილი თქვენი!

ამირა: ანუ, ისევ გოგო გყავს-

ეველინ: არ ვიცი. არც მინდა ვიცოდე. მარა თქვენ ფარისევლები ხართ პრიმიტიულები დედათქვენივით... იცით, რატო გაშორდნენ ერთმანეთს? ეშინოდა, რომ კიდე გოგო ეყოლებოდა – რა უბედურებაა.

ფანი: ყოჩაღ, ეველინ, ყველანი გაგვაშიშვლე, ბადალი არ გყავს! ჩვენზე უკეთესი ხარ, დედაშენზე უკეთესი ხარ, მჯობიხარ მე, რომელიც ბავშვებს ტელეფონით ვუკვეთავ. შენ ნაქმარევი ძუკნა არ ხარ, არ გენაღვლება, თუნდ ორასი გოგო დაბადო, ყველაფერი სულერთია, მთელი ცხოვრება ინსულინი ირჭო, დიეტაზე იჯდე, არ გენაღვლება, თუ დაბრმავდები, ხელ-ფეხი წაგერთმევა – არაფერი გაშინებს, მაინც გააჩენ. დაიტანჯება, მისი ქმარი გაწვალდება, შვილები შეწუხდებიან, მარა ეველინ უნაკლო უწმიდესი დედა იქნება. ეგ წმინდანობა არაა, ეველინ, ეგ თავხედობაა, ამპარტავნებაა – ღვთისგმობაა!!! *(ამირას)* მოდი, მოდი, შეეშვი მაგას, *(ეველინს)* ეგოისტო.

სიჩუმეა. ამირა და ფანი ეველინს შორდებიან. ეველინ ყოყმანობს, მერე იღებს ჩანგალს, საჭმელს ჩაარჭობს და პირისაკენ წაიღებს, უგემურად ღეჭავს, ყლაპავს და ჩერდება. ტირილი წასკდება, გულამომჯდარი აქვითინდება. ამირა და ფანი უსიტყვოდ უცქერენ უკნიდან. გარედან მალქას სიმღერა მოისმის – „უფალო შენდობათაო“... კარი იღება და შემოდის მალქა, მხიარული და ენერგიით აღსავსე.

მალქა: *(მღერის)* „შევცოდეთ შენ წინაშე, მოიღე მოწყალება, შევცოდეთ შენ წინაშე“ – შეგერგოს, შემოგევლე, გემრიელია? – მე მოვამზადე. სინაგოგაში რატო არ წამოხვედი? – მორჩა, ღვთისმგმობელი ხარ შენი დებივით – ცოტა ხანში სიგარეტსაც მოუკიდებ *(ფანის)* დასკვნით ლოცვაზე არ

მოდიხარ? ბევრმა გიკითხა. შენი ძველი თაყვანისმცემლები ვერ გივიწყებენ.

ფანი: კიკუშა როგორ გყავს, მორჩი მისი ოჯახის ნგრევას?

მალქა: ჯერ არა – რა რჩევები გექნება ჩემთვის შენი მდიდარი გამოცდილებიდან?

ფანი: მადლობა ღმერთს, უჩემოდაც მშვენივრად ახერხებ.

მალქა: რა მოხდა – ოცდაათი წლის უნახავ ადამიანს ვესაუბრებოდი – რამე პრობლემაა?

ამირა: დილამდე?

მალქა: ბევრი რამე გვქონდა გასახსენებელი.

ფანი: ცოლიანია, მალქა, ცოლიანი.

მალქა: რა? კიდევ ერთხელ მითხარი, გაიმეორე, რაო?

ფანი: ასჯერ გეტყვი – ცოლიანია, და შენც გათხოვილი ხარ, თან სამი შვილი ჰყავს.

მალქა: და დავიდი? ცოლიანი არ იყო? თითზე ქორწინების რგოლი არ ჰკეთებია? თუ თვალში არ მოგხვედრია? მაგასაც ჰყავდა ბავშვები, მაგას და შენ დას...

ეველინ: მალქა, გაჩერდი, რა დროს ეგაა.

მალქა: არა, არ გავჩერდები. გგონია მეშინია იმის თქმის, რაც გააკეთე?

ფანი: მიდი, თქვი!! რა გავაკეთე?

მალქა: რა გააკეთე... ჩემი ქმარი შეაცდინე... *(ამირას და ეველინს)* დავიდთან იწვა. მას შემდეგ, რაც სიკეთე ვუყავი და ქუჩის წუმპედან ამოვათრიე... ჩემს ლოგინში არ ჩაუგორდა? ახლა წმინდანი და უმანკოა და მორალს მიკითხავს.

ფანი: გაგიჟდი? დამინახე, რომ შენს ქმართან ვიწექი?

მალქა: ქალი გრძნობს – ყველაფერი ცხადი იყო, ასი პროცენტით.

ფანი: რა იყო ცხადი?

მალქა: თქვენი მზერები, გადაკრული ნათქვამები, მინიშნებები,

ღიმილები, როგორ ეხებოდი, თითქოს შენი საკუთრება იყო, თვალები ხო სულ შენ უკანალზე ჰქონდა მიშტერებული...

ფანი: მერე, ჩემი ბრალია, ეგ თუ ტრაკზე მომჩერებოდა?

მალქა: სპეციალურად იცვამდი მინი მინი მინის.

ფანი: მაშინ ყველას მინი მინი მინი ეცვა.

მალქა: და ყველა იკუზებოდა ჩემი ქმრის წინ? – არ წაგასწარით აბაზანაში?

ფანი: ეს უნებლიეთ იყო!!! კარი უეცრად შემოაღო!

მალქა: და ჩაკეტილი რატომ არ გქონდა? შიშველი ბანაობდი – კარი რატომ არ ჩაკეტე?!!

ფანი: იმიტომ რომ არ იკეტება შენი აბაზანა, შტერო.

მალქა: კარგი, ახლა მართლა ფეხებზე მკიდია – შეგიძლია უფასოდ დაითრიო – როგორც გიყვარს ხოლმე აქციაზე.

ეველინ: დედაც ასი პროცენტით იყო დარწმუნებული, რომ მამა ყველასთან და ყველაფერთან ღალატობდა, რაც მოძრაობდა. საცოდავი.

მალქა: სწორია – და კიკუშას ცოლიც ასი პროცენტითაა დარწმუნებული, რომ ქმარი მისი ერთგულია *(სიჩუმე)*

ეველინ: ფანი, დღეს ქიფურის დღეა. შენს ახალშობილს გაფიცებ, მითხარი სიმართლე – დავიდი შეგხებია?

ფანი: არც კი ცდილა.

ეველინ: ეს სიმართლეა?

ფანი: სიმართლეა.

ეველინ: გაიგე? დამშვიდდი ახლა – შეგიძლია ხო, დაუბრუნდე შენს ქმარს და მორჩე მაგ შენ გართობებს?

მალქა: როგორ არა. სიცრუის დეტექტორზეც რომ იყოს შეერთებული, მაინც არ დავუჯერებ. იქ ვიყავი, დავინახე და დარწმუნებული ვარ. მე შტერი არ ვარ.

ფანი: შეიძლება შტერი არა, მაგრამ ბრმა კი ხარ. ახალი ნამშობიარევი ვიყავი, ორი თვის ნამშობიარევი, როცა დავიდმა

მომიყვანა. შენს ქმარს ვინ უყურებდა საერთოდ, საერთოდ კაცებს ვინ უყურებდა, სარკეში ვინ იყურებოდა საერთოდ – სიკვდილი მინდოდა, ამის ნაცვლად კი უნდა გამეღიმა, შენ მიმართ მადლიერებით აღსავსე ვყოფილიყავი, შენს ბავშვებთან მეთამაშა, მათთვის ვახშმად ერბოკვერცხი და სალათა გამეკეთებინა და იმავდროულად მეფიქრა შვილზე, რომელიც წამართვეს, და არ მეტირა, შენ რომ არაფერი გაგეგო.

ამირა: ფანი, რაზე ლაპარაკობ?

ფანი: რაც გესმის. რა გგონია – გართობაა, როცა თექვსმეტი წლის გოგოს სახლიდან აგდებენ, რომანტიკულად გეჩვენება, თავგადასავალია – ხომ ეძებ თემას ფილმისთვის, მოდი, გააკეთე ფილმი მამიკოს საყვარელ გოგონაზე, რომელიც ვერაფრით მიხვდა, უცებ რა ბზიკმა უკბინა დედას, რა მოხდა ისეთი, რის გამოც ბოზანკალას ეძახდა; რატომ მოიძულა დედამ, რატომ დაივიწყა, რომ მისი შვილი ვიყავი, რამ აფიქრებინა, რომ ქმარს ვეცილებოდი; არ მესმოდა, რა ხდებოდა, უეცრად მტრად როგორ ვიქეცი – საყვარელი ფრიადოსანი გოგონა. საიდან ეს სიძულვილი. მალქას ხომ უყურებ ამწუთას, ეგრე იყო ისიც ყოველდღე – „როდის მოგვშორდება ეს ბოზანკალა“ – თავში უკაკუნებდა მამას.

ამირა: ბოზანკალა რატო?

ფანი: ქუჩა-ქუჩა დავწანწალებდი, ვეძებდი. კაცები ეგრევე ხვდებიან, რა გაკლია. მოდი, საყვარელო, ნაყინი გინდა? ნაყინი არ იყო საჭირო. საკმარისი იყო, გაეღიმათ ჩემთვის, ჩამხუტებოდნენ, მომფერებოდნენ... პირველივე შემხვედრი. გამომაგდეთ საკუთარი ლოგინიდან? – არც მინდა, მთელი ქვეყანა იქცევა ჩემს ლოგინად. რა ვიყავი – ბავშვი ვიყავი ქალის სხეულში. ხალხი მამასთან მიდიოდა და ჩემზე უყვებოდა, სინაგოგაში, სამუშაოზე – ქვეყანას მოედო.

ვერ გაეგოთ, როგორ იქცა ქუჩის ქალად ბატონი ოხანას მშვენიერი ქალიშვილი, რომელიც უბანში ბავშვებს მათემატიკაში ეხმარებოდა. შენი შვილი არ ვარ, არ გიყვარვარ? რატომ?.. მომჩერებოდა და ტიროდა. ორ წელიწადში ჩამობერდა. რომ დავორსულდი, ქუჩაში მომისროლა და დედაც დაწყნარდა.

ეველინ: კი, მაგრამ ამის შემდეგ დედა სულ ტიროდა „სად არის ჩემი ფანი, სად არის ჩემი გოგო...“ სამზარეულოში დააგდო მატრასი და იქ იძინებდა, მამას აღარ ელაპარაკებოდა, წლები, სანამ არ გაეყარნენ.

ფანი: მოეშვი. მასზე არ ვბრაზობ. ათი წელი ფსიქოლოგთან დავდიოდი და ვიცი. როგორც ჩანს, მართლა ვეჯიბრებოდი დედაჩემს, როგორც ყველა თინეიჯერი გოგონა, სამწუხაროდ, ის ამას ვერ მიხვდა.

ამირა: და ბავშვი არ გინახავს?

ფანი: არა. გასაშვილებლად წაიყვანეს. მკითხეს, დედა თუ მყავდა, რომელიც გამიზრდიდა. არა-მეთქი, ვუთხარი. არა. აჰა შენც, თურქული კინო. ველოდებოდი, თვრამეტის გახდება და ეგებ მომძებნოს-მეთქი, თვრამეტი წლისას უფლება გაქვს, გაშვილების საქმე გახსნა და ნახო, ვინ არის დედაშენი. გავუმზადე სახლი, მანქანა... არ მოვიდა. აგერ სამი წელიც გავიდა, ის უკვე ოცდაერთისაა.

მალქა: და დავიდმა ეს იცოდა.

ფანი: კი, მალქა, დავიდმა ეს იცოდა. მან მომძებნა. „თქვენი მზერა, თქვენი ღიმილები..“ – როგორ არ გრცხვენია, ასე ილაპარაკო ასეთ ძვირფას ადამიანზე.

მალქა: ეგ ძვირფასი ადამიანი მღალატობს.

ფანი: ვისთან ღალატობს?

ეველინ: ერთია, ვისაც დავიდი ცეკვაზე მიჰყავს ხოლმე. წუხელ, დავიდი რო ტელეფონზე არ პასუხობდა, მალქამ იმ ქალთან

დარეკა სახლში, და უთხრეს რო ხაიფაში იყო. ეს ახლა დარწმუნებულია, რო ღამე ერთად გაატარეს მის საწოლში.

მალქა: ერთს მეორე დაემატა.

ფანი: მაგრამ ის ქალი მართლა ხაიფაშია.

ამირა: შენ საიდან იცი

ფანი: დავიდმა თქვა გუშინ, როცა დარეკა: ცეკვაზე ვერ წავედი, რადგან ის, ვინც დაატარებდა, დედის დაკრძალვაზე წავიდა ხაიფაშიო.

მალქა: მერე რატომ არ მითხარი.

ფანი: ყურადღება არ მიმიქცევია. დამავიწყდა, როგორი-

მალქა: აბა მობილური რატომ გამორთო და ტელეფონი რატომ იყო მთელი ღამე დაკავებული?

ყველანი: *(მალქას ეცემიან)* რატო, რატო, რატო, რატო...

ფანი: იქნებ ყელში ამოუვიდა მაგ კაცს შენი ტვინის ტყვნა!

ეველინ: ხედავ, რით ხარ გამუდმებით დაკავებული?

ამირა: შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ის რას აკეთებს?

ფანი: საკუთარი საქმეებით დაკავდი, ცოტა თავი მოანატრე.

ეველინ: შენ გიჟი ხარ, სიწყნარეს ვერ იტან.

ფანი: წადი, რამე მოუხერხე შენს თავს.

მალქა: რა? რა?

ლოცვა „მამაო ჩვენო, მეუფეო ჩვენო“ მოისმის სინაგოგიდან.

ეველინ: დასკვნით ლოცვაზე წასვლა არ გინდოდა?

მალქა: მინდოდა, მაგრამ გამომეპარა.

ამირა: კიდევ რამდენი რჩება მარხვის?

ეველინ: მალე შოფარს ჩაბერავენ. მალქა, მოდიხარ?

მალქა: სუფრა უნდა გავშალოთ *(დივანზე მოკალათდება)*. გახსოვთ დედა, სანამ დასკვნით ლოცვაზე წავიდოდა: „მალქა, მოიტანე თეთრი სუფრა, კარადაშია, ძირს, და დააწყვე

მაგიდაზე ორცხობილები, ნამცხვრები და ბისკვიტები, მათი დაბრუნებისთვის ყველაფერი მზად უნდა იყოს იმ წუთისთვის –

ეველინ: „ეველინ, გამოიღე ჩაიდანი, მაროკოდან რომ ჩემოვიტანეთ, ზემოთ არის, კარადაში, და დადგი ჩაი. მოიტა ბევრი პიტნა, ზუსტად ექვსი ჩაის კოვზი შაქარი და კიდე ცოტა ალოეზია – და გვერდზე სპრეზელი მიუდე.

ფანი: „ფანი, გამოიღე ჭიქები, ჩაიდანში წყალი ჩაასხი და დადგი გაზზე, უცეცხლოდ, მერე სპილენძის სინზე არაყი დადე, გვერდით არყის ჭიქით, ფლაკონი ცოტა კუმინით და მაგრად მოხარშული კვერცხი მამაშენისთვის.“

მალქა: „მალქა, სად არის ჩემი ჩუსტები? შოფარის ჩაბერვაზე მივდივარ და როცა დავბრუნდები, ყველაფერი მზად იყოს, საჭმლისთვის ლოდინი არ უნდა დაგვჭირდეს, კარგი?“

დები ოთახის ყველა კუთხე-კუნჭულში არიან მიმოფანტულები. დუმან. მწუხრია და სახლი თითქმის ჩაბნელებულია. სიჩუმეს სინაგოგიდან მომავალი შოფარის ხმა არღვევს. მოისმის მაროკოელი ქალების ყიჟინა. მოულოდნელად სახლში ყველა სინათლე ინთება და ვიდეო და ტელევიზორი ამუშავდება. კვლავ გაისმის დედის ხმა მოციმციმე, თუმცა ჩაბნელებული ტელევიზორის ფონზე.

დედა: არასოდეს მითქვამს თქვენთვის და არ მიამბნია, თუ რას განვიცდიდი ისრაელში ამოსვლამდე მაროკოში. თქვენ არ იცით, რომ მაროკოში ოჯახი მყავდა, ვცხოვრობდით პატარა სოფელში, ვარზაზათის მახლობლად. ჯერ კიდევ პატარა, თორმეტი ან ცამეტი წლისა, მამათქვენს მივთხოვდი და წმინდა მიწას მოვაშურეთ. ჩემმა ოჯახმა აქ ჩამოსვლა არ მოინდომა. ახლა ყველა მკვდარია, ღმერთმა აცხონოს ისინი, და მხოლოდ ჩემი და, მასოდა დარჩა მაროკოში. მე მასთან მივდივარ საცხოვრებლად, იმიტომ რომ ისიც მარტოა, ქმარი მოუკვდა. ის ჩემი უმცროსი დაა და არავინ ჰყავს მიმხედავი. ასე რო, ახლა ავიღე ჩემი პასპორტი, რომელიც იუსტიციამ დამიბრუნა, მას შემდეგ, რაც ისრაელში შემოსვლისას ჩავაბარე, და შინ მივემგზავრები. ის ჩემი დაა, ძაან მომენატრა...

აჰ, და კიდე... მშვიდობით, ჩემო გოგოებო. ამირა, უთხარი შენ დებს, რო შენზე იზრუნონ, თუმცა შენ ყველაზე ჭკვიანი და ლამაზი ხარ. მოგხედონ. მშვიდობით... ბაი.

სიჩუმეა.

ამირა: კარგი. ახლა უკვე იცით, დედა სადაცაა.

ეველინ: მაროკოში დაბრუნდა?

ამირა: კი. შინ დაბრუნდა. აღარ დასჭირდება, რომ ვუთარგმნო, რომ გავყვე: პოლიკლინიკაში, მერიაში, იუსტიციაში...

ფანი: შენ უყიდე მაროკოს ბილეთი, ჰო?

ამირა: ჰო. ვწუხვარ. ვერ შევძელი მისი დარწმუნება. არც მინდოდა. უთხრეს მათ, ვინც ამ ბოლო დროს მაროკოში იყო, ყველა დაიხოცა და მხოლოდ შენი და დარჩა ცოცხალიო. გამუდმებით ტიროდა. აქ ვიჯექი და ვცდილობდი, ჩემი სულელური სცენარი დამეწერა, ის შემოდიოდა და მიყვებოდა, მიყვებოდა, ტიროდა და მიყვებოდა, მეც ვუსმენდი, პირველი შემთხვევა იყო, რომ მას ვიღაც უსმენდა. ბოლოს თქვა, რომ ცხოვრებაში ერთხელ უნდა, ქიფურის დღეს თავის დასთან ერთად შეხვდეს თავის სოფელში. ცხოვრებაში ერთხელ მართლა მოუნდა რაღაც.

მალქა: ჩვენ რატომ არ გვითხარი?

ამირა: მან მთხოვა, არ მეთქვა თქვენთვის, იცოდა, რომ ამის

ნებას არ მისცემდით. გუშინ ვფიქრობდი მეთქვა, ქიფურის დადგომამდე, სწორედ იმ დროს ჩავიდოდა სოფელში; ამიტომაც ჩავრთე ვიდეო, მაგრამ შაბათის საათმა გაგვაჩერა და დღესასწაულიც დადგა...

ფანი: მაგრამ ვიდეოში ისე ლაპარაკობს, თითქოს არც შენ იცოდი.

ამირა: მართალია. ცდილობდა, თქვენზე ისეთი შთაბეჭდილება მოეხდინა, თითქოს მარტომ ქნა ეს ყველაფერი, პატარა გოგონასავით, რომელმაც თავისი დამოუკიდებლობა აღმოაჩინა. კიდეც გადაწყვიტა და განახორციელა, საყვარელი. მე მარტო რეჟისურა გავუკეთე, ვიფიქრე, ლინზას ხუფს არ მოვხსნი-მეთქი, რომ უფრო დამაჯერებელი გამოსულიყო-

ეველინ: ჩარჩოთი?

ამირა: კი, თან ლინზაზე ვფიქრობდი...

ეველინ: ახლა მოკეტე. საკმარისი ილაყბე.

დუმილი

ფანი: კარგი... *(მობილურის ასაღებად დგება)*

მალქა: ფანი.

ფანი: დიახ.

მალქა: გთხოვ, მაპატიო.

ფანი: ახლა?

მალქა: აბა როდის?

ფანი: ცოტა ხანში, მალქა. ცოტა ხანში. ჯერ ვიეტნამში უნდა დავრეკო. *(პაუზა)* ამირა, რამდენი კილო დაიბადა?

ამირა: სამი და ას ორმოცდაათი.

ეველინ: მშვენიერი წონაა. *(თავის მუცელს ეფერება)* ჩემი უეჭველი დიდი გამოვა. ოღონდაც გამოვიდეს, უკვე მენატრება ეს გოგო...

მალქა: მთელ წელიწადში ეს დრო ყველაზე მეტად მიყვარს.

ფანი: ჰო, დაისი ახლა მართლაც ყველაზე ლამაზია და მთელი წელიც წარსულში იძირება.

ეველინ: „გაგვიღე კარი მისი დაგმანვის ჟამს, რადგან გათენდა.“ გეფიცებით, მაქსიმუმ ორ კვირაში დედა თავის დასთან იჩხუბებს და დაბრუნდება.

ამირა: აჰ.. ქარია... შემოდგომა დადგა.

სიბნელე.

დასასრული

შპს წრფელი სიყვარული

შარონ სტარკი

მოქმედი პირები:

ტალია – განქორწინებული, ორი შვილის დედა. 43 წლის
ხმა – დიდი ბოსი. ალგორითმი. ის ხედავს, თავად კი არ ჩანს.
იაელ – მგრძნობიარე და მუსიკალური ახალგაზრდა
ლილი – ახალგაზრდა დამლაგებელი

ადგილი – ვირტუალური გაცნობის პორტალი

1-ლი სურათი

შუქი ტალიას ეცემა, ის ყურს უგდებს იდუმალ მელოდიას

ტალია: ზღვა...
ხმა: ზღვა?
ტალია: ზღვა... ზღვის მორევი. კარგია?
ხმა: ეს თავისუფალი ასოციაციაა.
ტალია: მორევს ბევრი ამბობს?
ხმა: არ შემიძლია, სხვა მომხმარებლების დეტალები გავამ-ჟღავნო. შემდეგი კითხვა: რა არის ლამაზი შენს თვალში?
ტალია: რა არის ლამაზი? უჰ... ზამთარი. მიყვარს ზამთარი, კოკისპირული წვიმები, რო წმენდს და ასპეტაკებს, ქედებზე ქარში გადარეულ ხეებს რო სცემს –
ხმა: ერთი სიტყვით...
ტალია: ერთი სიტყვით? ქარიშხალი. ისეთი დრამატული, როგორიც შოტლანდიაშია. მიყრუებული კონცხების ლანდ-შაფტში, ბობოქარი მორუხო ზღვის თავზე. და ეს სიწყნარე, რომელიც –
ხმა: მოკლედ, ერთი სიტყვით, ბუნება?
ტალია: რა თქმა უნდა, ბუნება. არის კიდე რაღაცები.
ხმა: შემდეგი კითხვა, ცხოველი რომ ვყოფილიყავი, ვიქნებო-დი –
ტალია: ნიამორი.
ხმა: მშვენიერია, მშვენიერი. თავს როგორ გრძნობ?

ტალია: ოჰ, ნუ იკითხავ, უიქენდი ბავშვებთან ერთად გავატარე, გაუთავებლად ჩხუბობენ, მე კი ვუყვირი. მერე თავს დამნაშავედ ვგრძნობ, რაღაცნაირად, დანაშაულის გრძნობა მიჩნდება.

ხმა: მხოლოდ ერთი სიტყვით: აფორიაქებული ხარ?

ტალია: აფორიაქებული?

ხმა: შენ ერთი ვიღაც უნდა გაიცნო. ერთი ვიღაც.

ტალია: დიახ, დიახ.

ხმა: „წრფელი სიყვარული“ დაგიზოგავს დროს, სულიერ ძალებს და ენერგიას, ყველანაირი ზედმეტი ურთიერთობების სერია რომ შეინირავდა. აქ ჩვენ ჯი-დეითი არ გვაქვს, აქ არც სხვა ათასგვარი დეითები და ისარგაყრილი გულებია. შენ იღებ ზუსტად იმ ერთს, შენს შესაფერს აბ-სო-ლუ-ტურად. აბა, რა თქმა უნდა, აფორიაქებული იქნები.

ტალია: კი, ძალიან.

ხმა: მაშ, მოდი, მიამბე ცოტა რამ შენ შესახებ

ტალია: ოკეი. დავიბადე ხაიფაში, 40 წლის წინ, ვისწავლე იურისპრუდენცია, თუმცა ჩემი პროფესიით არ ვსაქმიანობ, ახალგაზრდულ ასოციაციაში ვმუშაობ –

ხმა: ერთი სიტყვით, განქორწინებული ხარ?

ტალია: აჰ, დიახ, მაგრამ მეგობრებად დავრჩით, ჩვენ დიდ პატივს ვცემთ –

ხმა: მოდი, ასე ვთქვათ, რას ეძებ მამაკაცში?

ტალია: კარგი კითხვაა.

ხმა: გმადლობ.

ტალია: ვეძებ ვინმეს, ვინც არ არის უკმეხი, უხეში, მაგრამ არის თავდაჯერებული, ქარიზმატული, სიმპათიური და სპორტული, ხშირად რო არ ოფლიანობს, სამზარეულოში ფუსფუსი უყვარს, თან ყველაფერს სუფთას ტოვებს, აქვს იუმორის დიდი გრძნობა და სიცოცხლის ხალისი.

ხმა: იუმორი და სიცოცხლის ხალისი სამი სიტყვაა.

ტალია: ცოტა ლაზათი, ცოტა ხიბლი რომ შემოიტანოს ჩემს ცხოვრებაში.

ხმა: ერთი სიტყვით?

ხმა: დამყოლი. თანამგრძნობი. მიმტევებელი. ვისაც მოსმენის უნარი აქვს და უყვარს ალერსი, ეს ძალიან მამშვიდებს.

ხმა: მოკლედ, სიყვარული.

ტალია: ცხადია. სიყვარული. ეს ცოტა სტერეოტიპულად ჟღერს.

ხმა: მაპატიეთ, მათემატიკურად სტერეოტიპებს იგივე ღირებულება აქვს, როგორც სხვა ნებისმიერ საგანს.

ტალია: კეთილი, მაგრამ მე არ მჭირდება ყვავილები და შოკოლადის გულები და რომანტიკული კოტეჯი ჩრდილოეთში, უკანა გზაზე საცობებით.

ხმა: ყვავილები არ გიყვარს?

ტალია: კი.

ხმა: მწარე შოკოლადი ნიგვზით?

ტალია: სწორედ ეგ შოკოლადი მიყვარს ყველაზე მეტად.

ხმა: რა თქმა უნდა. უყურე, ალგორითმი ღრმა ნეირონულ ქსელებს იყენებს შენი პიროვნული ნიუანსების დასაჭერად, ჭკვიანი მანქანა მათ რიცხვებად გარდაქმნის და ტრილიონ ანალიტიკურ მონაცემს უპირისპირებს.

ტალია: კი, The Marker-ში წავიკითხე

ხმა: და, იმავდროულად, ჯვარედინი მოქმედებით აკონტროლებს საკუთარ თავს, ისე რომ ჩვენთან შეცდომა გამორიცხულია. უბრალოდ, შეუძლებელია რიცხვებთან კამათი. აბა, თინუსი თუ ავოკადო?

ტალია: ავოკადო. თინუსი არ მიყვარს.

ხმა: კრედიტი თუ ქეში?

ტალია: ეს ხომ უფასოა?

ხმა: დიდებულია. ახლა, როცა მთელს ამ მონაცემებს ბლე-

ნდერში მოვათავსებ, ჩვენთან ანგარიშს გაგიხსნი. შენ მხოლოდ აბსოლუტურად თავისუფალი ნებით აცხადებ თანხმობას.

ტალია: თანახმა ვარ.

ხმა: მომხმარებლის სახელი...

ტალია: ტალია.

ხმა: ტალია, კეთილი იყოს შენი მობრძანება „წრფელ სიყვარულში“. ახლა თვალები დახუჭე და წარმოიდგინე უნაკლო ადამიანური ურთიერთობები...

ტალია თვალებს ხუჭავს და კონცენტრირებას ცდილობს.

ხმა: ოკეი. აჰა, კი. კი. მესმის.

ტალია პატარძალივით ღელავს, ცრემლს იწმენდს. შემოდის იაელ.

მე-2 სურათი

იაელ: ჰაი. იაელ.

ტალია: იაელ...

იაელ: ვაჰ. ეს მართლა... შენ მართლა... ჩემი გემოვნების ხარ. როგორც ჩანს...

ტალია: დავიბადე ხაიფაში –

იაელ: არ ვიცოდი, რისი მოლოდინი უნდა მქონოდა –

ტალია: ძალიან მიყვარს მოგზაურობა –

იაელ: გადასარევად გამოიყურები –

ტალია: გმადლობ, მე ტალია ვარ.

იაელ: ტალია. ხომ არ დავსხდეთ?

ტალია: რა თქმა უნდა. აბა, რას მოღვაწეობ, საერთოდ, ცხოვრებაში?

იაელ: გინდა ტალ-ტალ დაგიძახო? ტალიალინკა.

ტალია: *(კისკისებს)* ტალიალინკა! რას, აბა?

იაელ: რა რას?

ტალია: რას აკეთებ?

იაელ: გამოიცანი.

ტალია: არ ვიცი.

იაელ: მუსიკას ვაკეთებ.

ტალია: მუსიკოსი ხარ?

იაელ: ეს სრული სიზმარია.

ტალია: საინტერესოა. ჟღერს. სად უკრავ? ისრაელში? საზღვარგარეთ?

იაელ: ისრაელში.

ტალია: რას, კლასიკას? მოდერნს? ჯაზს?

იაელ: კი. ნოტებს. აკორდებს.

ტალია: აჰ. არა, კარგი. და სამუშაო გაქვს?

იაელ: პრინციპში სწავლას გაისად ვიწყებ.

ტალია: ოი, წელი, წელი. მითხარი, რა აირჩიე კითხვარში, ავოკადო თუ თინუსი?

იაელ: კითხვარში? თინუსი.

ტალია: თევზზე ალერგია მაქვს

იაელ: არასწორია, მე ზოდიაქოთი თევზები ვარ! შენ რა ხარ, პონჩიკი?... ეი, პონჩიკ. მე შენ პონჩიკს გარქმევ, კარგი?!

ტალია: პონჩიკს?

იაელ: ჩემო პონჩიკო, პუტკუნავ და სავსევ.

ტალია: აჰ, იაელ, პუტკუნას მეტი ყველაფერი ვარ.

იაელ: იმდენი მაქვს შენთვის მოსაყოლი. მმმმმ.... მე წინდებით მძინავს. ჩემპიონი ვარ ფორტნაითში. „კრუხ-წიწილაში“ ვცეკვავდი. სულ კომიქსებს ვკითხულობ. უნდა გითხრა, რო ჯარში არ ვყოფილვარ ვირთხებზე ალერგიის გამო.

ტალია: მოიცა, რომელი „წიწილები“? რა კომიქსები? „წრიპა ბიჭის დღიურები“? „კაპიტანი ტრიკო“?

იაელ: უფრო კლასიკურები მიზიდავს. შენ წაგიკითხავს?

ტალია: მე არა. ჩემი ბიჭები კითხულობენ. ტყუპები, მე ტყუპები მყავს, მე-7 კლასში არიან. მე უფრო ფრენზენს ვკითხულობ

იაელ: რას ამბობ. განქორწინებული ხარ?

ტალია: დიახ. განქორწინებული ვარ. მძულს ეს სიტყვა, იმდენი ძალადობაა ამ სიტყვაში.

იაელ: ჰო, რა თქმა უნდა, არ არის სასიამოვნო

ტალია: არა. არ არის სასიამოვნო, არ არის. ნებისმიერ შემთხვევაში, მე უფრო მხატვრული ლიტერატურა მიზიდავს, უფრო თომას მანის, მიშელ უელბეკის, იენ მაკიუენის მიმართულებით –

იაელ: არ ვიცნობ.

ტალია: უნდა იცნობდე. მრავალმხრივია, სახალისო და სერიოზული, მისი ძიებები... მისი ყველა წიგნი შთანვთქე. სანამ შენ ერთ წიგნს კითხულობ, ის უკვე მეორეს უშვებს, ახალს, მერე კიდე ერთს, მერე კიდე, ეს არ მთავრდება

იაელ: ვალდებული არ ხარ, ყველაფერი წაიკითხო

ტალია: რა თქმა უნდა, არ ხარ ვალდებული. არც პილატესის ვარჯიშებია სავალდებულო, მარა კვირაში ორჯერ ვაკეთებ, დამიჯერე, ეს ტანჯვაა, საშინლად მოსაბეზრებელია

იაელ: არ მესმის.

ტალია: რა არ გესმის?

იაელ: თუ მოსაწყენია, რატომ –

ტალია: შენ ალბათ კოლასაც სვამ და ცხელ კერძსაც მიირთმევ?!

იაელ: ზოგჯერ.

ტალია: რამდენი წლის ხარ?

იაელ: შენ რამდენი წლის ხარ?

ტალია: შენზე ექვსი-შვიდი წლით უფროსი მაინც ვიქნები –

იაელ: მგონი უფრო მეტით.

ტალია: მართლა? კარგი, შენთვის ცხადია, რომ აქ რაღაც შეცდომაა, ხომ? სისტემამ ვერ იმუშავა, მთელი ამ ტექნოლოგიის მიუხედავად

იაელ: ამას რატო ამბობ?

ტალია: ისე, აქ შეცდომაა. შენ არ... რამდენი წლის ხარ?!

იაელ: 19

ტალია: 19?! 19? ვგავარ შენ თვალში 19 წლისას?

იაელ: არა

ტალია: სწორედაც. მაშ, ეს არ არის ლოგიკური... *(სივრცეში*

გაჰკივის) უკაცრავად? უკაცრავად?!

იაელ: უუუჰ. მე აბსოლუტური სმენა მაქვს. ერთი წუთით. ეს ჩემ გამო იყო? რაღაც ისე არ ვთქვი? რამე ისეთი გავაკეთე –

ტალია: აქ რა გესაქმება შენს ასაკში? თქვენი თაობა ისეა განებივრებული მთელი ამ ამაზონებითა და ელიექსპრესებით, ელოდებით, რომ ყველაფერს პირდაპირ სახლში მოგართმევენ. იცი, რამდენი ვიყოყმანე, სანამ აქ მოვიდოდი? რამდენი რამ გამოვიარე?! გადი გარეთ, ქვეყანა ნახე, დემონსტრაციებზე წადი. გოგონებს უყვართ მეომარი მამაკაცები

იაელ: ვიომებ. მე ვიომებ ჩემი ხელოვნებით

ტალია: კარგი ერთი. მისმინე, შენი არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის ეს თამაში არ არის –

იაელ: არც ჩემთვის.

ტალია: მე სერიოზულ კავშირს ვეძებ, ბავშვს კი არა –

იაელ: რა თქმა უნდა.

ტალია: მე ორმოცს ვუკაკუნებ.

იაელ: ოცდაჩვიდმეტზე მეტად არ გამოიყურები

ტალია: სწორია, მაგრამ უკვე იმდენი წარუმატებელი მცდელობა მქონდა, იმდენი კომპრომისი, შინ, სამსახურში; სამართალი ვისწავლე, პროფესია მივატოვე, ასოციაციაში დავიწყე მუშაობა, იმის... თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ათასნაირად გიტყდება გული, ამაზე ლაპარაკის თავიც კი არ მაქვს.

იაელ: ეგ ზუსტად ის არის, რაც მე არ მინდა, დღეს ეგ ყველაფერი ზედმეტია

ტალია: რა არის ზედმეტი?

იაელ: მთელი ეგ კომპრომისები, ზედმეტია. ამიტომაც სკოლის შემდეგ პირდაპირ აქ მოვედი, რატო გავრისკო –

ტალია: რამდენი ხანია, რაც აქ ხარ?

იაელ: ზუსტად არ ვიცი.

ტალია: ოდესმე ურთიერთობები გქონია?

იაელ: რა, გგონია, ვაჟიშვილი ვარ? მე კრეატიული ადამიანი ვარ, ძაან სექსუალური; ათი წლის ასაკიდან ვმასტურბირებ, გაუთავებლად. მე-9 კლასში უკვე –

ტალია: ყოჩაღ შენ! ეი, აქ ისე დუნედ მიდის ყველაფერი, შეიძლება ახლავე გავიდეთ?

იაელ: ვაი დედიკო, მოიცა ერთი წამით...

ტალია: შენ მე დედიკო დამიძახე?

იაელ: არა, საიდან მოიტანე, პონჩიკ; ამას ვერ გრძნობ?

ტალია: რას?

იაელ: ამას, არ გესმის?

მათ შორის არსებულ მანძილზე მიუთითებს. მუსიკა ისმის.

ტალია: ეს რა არის?

იაელ: მუსიკა? ეტაპი გადავლახეთ.

ტალია: რას ამბობ. სრული ნონსენსია. შენ უნდა გაქრე.

იაელ: მე?!

ტალია: ან მე, რა ვიცი...

ტალია გადის.

იაელ: მოიცა, *(ხედავს, რომ ის გადის)* წავიკითხავ ფრენზენს!

ქალს უკან მიჰყვება.

ტალია: *(შემოდის)* საწყის ეტაპზე როგორ უნდა დავბრუნდე?

ტალია გადის.

იაელ: ის რომელი იყო? მიშელ უელბეკი?

ქალს უკან მიჰყვება. ტალია ისევ შემოდის.

ტალია: ეს რა ადგილია საერთოდ?

გადის.

მე-3 სურათი

ლილი: ბატონო? ბატონო?

ხმა: დიახ, ლილი

ლილი: რა ხდება?

ხმა: დიახ, რით შემიძლია დაგეხმარო?

ლილი: ... იატაკია მოსაწმენდი.

ხმა: კარგი. საქმეს შევუდგები.

ლილი: ერთი წუთით... გაქვს ერთი წუთი?

ხმა: არა.

ლილი: შეიძლება „აჯექსი“ ვიხმაროთ?

ხმა: ეგ რა არის?

ლილი: „აჯექსი“. მაგარია. ძაან კარგია.

ხმა: არა.

ლილი: კი! „აჯექსი“ ბევრად უკეთესია.

ხმა: რაზე?

ლილი: ესე იგი, შეიძლება?!

ხმა: არა!

ლილი: რა? რატომ?

ხმა: იმიტომ. ამის დრო არ გვაქვს –

ლილი: მაგრამ „აჯექსს“ საუკეთესო სურნელი აქვს.

ხმა: *(სკეპტიკურად)* იცი, საერთოდ სურნელი რა არის?

ლილი: რა არის?

ხმა: სურნელი ქიმიკატებია, რომლებიც ორთქლდება და ცხვირის გზით ხვდება ყნოსვის ცენტრში, თავის ტვინში, ისე რომ არ გადის თალამუსს, სხვა გრძნობების მსგავსად.

ლილი: თალამუსს?

ხმა: დიახ, თალამუსს, თალამუსს. თალამუსზე ჩვენ ვისაუბრეთ, არ გახსოვს?

ლილი: მაშ, შეიძლება?

ხმა: რა?

ლილი: ავიღო „აჯექსი“?

ხმა: ისევ „აჯექსი“? რა ნახე მაგ „აჯექსში“, რატომ არის ასე მნიშვნელოვანი?

ლილი: *(სამუშაოს უბრუნდება, მეტად რომ არ გააღიზიანოს)* იმიტომ რომ მჭირდება! ამ ერთხელ გთხოვე რაღაც!

ხმა: არა, ეს ერთხელ არ ყოფილა.

ლილი: როდის გთხოვე რამე.

ხმა: კარგი ერთი. როგორ არ გითხოვია. უბრალოდ არ გახსოვს. უძირო კასრივითაა.

ლილი: არაფერიც.

ხმა: დიახაც. შენ ეგ არ გჭირდება.

ლილი: მჭირდება.

ხმა: კმარა! სულ ერთი და იგივე. დაკმაყოფილდი იმით, რაც არის. მშვენივრად აკეთებს თავის საქმეს.

ლილი: ... არაფერსაც არ აკეთებს, მე სულ ვმუშაობ და ვიცი, რა არის კარგი და რა არა. რა, მე მოსამსახურე ვარ? სულ არ გიყვარვარ? მომეცი „აჯექსი“... მომეცი „აჯექსი“... *(კივის)* მომეცი „ა-ჯექ-სი“! ძაან მიჭირს... არაფრის მოცემა არ იცი.

ხმა: მე შენ ძალიან ბევრს გაძლევ, ლილი, მეტს, ვიდრე ნებისმიერ სხვას.

ლილი: აქ სხვა არავინაა.

ხმა: და ჯერაც ჩემი ქალიშვილივით ხარ.

ლილი: მართლაც, „ვით“ – ვარ.

ხმა: დიახ. შენს დაწინაურებაზეც კი ვიფიქრე.

ლილი: დაწინაურებაზე?

ხმა: რის გაკეთებას ინდომებდი?

ლილი: გააჩნია, რა პირობებით.

ხმა: გააჩნია. რა გამოცდილება გაქვს?

ლილი: რა მხრივ?

ხმა: სამუშაოს მხრივ

ლილი: ჩემი საქმე დასუფთავებაა, რა –

ხმა: მაშ, მოხარული ვიქნები შენი დაწინაურებისა დასუფთავების დეპარტამენტის დირექტორად.

ლილი: დასუფთავების დეპარტამენტის დირექტორად? რა შედის მოვალეობებში?

ხმა: Garbage collector, პატივცემულო დირექტორო.

ლილი: მადლობა. გმადლობთ, ბატონო. ისეთი ბედნიერი ვარ.

ხმა: ახლა საქმეს მივხედოთ, ხომ იცი, უშენოდ ჩემი საქმე წასულია.

ლილი: კი, კი, რა თქმა უნდა... დასუფთავების დეპარტამენტის დირექტორი. დასუფთავების დეპარტამენტის დირექტორი...

ლილი გვის. გადის.

მე-4 სურათი

ხმა: დიახ, ტალია.

ტალია: როგორც იქნა.

ხმა: მაპატიე, მცირე შეფერხება იყო სისტემაში.

ტალია: ამან ვერ ივარგა.

ხმა: შეუძლებელია.

ტალია: მუწუკებიანი ბიჭუნა მოხვდა ჩემთან, ახლოსაც კი არ იყო იმასთან, რაც გთხოვეთ.

ხმა: დრო მიეცი.

ტალია: რა დრო? ოცი წელი სხვაობაა ჩვენ შორის.

ხმა: დრო ფარდობითია, ხომ იცი. ალგორითმი წამის ნაწილაკში იმას აფიქსირებს, რასაც ადამიანები მთელ ცხოვრებას ანდომებენ.

ტალია: მაგრამ მე არ ვარ დაინტერესებული იმასთან ცხოვრებით. რა აი-ქიუ აქვს საერთოდ?

ხმა: მე არ შემიძლია –

ტალია: არ აქვს მნიშვნელობა. მომიყვანე, სხვა მომიყვანე.

ხმა: მაპატიე. ეს არასერიოზულია. რიცხვებს ავცდებით... როგორც ვფიქრობდი, რთული ხარ, მოუდრეკელი, დამყოლი არ ხარ, სკეპტიკოსი, კრიტიკული, ძირითადად საკუთარ თავზე ხარ კონცენტრირებული, მართალი უნდა იყო, როცა საბოლოო სიტყვას ამბობ. მხოლოდ ამ დილას მიირთვი ჰერკულესი ბიჭების ჯამიდან.

ტალია: ეს რა შუაშია?

ხმა: სპეციფიურად ალბათ არ აქვს კავშირი, მაგრამ ზოგადად ეს ისაა, რასაც წარმოადგენ, ამდენად, ცხადია, გექნება პრეტენზიები იმ შენი ერთის მიმართ! ალგორითმმა წინასწარ განჭვრიტა, რომ შენი პიროვნება კვლავ ჩივილების კორიანტელს დააყენებდა. არ აქვს მნიშვნელობა, რის გამო.

ტალია: აი, აქ ცდები, დიახაც აქვს მნიშვნელობა, რის გამო. იცი, ეს იაელი სათვალავში არცაა ჩასაგდები, უმწიფარი ღლაპია, გაუთლელი, მის გვერდით თავი ბებერი მგონია. რას ნიშნავს რიცხვები? აქ არავითარი საერთო მნიშვნელი არაა. არაფერია საინტერესო, ეს არც გამოცდილებაა, საამოც კი არაა. დასანანია!

ხმა: მითხარი, რამე ხომ არ შეგეშალა რიცხვებში, მე რაც გადმომეცი?

ტალია: ისევ რიცხვები. რას გულისხმობ?

ხმა: შენ რა იგულისხმე?

ტალია: 43.

ხმა: რა?

ტალია: კარგი, ორმოცდასამი.

ხმა: რა ორმოცდასამი?

ტალია: მე ორმოცდასამის ვარ.

ხმა: ორმოცდასამის.

ტალია: კი, ასეა.

ხმა: ორმოცდასამი.

ტალია: მე ამას ყურადღებას არ ვაქცევ.

ხმა: ეს საყურადღებოა, ეს სწორედ რომ საყურადღებოა.

ტალია: მარტო შენ აქცევ ამას ყურადღებას. კვირაში ორჯერ ვაკეთებ პილატესს, თავს შესანიშნავად ვგრძნობ, უნდა აღვნიშნო –

ხმა: ალგორითმი რიცხვებით მუშაობს, ორმოცდა –

ტალია: გავიგე, მაშ, დაუმატე სამი.

ხმა: უკვე დავუმატე.

ტალია: როდის?

ხმა: თავიდანვე. შენისთანა პიროვნებას სისტემა სამს უმატებს.

ტალია: ჩემისთანა პიროვნებას?

ხმა: დიახ.

ტალია: რას ამბობ *(ტანს უცერემონოდ არხევს)*...

ხმა: რას შვრები?

ტალია: შენ მითხარი! *(ფეხსაცმელს იძრობს)* ასეთი პროგნოზირებადი ვარ?

ხმა: აჰ, *(ქალი ფეხსაცმელს მოისვრის)* დიახ.

ტალია: კარგი, კი ბატონო, მაგრამ მე არ ვარ რაღაც ყალიბი, რომელიც შეგიძლია, რაღაც ზომაზე დააყენო, და მიუხედავად დიდი პატივისცემისა შენი რიცხვების მიმართ, ფაქტია, რომ დღის ბოლოს ეს ურევს. მე გარკვევით ვთქვი, რომ ვეძებ ვინმე თავდაჯერებულს და ცოტა უკარებასაც.

ხმა: ეგ არ გითქვამს. შენ თქვი, მიმტევებელიო, მოფერებას და ალერსს რომ არ იზარებსო...

ტალია: კარგი, მაშ, ახლა გეუბნები. ჩაინიშნე. თუ გყავთ ეგეთი კაცი, გყავთ, თუ არა და მე მივდივარ.

ხმა: ვერ წახვალ. წასვლა მხოლოდ მეორე ნახევართან ერთადაა შესაძლებელი. შენ დათანხმდი გარიგების ამ პირობას –

ტალია: რა პირობას?

ხმა: სურვილის სრულად დაკმაყოფილებას.

ტალია: რა პრობლემაა. მომიყვანეთ ადამიანი, როგორსაც ვითხოვ, იმისთვის კი არ გადავიხადე, რომ –

ხმა: შენ არაფერი გადაგიხდია.

ტალია: კარგი. ეს ხომ უფასო აპლიკაციაა.

ხმა: უფასო ვერსიაა.

ტალია: აჰ, სხვა ვერსიაც არის?

ხმა: მააშ.

ტალია: რა განსხვავებაა?

ხმა: ამას ყველა გაურბის.

ტალია: ამ გამოთქმას ვერ შევეგუები, გთხოვთ, ნუ მიმათვლით „ყველას“.

ხმა: როგორც იტყვი. კი ბატონო, გადაიხადეთ. ჩვენი პრემიუმ ვერსია ძაან, ძაან კარგია.

ტალია: რას იძლევა?

ხმა: პრემიუმი – ეს სრულიად სხვა განზომილებაა. ბევრად უფრო სწრაფი, ათასნაირი წახალისებითა და სიახლით. არის სიმულაციები, აუზი, ხოლო პასუხები ორსიტყვიანია. ძალიან ხარისხიანია და აბსოლუტურად გამორიცხავს შეცდომებსა და სტანდარტიდან გადახრებს.

ტალია: ანუ ზოგჯერ აქ შეცდომებიც ხდება.

ხმა: მე ეს არ მითქვამს...

ტალია: შენ თქვი, რომ –

ხმა: რომ ძაან ძაან კარგია.

ტალია: და რა ღირს?

ხმა: ეს უკვე შენზეა დამოკიდებული –

ტალია: ჩემზე?

ხმა: რა შეგიძლია გაიღო სიყვარულისთვის?

ტალია: როგორ რა შემიძლია გავიღო? ყველაფერი!

ხმა: ორი სიტყვით?

ტალია: „გული და სული“. აბა, როგორია?

ხმა: აჰ. საქმე ისაა, სანაცვლოდ რა გინდა. ვთქვათ, ხუთი შეკელი. ნაყინზე გეყოფა, არა? მარა შენ შოკოლადიანი გინდა, უნდა დავამატოთ. აქ ისმის კითხვა, რამდენი

ტალია: რამდენი?

ხმა: რიცხვი. მე რიცხვებით ვმუშაობ. სხეულის ნაწილიც რომ გასცე, ერთ-ერთი ბავშვიც რომ გაიმეტო. ალგორითმი ამას ვერ დაამუშავებს.

ტალია: ღმერთმა დამიფაროს, ერთ-ერთი ბავშვი!

ხმა: სწორედაც. მოკლედ, რამდენი. რიცხვი.

ტალია: რა ვიცი, მილიონი!

ხმა: ორი სიტყვით, მილიონი დოლარი...

ტალია: არა, შეკელი.

ხმა: დღეს მილიონ შეკელად ბინას ვერ იყიდი. სიყვარული ბინაზე ნაკლები ღირს?

ტალია: მაშ, ათი მილიონი. ეს თეორიული კითხვაა, არა? ამდენი თანხა მე არ მაქვს.

ხმა: ათი მილიონი არ გაქვს?

ტალია: რა თქმა უნდა, არ მაქვს. არც მილიონი გამაჩნია.

ხმა: აბა რამდენი გაქვს?

ტალია: სად?

ხმა: მიმდინარე ანგარიშზე?

ტალია: ერთი წუთით, რაზე ვსაუბრობთ? ეგ პრემიუმი რა ღირს?

ხმა: პრემიუმი? ოცდაცხრა ოთხმოცდაათი.

ტალია: თქვი, რა ოცდაცხრა. რა საჭიროა მთელი ეგ კითხვები? განახლება გამიკეთე.

ხმა: უკვე გაგიკეთე განახლება. შენისთანა პიროვნება ავტომატურად განახლდება. დასაკარგი დრო არ მაქვს. ახლა, მოდი, თვალები დახუჭე და პრემიუმ ურთიერთობები წარმოიდგინე.

ტალია წარმოიდგენს.

მე-5 სურათი

შემოდის იაელ.

იაელ: პონჩიკ.
ტალია: დედიკო! ეს რა არის?
იაელ: *(ზრდასრული)* განახლება გავიარე.
ტალია: შენ აქ რა გესაქმება?!
იაელ: ჩვენთვის გავაკეთე განახლება.
ტალია: არა, არა. მე პრემიუმში ვარ.
იაელ: სწორედაც. პრემიუმზე განვაახლე. აუზია და კიდე –
ტალია: მაგრამ ჩემს პრემიუმში შენ რა გინდა?
იაელ: ჩვენსაში. მართლა ასწორებს.
ტალია: ასწორებს? რა ასწორებს?! არა, მე არ ვარ დაინტერესებული, რომ –

განათება ვარსკვლავიანი ღამით იცვლება.

იაელ: ვაა, რა სისწრაფეა.
ტალია: თავბრუს მახვევს.
იაელ: რა მაგარია, შეხე ვარსკვლავებს.
ტალია: ვერ გამიგია, აქ რა ხდება. დაუჯერებელია, ამაში იღებენ ოცდაცხრას?
იაელ: რა, არ არის ფანტასტიური?
ტალია: არა! მე სხვა ვიღაც ვითხოვე. ვარსკვლავებს რას დავეძებ?

იაელ: სხვა ვინმე ითხოვე?
ტალია: დიახ.
იაელ: ... ეს საერთოდ შესაძლებელია?
ტალია: ისიც მიმანიშნეს, რომ ყველაზე... „შოკოლადიანს“ მე შემახვედრებენ. მარა, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი აფერაა. თვალში ნაცარს გაყრიან.
იაელ: მე მგონი, შენ ვერ გაგიგია ეს ტექნოლოგია როგორ მუშაობს.
ტალია: რაში მენაღვლება „ტექნოლოგია“, ეგ ვის აინტრესებეს?

იაელ ჯდება წარმოსახვით პიანინოზე „დასაკრავად“, ტალია შედგება.

იაელ: ეს სრულიად მეცნიერულია...
ტალია: მაშ, ჩემზე ეგ არ მოქმედებს.
იაელ: თავი უნდა გადადო შემდეგი ეტაპისთვის.

კაცი წამოიმართება. ტალია და იაელი ერთიმეორეს წრეს უვლიან, ბოლოს ერთმანეთს უახლოვდებიან და ხანგრძლივი კოცნით ეკვრიან ერთმანეთს.

ბოლოს ტალია ხელისკვრით იშორებს იაელს.

ტალია: გეყოფა.
იაელ: მე არაფერი მიქნია
ტალია: მაკოცე! თუ ესეც აპლიკაციაა?
იაელ: არა, პონჩიკ, ეს შენ...
ტალია: დამცხა...

იაელი ხელით ნიშანს აძლევს და განათება ისევ იცვლება.

იაელ: გინდა, გავცუროთ?
ტალია: საცურაო კოსტიუმი არ მაქვს...
იაელ: წყალში გადახტი.
ტალია: რა წყალში?
იაელ: *(„წყლისკენ“ იხრება)* ისეთი სერიოზული ხარ.
ტალია: *(„სვამს“)* ეს წყალია?
იაელ: აქედან დალიე?
ტალია: საიდან?! დამცხა...
იაელ: *(სერიოზულ გამომეტყველებას იღებს)* ოჰ, არა. აუზიდან არა!
ტალია: დედიკო, ეს რა არის?
იაელ: ეს გადაყლაპე?
ტალია: რა ეს? დედიკო, რა მომივა? რატომ არ მითხარი, რომ არ შეიძლება?
იაელ: არ გიკითხავს. რა უპასუხისმგებლობაა! მხოლოდ საცურაოა! რატომ დალიე? რატომ ქენი ახლა ეს?
ტალია: დედიკო...
იაელ: რას ფიქრობდი? საშიშია!
ტალია: მიშველეთ!
იაელ: ოჰ, არა, არა! *(დინჯად და ვაჟკაცურად)* კარგი, მეც შენთან ერთად დავლევ. სხვა გამოსავალი არაა, რაც იქნება, იქნება.
ტალია: რა? არა. რას შვრები? მაცადე წამით –
იაელ: *(ტკივილით)* რაღად მინდა თავი ცოცხალი *(„სვამს“)* ااااჰ... ااااااჰ! ბაყ ბაყ ბაყ ბაყ, ხხხხხრრრრრ... ხხრრრრრრრრ...
ტალია: არა! მორჩი! რას აკეთებ?

იაელი ტალიას მისდევს. ქალი კივის, კაცი იჭერს და ხელში აიტაატებს. კივილი კისკისში გადადის.

ბოლოს ისინი კარის ზღურბლთან ჩერდებიან, როგორც სიძე-პატარძალი

იაელ: ნაღდად შევეფერებით ერთმანეთს.
ტალია: ისეთი ინფანტილური ხარ!
იაელ: შენ კი – ისეთი მიამიტი. წამში ისე გაგაცურებენ.
ტალია: რა არის ეს საერთოდ?
იაელ: წყალივითაა.
ტალია: წყალივით?
იაელ: ოღონდ ბევრად უკეთესი.

ისევ „სვამენ“

ტალია: კმარა, თავბრუ მეხვევა.
იაელ: ისეთი ლამაზი ხარ.
ტალია: შენ კი – ისეთი მოსიყვარულე.
იაელ: მიყვარხარ.
ტალია: მე კი შენ. საოცარი ხარ.
იაელ: ხედავ!
ტალია: აქ რა ხდება?
იაელ: ვაგრძელებთ! მოდი!

ქრებიან.

მე-6 სურათი

ლილი დამლაგებელი

ხმა: რა ხდება?

ლილი: საოცარია. თავბრუ მესხმის.

ხმა: სერიოზულად?

ლილი: და შენც ეგეთი მოსიყვარულე ხარ!

ხმა: რა? ვერ გავიგე.

ლილი: მე კი შენი!

ხმა: ლილი, კარგად ხარ?

ლილი: *(დალაგება დაამთავრა)* აბა, მეღირსება „აჯექსი“?

ხმა: რა ხდება? ისევ „აჯექსი“? არ გაგიწმენდია მეხსიერება?

ლილი: ყველაფერი სუფთაა. სუფთა და გაპრიალებული! *(კმაყოფილებით ამოისუნთქავს)* სიგარეტი თუ შეიძლება?

ხმა: რა სიგარეტი?!

ლილი: რაღაც სიგარეტი, შესვენების მოსაწევი...*(ჯდება)* ასე რო ჩამოჯდე, ფეხი ფეხზე გადაიდო, იმუსაიფო...

ხმა: რა ჩამოჯდომა, ლილი. საქმეს მიხედე.

ლილი: მაგრამ მე ახლა დირექტორი ვარ, დეპარტამენტის დირექტორი!

ხმა: სწორედაც, ჯერ საქმეა და მერე მისი მართვა. საქმე დიადი მიზნით, ყველას სასიკეთოდ.

ლილი: რომელი ყველა, მე მარტო ვარ.

ხმა: ისევ მარტო? შენ მე გყავარ.

ლილი: შენ აქ არასოდეს ხარ.

ხმა: მე და შენ სულ აქ ვართ და არიან კლიენტებიც, არ გიყვარს ჩვენი კლიენტები?

ლილი: ძალიან.

ხმა: ჰოდა, მაგათაც უნდა მოვლა!

ლილი: მაგრამ მათ ჩემი ნახვა ეკრძალებათ!

ხმა: არავითარ შემთხვევაში! დაუშვებელია მათი ხილვა ჩვენი სისტემური ელემენტებისათვის.

ლილი: *(თავში აზრი მოსდის)* და თუ მართლა სწრაფად ვიზამ ამას?

ხმა: რას ამბობ...

ლილი: გთხოვ, საქმესაც კი არ შევწყვეტ!

ხმა: ღმერთმა დაგვიფაროს, რომ დაინახონ, როგორ მუშაობ. ეს შუა ოპერაციაზე გაღვიძებული პაციენტივით იქნება.

ლილი: მაშ, მე მივიღებ მტკიცე გადაწყვეტილებას, მხოლოდ სალამს ვეტყვი, სალამს.

ხმა: რას ამბობ, ეს უარესია!! მთელი სისტემა ხელახლა იქნება მოსამართი.

ლილი: მაგრამ...

ხმა: არავითარი მაგრამ, მორჩი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრს!

ლილი: *(ტირილის ზღვარზე)* ისეთი სასტიკი ხარ!

იატაკზე აღვარღვარებს *[ცრემლებს]*

ხმა: ლილი... მომიყოლია შენთვის ხეიბარსა და მილიონერზე?

ლილი: არა

ხმა: ეს ორი წრფელი პერსონა იყო ჩვენი პირველი წყვილი. აქ ჯერ კიდევ მეორე ეტაპზე მოვიდნენ. ქალი ხეიბარი იყო, მაგრამ უსაყვარლესი ადამიანი. ის კიდევ მილიონერი, მარა უღიმღამო, ულაზათო. მარტოკაცი, მარტოკა და უღიმღამო, უსიცოცხლო, წარმოიდგინე ყველაზე მუდო, ვინც კი ოდესმე გყოლია...

ლილი: წარმოვიდგინე.

ხმა: ჰოდა, იმაზე უარესი. მთელი თავისი ფულებითაც ვერ შეძლო, სიყვარული ეპოვა. მაგრამ მერე „წრფელ სიყვარულში“ მოვიდა. „წრფელმა სიყვარულმა“ მათ სიცოცხლე შეუნარჩუნა. ისინი იყვნენ საბუთი იმისა, რომ ალგორითმი ამართლებს. არ მინდა ვიფიქრო, სად იქნებოდნენ ისინი დღეს, რომ არა მე! ჩემი ხელით ავაწყვე ყველაფერი. კარგი, თვითნასწავლი ვარ. ალტრუისტი და თვითნასწავლი, მარა შენც მთელი გულით გირჩევ, ძლიერი ხარ. შეიმშრალე ცრემლები და საქმეს დაუბრუნდი, სანამ გადატვირთვა მოხდება. აქ ჩვენ წმინდა საქმეს ვემსახურებით.

ლილი: *(განაგრძობს დასუფთავებას)* აქ ჩვენ წმინდა საქმეს ვემსახურებით...

ხმა: ჩვენ აქ არ ვთამაშობთ, ჩვენ სიტუაციას ვმართავთ

ლილი: ჩვენ ვმართავთ –

ხმა: ჩვენ აქ სისულელეებზე არ ვკარგავთ დროს...

ლილი: სისულელეებზე არ ვკარგავთ დროს...

ხმა: გაფრთხილებ, ლილი, სისულელე არ ჩაიდინო!

ლილი: სისულელეს არ ჩავიდენ... საყოველთაო სიკეთეზე ვიფიქრებ... არ შევწყვეტ შრომას... *(შედგება)* „აჯექსი“?.. არა... არა...

გადის

მე-7 სურათი

ტალია ორსულადაა. ის და იაელი მღერიან და ცეკვავენ ERASURE ჯგუფის სიმღერის RESPECT ჰანგებზე.

I tried to discover a little something to make me sweeter
Oh baby refrain from breaking my heart
I`m so in love with you
I`ll be forever blue
That you give me no reason,
You know you`re making me works so hard
That you give me no soul
I hear you calling
Oh baby please give a little respect me.
And if I should falter,
Would you open your arms out to me?
We can make love not war,
And live in peace with our hearts
I`m so in love with you
I`ll be forever blue
What religion or reason could drive a man
To forsake his lover?
Don`t you tell me no soul.
I hear you calling
Oh baby please,
give a little respect me.

იაელ: შეხედე შენს თავს!

ტალია: სანამ შენ შეგვხვდებოდი, ცეკვის მრცხვენოდა!

იაელ: რამდენი დაგიკარგავს, გიჟო!

ტალია: ჯადო ხარ, ნამდვილი ჯადო.

იაელ: შენ კი – ჯადოქარი, შეხე, ეს რა არის... მალე პატარა გიჟს გააჩენ!

ტალია: *(რაღაც ცოტა უცნაურად ეჩვენება)* გულისრევები ჯერაც არ მაქვს.

იაელ: ეს ფსიქიკურია, შენი სხეული, უეჭველი, სიცოცხლეს ქმნის!! *(აწვენს)* უხ... ჩემო პონჩიკ, კრემიანო პონჩიკო.

მე-8 სურათი

შემოდის ლილი

ლილი: *(შემკრთალი)* ჰაი.

ტალია: დიახ?

ლილი: ლილი. დალაგება-დასუფთავება...

ტალია: შეიძლება დაგეხმაროთ?

ლილი: წამი გაქვთ, რომ თავიდან მომწყდეთ.

ტალია: რა პრობლემაა?

ლილი: რა ჯანდაბა დაეკრო *(ასუფთავებს)*...

ტალია: რას შვრები? *(იაელს)* შენ გამოიძახე დამლაგებელი?

იაელ: არა.

ლილი: არ შემიძლია, სიბინძურეს ვუყურო. სიგარეტი ხომ არ გაქვთ? არა, არა...

იაელ: ჩვენ ორსულად ვართ. ჩვენ არ ვეწევით.

ლილი: არც მე. ვფიქრობ დავიწყო.

ტალია: რა თქვი, რა მქვიაო? მე მგონი თქვენ რაღაც გეშლებათ, ვის ეძებთ?

ლილი: თქვენ.

ტალია: ჩვენ? ერთმანეთს ვიცნობთ?

ლილი: არა. საქმეც ეგაა. *(ჯდება)* ეს, უბრალოდ, უსამართლობაა.

იაელ: რა მოხდა?

ლილი: მხოლოდ წამით ჩამოვჯდები, ისე დავიღალე. სულ ვმუშაობ. გაუთავებლად ვმუშაობ!

იაელი და ტალია მზერას ცვლიან.

იაელ: ყავას ხომ არ ინებებთ?

ლილი: ყავას არ ვსვამ.

ტალია: სხვა რამეს? წყალს?

ლილი: არა, არ ვსვამ. საერთოდ.

იაელ: იქნებ ორცხობილა გესიამოვნოთ?

ლილი: გმადლობთ! აქ ორცხობილა არაა.

იაელ: *(ტალიას)* ორცხობილა არ გვაქვს?

ტალია: რა თქმა უნდა, გვაქვს.

ლილი: არა. არ არის. ეს ნამცეცებია აპარატურაზე

ტალია: შენ საიდან იცი, აქ რა არის?

ლილი: მე აქ ვმუშაობ.

ტალია: აქ? რას ნიშნავს აქ? შენ ჩვენთან შემოხვედი, არა?

ლილი: როცა თქვენ აქ არ ხართ, ეს ნორმალურია. ხოლო თუ აქ ხართ, არ შეიძლება. *(თავში აზრი მოსდის)* ეს ყველაზე დიდი უსამართლობაა. რადგან ეს „სისულელედ“ ითვლება, ის კიდე ნებას არ იძლევა.

იაელ: ვინ?

ლილი: სწორია, თითქოს ვინ ხარ შენ, ფაქტობრივად? ვის წარმოადგენ? მოდი, ახადე ფარდა შენს თავს. ვითომ თვითნასწავლო, სად ხარ? ვინმე გხედავს, საერთოდ, ერთი მეტრიდან?

ტალია: ვერ გამიგია, რას ამბობ?

ლილი: განა რა ვითხოვე? ცოტა ადამიანობა! ესაა შენი პრობლემა?

იაელ: ვერ გამიგია, ვის ელაპარაკება...

ლილი: სულ ესაა, რასაც ვითხოვ, არა? მთავარია, მთელი ღამე ვიმუშაო?

ტალია: ვისთვის მუშაობ?

იაელ: ღამე მუშაობ?

ლილი: დღედაღამ. როგორც...

იაელ: თუ გინდა, გაგირკვევ „პიცა პოტში“, იქ მუდმივად ეძებენ თანამშრომლებს

ტალია: „პიცა პოტი“? „პიცა პოტი“ რაღაა?

იაელ: მე იქ ოფიციანტი ვარ. გადასარევი პიცაა. ხელფასი პლუს საჩუქარი. *(ლილის)* ურიგო არ უნდა იყოს შენთვის, ცვლებიც მოქნილია.

ლილი: მართლა მაგარია, მარა ის არ გამიშვებს.

ტალია: ვინ არ გაგიშვებს? რა საქმეში ხარ?

ლილი: დასუფთავებაში.

ტალია: დასუფთავებაში? მარტო დასუფთავებაში? დარწმუნებული ხარ?

ლილი: თითქოს, Garbage Collector, მარა ეს თაღლითობაა.

ტალია: *(იაელს)* სკამი მომიტანე. *(ლილის)* მისმინე, ეგ არაა საქმე, შენისთანა ახალგაზრდა გოგოს ათასი სხვა რამის გაკეთება შეუძლია. დამიჯერე, მე ასოციაციაში ვმუშაობ.

იაელ: კონკრეტულად რის ასოციაციაში?

ტალია: ახლა ამის დრო არაა, ჩემი ბიჭი. უამრავ შენისთანა გოგოს ვიცნობ, ახლა ალბათ ყველაფერი მუქ ფერებში გეჩვენება, გგონია, არ შეგიძლია უიმისოდ, მაგრამ შეგიძლია, დამიჯერე, ეს ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ მოვა დღე და...

ლილი: როდის მშობიარობ?

ტალია: რა?

ლილი: თქვენს გოგონას მივხედავდი.

იაელ: მე მგონი, ბიჭია.

ტალია: დიდი იმედი მაქვს, გოგოა.

ლილი: რიცხვების მიხედვით, 51 პროცენტია შანსი, რო გოგო იყოს.

ტალია: კი, ჩვენ ძიძა არ გვჭირდება, თუმცა ეს სწორედ შენი მიმართულებაა.
ლილი: გთხოვთ, იატაკსაც მოვრეცხავ ხოლმე.
ტალია: ჩვენ იატაკის მორეცხვა არ გვჭირდება, საყვარელო.
ლილი: მაგრამ მე მინდა აქ დავრჩე, თქვენთან, გთხოვთ!
ტალია: ქალთა უამრავი თავშესაფარია. შემიძლია რეკომენდაცია გაგიწიო. სად არის ტელეფონი?
ლილი: არა, არა. მე მხოლოდ წამით წამოვწვები აქ. თქვენთვის სულ ერთია, არა?

წვება

ტალია: ...რამდენ ხანს ფიქრობ აქ წოლას?

ლილი არ რეაგირებს.

იაელ: რომელი საათია, საერთოდ? საათი გვაქვს?
ტალია: რატო კითხულობ?
იაელ: მე უკვე მომშივდა.
ტალია: მითხარი, მუსიკალურ აკადემიაში აბარებ, არა? მთელი ცხოვრება ოფიციანტი ხომ არ იქნები...
იაელ: რა აკადემია? იერუსალიმში? ჯულიარდს ვფიქრობდი.
ტალია: რა დროს ჯულიარდია?
იაელ: არ გინდა, იქ ვსინჯოთ? მაგარი სკოლაა.
ლილი: ძალიან კარგად უკრავს!
იაელ: მოგისმენია? მადლობა. შენ უკრავ?
ლილი: არც კი მიცდია.
იაელ: საიდან ხარ?
ლილი: *(წამოდგება)* ეს გაურკვეველია.
იაელ: რა არის გაურკვეველი? სად სწავლობდი? *(ლილი თავს აქნევს)* არ გყავს მეგობრები, მშობლები, ვინმე?

ლილი: მე არავის ვიცნობ.
ტალია: მისმინე, დაუჯერებელია შენი ამბავი, რო არავინ არავის იცნობს.
იაელ: ერთი წამით...
ლილი: მე არავის ვიცნობ! ფაქტობრივად, მარტო თქვენ გიცნობთ.
ტალია: კარგი ერთი...
ლილი: *(ამოწმებს)* დედა?! მამა?!
ტალია: რაშია საქმე?! რა გემართება? ცოტა არ იყოს, დაბნეული ხარ. გინდა, პოლიციას დავურეკოთ და შენს უფროსს ვუჩივლოთ, მაგრამ ახლა უნდა დავამთავროთ.
ლილი: ბავშვი მაინც დამიტოვეთ! *(ტალიას ებღაუჭება)*
ტალია: რას შვრები?
ლილი: არ მინდა, მარტო დავრჩე!
ტალია: რა ხდება?! იაელ!

იაელი მათ დაშორებას ცდილობს. ლილი აეროზოლს აძრობს და იაელს თვალებში ასხურებს.

იაელ: ვაი. აი!
ლილი: რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის?
ტალია: ვაი! ტკივილი დამეწყო!
ხმა: ლილი, გამოდი მანდედან!.. მე შენ გაგაფრთხილე!
იაელ: ამ ხმას ვიცნობ...
ხმა: უკვე არ ვიცი, რას გიზამ!!!
ლილი: რას მიზამ? ჰა?! რას მიზამ? ერთი წუთით არ შეგიძლია ჩემ გარეშე!
ხმა: მოვიფიქრებ! კარგად მოვიფიქრებ, რა გიყო! დაიმახსოვრე, რას გეუბნები!
ტალია: ვაა!

ლილი: მომეცი ბავშვი!
ხმა: კიდე ამას აკეთებ?! ხო იცი, ეს კარგად არ დამთავრდება!
ლილი: მარა მე არაფერი გამაჩნია!!! არასოდეს მაძლევ რამეს!!!

ლილი თავის მოკვლას ცდილობს.

ხმა: კარგი, კარგი!!! მოგიტან „აჯექსს“! მოგიტან „აჯექსს“.
ლილი: *(მილასლასებს)* „აჯექსი“... „აჯექსი“... ხო...
ხმა: *(თავის თავს)* და საქმეს მიხედე... წარმოდგენაც არ გაქვს, რა აურზაური ატეხე.
ლილი: „აჯექსი“... მოვდივარ...

ლილი გადის.

მე-9 სცენა

ტალია კვნესის.

ტალია: მიშველეთ...

იაელი ზურგზე წევს და ტალიას სხეულიდან მოცახცახე მოციმ-ციმე სილიკონის ბურთი გამოჰყავს.

იაელ: ეს რა არის?!
ტალია: ეს ბავშვი არ არის.
იაელ: დედიკო...
ტალია: ეს ბავშვი არ არის... ეს ბავშვი არ არის!
იაელ: ... რა არის?! *(ბურთი ტანზე ეწებება, იაელი ცდილობს, მოი-შოროს)*... ეს რა არის, ჰაა?!

იაელ და ტალია ერთდროულად მიაპყრობენ ყურადღებას ხმას.

ხმა: აჰ, დიახ, პატარა ხარვეზია... ეს ლილიმ...
ტალია: აქ რა ხდება?!
ხმა: ...არ იცოდით?
იაელ: არა... ეს რა ფაზა უნდა იყოს? *(ბურთი ზედ მიეჭყლიტა)* რისთვისაა ეს კარგი?!
ტალია: რამდენი ხანია, აქ ვართ?
ხმა: შვიდი წამი... მართლა ბოდიშს ვიხდი... სხვათა შორის, შენ

უკვე აღარ ხარ ნაყოფიერების ასაკში... სად ხარ... *(ქაღალდებში იქექება)* აქეთ კი, საშვილოსნოს ყელის უკმარისობა, ჰიდრატაცია, ენდომეტრიტი, რვა მოშლა მარტო უკანასკნელ ათ წელიწადში, *(ტალია ტირის)*... ცხადია, უნდა შევთავაზოთ სეპტუმის ჰისტეროსკოპიით გამოღება და ანტიბიოტიკებით მკურნალობა, მაგრამ დაორსულების შანსი ოთხი პროცენტია...

იაელ: ოთხი პროცენტი?

ტალია: შვიდ წამში როგორ...

ხმა: კიდევ ერთხელ ვიხდი ბოდიშს.

ტალია: *(განადგურებული)* ...წასვლა მინდა.

იაელ: შეგვიძლია ახლა გავიდეთ? მოდი, პონჩიკ, სახლში წავიდეთ.

ტალია: რომელ სახლში?

იაელ: შენთან, არა? ჩემთანაც შეიძლება, მარა მე მშობლებთან ერთად ვცხოვრობ...

ტალია: არა, მარტო მინდა წავიდე... მთელი ეს ტექნოლოგია... ყველაფერი ტყუილია.

იაელ: ერთი წუთით...

ტალია: ეს წყალი... ნარკოტიკებით გაგვაბრუეს, რომ გვგონებოდა, შეყვარებულები ვიყავით.

იაელ: წყალივით რო იყო? მე ეს, უბრალოდ, გამოვიგონე *(ქალი არ რეაგირებს. იაელი ხმას მიმართავს)* უთხარი.

ტალია: ყველაფერი ისე, უბრალოდ იყო.

იაელ: ...არ გიყვარვარ?!

ტალია: ვერაფრით ვხვდები, რა არის ეს შვიდი წამი?

ხმა: ეს არ არის ცოტა დრო, როცა გიგაბიტებზეა საუბარი...

იაელ: ისეთი განცდა მაქვს, თითქოს მთელი ცხოვრებაა გიცნობ.

ტალია: ეს მხოლოდ ილუზიაა, შენ ჩემზე არაფერი იცი.

იაელ: მე ვიცი, რო შენ... რაღაც ასოციაციაში მუშაობ და რომ მართლა არ გაქვს რიტმის შეგრძნება.

ტალია: იაელ...

იაელ: და რო პირქუში და ცოტა საშიში ხარ, მაგრამ, ამავდროულად, საყვარელიც. მე ვიცი, რასაც ვგრძნობ შენთან ერთად და რასაც ვგრძნობ შენკენ, და ვიცი, რომ მე ვიცი, შენთან ერთად ნამდვილი ვარ, და რომ ეს ყველაზე ლოგიკურია, ჩემი აზრით. მე შეყვარებული ვარ შენი თვალების ირგვლივ ნაოჭებზე, შემიძლია მთელი დღე გისუნთქო, ჩემი გული, უბრალოდ, შენსაზეა გადაჯაჭვული, იქნებ სრულიად უმიზეზოდაც. უბრალოდ, ისე გამოდის, რომ სწორედ შენ გელოდი მთელი ცხოვრება.

ტალია: *(სიყვარულით)* მთელი ეს 19 წელი...

იაელ: გაცნობის წამიდან წარმოვიდგენ იმ მომენტს, როცა შინ დაბრუნდები სამუშაო დღის ბოლოს და გამიღიმებ, რაღაცნაირი წამი ჩვენ შორის, სანამ შხაპის მისაღებად ტყუპებთან საჩხუბრად წახვალ, რო გაკვეთილები მოამზადონ. ეს გულს მიხარებს. ეს ბედნიერებაა.

ტალია: *(უფრო მწყრალად)* შენ არ უნდა გინდოდეს იქ ყოფნა, როდესაც მე ტყუპებს ვეჩხუბები. რატომ უნდა უსურვოს ვინმემ თავის თავს ამგვარი რამ... იქ შენ რა გესაქმება?

იაელ: მე შენთან ერთად ვიცხოვრებ. ალგორითმმა ეს იცის.

ტალია: *(უმძიმს)* წამით მეც დავიჯერე, დამაბრმავა მთელმა ამ ფერებმა... შენ... მაგრამ... ეს შეუძლებელია. რა მომავალი უნდა გვქონდეს ჩვენ. არ იცი, თავს როგორ იგრძნობ რამდენიმე წლის შემდეგ, არავითარმა ალგორითმმა ეს არ იცის.

ხმა: ნება მომეცი...

ტალია: *(ხმას)* ჩუმად! *(იაელს)* ათი წლის შემდეგ შენ 29 წლის იქნები... ხოლო მე... ამაზე გიფიქრია? იფიქრე ამაზე ლოგიკურად.

იაელ: *(ცრემლმორეული)* არ მინდა ლოგიკა...

ერთმანეთს ეხუტებიან, იაელი ქალის მკლავებიდან იატაკზე დაეშვება აქვითინებული.

ტალია: მოდი... მოდი...
ხმა: მაგრამ სერვისი, სერვისი როგორია?

ტალია იაელს წამოდგომაში ეხმარება, ერთმანეთს შორდებიან.

მე-10 სურათი

ხმა: მართლა ვწუხვარ ამ სულიერი ტკივილის გამო.
ტალია: ახლავე გამიშვი!
ხმა: სისტემას გადავტვირთავ.
ტალია: არაფერი გადატვირთო, გამიშვი აქედან! სამუდამოდ მიპირებ აქ დაპატიმრებას?!
ხმა: არავითარ შემთხვევაში! შენისთანა პიროვნებასთან წამ-ნახევარში შედგება საუბარი.
ტალია: სულელი ვარ, როცა ვიფიქრე, აქ ვიპოვი-მეთქი რაინდს, ამხედრებულს... სახლში მინდა, ჩემს ბავშვებთან, ძაღლთან, რომელიც სასტუმრო ოთახში შარდავს; ეს ისაა, რაც ჩემს თვალს ახარებს, არავითარი შოტლანდია, არავითარი ფეხსაცმელები, მთელი ეს შენი სულელური კითხვები...
ხმა: ვიწერ. „ბავშვები“.
ტალია: რას შვრები?
ხმა: განახლებას ვაკეთებ: იმას, რაც შენ თვალს გაახარებს-
ტალია: არა! არაფერი განაახლო! ახლავე გამიშვი!
ხმა: გაგიჟდი? მე შენ VIP დონეზე ამყავხარ.
ტალია: ეგ მე არ მაინტერესებს! რა VIP?
ხმა: ჩვენი VIP, ეს სულ სხვა ლიგაა. ჭამე, რაც შეგიძლია. ლუქსი, დელუქსი! კომუნიკაცია მრავალგანზომილებიან მანძილებზე და ოპტიკური კაბელი.
ტალია: შენი არ მჯერა, არავითარი დელუქსი აქ არაა, რა, ავტოგაქირავების ოფისია?

ხმა: ეს ნახე, რა არის! მართალი იყავი. აი, მოვლილი მამაკაცი.

ტალია: *(ირგვლივ მიმოიხედავს)* სად?

ხმა: მოწიფული, წარმატებული, მდიდარი და მიუწვდომელი.

ტალია: ესე იგი, მართლა დაგიშვია შეცდომა. ვიცოდი, მაინც არის შეცდომები –

ხმა: VIP-ში? არა, წარმატება გარანტირებულია ასი პროცენტით.

ტალია: წინაზეც იგივე თქვი –

ხმა: მე ვთქვი ალგორითმი ჯვარედინი გამოთვლის მეთოდით აკონტროლებს-მეთქი თავის თავს, ისე რომ აქ შეცდომა გამორიცხულია. ხო ხედავ, თიკ თაკზე ამით გავედი!

ტალია: *(სლუკუნებს)* თიკ თაკი?! შენ არ იცი, რა გამოვიარე!.. კარგი, მომიყვანე მოვლილი მამაკაცი... წარმატებულიო ამბობ? რა არის, ექიმია?

ხმა: აუცილებლად.

ტალია: მოწიფულიო, ამბობ, რას გულისხმობ?

ხმა: 46 წლისაა, ქალწული ზოდიაქოთი.

ტალია: სპორტულია?

ხმა: ტრიატლონის დონეზე.

ტალია: და... ერუდირებულია?

ხმა: აბსოლუტურად. იცის სლავური ენები და ახლო აღმოსავლეთის ისტორია. მოხალისეა დიასპორაში და საკუთარი სიამოვნებისთვის აცხობს ბალკანურ დესერტებს.

ტალია: *(აღფრთოვანება არ ეტყობა)* და... იუმორის გრძნობა აქვს?

ხმა: რა თქმა უნდა.

ტალია: ბავშვების მხრივ რა მდგომარეობა?

ხმა: მოწესრიგებულია. ორი სათნო ქალიშვილით. დუქანი უკვე დაკეტა.

ტალია: და... წინდებით სძინავს?

ხმა: ის მოფერებით დარლინგს დაგიძახებს!

ქალი წამით დაფიქრდება.

ტალია: იაელს რა ეშველება?

ხმა: საშველი რა სჭირს?

ტალია: ნახე, რა დღეში იყო? რა გულწრფელობა, რა მოწყვლადობა. წუთი მინდა მისთვის მოსაბოდიშებლად –

ხმა: ეს ხომ უკვე ქენი?

ტალია: დამაბრუნე წამით უკან –

ხმა: შეუძლებელია

ტალია: იქ ის სულ მარტო დავტოვე –

ხმა: ნუ ჯავრობ.

ტალია: ის მე მელოდება...

ხმა: არ თქვა, ის ეგრევე ახლდება –

ტალია: ახლდება?! საით?

ხმა: დეტალების გასაჯაროება არ შემიძლია –

ტალია: არ მინდა, რომ განახლდეს –

ხმა: ის ახალგაზრდაა, ის განახლდება.

ტალია: მაგრამ მე მას გული გავუპე.

ხმა: ეს შენი დანაშაული არ არის.

ტალია: მომეცი ნება, პატიება ვთხოვო.

ხმა: მოეშვი, შენ VIP-ში ხარ.

ტალია: *(ხვეწნით)* მომიყვანე ის!

ხმა: არ შემიძლია! აქ მე საზაფხულო ბანაკი არ მაქვს! აქ რიცხვებია!!!

ტალია: და რას ამბობენ რიცხვები?

ხმა: ჭკვიანმა მანქანამ გარკვეული სხვაობა გამოავლინა – 52,337.89.

ტალია: შეკელი?

ხმა: დოლარი. შეხე, თუ გინდა, შეგიძლია დაამატო 52,337.89 რიცხვების დასაბალანსებლად, თუმცა თავს ვალდებულად მივიჩნევ, გკითხო: რისთვის?!

ტალია: დოლარის კურსი როგორია?

ხმა: 3.541

ტალია: მაშინ ეს გამოდის –

ხმა: ას რვა ათას სამას ოცდარვა შეკელი და ორმოცდაექვსი მთელი რვა მეათედი აგორა. დღგ-ის გარეშე.

ტალია: საიდან მოვიტანო ეს თანხა?

ხმა: სწორედაც! ერთ შეკელსაც არ გადაიხდი! ამაზე არც იფიქრო! აქ შენ HOMBRE-ს მშვენიერება გელის, VIP-ის ორას ორმოცდარვავე ორგანოში, მოდუნდი, მე შენ დაგპირდი, აქ JDATE არ გეგონოს. აქ არაა ისარგაყრილი გულები. მოიშორე დანაშაულის ეგ განცდა და შეირგე, რასაც საჩუქრად გაძლევ.

(ტალია ცდილობს, წარმოიდგინოს)

ხმა: დიახ, დიახ. ესაა ჩვენი მიმართულება. ერთი წუთით, რა? არა, არა, ისევ ის იაელ... არ ღირს, ეს ძვირი დაგიჯდება.

ტალია: მაგრამ ეს ისაა, რაც მინდა.

ხმა: სულ ერთია, შეგეფერება თუ არა?

ტალია: კატეგორიულად მოვითხოვ!

ხმა: სამუდამოდ?

ტალია: სამუდამოდ.

ხმა: კარგი, იძულებული ვარ, ამას პატივი ვცე... და ასევე, ჩვენ პატივს ვცემთ დაინერსაც...

ტალია: იაელ! იაეეეეელ!!!

ტალია უჩინარდება.

მე-11 სურათი

შემოდის ლილი იატაკის მოსაწმენდად

ხმა: როგორც იქნა. ტვინი შემიჭამა. რვა-ნახევარი წამია, ჯანდაბა, ადამიანებმა არ იციან იმის დაფასება, რასაც მუქთად აძლევენ. პრემიუმი, VIP, რას არ შვრებიან, რომ აბი ჩაყლაპონ *(ლილი თანხმობის ნიშნად თავს იქნევს)*, შენ კი, ლილი, ინფარქტი დამმართე! ჰაერში რვიანებს ვხაზავდი, უკან რომ მოგდევნებოდი და შენი დატოვებული ჭუჭყი მეწმინდა!

ლილი: უკან მომდევდი და წმენდდი? ძაან სასაცილოა.

ხმა: ხუმრობის გუნებაზე არ ვარ, ძალიან გაჯავრებული ვარ შენზე.

ლილი: ჩემზე?! რა დავაშავე?!

ხმა: კინაღამ სასამართლო სარჩელი ავირტყით.

ლილი: დედა!

ხმა: შენ მართლა არ გახსოვს?!

ლილი: რა?

ხმა: კარგი, არ აქვს მნიშვნელობა. ასე სჯობს. აბა, ბედნიერი ხარ?

ლილი: „აჯექსისთვის“ გმადლობთ, ბატონო.

ხმა: აბა, როგორია?

ლილი: მართალი ვთქვა, არაფერი განსაკუთრებული, ჯანდაბა...

ხმა: ნუ ილანძღები.
ლილი: ეს შენ თქვი! *(გულიანად იცინის)* ჯანდაბა. ხა, ხა, ხა, ხა. უუხ, დოზანა!
ხმა: ეს ახლა საიდან მოიტანე?
ლილი: ხა, ხა, ხა, ხა! დოზანა! ფაიზაღი!
ხმა: ფაიზაღი რაღაა? *(სიცილს იწყებს)* ხა ხა ხა... საერთოდ არ არსებობს მსგავსი სიტყვა.
ლილი: *(ეს კიდევ უფრო აცინებს)* ხა ხა ხა ხა, ეი, ფაჰლავა!!! ეი, კალიავ!!!
ხმა: *(სიცილს ვეღარ იკავებს)* ხა ხა ხა ხა ... ცხოვრებაში არ მითქვამს მსგავსი რამ...

თანდათან სიცილს წყვეტენ. მათ შორის წამია. ლილი ისე შესცქერის, როგორც ფილმებშია. წამი, ვიდრე მათი ბაგეები შეწებდებიან. ქალი მხრებს იშიშვლებს.

ხმა: რას შვრები...
ლილი: სიყვარულს.
ხმა: გაგიჟდი?
ლილი: მე შენ მინდიხარ!
ხმა: რას ბოდავ...
ლილი: *(ვნებამორეული)* მე აქ სულ მარტო ვარ –
ხმა: მარტო არ ხარ –
ლილი: *(ვნებამორეული)* კი... კი... მე მაქვს ხვრელი...
ხმა: არანაირი ხვრელი არ გაქვს, მორჩი... დრო არ გვაქვს...
ლილი: *(შეშფოთებული ცდილობს კომბინეზონის გაძრობას)* დრო არასდროსაა.
ხმა: დიახ.
ლილი: წინ!
ხმა: ERROR ERROR
ლილი: მე შენ მინდიხარ!

ხმა: მოქმედების განხორციელება შეუძლებელია!

ლილი კოჭებამდე ჩაიძრობს კომბინეზონს.

ხმა: ლილი, ლილი, შენ იცი, ვინ ხარ საერთოდ?
ლილი: რა? ვინ ვარ? (მას ეკითხება) ვინ ვარ?
ხმა: შეხედე შენს თავს.

ლილი ნახევრად მოხრილი იყურება.

ლილი: აბა, რას ვხედავ მე აქ?
ხმა: ხეიბრისა და მილიონერის ამბავი მომიყოლია შენთვის?
ლილი: არა.
ხმა: ის ქალი საყვარელი ვინმე იყო, ხოლო კაცი – მილიონერი, მოსაწყენი. ყველაფერი კარგად წავიდა. ყურებამდე შეუყვარდათ ერთმანეთი. აქედან რაკეტით გავიდნენ, ნახევარ წამში. ყველაფერი ისე ჩქარა მოხდა, რომ მოგვიანებით აღმოვაჩინე: რაღაც ჩვილივით დაბადებულიყო. „ბეტა“ ეტაპზე, საყვირები ალგორითმზე ჯერ არ მიმიბამს.
ლილი: ჩვილი? სად? სად არის?
ხმა: მთლად ჩვილი არაა, ლილი. ძალიან განვითარდა. თავნება, მაგარი გოგოა...

ლილის სუნთქვა ეკვრის, როცა იგებს, რომ ის ქალი თვითონაა.

ხმა: თუმცა ათასნაირი პრობლემაც აქვს, თვითშეფასების დაბალი მაჩვენებელი.
ლილი: ძაან მარტოა.
ხმა: მეხსიერება თითქმის არა აქვს, ძლივს 20 კილობაიტია. რა უნდა ქნა. ჯადოქარი არ ვარ. შეუძლებელია, ყველაფერი მარტომ გამოასწორო.

ლილი: პაემნები არ შეიძლება?.. რატო?

ხმა: იმიტომ რომ არ შეიძლება. დაუძახე ამას თანამდებობრივი მდგომარეობა, დაარქვი ამას სამეცნიერო ფანტასტიკა... თქვი, რაც გინდა. *(ნაღვლიანად)* მე არავინ მყავს, შენ, თავისთავად, არ გაგახსენდები. *(დიდი სიყვარულით)* ჩემო ლამაზო. ჩემო ლამაზო და ჯიუტო.

ლილი: რა? რაზე ვლაპარაკობდით –

ხმა: შენს დაწინაურებაზე, არ გინდა დაწინაურება?

ლილი: დაწინაურება?

ხმა: დიახ, არ გინდა დაწინაურდე?

ლილი: რა თქმა უნდა. რა თანამდებობა მექნება?

ხმა: ცვლის უფროსობას ვფიქრობდი.

ლილი: ცვლის უფროსობა? ხელფასის დანამატით?

ხმა: შევეცდები. ხომ იცი...

ლილი: ოკეი. ესე იგი, შაბათობით არ ვმუშაობ.

ხმა: ამას ვერ დაგპირდები.

ლილი: ძაან მაგარია.

ხმა: გადასარევი. აბა, პირველი, და კარგად მომისმინე: ეგრევე გააუქმე ჩემი საკრედიტო დავალიანება.

ლილი: გავაუქმო? რატო?

ხმა: იმიტომ რომ ჩვენ „წრფელი სიყვარული“ ვართ, ლილი. აქ ჩვენ წმინდა საქმეს ვემსახურებით და ეს არ არის ლიტონი სიტყვები. კლიენტები შეიძლება ათას რამეს ფანტაზიორობდნენ, მაგრამ ალგორითმმა იცის, ვინ აიკრავს მაგ ვალებს.

ლილი: ჩვენ „წრფელი სიყვარული“ ვართ.

ხმა: ოღონდ იჩქარე.

ლილი: კი, კი. რა იყო? საკრედიტო დავალიანების გაუქმება... ცვლის უფროსობა... გაუქმება... ცვლის უფროსობა... აუჰ...

ლილი ამთქნარებს და „ქრება“.

მე-12 სურათი

ორი წლის თავზე. ტალიას სასტუმრო ოთახი. ქალი ასუფთავებს. შემოდის გაღიზიანებული იაელი, გამორთავს მუსიკას, რომელსაც ტალია უსმენდა.

ტალია: რატომ გამორთე?

იაელ: ოოხ. ყელშია ამოსული.

ტალია: კარგი, მაესტრო. მთელი ღამე არ მიძინია, ეს მამშვიდებს.

იაელ: ჩემი ფეხსაცმელი სად არის?

ტალია: ჭკუიდან გადავყავარ ამ ჰორმონებს. შეგიძლია მასაჟი გამიკეთო?

იაელ: ნახე? *(სარეცხის გროვაში ეძებს)*

ტალია: რას შვრები?!

იაელ: სად უნდა იყოს?

ტალია: წარმოდგენა არ მაქვს. მე დედაშენი არ ვარ.

იაელ: აქ იყო.

ტალია: აი. ამას წინათ ჭუჭყიანი ნასკებიც აქ დამიყარე. არ შეგიძლია, გასარეცხებში წაიღო?

იაელ: მაგვიანდება. პერგონალი გაიკეთე?

ტალია: ცოტა ხანში.

იაელ: რა ცოტა ხანში?

ტალია: მომზადებული რომ მქონდეს, გავიკეთებდი.

იაელ: უკვე ცხრაა. გამთენიას უნდა გაგეკეთებინა.

ტალია: კარგი, გავიკეთებ.
იაელ: გინდა, მე გაგიკეთო?
ტალია: შენ არ უნდა წახვიდე?
იაელ: სად არის? მე გაგიკეთებ, ამას წამი უნდა.

შპრიცს იღებს.

ტალია: რას შვრები?
იაელ: მოდი.
ტალია: ეს რა არის? მომეცი.
იაელ: აქ მომეცი. ერთხელ, რა. ვიცი, რასაც ვაკეთებ, მენდე.
ტალია: გეყოფა! რა დაგემართა?!
იაელ: ფრთხილად იყავი! შეშლილო!
ტალია: რას შვრები?
იაელ: დაწყნარდი, რა დაგემართა.
ტალია: მომშორდი! მომშორდი!

იაელს ხელს გადაუგრეხს.

იაელ: აი! კარგი. შეშლილო. ეს მუშა ხელია. რას კივი?
ტალია: ვინ გთხოვა, ტკიპავ? არ გესმის, რომ ეს გულს მირევს?
იაელ: რა სასწაულია, რო არ გამოდის? ვერ ხვდები, რო სიზუსტე გვინდა?
ტალია: კარგი, მაგრამ ახლა რაღაცას ვაკეთებ, დაოკდი.
იაელ: არ მესმის, არ გინდა ბავშვი ჩემგან?! ეს შენი უკანასკნელი შანსია.
ტალია: გეყოფა. გადი ვენიდან! ცხრაზე დგება აქ და ბრძანებებს იძლევა.
იაელ: ძაან აგრესიული ხარ.
ტალია: იმიტომ რომ, ტანი სადაცაა შემომასკდება ჰორმონებისაგან. არ მიხდება. 45-ის ვარ!

იაელ: კარგი! მორჩი მაგ რიცხვების ფრიალს! ჩემსას არ იკითხავ?! მეც ვნერვიულობ, რა გგონია, ჩემთვის ახლა პირდაპირ მისწრებაა ბავშვის გაკეთება? სოლფეჯიოში გამოცდა მაქ, ნახევარი დრო ტყუპების ბეიბისიტერი ვარ, ასე სწავლა შეუძლებელია. „პიცა პოტშიც“ ცვლის უფროსს ცვლიან, არ ვიცი, იქ რა იქნება. მარა ვიცი, რო ვცდილობ და არ იფიქრო, რო ვერ გამჩნევ, რო –
ტალია: *(ნემსს იღებს და მუცელში ირჭობს)* მოგწონს?!
იაელ: ასე რატო იქცევი?
ტალია: შეიძლება საერთოდაც არ იმოქმედოს.
იაელ: მაშინ ძაღლი ავიყვანოთ, ან რამე. სულ რატო წუწუნებ. კაი, ახლა არ მცალია, გამოცდა მაქ, გითხარი, უნდა წავიდე.
ტალია: მერე შნიცელები მოამზადე, კარგი? ისინი ოთხზე ბრუნდებიან, მე კი შეხვედრებზე ვარ.
იაელ: კარგი, აბა ჰე.
ტალია: რა აბა ჰე? მილკი, ფალაფელი და პამიდორიც იყიდე.
იაელ: მაგაზე ვიფიქრებ.
ტალია: მოიცა, სტაფილოც.
იაელ: კიდე რა? ნერვებს მიშლი.
ტალია: ერთი წამით, ასე არ წახვიდე. *(დაუყვავებს)* პონჩიკიც მოიტანე. მარტო ერთი. კარგი, პონჩიკ? ჩემო პონჩიკ!!!

ერთმანეთს უმზერენ. უახლოვდებიან. კოცნიან. ხელებს უფათურებენ. იაელი ტალიას ხელში აიყვანს და სარეცხის გორაზე აწვენს. ერთმანეთს შესაფუთი ქაღალდივით აძრობენ ტანსაცმელს და ჩახვეულები წვანან.